საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ვახტანგ გოილაძე

ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია

„მეცნიერება"
თბილისი
1990

წიგნი ეძღვნება ადრეფეოდალური ქართლის სამეფოს ისტორიის ისეთ აქ-ტუალურ საკითხს, როგორიცაა ქრონოლოგია. ძველი ქართული წყაროების ცნობების ეცხოვნოვან წყაროთა მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე ახლებურადაა წარმოდგენილი IV—V და VI ს. I ნახევრის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. შედარებითი სიზუსტით დადგენილია ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა (პირველ ქრისტიან მეფე მირიანიდან ქართლში მეფობის გაუქმებამდე) რიგი და ქრონოლოგია.

ნაშრომში გარკვეულია, რომ 369 წლიდან V ს. 30-იანი წლების ბოლომდე, მდ. მტკვრის მარცხნივ მდებარე ირანის გავლენაში მოქცეულ ქართლში ბაქარიანები, ხოლო მდ. მტკვრის მარჯვნივ მდებარე ბიზანტიის გავლენაში მოქცეულ ქართლში რევიანები ბეფობდნენ. ფარნავაზიანთა სამეფო სახლში წარმოშობილი ეს ორი შტო მირიანის ძეებიდან — ბაქარიდან და რევიდან იღებენ სათავეს. აღმოჩნდა, რომ V ს. ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ვახტანგ გორგასალი ბაქარიანთა, ხოლო გამოჩენილი ფილოსოფოსი პეტრე იბერი რევიანთა შთამომავალი იყო.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ლ ო მ ო უ რ ი
და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი

შესავალი

ფარნავაზიანთა სამეფო სახლის მეფეთა ქრონოლოგიის კვლევა, მიუხედავად იმისა, რომ 250 წლის ისტორიოგრაფია აქვს, მეფეთა რიგის დადგენა და ზეობის წელთა განსაზღვრა დღესაც ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება.

საკითხის კვლევისას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი თვალსაზრისით მივუდგებით ძველ ქართულ წყაროთა ცნობებს, მივიჩნევთ მას IX—XI საუკუნეების ავტორთა მიერ ძირითადად ზეპირგადმოცემებზე დაყრდნობით შეთხზულად, თუ, როგორც ეს ძველ ქართულ წყაროშია ნათქვამი, „ყამითი-ყამად", თანამედროვეთა მიერ ჩაწერილად. თუ პირველი თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ (აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ამ თვალსაზრისის მომხრენი ქართულ ანბანს V ს-ში შექმნილად მიიჩნევენ), მაშინ a' priori უნდა ითქვას. რომ კვლევას ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა რიგის გასამართავად და ქრონოლოგიის დასადგენად არსებითი შედეგი არ მოჰყვება. რადგან V ს-ში, ქართული ანბანის შექმნიდან 400/500 წლის გასვლის შემდეგ, ზეპირგადმოცემებზე დაყრდნობით დაწერილ თხზულებაში არათუ ძვ. წ. III საუკუნის დამდეგიდან, ახ. წ. V საუკუნის 20-იან წლებამდე[1] მომხდარი ამბები, შემდგომი დროის ისტორიაც კი არ აისახებოდა რეალურად.

მეორე მხრივ, თუ ძველ ქართულ წყაროთა მონაცემებიდან გამოვალთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ: ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული", „შექმნა მწიგნობრობა", ფარნავაზიდან მოკიდებული მის შთამომავალ მეფეთა ცხოვრებაში მომხდარი ამბები „ყამითი-ყამად" იწერებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, ძველ ქართულ წყაროებში წინაქრისტიანული ხანის ისტორია და მეფეთა რიგი ეპოქის სიშორის გამო თუ გარკვეული ხარვეზებითაა შემონა-

---

1 ამ დროისათვის ივარაუდება ქართული ანბანის შექმნა (55, № 6: 166, № 7: 147).

ხული [68. შდრ., 41:516—519)]*, ქრისტიანული ხანის მეფეთა რიგი შედარებით რეალური უნდა იყოს.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში?

XVIII და XIX სს. საქართველოს ისტორიის მკვლევრებს, როგორც ცნობილია, ძველ ქართულ წყაროთა ცნობებში მაინცდამაინც ეჭვი არ შეჰქონდათ. XX ს. დამდეგიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰიპერკრიტიკული მიმართულების ჩამოყალიბების შემდეგ ძველი ქართული წყაროების მონაცემებისადმი უნდობლობა გაიზარდა. ძველ ქართულ წყაროთა ის ცნობები, რომლებიც ძვ. წ. III—I სს. ისტორიას ეხება, თითქმის მთლიანად იქნა უარყოფილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ საეჭვო გახდა თვით ქართლის სახელმწიფოს შემქმნელის ფარნავაზის პიროვნების რეალურობის საკითხი.

ფარნავაზის პიროვნების რეალურობაში ეჭვი პირველად ნ. მარმა შეიტანა 1901 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „წარმართული საქართველოს ღმერთები ძველი ქართული წყაროების მიხედვით“ [144:6]. 1928 წელს „ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნში ივ. ჯავახიშვილი ძველი საქართველოს პოლიტიკური წყობისა და ფარნავაზის პიროვნების საკითხსაც შეეხო. ძველი საქართველო ახ. წ. I საუკუნემდე მან გვაროვნული წყობილების საფეხურზე მდგომად მიიჩნია[2]. იმ დროის საქართველოს, ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, გვარის უფროსი მამასახლისი (იგივე მეფე) განაგებდა [107:135—136, 157, 171; შდრ., 108:138, 155—156; 121:137; შდრ., 83:18]. ფარნავაზის შესახებ „მეფეთა ცხოვრებაში“ მოთხრობილი ამბავი კ. კეკელიძემ XI ს. ავტორის ლეონტი მროველის ფანტაზიის ნაყოფად ჩათვალა [55, № 5/6:161]. ს. კაკაბაძემ მართალია მთლად არ უარყო

---

* პირველი ციფრით აღნიშნულია ნაშრომის რიგითი ნომერი, ორი წერტილის შემდეგ ამავე ნაშრომის გვერდი ან გვერდები, წერტილ-მძიმის შემდეგ შესადარებელი ლიტერატურა.

[2] ჯერ კიდევ 1916 წელს ძველი ქართული საისტორიო მწერლობისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში, როცა ფარნავაზის საკითხს შეეხო, ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა: ლეონტი, როცა ფარნავაზის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გადმოსცემს, რა წყაროი სარგებლობს არა ჩანს, „მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მის ცნობებს ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ სტრაბონის გეოგრაფიითგან ჩვენ ვიცით, რომ უძველეს დროს ქართლში საგვარეულო წესწყობილება ჰსუფევდა“ [103:123; შდრ., 104:185]. იქვე, „ფარნავაზის ცხოვრებაში“ არსებული ცნობა ფარნავაზის მიერ მწიგნობრობისა და ქართული ანბანის შემოღების შესახებ „ბავშვური გულუბრყვილობის შედეგად“ მიიჩნია [103:185]. ფარნავაზის ეპოქაზე ასეთი წარმოდგენის მიუხედავად, ქართული ანბანის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ქართული ანბანის შექმნა ძვ. წ. VII ს-ში ივარაუდა [106:236]. პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ქართული ანბანი უნდა ჩამოყალიბებულიყო ძვ. წ. IX—VIII სს-ში, როცა ქართველი ხალხის ერთი ნაწილი, თობალები და მესხები, მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრობდა [40:247—248].

ფარნავაზის, როგორც ისტორიული პიროვნების რეალობა, მაგრამ იგი ახ. წ. I ს-ში მოღვაწედ მიიჩნია.

ფარნავაზის ეპოქაზე და ფარნავაზზე გამოჩენილ მეცნიერთა მოსაზრებები შემდგომი თაობის მკვლევართათვის ძნელი გადასალახავი გახდა. დასახელებულ ავტორთა მოსაზრებებიდან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, ფარნავაზის მიერ „ქართული მწიგნობრობის შექმნაზე" ლაპარაკი ზედმეტი იყო. მაგრამ ისტორიული მეცნიერება წინ მიდიოდა. გარდა იმისა, რომ ძვ. წ. III—I და ახ. წ. I—VI სს. საქართველოს ისტორიის შესახებ უცხოენოვან წყაროებში გამოვლენილი იქნა ახალი ცნობები, საინტერესო მასალა მოგვცა მცხეთაში დაწყებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. დღის წესრიგში დადგა ძველი ქართული წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების გადასინჯვა. 1941 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „ძველი ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია" პ. ინგოროყვამ ძველ ქართულ წყაროებში დროთა განმავლობაში ზოგი მეფის სახელის დამახინჯებული გადმოცემა გაასწორა. შეუდარა იგი იმ უცხოენოვან წყაროებსა და ეპიგრაფიკულ მასალას, რომლებშიც ქართლის მეფეები იხსენიებიან. რაც მთავარია, ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა (ფარნავაზიდან მოკიდებული ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის ჩათვლით) რიგისა და ზეობის წელთა დადგენა სცადა [41:505—562]. პ. ინგოროყვას დასკვნით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანეში წარმოდგენილი წარმართული ხანის საქართველოს მეფეების სია „უცილობლად ავთენტურობის ბეჭედს ატარებს", ამ წყაროს „ისტორიული ტექსტი, რომელიც ეხება ანტიკურ ხანას... მომდინარეობს წარმართული ხანის ძეგლებიდან" [40:254—255].

50-იანი წლებიდან ძველ ქართულ წყაროთა ცნობებისადმი, კერძოდ, ფარნავაზისა და მისი შემდგომი დროის საქართველოს ისტორიის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია გამოიკვეთა. მაგ., 1954 წელს „ახალი ქართლის ცხოვრების" ანალიზისადმი მიძღვნილ ნაშრომში კ. გრიგოლიამ ფარნავაზის დროინდელ ქართლში „წინაკლასობრივი მდგომარეობის სურათი" დაინახა. იმ დროის ქართლის საზოგადოებაში, — წერდა იგი, — „მეფე ჯერჯერობით არ ჩანს, არც ერისთავები არიან. ქართლის საზოგადოებრივი წყობის ძირითადი ერთეული სახლი, ანუ გვარი ჩანს, რომლის სათავეში არიან მამასახლისები...". „ამ ნიშნის მიხედვით, — ასკვნის კ. გრიგოლია, — უეჭველია, ქართლის საზოგადოება მაშინ წინაკლასობრივ მდგომარეობაში ყოფილა და მას აშკარად გამოხატული გვაროვნული წყობილება ჰქონია" [31:11, 13]. წყაროს ცნობა, ქართლში შექმნილი ვითარების გამო ფარნავაზს

დაეტოვებინა „საყოფელი მამათა“, კ. გრიგოლიამ იმის მაჩვენებლად მიიჩნია“... ფარნავაზს მრავალი მაშა (მამანი) რომ ჰყავდა“[3]. თითქოს „მემატიანეს ფარნავაზი გვაროვნული წყობილების მიჯნაზე ეგულება“ [31:16—17].

გ. მელიქიშვილმა მდიდარი არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მასალის, ასევე ძველი აღმოსავლური და ბერძნულ-რომაულ წყაროთა მონაცემების ძველ ქართულ წყაროთა ცნობებთან შეჯერების საფუძველზე საქართველოს ძველ ისტორიას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. მანვე 1958 წელს ფარნავაზიდან მოკიდებული ვახტანგ გორგასლის ჩათვლით ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა რიგი დაადგინა და თითოეული მეფის ზეობის მიახლოებითი წლები მიუთითა [69:141—170]. 1978 წელს გ. მელიქიშვილი კვლავ შეეხო ამ საკითხს [იხ. 68].

როგორც ჩანს, სწორედ პ. ინგოროყვას და გ. მელიქიშვილის გამოკვლევები ჰქონდა მხედველობაში ივ. ლოლაშვილს, როცა წერდა: „ქართულ ისტორიოგრაფიაში თანდათანობით მკვიდრდება მოსაზრება, რომ IV საუკუნეში მართლაც არსებობდა ქართლის მეფეთა სია... ეს აპრიორულად უნდა დავიჯეროთ, რადგან არც ერთი გვიანდელი ისტორიკოსი თავის თავს იმდენ უფლებას არ მისცემდა, რომ ზეპირად შეედგინა იმ მეფეთა სია, რომელთა სახელები და მოღვაწეობის დრო არ იცოდა... ეს რომ დავუშვათ, მაშინ წარმართული ხანის საქართველოს ისტორია... ყალბად უნდა გამოვაცხადოთ“ [60:18].

მართლაც. „მეფეთა ცხოვრებაში“ ფარნავაზის ცხოვრების გადმოცემიდან მეფეთა ნათესაური კავშირების შესახებ თხრობა იმდენად კონკრეტულ ხასიათს იღებს, რომ „ძნელია დავუშვათ,... მთელი ეს ჩვენებანი წმინდაწყლის შენათხზი“ იყოს და „რაიმე წერილობით ან ზეპირ ტრადიციას არ ემყარება“ [68:57—58]. ასეთი ინფორმაციის შემცველი თხზულება ყოვლად შეუძლებელია XI ს-ში შექმნილიყო. ქართულ საისტორიო თხზულებებში, როგორც პ. ინგოროყვა ამტკიცებდა, უეჭველია წარმართული მწერლობის მთელი რიგი ფრაგმენტები და ნაწყვეტები არის ექსცერპტების სახით შემონახული [40: 254]. უფრო მეტიც, რ. ბარამიძის თანახმად, „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება ადრეულ საუკუნეებში შექმნილი მთლიანი ნაწარმოებები დასრულებული სახით [6:78].

ვფიქრობ, მართალნი არიან ის მკვლევრები, რომელნიც წინაქრისტიანული საისტორიო მწერლობის არსებობაზე მიუთითებენ. ფარნავაზის დროიდან მოკიდებული იმ ამბების ჩაწერა-ფიქსაცია, რაც „მეფეთა ცხოვრებაში“ გვაქვს, იმთავითვე „ყამითი-ყამად“ თუ

---

3 მემატიანის სიტყვებში, რა თქმა უნდა, ფარნავაზის წინაპართა სამშობლო იგულისხმება და არა მამათა სიმრავლე, რაზეც სამართლიანად მიუთითა გ. მელიქიშვილმა [70:227; შენ. 25].

არ ხდებოდა, მაშინ საიდან გვაქვს ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა ეს მეტ-ნაკლებად უწყვეტი რიგი თითოეული მეფის მრავალმხრივი მოღვაწეობისა და ნათესაობის, ზოგჯერ ზეობის წელთა (იშვიათად დღეების) მითითებაც კი? ქართული სახელმწიფოებრიობისა და, რაც მთავარია, წარმართული ხანის ქართული მწიგნობრობის ეს ნათელი დადასტურება?

თუ არა ქართულად, მაშინ რომელ ენაზე, რომელი ანბანით ჩაიწერეს ქართლის სამეფოში და ფარნავაზიანთა სამეფო კარზე მომხდარი ამბები სამეფოს მემატიანეებმა? უპირველესად ამ კითხვაზე უნდა გაეცეს პასუხი[4]. წარმოუდგენელია V ს. 20-იანი წლების მახლობელ ხანებამდე. როცა თითქოს კ. კეკელიძის მტკიცებით ქართული ანბანი შეიქმნა, ქართულ ზეპირ ტრადიციას ქართლის ისტორიის ასეთი დაწერილებითი და მრავალმხრივი თხრობა შემოენახა.

a'priori გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს ასეთი ისტორიის შედგენა მაშინდელი ქართლის რომელიმე მეზობელ ხალხს მივაწეროთ. ან, როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობდა, უძველესი ქართული საისტორიო თხზულებანი მართლაც უცხო ენაზე რომ შექმნილიყო, არ შეიძლებოდა ქართულ წერილობით საისტორიო ტრადიციას ამის შესახებ რაიმე მინიშნება არ შემოენახა.

ქართული კულტურის — ქართული დამწერლობის სათავეები რატომ უნდა ვეძიოთ სხვაგან, როცა ხელთა გვაქვს უძველესი ქართული მატიანეების კრებული „ქართლის ცხოვრებაში" შესული „მეფეთა ცხოვრების"სახით. ანგარიშგასაწევია ძველიდან მომდინარე ცნობა, რომლის თანახმად, „ქართლის ცხოვრებაში" შესული საქართველოს უძველესი ისტორიის ამსახველი თხზულებანი „ჟამითი-ჟამად" სხვადასხვა ავტორთა მიერ იწერებოდა ასეთ ავტორებად თეიმურაზ ბაგრატიონს (1782—1846) III ს. შუა ხანებში მოღვაწე მაეჟან სპასპეტი და ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ჯუანშერი მიაჩნდა [37:33].

როგორც ითქვა, არც თეიმურაზის შემდეგდროინდელ ისტორიკოსებს ეპარებოდათ ეჭვი ძველი ქართული საისტორიო თხზულებანი თანადამხვდურთა მიერ რომ იყო დაწერილი. მაგალითად. თ. ჟორდანიას (1854—1916) დასკვნით, „ქართლის ცხოვრებაში" „არჩილის

---

4 პირველი ქართული საისტორიო თხზულებების შექმნას ს. კაკაბაძე სწორედ უცხო ენაზე ვარაუდობდა. მისი მტკიცებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ახ. წ. I ს-ში არამეულ ენაზე უნდა დაწერილიყო [49:79, 80—81, 85] და ეს არამეული წყარო ჰქონდა ხელთ IV ს-ში გრიგოლ დიაკონს, რომელმაც ამ თხზულების ბერძნული ტექსტი შეადგინა. შემდეგ ითარგმნა იგი ქართულად არსებული ორი ვარიანტის შიხედვით [49:69, 71].

წამებამდე“ ხუთი ავტორის თხზულება უნდა იყოს შემონახული [79: XXX—XXXVIII].

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველი ქართული წყაროების მიმართ „დაინერგა მომეტებულად კრიტიკული მიდგომა“ [57]. 1916 წელს „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილის ავტორად ივ. ჯავახიშვილმა XI ს. მოღვაწე ლეონტი მროველი მიიჩნია. ასე მოხდა შემდეგ ამ წყაროს პუბლიკაცია და დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში [57].

1924 წელს ს. კაკაბაძემ ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორად ჩათვალა ([50:283]. ეს მოსაზრება მან შემდეგ შეცვალა).

1959 წელს გ. მელიქიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილის შედგენილობის გარკვევისას მიუთითა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილისადმი ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი სერიოზულ ეჭვს იწვევს [147:30—31].

1962 წელს შ. ბადრიძემ დააყენა საკითხი, „მეფეთა ცხოვრების“ არქაული ნაწილის ავტორად მიჩნეული ლეონტისათვის, რადგან მხოლოდ „გადამწერი“ ჩანს, „ფსევდო ლეონტი მროველი“ გვეწოდება [4:179]. იმავე წელს, შ. ბადრიძის ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ გამოვიდა აკად. ს. ყაუხჩიშვილი. „ლეონტი მროველი არის ქართული ისტორიოგრაფიის ჰეროდოტე“, — წერდა იგი. მისი „ავტორობის საკითხი არ შეიძლება გახდეს განხილვის საგანი“ [96: 191].

ს. ყაუხჩიშვილის ასეთმა მკაცრმა გამოსვლამ ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილის — „მეფეთა ცხოვრების“ ავტორობაში დაეჭვების საკითხი კვლავ მომავლის საქმედ გახადა.

ამჟამად „ქართლის ცხოვრების“ მიმართ ასეთი მიდგომა შედარებით დაძლეულია (57:104. მ. ლორთქიფანიძის „რედაქტორისაგან“. გვ. 11—14. ამ მხრივ საინტერესოა და საკითხისადმი ორიგინალური მიდგომით გამოირჩევა მ. ჩხარტიშვილის შრომები. იხ. 94, 96). რადგან. იმ თხზულებებიდან, რომლებიც ლეონტი მროველს მიეწერება, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“, „მეფეთა ცხოვრება“, თვით „ქართლის ცხოვრებაში“ დართული ერთი მინაწერის თანახმად, „ჟამითი-ჟამად იწერებოდა“, ხოლო „არჩილის წამების“ ავტორად, ამ ნაწარმოების XII ს. მეტაფრასტული რედაქციის უცნობი აგიოგრაფი, თვით არჩილის თანამედროვეს (VIII ს.) მიიჩნევს (იხ. ქსე, ტ. 6. სტ. ლეონტი მროველი). ეფიქრობ, იმ მკვლევართა მოსაზრე-

ბას, რომელნიც XI ს. ლეონტი მროველს მხოლოდ რედაქტორად და გადამწერად მიიჩნევენ, მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს.

„მეფეთა ცხოვრებაში“ შესული ცალკეული საისტორიო თხზულებანი ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებამდე“, როგორც წყაროშია ნათქვამი, „ეამითი-ეამად“ იწერებოდა [84:159]. როგორც ე. ლორთქიფანიძე წერს, „მეფეთა ცხოვრების“ ზოგ ნაწილს ხომ „დიდი სიძველის ელფერი დაკრავს“ [104:12]. რატომ არ შეიძლება ისინი მართლაც წინაქრისტიანული ხანისა იყოს. როგორც ზემოთ შევნიშნე, ქართული ანბანის წარმოშობას ივ. ჯავახიშვილი ხომ ძვ. წ. VII ს-ში ვარაუდობდა[5]. ასეთი მოსაზრების სათანადო დასაბუთებაა მოცემული რ. პატარიძის სპეციალურად ქართული ანბანის წარმოშობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში [77]. ე. ხინთიბიძის სამართლიანი მითითებით, ქართული ანბანი რომ ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ შეექმნათ, ეს ქართულ ქრისტიანულ ტრადიციას არ დაავიწყდებოდა. ამ მხრივ ძველი ქართული მწერლობა დუმს [172: 39].

საქართველოს ისტორიის შესახებ პ. ინგოროყვასა და გ. მელიქიშვილის ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებითი შემობრუნება მოხდა (ძველ ქართულ წყაროთა ცნობები წინაქრისტიანულ ხანად მიიჩნიეს: გ. წერეთელმა [102:50, 52], მ. ლორთქიფანიძემ [104:12, 14], რ. ბარამიძემ, რ. პატარიძემ, ლ. სანიკიძემ, ივ. ლოლაშვილმა [იხ. 6:78; 77; 80:26. 37; 60] და სხვებმა), ზოგი მკვლევარი ქართულ წყაროთა ცნობებს მაინც უნდობლად ეკიდება და ფარნავაზის დროის საქართველო ტომობრივი წყობის საფეხურზე მდგომად მიაჩნია. მაგალითად, 1986 წელს გამოცემულ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-10 ტომში ფარნავაზი სამარა მამასახლისის ძმისშვილად, ქართლის ტომის ბელადის ძედ არის გამოცხადებული (სტ. ფარნავაზი, შდრ. 64:9).

ფარნავაზს თუ ტომის ბელადის ძედ მივიჩნევთ, მაშინ მართლაც ყოვლად წარმოუდგენელია მას შეექმნა „მწიგნობრობა ქართული“ (რის შესახებაც მის „ცხოვრებაშია“ მითითება). ტომის ბელადის მიერ შექმნილ სახელმწიფოში, ვიდრე წერა-კითხვის საჭიროება დადგებოდა, მართლაც 7—8 საუკუნეს მაინც უნდა გაევლო, ხოლო ეს საზოგადოება სანამ საკუთარი წარსულით დაინტერესდებოდა უფრო

---

5 ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიის (ქართული პალეოგრაფია, 1926 წ., გამოცემა) რეცენზიაში 1928 წელს ს. კაკაბაძე წერდა, რომ ქართველები ძველად არამეულ-ფაჰლაური ანბანით სარგებლობდნენ. ქვ. წ. I ს-ში ან მის ახლო ხანაში ბერძნების გავლენით დაიწყეს ხმარებაში მყოფი ანბანით მარცხნიდან მარჯვნივ წერა, რითაც საფუძველი ჩაუყარეს საკუთარ ანბანს [48:147].

შეტ დროს. სწორედ ასე ჰქონდა წარმოდგენილი ეს პროცესი კ. კეკელიძეს. იგი იზიარებდა რა მოსაზრებას ქართული ანბანის V ს-ში შექმნის შესახებ წერდა: V ს. II ნახევრიდან საქართველოში შექმნილი მდიდარი აგიოგრაფიული (ორიგინალური თუ ნათარგმნი) მწერლობის ძეგლები „ქართველთა ისტორიულ ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებდა". მხოლოდ XI ს-ში, „ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნასთან ერთად, გაჩნდა მოთხოვნა ეროვნული მატიანეების შექმნისა" და XI ს-ში მცხოვრებმა ლეონტი მროველმა, ძირითადად ზეპირი საისტორიო ტრადიციისა და ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით, დაწერა ქართლის სახელმწიფოს ამსახველი უძველესი ისტორია.

ფარნავაზის ხანის ქართლის სახელმწიფოსადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ძველი ბერძენი ისტორიკოსის არიანეს (95—175) მიერ მოხსენიებული ფარსმანი, რომელიც თავს „კოლხთა და ამაზონთა მეზობელი" ხალხის მეფედ აცხადებს (არიანეს ცნობით, ფარსმანი 1500 ცხენოსნით ჩავიდა შუა აზიაში მყოფ ალექსანდრე მაკედონელთან და ზავი დადო, რათა ალექსანდრე მას მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა), ფარნავაზის მამად მივიჩნიე. არიანეს მიერ დასახელებული ფარსმანი რომ მართლაც ფარნავაზის მამა უნდა ყოფილიყო, ვფიქრობ, ამის სასარგებლოდ მიუთითებს ფარსმანის (კოლხთა მეზობელი ქართლის მეფის?) თანადროული ვითარების (რის შესახებაც არიანე მოგვითხრობს) მსგავსება ფარნავაზის წინადროინდელ ქართლში არსებულ მდგომარეობასთან. რაც მთავარია, კოლხთა და ამაზონთა[6] ქვეყნის გამგებელი ვინ უნდა ყოფილიყო თუ არა ქართლის მეფე? თანაც, ფარსმანი ხომ ასე გავრცელებული სახელი იყო ფარნავაზის შთამომავალთა შორის. მართალია, ფარსმანის ფარნავაზის მამად მიჩნევას, არიანეს მიერ ფარსმანის „ხორასმიელთა" (ე. ი. ხორეზმის?) მეფედ დასახელება ეწინააღმდეგება, მაგრამ „ხორასმი" ტექსტში ხომ შეიძლება არიანედან არ მომდინარეობდეს (დაწვრილებით იხ. 27).

თუ ფარსმანს ფარნავაზის მამად მივიჩნევთ, მაშინ ძველ ქართულ და უცხოენოვან წყაროთა ცნობების შეჯერების საფუძველზე, ფარნავაზის ბიძა „მცხეთელი მამასახლისი" სამარა, ქართლის სამეფოში, მეფის შემდეგ მეორე პირი, უმაღლესი მოსამართლე და მთავარსარდალი უნდა ყოფილიყო[7]. „მეფეთა ცხოვრებაში" არსებული

---

6 ამაზონების ერთ-ერთ საცხოვრებელ ადგილად შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო, მდ.თერმოდონტის (ახლად. თერმიჩაი) შესართავია მიჩნეული (იხ. ქსე, ტ. I, სტ. ამორძალები).

7 ძველი ქართული წყაროს მამასახლისი ჯარის სარდლად მიაჩნდა ს. კაკაბაძესაც [50:20—21]. მამასახლისის ინსტიტუტის რაობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებათა შესახებ იხ. 83:14—25.

ცნობით, მამასახლისი ხომ „მაზავებელი და ბჭე [იყო] სხუათა ქართლოსიანთა“ [58:11].

„მამასახლისის“ სახელოს ასეთ განსაზღვრას, ვფიქრობ, მბარს უჭერს ძველი ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის (ძვ. წ. 64/63 — ახ. წ. 23/24) ის ცნობა, რომლის თანახმად ძველ ქართლში მეფის შემდეგ მეორე პირი უმაღლესი მოსამართლე და მთავარსარდალი იყო [XII, III, 6].

სტრაბონის ცნობები ძველი ქართლის შესახებ, როგორც ფიქრობენ, თუ ძვ. წ. III ს. ავტორის ერატოსთენეს, ძვ. წ. 140—17 წლებში მცხოვრები პოსიდონიოსისა (რომელსაც თავის მხრივ, ძვ. წ. II ს. 40-იანი წლების ცნობებით უნდა ესარგებლა) და ძვ. წ. 66 წ. პომპეუსის ლაშქრობის მონაწილე თეოფანე მილეტელის ცნობებიდან მომდინარეობს [67:151—152], მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სტრაბონის მითითებებში ძვ. წ. III ს. ქართლის სოციალური სურათი უნდა იყოს გადმოცემული და სამარა მეფის შემდეგ მეორე პირი — ქართლის სამეფოს სპასპეტი, „მაზავებელი და ბჭე“ უნდა ყოფილიყო. ფარნავაზიანთა სამეფო სახლის წარმომადგენლებს — არმაზში მჯდომ ქართლის სპასპეტ-პიტიახშებს (რომლებიც სტრაბონისეული ქართლის აღწერით o'deuteros — მეორე პირია სამეფოში. იხ. 15:73—74), მეფის შემდეგ მეორე პირებს ეს სახელო ხომ გვიანობამდე შემორჩათ [69:156—160; 167:10; 23].

არაა გამორიცხული სამარას, როგორც სამეფო ოჯახის წევრს (მეფის ძმას) ზემოაღნიშნულ სახელოებთან ერთად წარმართული ქართლის რელიგიური თემის ქურუმთქურუმის სახელოც ჰქონოდა. ამ მხრივ საყურადღებოა სტრაბონისავე ცნობა, რომლის თანახმადაც კაპადოკიის სატაძრო მეურნეობას სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი და კაპადოკიაში მეფის შემდეგ მეორე პირი ქურუმთქურუმი განაგებდა (XII, II, 3. ასევე იყო პონტოში, XII, III, 32; XII, II, 5).

ფარნავაზის დროის ქართლში მეფის შემდგომ მეორე პირის ინსტიტუტზე იმიტომ შევჩერდი, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს წყობა ქართლის სამეფოში გვიანობამდე შემორჩა და ფარნავაზიანთა სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები წყაროებში ხშირად მთელი ქართლის მეფეებად არიან დასახელებულნი. აღნიშნულის გაუთვალისწინებლად კი ძნელი იქნება „ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის დახლართულ სურათში“ გაერკვეთ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, ფარნავაზის ქართლის ტომის ბელადის ძედ გამოცხადება არ შეიძლება. საეჭვო არ უნდა იყოს, ფარნავაზის დროისათვის ქართლის სახელმწიფოს უკვე მრავალსაუკუნოვანი ისტორია რომ ჰქონდა გავლილი. ამით უნდა

აიხსნას, ფარნავაზმა ელინისტურ ეპოქაში ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად რომ მოაწყო თავისი სამეფო — გაატარა საგანმანათლებლო რეფორმები, „შექმნა მწიგნობრობა ქართული". ფარნავაზის გამეფებით დაიწყო ახალი ხანა ქართლის სახელმწიფოს ისტორიაში[8].

* * *

ძვ. წ. III ს. დამდეგს მცხეთელი მამასახლისის სამარას ძმისწულმა ფარნავაზმა ეგრისის ერისთავის ქუჯის დახმარებით უცხოელთა მიერ ქართლის მმართველად დასმული არიან-ქართლის მეფის ძე აზო განდევნა და მამისეული ტახტი დაიბრუნა. ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოში ადგილობრივი დინასტიის აღდგენა, როგორც ითქვა, ელინისტურ ეპოქაში მოხდა. ახალი ეპოქის შესაბამისად, კერძოდ, „მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა", ფარნავაზმა ქართლში მნიშვნელოვანი სამხედრო-ადმინისტრაციული და კულტურულ-რელიგიური გარდაქმნები განახორციელა. ფარნავაზის მიერ შექმნილი ქართლის სახელმწიფო არსებითად განსხვავდებოდა მის წინაპართა დროის ქართლის სამეფოსაგან (პ. ინგოროყვამ ფარნავაზის მიერ შექმნილი სამეფო ახალი ქართლის სახელმწიფოდ მიიჩნია). იმ დიდი დამსახურების გამო, რაც ფარნავაზს ქართლის სახელმწიფოს აღდგენა-შექმნაში მიუღოდა, როგორც ჩანს, ქართულმა წერილობითმა საისტორიო ტრადიციამ ახალი ქართლის სამეფო დინასტია ფარნავაზის სახელთან დააკავშირა და მის შთამომავლებს ფარნავაზიანები უწოდა.

ახლად წარმოქმნილი ქართული სახელმწიფო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. შიდა ქართლის, კახეთისა და მესხეთის გარდა მასში შედიოდა: არგვეთი, აჭარა, ისტორიული ოლქები: გოგარენე, ხორძენე და პარიადრის მთების კალთები (ამ რაიონში, როგორც ფიქრობენ, სამეფოს საზღვარი შავ ზღვაზე გადიოდა). ფარნავაზის ძალაუფლება ვრცელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზე და დასავლეთ საქართველოს ბარისა და მთის რაიონებზე [58:24; 67:143—144; ქსე, ტ. 5, სტ. იბერია].

---

8 ფარნავაზის წინადროინდელ ქართლში სახელმწიფო რომ არსებობდა, ამის დასტურად უნდა იქნას მიჩნეული ციხიაგორაში (კასპის რ-ნი) ახლახან აღმოჩენილი დიდი წარმართული სატაძრო კომპლექსი, რომელიც ძვ. წ. IV ს. დასასრულით თარიღდება [127].

ფარნავაზის მიერ შექმნილ ახალ ქართლის სახელმწიფოს წინ უსწრებდა არა მარტო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არსებული ქართლის ის სამეფო, რომელსაც ფარნავაზის წინაპრები განაგებდნენ, არამედ სამხრეთ ამიერკავკასიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ. წ. XIII—XII სს-ში წარმოქმნილი ქართველ ტომთა ისეთი მაღალგანვითარებული და ძლიერი გაერთიანებანი, როგორებიც იყო დიაუხი და კულხა (იხ. ქსე, ტ. 3, სტ. დიაუხი; ტ. 5, კოლხეთის სამეფო). ასე რომ, ახალ ქართლის სამეფოში გაერთიანებულ ქართველური მოდგმის მოსახლეობას ძვ. წ. III ს. დამდეგისათვის უკვე ეკონომიკური და კულტურული განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა ჰქონდა გავლილი. რა თქმა უნდა, როგორც ფარნავაზის წინაპართა მიერ შექმნილი ძველი ქართლის, ისე ფარნავაზის მიერ აღდგენილი ახალი ქართლის სამეფო უძველესი ქართული სახელმწიფო წარმონაქმნების — დიაუხისა და კოლხას კულტურული ტრადიციების გამგრძელებლად გამოვიდოდა. დედაქალაქი მცხეთა კი ძველი კულტურული ტრადიციების ახალი, დიდი ცენტრი იქნებოდა.

ძვ. წ. III ს. დამდეგისათვის ახალ ქართლის სახელმწიფოს უკვე ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ტრადიციები რომ ჰქონდა, ამის დამადასტურებლად მიჩნეული უნდა იქნას: 1. ახალი ქართლის სახელმწიფოს პირველი მეფიდან (ფარნავაზი) მოკიდებული, ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა თითქმის მეტ-ნაკლებად სრული რიგი რომ არის დღეს ჩვენთვის ცნობილი. 2. ამ რიგში მოხსენიებული მეფეთა სახელები რიგ შემთხვევაში უცხოენოვანი საისტორიო წყაროებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემებით რომ დასტურდება. 3. ძველ ქართულ წყაროებში ქართლის მეფეთა სამხედრო, საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობისა და მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხებთან ნათესაური დამოკიდებულების შესახებ არსებული ცნობები. 4. ქართლის მეფეთა მიერ როგორც მცხეთაში, ისე ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობები ხშირად არქეოლოგიური გათხრების მასალებით რომ დასტურდება.

ფარნავაზის შთამომავლები ახ. წ. 537 წლამდე მეფობდნენ ქართლში (ამ წელს სასანიანებმა მეფობა გააუქმეს. იხ. თავი IX, § 2). ძველ ქართულ წყაროებში, როგორც ითქვა, ამ 840-წლიანი მონაკვეთის მეფეთა თითქმის უწყვეტი რიგი გვაქვს მოცემული. რა თქმა უნდა, უაღრესად საინტერესოა, რამდენად რეალურია ეს რიგი.

იმ ძველი ქართული წყაროებიდან, რომლებშიც ამ 840-წლიანი სანის მეფეთა შესახებ გვაქვს ცნობები, ტრადიციულად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ IX ს. ნაწარმოებად არის მიჩნეული [104:114], ხოლო „მეფეთა ცხოვრებისა“ და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტო-

რებად XI ს-ში მცხოვრები ლეონტი მროველი და ჯუანშერი ითვლებიან [104:177; 104:190—194]. ამიტომ, უნდა გვეფიქრა, რომ IX—XI სს. ავტორთა მიერ ძირითადად ზეპირ ტრადიციაზე დაყრდნობით შექმნილ თხზულებებში სწორედ ვერ აისახებოდა ახ. წ. IV—VI სს. მოღვაწე მეფეთა რიგი და ისტორია (ეს ასეცაა მიჩნეული). მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ეჭვი არ მართლდება.

ძველ ქართულ წყაროთა მონაცემების რეალური ხასიათი ამ მხრივ შემდეგით უნდა აიხსნას:

1. კვლევის საგნად აღებული ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია 840-წლიანი მონაკვეთის ბოლო 280-წლიან ხანას მოიცავს. ამიტომ ძველ ქართულ წყაროებში ეს მონაკვეთი, წინა ხანასთან შედარებით, უფრო რეალურად არის წარმოდგენილი.

2. „მირიანის ცხოვრება“ (ეს „მეფეთა ცხოვრების“ ბოლო ნაწილია), როგორც ჩანს, ერთ-ერთი ის ნაწარმოებია, რომელიც ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ აღწერამდე ჟამითი-ჟამათ იწერებოდა.

3. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი „სარგებლობს უძველესი ადგილობრივი წყაროებით“ და „თხზულებაში ზოგჯერ აღწერილი ამბების თანამედროვის ხმაც ისმის“ (ქსე, ტ. 7, სტ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

4. ჯუანშერ ჯუანშერიანი მართლაც ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ავტორი უნდა იყოს, როგორც ამას თეიმურაზ ბაგრატიონი და თ. ჟორდანია ამტკიცებდა და მეც არაერთხელ მივუთითე.

პირველი თავი

ფარნავაზიანთა დინასტია „ქართლის ცხოვრებაში“

ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ რედაქტირებული „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტი მეფეთა მიხედვით არის დასათაურებული და მასში ფარნავაზის შთამომავალი მესამე მეფე მირვანი[1] და მისი შთამომავალი ფარნაჯომი ნებროთიანებად [58:27—29], მეხუთე მეფე არშაკი და მისი შთამომავლები [არშაკ II-ის გარდა] არშაკუნიანებად [58:30—59], ხოლო ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი და მისი შთამომავლები ხოსროიანებად არიან დასახელებულნი [58:60—64, 130 და შემდეგი].

მეფეთა ცხოვრების“ შინაარსიდან გამომდინარე ტექსტის ასე დასათაურება-დაყოფა, ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ფარნავაზიდან მოკიდებული ქართლში რამდენჯერმე შეიცვალა დინასტია. მირიანიდან მოკიდებული კი ქართლში უკვე ხოსროიანები (იგივე სასანიანები — ირანის სამეფო დინასტია) მეფობდნენ.

„მეფეთა ცხოვრების“ ცნობათა სათანადო ანალიზით ნათლად ჩანს, რომ ფარნავაზიდან მოკიდებული ახ. წ. 537 წლამდე, სანამ ჩვენში ირანელებმა მეფობა არ გააუქმეს, ქართლში მხოლოდ ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენლები მეფობდნენ. მართალია, „ქართლის ცხოვრების“ დასათაურებაში ცალკეული მეფეები ნებროთიანებად და არშაკუნიანებად არიან დასახელებულნი, მაგრამ ეს მეფეები იმავე ტექსტში მაინც ფარნავაზიანებად იწოდებიან. მაგ., დასათაურებაში მირიანის პირველი მეუღლის აბეშურას მამა — ქართლის მეფე ასფაგური არშაკუნიანად არის მოხსენიებული, ტექსტში კი, როცა მის გარდაცვალებაზეა თხრობა, ასფაგური ისევ ფარნავაზიანად იწოდება [58:59]. არათუ ასფაგური, მისი წინაპარი მეფეებიც რომ ფარნავაზიანებად იწოდებოდნენ ეს არმაზის ბილინგვის ახალმა წაკითხვამ დაადასტურა [18].

---

[1] „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს (XV ს.) ანა დედოფლისეულ ნუსხაში, რომელსაც სწავლულ კაცთა ხელში არ გაუვლია, მართალია, ტექსტი მეფეთა მიხედვით დასათაურებული არ არის, მაგრამ მირვანი მასშიც „ნებროთის შვილად“, ხოლო მირიანი შაჰის ძედ არის გამოცხადებული [84:20, 40].

ასე რომ, ქართლის მეფეები ფარნავაზიდან მოკიდებული ასფაგურის ჩათვლით ფარნავაზის შთამომავლები იყვნენ, მაგრამ როგორც წყაროშია ნათქვამი, ასფაგურის გარდაცვალებით მართლა შეწყდა ქართლში ფარნავაზიანთა დინასტია?

„მირიანის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ ქართლის მეფე ასფაგურის გარდაცვალებით „...დაესრულნეს მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანნი". ამის შემდეგ ქართლის ერისთავებს ირანის შაჰისათვის უთხოვიათ „ძე მისი მეფედ". ქართველთა თხოვნის შემდეგ შაჰი, უპირველეს ყოვლისა, ქ. მცხეთით დაინტერესებულა და როცა „... უთხრეს სივრცე და სიმაგრე მისი და მახლობლობა ხაზართა და ოვსთა", შაჰმა თითქოს მხოლოდ შაშინ „შეიწყნარა ქართველთა ვედრება" და თავის შვიდი წლის ძეს „რომელსა ერქვა სპარსულად მიჰრან, ხოლო ქართულად მირიან" შერთო ასფაგურის ასული აბეშურა.

ქართლში გამეფებული მირიანი როცა 15 წლისა გახდა „მოკუდა ასული ქართველთა მეფისა და.. დაესრულა ქართლსა შინა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა" [58:59].

როგორც ვხედავთ, „მირიანის ცხოვრების" თანახმად, მირიანი (იგივე მიჰრანი) ირანელი უფლისწული იყო. ზემომოყვანილი ცნობების გაანალიზებისას შემდეგი კითხვები ისმება: ა. აბეშურას გარდაცვალებით მართლა შეწყდა ქართლში ფარნავაზიანთა სამეფო დინასტია? ბ. იყო მირიანი ირანელი უფლისწული (მიჰრანის გვარის ქალისაგან ნაშობი)?

მირიანის ირანული წარმომავლობის შესახებ მის „ცხოვრებაში" მოთხრობილმა ამბავმა, რა თქმა უნდა, იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. გ. მელიქიშვილის თანახმად, ქართული წყაროს ცნობები მირიანის შესახებ „... შეიძლება გვიანდელი შენათხზი იყოს და დიდი წინაპრის ძებნის საფუძველზე აღმოცენებულ მოვლენას წარმოადგენს" ([69:162]. გ. მელიქიშვილის ეს მოსაზრება ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია [110:60; 62:42—43]).

„მირიანის ცხოვრების" ცნობა ასფაგურის უძეოდ გარდაცვალების შემდეგ ქართლში ფარნავაზიანთა დინასტიის შეწყვეტის შესახებ ქართველ ისტორიკოსთა მიერ კარგა ხანია იგნორირებულია. ჯერ კიდევ 1889 წელს დიმიტრი ბაქრაძე წერდა: „მირიანი შვილია არა სპარსეთის მეფისა, არამედ ქართლის მეფის ლევისა" [7: 3].

მართლაც, რადგან, ერთი მხრივ, V ს. სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდაცი მირიანის მეფობის შემდეგ ქართლში კვლავ იხსენიებს ფარ[ნ]ავაზიანებს, ხოლო მეორე მხრივ, „მოქცევაჲ ქართლისაჲში" მირიანის მამად ლევი (რევი) არის დასახელებული (საყურადღებოა ისიც, რომ მირიანის უფროს ძეს რევი ერქვა. როგორც ჩანს, შვილიშვილი პაპის სახელს ატარებდა), სამართლიანად ასკვნიან, რომ ასფა-

გურის გარდაცვალებით ქართლში არ შეწყვეტილა ფარნავაზიანთა დინასტია და ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე — მირიანი რევის ძე უნდა ყოფილიყო და არა ირანელი უფლისწული [110:61—62].

ასე რომ, მირიანის შემდგომი ხანის ქართლში კვლავ ფარნავაზიანთა დინასტია რომ განაგრძობდა არსებობას ეს საეჭვოდ არა ჩანს. მაგრამ, აღნიშნულთან ერთად, არავითარი საფუძველი არა გვაქვს უარვყოთ ქართული წყაროს ცნობა ასფაგურის უძეოდ გარდაცვალებისა და მისი ასულის — აბეშურასათვის მირიანის შერთვის შესახებ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, მირიანი რადგან ფარნავაზიანთა სახლის წევრი იყო, გასარკვევია რა დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო ფარნავაზიანთა ის სახლი, რომელსაც ლევი და მირიანი განეკუთვნებოდა, ასფაგურის შტოს ფარნავაზიანთა სახლთან.

როგორც ზემოთ ითქვა, „მირიანის ცხოვრებაში“ არსებული ცნობა თითქოს მირიანი ირანის შაჰის ძე იყო, გ. მელიქიშვილმა გვიანდელ შენათხზად მიიჩნია. ცნობა მართლაც „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი რედაქტორის მიერ უნდა იყოს ჩამატებული ტექსტში. რედაქტორმა მირიანი შაჰის ძედ კი მიიჩნია, მაგრამ, როგორც ტექსტიდან ჩანს, ამ რედაქტორს ისიც სცოდნია ირანის შაჰები სასანიანთა საგვარეულოს რომ განეკუთვნებოდნენ [58:64]. იმ დროისათვის ირანის იმპერიაში უფრო სახელოვანი საგვარეულო არ არსებობდა. ამიტომ ისმება კითხვა, მირიანისათვის „დიდი და სახელოვანი წინაპრის“ მოძებნით დაინტერესებულმა რედაქტორმა რატომ დააკავშირა მირიანი მიჰრანთა საგვარეულოსთან?

ის ისტორიული ვითარება, რომელზე დაყრდნობითაც რედაქტორმა შეთხზა ცნობები მირიანის შესახებ ასე მესაბუბა: როგორც ჩანს, ასფაგურს გარდაცვალებისას მართლაც არ დარჩა ძე. ამიტომ, მაშინდელ ქართლის პოლიტიკოსთა წინაშე დაისმებოდა საკითხი აბეშურასათვის საქმრო მოეძებნათ. რადგან ტექსტში შეტანილი ცნობა აბეშურასათვის საქმროდ ირანელი უფლისწულის მოყვანის შესახებ არ დასტურდება და მირიანის შემდეგ ქართლის ტახტზე კვლავ ფარნავაზიანები ჩანან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართლის ერისთავებმა აბეშურას საქმრო ქართლშივე შეურჩიეს.

მირიანი არმაზში მჯდომი მეფის შემდგომ მეორე პირების — ქართლის სპასპეტების (რომელთაც „პოლიტიკური გათიშვის შემთხვევაში“ მტკვრის სამხრეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მიწა-წყალი“ რჩებოდათ[2]) ფარნავაზიანთა სახლის ჩამომავალი უნდა ყოფი-

---

2 369 წელს ქართლის ორად გაყოფისას, სწორედ ეს ტერიტორია უნდა მიეღოთ რევიანებს.

ლიყო. ქართლის სამეფოში არსებულ მეფის შემდგომ მეორე პირის ინსტიტუტს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ნათელი გახდება მცხეთაში მჯდომი ასფაგურ ფარნავაზიანის უძეოდ გადაგების შემდეგ ქართლის ტახტზე რატომ ჩანან ისევ ფარნავაზიანები.

შემთხვევითი არც ისაა, მირიანის მამა რევი (ლევი) „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანეში რომაა დასახელებული. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს თხზულება სწორედ რევ მირიანის ძის კუთვნილ ქართლში (ადრე ქართლის ეს ნაწილი რევ-მირიანის წინაპრებს — ქართლის სპასპეტ-პიტიახშებს ეკუთვნოდა) ჩანს შექმნილი და ამიტომ ამ მხარის მფლობელთა ისტორიის გადმოცემას მეტი ყურადღება ეთმობა. აღნიშნულთან ერთად. „წიგნი ქართლის მოქცევისაჲ" დაწერის შემდეგ თუ მართლაც დაკარგული იყო და „შემდგომათ მრავალთა ჟამთა და წელთა ჰპოვეს" [73:355], ცხადია, იმ ცვლილებებს, რაც რედაქტორმა „მირიანის ცხოვრებაში" „მირიანისათვის დიდი წინაპრის გამოძებნის" მიზნით შეიტანა, იგი გადაურჩებოდა.

რაც შეეხება მირიანის „მიჰრანად" მოხსენიებას. წყაროში გარდა იმისა, რომ მირიანი ირანის შაჰის ძედაა დასახელებული, იგი ირანის იმპერიის ნახევრის მფლობელადაცაა გამოცხადებული [58:67]. აღნიშნული საკითხის კვლევისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ გვიანდელ რედაქტორს მირიანისათვის ამიერკავკასიაში მოსამსახურე ირანელი დიდგვარიანების მიჰრანების უფლება-მოვალეობანი უნდა მიეწერა (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. 23).

მეორე თავი

საკითხის ისტორიოგრაფია

ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა შესახებ ძველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობები საქართველოს ისტორიის ძველ მკვლევართა შორის, როგორც აღვნიშნე, ეჭვს არ იწვევდა. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი იყო ქართული მწერლობის „უებრო ბუმბერაზი", „დიდებული ისტორიკოსი, გონებამაბვილი და ღრმა მოაზროვნე" [104:344, 347] ვახუშტი ბატონიშვილი (1702—1751). ვახუშტის უმთავრესი საზრუნავი, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, თარიღების გამორკვევა იყო [104:328]. ვახუშტიმ დიდი შრომა გასწია, რათა „ქართლის ცხოვრების" თარიღები „სწორ-რიცხული" და „რიგიანი" ყოფილიყო [104: 330]. „ქართლის ცხოვრების" ქრონოლოგიურად გასამართავად გაწეული შრომისას ვახუშტიმ ფარნავაზიანთა სახლის ყველა მეფის თარიღი

მიუთითა[3]. ათვლა კი მის მიერ ფარნავაზის გამეფების თარიღად მიღებული ძვ. წ. 302 წლიდან დაიწყო. მაგრამ, ფარნავაზიდან მოყოლებული, რა პრინციპით, რა წყაროებზე დაყრდნობით მიუთითა თითოეული მეფის ხანგრძლივობის წლები?

საეჭვოა, ყველა მეფის ზეობის წელთა ხანგრძლივობა ვახუშტის თვით გამოეგონებინა. ვახუშტის დროისათვის იქნებ ჯერ კიდევ არსებობდა „ქართლის ცხოვრების" ისეთი ხელნაწერები, რომლებშიც ფარნავაზიანთა სახლის ყველა წარმომადგენელზე თუ არა, უმეტეს მათგანზე მაინც იყო მითითებული ზეობის წელთა რაოდენობა? გამოთქმული მოსაზრების სისწორეს გარკვეულწილად მხარს უნდა უჭერდეს სწავლული ბატონიშვილის, თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა, რომ მან თავისი ისტორიისათვის ზოგი მასალა საქართველოს კათალიკოსის ანტონ I-ის (1720—1788) „გამოწერილ ფურცელთაგან" ამოიღო. თეიმურაზის თანახმად, ანტონ I-ს ჰქონია „შემოკლებული აღწერილი" „საქართველოს ისტორია" უძველესი დროიდან [37:58]. თეიმურაზის დროისათვის უკვე არარსებული მასალა თუ ანტონ I-ის დროისათვის არსებობდა, მით უმეტეს, იგი ხელმისაწვდომი იქნებოდა ვახუშტი ბატონიშვილისათვის[4]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვახუშტისთან არსებული მითითებანი ცალკეულ მეფეთა ზეობის წელთა ხანგრძლივობის შესახებ იქნებ მართლაც „ძველი ქართლის ცხოვრებიდან" წომდინარეობს (ზოგი მეფის შესახებ ასეთი მითითება მასში ხომ დღემდე

---

3 დავით ბაგრატიონი (1761—1819) თავის საქართველოს ისტორიაში მირიანის შთამომავალ ქართლის მეფეთა ისტორიას ისე გადმოსცემს „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, რომ არც ერთი მეფის ზეობის თარიღს არ უთითებს [119:73—89].

4 ფარნავაზიანთა სახლის წარმართ მეფეთა ზეობის წლები თეიმურაზ ბაგრატიონსაც აქვს მითითებული. მართალია, იგი ვახუშტის მსგავსად ფარნავაზის გამეფების თარიღად 302 წელს თვლის, მაგრამ ზოგი მეფის ზეობის წელთა რაოდენობა თეიმურაზს ვახუშტისაგან განსხვავებული აქვს, რაც შეიძლება იმაზე მიგვითითებდეს, ამ მეფეთა შესახებ მას ვახუშტისაგან განსხვავებული მონაცემები რომ უნდა ჰქონოდა.

თეიმურაზს „ვახტანგის ისტორია" (ე. ი. „ახალი ქართლის ცხოვრება") „ძალიან გარყვნილად" ჩვენებია. ამიტომ იგი ცდილობდა თავისი ისტორიის შედგენისას ანტონ I-ის მასალით ესარგებლა. თეიმურაზის შენიშვნით, როგორც „ახალ ქართლის ცხოვრებაშია" აღნიშნული, ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ, მისი ცოლშვილი სომხეთში კი არ წაიყვანეს, არამედ „ქვემო იერიაში" (ცოლხეთში). ეს ამბავი, — დასძენს იგი, — „...ძველის ქართლის ცხოვრებიდამ გადმოწერილი. მე თვით გამოვსწერე კათალიკოსის ანტონის შეკრებულის მოთხრობიდამ, რომელიცა მრავალთა წერილითგან გამოეკრიბა და ნებავდა თურმე ისტორიისა სრულისა აღწერა და აღარ დასცალდა და ის გამოწერილები ისე უქმად დარჩა და მე უწმინდესსან კათალიკოსმან მამის ძმამან ჩემმან, ვინაიდგან მიყვარდა მე ისტორია მრავალი რამ საისტორიო საქართველოისათუს გამომაწერინა თავისის წიგნებიდამ. ანტონი კათალიკოსი ბიძაჲ ჩემი (ესე იგი მეორე ანტონი) სანკტპეტერბურგს ბრძანდებოდა წელსა 1820 და შემდგომს წელიწადებშიცა და მაშინ გამოვსწერე" [37:178. შენიშვნა].

შემორჩა. მაგ., ღადამი მეფობდა 3 წელი და 20 დღე, არტაგი 2, ადრეკი 57 წელი და სხვ. იხ. 41:513, 523).

ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგიის კვლევისას ქართულ წყაროებში არსებული მითითებებით, მირიანიდან ვახტანგამდე 157, ხოლო ფარსმანამდე 200 წლის გასვლის შესახებ პირველად სწორედ ვახუშტი დაინტერესდა და სცადა ეს მითითებანი მირიანის შთამომავალ მეფეთა ქრონოლოგიის გასამართავად გამოეყენებინა. „... რამეთუ ვახტანგისამდე მირიანიდამ, — წერს იგი, — გარდახდენნი წელნი რ˝ნზ (ე. ი. 157. — ვ. გ.), ესე არა მდე არს, არამედ სიკვდიმდე ვახტანგისა, და ამაზე შევასწორეთ". ვახუშტი იქვე დასძენს: ეს თარიღი თუ „გარდაცვალებამდე არა იყოს, ყოველნი სხუანი უსწორო იქმნებიან, და არცა იგი ს˝ (ე. ი. 200—ვ. გ.) წელი მეორეს ფარსმანისამდე სწორე იქმნების... ესრეთ ჰეშმარიტ სხუათა მემატიანეთა მოწმობითა და მუნ წერილთა რიცხვთა, და მეფენიცა ამას ზედა განვასწორენით კეისართა და სპარსთა მეფეთა შეთანასწორებითა ვახტანგისამდე" [34:8]:

როგორც ვხედავთ, მირიანის შთამომავალ მეფეთა ქრონოლოგია ვახტანგის ჩათვლით ვახუშტის „მემატიანეთა მოწმობითა და მუნ წერილთა რიცხვთა" საშუალებით გაუმართია. ქართლის მეფეთა შესახებ „წერილნი რიცხვნი", რა თქმა უნდა, მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაში" იქნებოდა. ამიტომ „მემატიანეებში" ვახუშტი თუ „ქართლის ცხოვრების" იმ ნაწილის ავტორებს გულისხმობს, რომელთაც თავის დროზე მირიანის შთამომავალ მეფეთა „ცხოვრება" უნდა შეედგინათ, მაშინ „მუნ წერილნი რიცხვნი" უეჭველია, ცალკეულ მეფეთა ზეობის ხანგრძლივობის წლებს აღნიშნავს. ვახუშტის ეს მითითება იმის გარანტიად ხომ არ უნდა იქნას მიჩნეული მირიანის შთამომავალ მეფეთა ზეობის წელთა რაოდენობა ვახუშტის „ქართლის ცხოვრების" დღეს ჩვენთვის უცნობი ვარიანტიდან რომ უნდა აეღო?

მირიანის გარდაცვალებას ვახუშტი 342 წლით ათარიღებდა. მეორე მხრივ კი, ქართულ წყაროთა ცნობით, მირიანის გარდაცვალებიდან ვახტანგის გარდაცვალებამდე რადგან 157 წელი იყო გასული (342+157), ვახტანგის გარდაცვალების თარიღად მან 499 წელი მიიღო და 157-წლიანი მონაკვეთი, ცალკეულ მეფეთა ზეობის წელთა გათვალისწინებით შეავსო ძველ მატიანეებში „წერილ რიცხვებით". ამ 157 წლიდან ვახტანგი რომ 53 წელი მეფობდა, ეს მისი „ცხოვრებიდან" ჩანს. დანარჩენი 104 წლიდან ვახუშტის თანახმად: ბაკური მეფობდა 22, მირდატი 15, ვარაზ-ბაქარი 14, თრდატი 12, ფარსმანი 3, მირდატი 2, არჩილი 24, მირდატი 12 წელს და ვფიქრობ, მართლაც ძნელი დასაჯერებელია, წელთა ეს რაოდენობა ვახუშტის თვითონ გამოეგონებინა.

როგორც ჩანს, ძველაღმოსავლური ტრადიციით „მეფეთა ცხოვრებაში“ შეტანილ თითოეულ მეფეს ჰქონდა მითითებული ზეობის წელთა რაოდენობა და ყოველი მეფის „ცხოვრება“ მის ზეობაში მომხდარი ამბების გადმოცემას წარმოადგენდა. ვფიქრობ, აღნიშნულით უნდა აიხსნას „მეფეთა ცხოვრებაში“ ზოგი მეფის ზეობის წელთა რაოდენობის მითითება დღემდე რომ შემორჩა.

მირიანისა და მის შთამომავალ მეფეთა რიგი და ზეობა ვახუშტის ასე აქვს წარმოდგენილი:

მირიანი		265—342 წწ.
ბაქარი	22 წელი იმეფა	342—364 წწ.
მირდატი	15 „—“	364—379 წწ.
ვარაზ-ბაქარი	14 „—“	379—393 წწ.
თრდატი	12 „—“	393—405 წწ.
ფარსმანი	3 „—“	405—408 წწ.
მირდატი	2 „—“	408—410 წწ.
არჩილი	24 „—“	410—434 წწ.
მირდატი	12 „—“	434—446 წწ.
ვახტანგი[5]	53 „—“	446—499 წწ.
	157 წელი	

ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ვახუშტისეული რიგი და ქრონოლოგია კარგა ხანს სრულყოფილად ითვლებოდა. საქართველოს ისტორიის გადმოცემისას მირიანის შთამომავალ მეფეთა ზეობის ვახუშტისეული წლები გამოიყენეს: ჰ. კლაპროთმა[6], მ. ბროსემ[7] [171: 83—145 და შემდეგი], ს. ბარათაშვილმა [120:32. 46], რ. ცამციშვილმა [98:51, 65—66, 79], დ. ბაქრაძემ [8:135—184].

ფრანგმა ისტორიკოსმა ერუდიტმა შარლ ლებომ (1701—1778) თავის „გვიანდელი იმპერიის ისტორიაში“ (პირველად გამოიცა 1756—1797 წწ.-ში) და ფრანგმა ორიენტალისტმა ანტონ-ჟან სენ მარტენმა

---

5 ვახტანგის შთამომავალ მეფეთა ზეობის წელთა ვახუშტისეულ განსაზღვრის შესახებ იხ. ქვემოთ.

6 გერმანელმა ორიენტალისტმა ჰ. კლაპროთმა (1783—1835) 1807—1808 წლებში იმოგზაურა საქართველოში და საქართველოს აღწერისას ვახუშტის მიხედვით საქართველოს ისტორიაც გადმოსცა. მისი მოგზაურობის მასალები გამოქვეყნდა ჰალეში 1812—1814 წლებში. სენ მარტენმა სწორედ კლაპროთის ჩანაწერებზე დაყოდნობით მიუთითა საქართველოს ისტორიის შესახებები ცნობები ლებოს კომენტარებში.

7 1895 წელს ქართულად გამოიცა მ. ბროსეს „საქართველოს ისტორია“. მასში მირიანის შთამომავალ ზოგი მეფის ზეობის წლები ვახუშტისგან განსხვავებულად არის მოცემული [14:62—70].

(1791—1832) ლებოს ნაშრომის ახალი გამოცემისადმი (1824—1835 წწ.) დართულ კომენტარებში, ბიზანტიის ისტორიის გადმოცემისას ბიზანტიელ ავტორთა ის ცნობებიც განიხილეს, რომლებშიც ქართლის მეფეები იხსენიებიან. სენ მარტენი როცა შეეხო შ. ლებოს მიერ მოტანილ IV ს. რომაელი ისტორიკოსის ამიანუს მარცელინუსის ცნობას 361 წელს რომაელთა მიერ სომხეთის მეფე არშაკისა და ქართლის მეფე მერიბანისათვის ძვირფასი საჩუქრების გამოგზავნის შესახებ, რათა მათ ომში ირანის მხარე არ დაეჭირათ, შენიშვნაში მიუთითა, რომ სახელი მერიბანესი ჰგავს ქართლში ქრისტიანობის შემომტანი მეფის — მიჰრანის სახელს. შესაძლებლად მიიჩნია, რადგან ორივე სახელი „მიჰრ“ „მითრა“-დან არის ნაწარმოები, ძველ ისტორიკოსებს მათი სახელები არეოდათ [176, ტ. 2:353, შენ. 2, გვ. 433]. 369 წლის ამბების თხრობისას შ. ლებომ მოიტანა ამიანუსის ცნობები ქართლის მეფეების საურმაგისა და ასპაკურის შესახებ [176, ტ. 3: 358], ხოლო სენ მარტენმა ტექსტის შენიშვნაში სამართლიანად მიიჩნია ასპაკური მირდატის ძედ, მაგრამ ჩათვალა, რომ იგი უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფე იყო და ტახტიდან წარმოშობით ირანელმა ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა გადააყენა [176. ტ. 3: 358. შენ. 4]. მანვე. შ. ლებოს ნაშრომის მეოთხე ტომისადმი დართულ შენიშვნაში [176, ტ. 4: 134, შენ. 2] მოიტანა ბიზანტიელ ავტორთა ცნობები ბაკური იბერიელის შესახებ.

ქართველ მეცნიერთაგან ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს პირველად პ. იოსელიანმა მიაქცია ყურადღება 1843 წელს გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“. შეეხო რა იგი მირიანის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხს აღნიშნა: ისტორიკოსი რუფინუსი ძალიან დეტალურად მოგვითხრობს ქართლის მოქცევის ამბავს. ეს მას იერუსალიმში თვით ქართველთა მეფე ბაკურისაგან მოუსმენია. ასეთივე ცნობები აქვთ: სოკრატეს. სოზომენს, თეოდორიტეს და სხვებს. მათი მოთხრობის თანახმად, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი კი არა ბაკური იყო [130: 18—19]. შემდეგ იქვე შენიშნა, ბაკური, რომელმაც რუფინუსს ქართლის მოქცევის ამბავი მოუთხრო, ბაკურ მირიანს ძე არ უნდა იყოსო [130:19, შენ. 24]. „მეფეთა ცხოვრების“ ცნობიდან გამომდინარე, პ. იოსელიანმა მირიანი სასანიან უფლისწულად მიიჩნია [130:22, შენ. 2,7]. რაც შეეხება მეფეთა რიგს, იგი „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით გადმოცა.

თ. ჟორდანია მირიანის შთამომავალ მეფეთა ქრონოლოგიას „ქრონიკების“ I ტომში (გამოიცა 1892 წ.) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის კომენტარებში შეეხო. მისი შენიშვნით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა. თითქოს მირიანის გარდაცვალების

შემდეგ მეფედ ბაკურ რევის ძე დაჯდა საეჭვოა, რაღგან ეს შემდეგი დროის ქართლში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს ეწინააღმდეგება. ნარტო ხელნაწერის სიძველე, — დასძენს იგი, — მასში მოთხრობილი ამბის ეჭვშარიტებისათვის საკმაო არ არის [79:40. შენ. 79]. თ. ჟორდანიამ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" თრდატ რევის ძე და „მეფეთა ცხოვრებაში" ვარაზ-ბაქარის შემდეგ დასახელებული თრდატი მართალია სამართლიანად მიიჩნია იდენტურ პირებად, მაგრამ ფიქრობდა, რომ „მეფეთა ცხოვრების" ტექსტში მირდატ ბაქარის ძის ადგილზე თრდატ რევის ძე უნდა იყოს[8] [79:41. შენ. 84]. რაც შეეხება მეფეთა რიგსა და ქრონოლოგიას თ. ჟორდანიასთან მას ასეთი სახე აქვს:

მირიანი	გარდ. 349/350 წწ.
ბაქარ ძე მირიანისა	წავიდა ბიზანტიაში და გარდ. 377 ან 394 წ.
მირდატი ძე ბაქარისა	. . მეფედ იჯდა 376/78 წლამდე
თრდატ ძე რევისა	ტახტი წაართვა ბაქარის შთამომავალს
ვარაზ-ბაქარი	(გამეფდა ისევ ბაქარის მოღგმა) 390—415 წწ.
ბაკური ძე თრდატისა (რევის ძისა)	
ფარსმანი ძე ვარაზ-ბაქარისა,	დისწული თრდატისა. ორივე შტოს წარმომადგენელია
მირდატ ძმა ფარსმანისა	

[79:42, შენ. 84]

თ. ჟორდანიამ, როგორც ეხედავთ, მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგი და ქრონოლოგია უკვე ვახუშტისაგან განსხვავებულად გადმოსცა. მაგრამ ერთმანეთში აურია ბაკურ მირიანის ძისა და რევ მირიანის ძის შთამომავლები (თუმცა ცდილობს ისინი ჩამოთვლისას გამიჯნოს). როგორც თ. ჟორდანია წერს, თრდატ რევის ძემ ტახტი ბაკურის შთამომავლებს კი არ წაართვა, მათი მცირეწლოვნობის გამო დაიკავა (იხ. გვ. 88—91). თ. ჟორდანიამ, ისევე როგორც ვახუშტიმ, მიიჩნია რა ვარაზ-ბაქარი პეტრე იბერის ქართული „ცხოვრების" ცნობაზე [99:5] დაყრდნობით პეტრეს მამად, დასძენს: პეტრე, რადგან 412 წელს დაიბადა, ვარაზ-ბაქარი ამის შემდეგაც ცოცხალი ყოფილა და ვახუშტი არაა მართალი ვარაზ-ბაქარის გარდაცვალებას უფრო ადრე დროით რომ განსაზღვრავსო [79:43. შენ. 86]. რა თქმა უნდა, ვარაზ-ბაქარის პეტრეს მამად მიჩნევა არ შეიძლება

8 შემდეგში ასეთივე დასკვნამდე მივიდნენ: ს. გორგაძე, კ. კეკელიძე, გ. წელიქიშვილი, ხოლო ლ.-ნ. ჯანაშიამ ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევაში ვანიხილა.

(თ. ჟორდანია ამ მხრივ გამონაკლისი არაა. დღეისათვის ასეთივე მოსაზრებისანი არიან გ. გოზალიშვილი და მ. ჩხარტიშვილი. იხ. ქვემოთ).

პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ დასახელებული დიდი ბაკური, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამომცხადებლად პირველად ვ. ბოლოტოვმა მიიჩნია. სტუდენტ გ. გამრეკელის ხელნაწერი ნაშრომის — „საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორია“, რეცენზიაში მან მიუთითა: ნაშრომი გვიანდელ და არასანდო ქართულ წყაროებზე („ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) დაყრდნობითაა დაწერილი, ამ წყაროებში მოცემული მეფეთა რიგი „გვიანდელი მოცლილი შემთხზველის მიერაა შედგენილი: საერთოდ, დასახელებულ წყაროებში მრავლადაა შეცდომები. ამიტომ, საქართველოს უძველესი დროის მეცნიერული ისტორია შეიძლება დაიწეროს მხოლოდ „ქართლის ცხოვრებისა“ და ამ ტიპის სხვა წყაროთა ცნობებისადმი მკაცრი მიდგომითა და პრინციპული უნდობლობით [151:260]. ვ. ბოლოტოვმა ძველ ქართულ წყაროთა ცნობები რადგან გვიანდელ შენათხზად მიიჩნია, ამ წყაროთა ცნობები ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის — მირიანის შესახებ უარყო და უპირატესობა პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ცნობას მიანიჭა. „ძნელი დასაშვებია, — დასძენს იგი. — პეტრეს არ სცოდნოდა ვის დროს მოიქცა იბერია და ეს ამბავი მას თავისი პაპის განდიდების მიზნით შეეთხზა“ [151: 263]. ვ. ბოლოტოვის მტკიცებით, ბაკურმა დაახლოებით 380 წელს დატოვა ქართლი. შევიდა ბიზანტიის სამსახურში და მან მოუთხრო რუფინუსს ქართლის მოქცევის ისტორია. IV ს. შუა ხანებში ბაკურის მაგიერ მირიანი გამეფდა და მისმა მომხრეებმა ქრისტიანობის შემოტანა ქართლში მირიანს მიაწერეს [151:264].

1905 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ ს. გორგაძემ ვ. ბოლოტოვთან კამათისას, რომ დიდი ბაკური ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე არ იყო [29:21—25], მირიანი ამიანუს მარცელინუსის მიერ 361 წელს ქართლის მეფედ დასახელებულ მერიბანთან გააიგივა. მირიანის გამეფება 298/300. ხოლო გარდაცვალება 361 წელს ივარაუდა [29:31—32]. აძლევს რა უპირატესობას „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებს, მირიანის შემდეგ მეფეებად ბაკურ რევის ძე (ბაკური ამ წყაროში შეცდომითაა დასახელებული რევის ძედ. იხ. ქვემოთ) და ამ ბაკურის ძმა თრდატი [29:33, 35] მიიჩნია. თრდატის დროს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, ქართლის ეკლესიის მეთაურად სომხეთის კათალიკოსმა ნერსემ რადგან თავისი დიაკონი იობ დასვა, ხოლო „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით კი „იობ სომეხი“ ქართლის ეპისკოპოსად მირდატის მეფობაში „დაჯდა“, ისე როგორც თ. ჟორდანია ვარაუდობს, რომ მირდა-

ტი და თრდატი ერთი და იგივე პირები არიან [29:34] და ბაკურ რევის ძის შემდეგ 361—368 წლებში სწორედ ეს მირდატ-თრდატი მეფობდა. ს. გორგაძის თანახმად, 368 წელს ქართლის ტახტზე სავრომაკი და ას-პაკური დამჯდარან, მაგრამ, რადგან სავრომაკს ქართული წყაროები არ იცნობენ, მას მცირე ხნით უმეფია. სამაგიეროდ ას-პაკურს თვლის რა ვარაზ-ბაკურის იდენტურ პირად და პეტრე იბერის მამად, მის მეფობას 368 წლიდან 425 წლამდე ათავსებს [29:34—36]. რაც შეეხება საკითხს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო დიდი ბაკური, ამ პიროვნებად ს. გორგაძემ ბაკურ რევის ძე მიიჩნია და თვლის, რომ ბაკურმა მირიანის შემდეგ 3—4 წელი (361—364) იმეფა [29:36], იგი, როგორც ვ. ბოლოტოვს ჰგონია, კი არ გარდაიცვალა, ან თავის ძმამ თრდატმა ჩამოაგდო ტახტიდან, ან თვით დათმო ტახტი და საბერძნეთში წავიდა, სადაც 394 წელს ბრძოლაში დაიღუპაო [29:36].

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, ს. გორგაძის გამოკვლევაში მეფეთა რიგი და ქრონოლოგია ასეთია:

მირიან-მერიბანი . . . . 298/300—361 წწ.
ბაკურ რევის ძე . . . . 361—364 ამ წელს წავიდა ბიზანტიაში
თრდატ-მირდატი . . . 364—368 (მის დროს „დაჯდა“ იობი ქართლის ეკლესიის მეთაურად).
სავრომაკი . . . 368 წლიდან მცირე ხანს იმეფა
ას-პაკური — ვარაზ-ბაკური . . . 368—425 წწ.

მირიანი და მერიბანი იდენტურ პირებად მიიჩნია მ. ჯანაშვილმა 1906 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“. მისი სიტყვით, ვახუშტის თანახმად, მირიანი რადგან 77 წელი მეფობდა და 361 წელს კიდევ ცოცხალი იყო, იგი 284 წელს გამეფებულა. მ. ჯანაშვილმა ვახტანგ გორგასალი პროკოპიოს კესარიელის მიერ დაახლოებით 523 წ. ქართლის მეფედ დასახელებულ გურგენთან გააიგივა. ხოლო ამიანუს მარცელინუსთან ქართლის მეფედ მოხსენიებული ასპაკური და ქართული წყაროების ვარაზ-ბაკური, რომლებიც აშკარად იდენტური პირები არიან, სხვადასხვა დროის მეფეებად მიიჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ წყაროებში არსებული მითითება მირიანის გარდაცვალებიდან ვახტანგის გარდაცვალებამდე 157 წლის გასვლის შესახებ მცდარად ჩათვალა და ვახუშტია საყვედურობს, ვახტანგის გარდაცვალების დასათარიღებლად ეს მითითება რომ გამოიყენა[9] [119:201, შდრ., გვ. 382].

9 157 წლის გამოყენებით, ვახუშტიმ ვახტანგის გარდაცვალების თარიღად 439 წელი ასე მიიღო. მირიანის გარდაცვალების თარიღის დასაზუსტებლად მან გამოიყენა

მ. ჯანაშვილმა მეფეთა რიგი და ქრონოლოგია ასე წარმოადგინა:

მიროან//მერიბანი	284—361 წწ.
ბაკური	361—367 წწ.
სავრომაკი (საურმაგი) და ასპაკური (ასფაგური)	367—374 წწ.
მირდატი	374—389 წწ.
ვარაზ-ბაკური	389—424 წწ.
თრდატი და მისი მემკვიდრეები	425—442 წწ.
არჩილი	442—466 წწ.
მირდატი	466—478 წწ.
საგდუხტ დედოფალი (ვახტანგის მცირეწლოვანობისას)	478—486 წწ.
ვახტანგ გორგასალი//გურგენი	486—532 წწ.

მიუხედავად იმისა, რომ მ. ჯანაშვილს მირიანის შთამომავალთა რიგი და მათი ზეობის წლები ვახუშტისაგან სრულიად განსხვავებული აქვს, ნაშრომის ბოლოში დართულ ქრონოლოგიურ ტაბულაში იგი ვახუშტის მიხედვით მიუთითა [119:373—374; 377—378].

მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგისა და ზეობის საკითხს ს. გორგაძე კვლავ შეეხო 1913 წელს ნაშრომში — „წერილები საქართველოს ისტორიიდან". ამჯერად მირიან-მერიბანის გარდაცვალება მან 362 წელზე გადაიტანა. მიუთითა 368 წელს ქართლის ორ სამეფოდ გაყოფაზე [30:58]. ვარაზ-ბაკურის შემდეგი მეფეების რიგი და ზეობის წლები ასე განსაზღვრა:

ბაკურ III	425—428 წწ.
ფარსმან IV	428—430 წწ.
მიჰრდატ IV	430—432 წწ.
არჩილ I	432—438 წწ.
მიჰრდატ V	438—450 წწ.
ვახტანგ I	450—503 წწ.

ს. გორგაძის მიერ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად მიღებული 503 წელი დაედო საფუძვლად დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგის გარდაცვალების თარიღად მიჩნეულ 502 წელს [110:106]. რაც შეეხება მეფეთა რიგსა და ქრონოლოგიას,

---

„მეფეთა ცხოვრებაში" არსებული მითითება ქართლის მოქცევიდან მირიანის გარდაცვალებამდე 25 წლის გასვლის შესახებ. ქართლის მოქცევას ვახუშტი რადგან 317 წლით ათარიღებდა, მირიანის გარდაცვალება 342 წლით განსაზღვრა. შემდეგ 342-ს მიეგზავნა 157 და მიიღო 499 წელი.

მირიანის მემკვიდრედ მან, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცხობიდან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, ბაკურ რევის ძე მიიჩნია და ფიქრობს, რომ იგია ბიზანტიური წყაროების ბაკური. თრდატ რევის ძე და საურმაგი. როგორც ქვემოთ ვნახავთ, აშკარად იდენტური პირები არიან. ამიტომ, მათი ცალ-ცალკე მეფედ მიჩნევა არ შეიძლება.

1928 წელს ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგის საკითხს ს. კაკაბაძე შეეხო. მირიანი მანაც მერიბანთან გააიგივა და მისი მეფობა IV ს. დამდეგიდან 362 წლამდე განსაზღვრა [51:9]. მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგის დადგენისას უპირატესობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებს მიანიჭა. ს. კაკაბაძეს მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგი ასე აქვს მოცემული:

მირიანი IV ს. დამდეგი — 362 წ.
ბაკურ რევის ძე
თრდატი (ბაკურის ძმა)
ვარაზ-ბაკური
ბაკური (ძე თრდატისა)
ფარსმანი (დისწული თრდატისა)
მირდატი
არჩილი
მირდატი
ვახტანგი[10] (გამეფდა 434 წ.) [51:10].

მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგისა და ქრონოლოგიის საკითხებს ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიასა“ (წიგნი I) და „ქართული სამართლის ისტორიაში“ (წიგნი I) შეეხო. მირიანის შთამომავალ მეფეთა შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „პეტრე

---

10 1985 წელს გამოქვეყნდა ს. კაკაბაძის წერილი (ამ წერილის შესახებ იხ თავი VII), რომელშიც ზემოდასახელებული მეფეების ზეობა ასეა განსაზღვრული:

ვარაზ-ბაკური	380—382
ბაკური	382—384 (ამ წელს გაიქცა ბიზანტიაში,
	395—400 ხელმეორედ მეფობდა)
ფარსმანი	400—410
მირდატი	410—420
უმეფობა	3 წელი
არჩილი	422—432
მირდატი	432—435

ვახტანგ გორგასალი ზეობის წლებს არ უთითებს [46:152:153].

ს. კაკაბაძის ზემომოტანილი ცხრილიდან, როგორც ვხედავთ, საყურადღებოა ის, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება „მეფეთა ცხოვრებაში“ არსებულ ცნობას მირდატის დატყვევების შემდეგ ქართლში სამწლიანი უმეფობის ხანა რომ იყო.

იბერის ცხოვრების“ ცნობათა გაანალიზებისას იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართლში „... მეფობის უფლება პირდაპირი მემკვიდრეობის წესრიგით კი არ გადადიოდა მამისაგან შვილზე, პირმშოობის წესით კი არა, არამედ ყოველთვის წლოვანებით უფროსზე ანუ უხუცესობით, მაგალითად განსხვავებულ მეფის ძმაზე“ [108:158]. ზემოთქმულის დამადასტურებელ ერთ-ერთ საბუთად ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა, მირიანის შემდეგ ტახტზე ბაკურ რევის ძე რომ ავიდა და არა მირიანის ძე (სახელს არა წერს). შემდეგ იქვე დასძენს, რომ ეს ბაკური მირიანის შვილიშვილი კი არ უნდა იყოს (მაშინ გაუგებარი იქნებოდა რატომ არ ავიდა ტახტზე მირიანის ძეო), არამედ მირიანის ძმა [108:157—158].

რამდენად სწორია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ქართლის სამეფოში ტახტის გვარში უხუცესზე გადასვლის შესახებ?

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებით, IV ს. I ნახევარში ქართლის ტახტის გვარში უხუცესზე გადასვლა არაფრით არ დასტურდება. თავისი მოსაზრების გასამართლებლად, როგორც ვნახეთ, ივ. ჯავახიშვილმა შესაძლოდ მიიჩნია ბაკურ მირიანის ძე მირიანის ძმა ყოფილიყო. მაგრამ წყაროებში ამისი მსგავსი არაფერია ნათქვამი. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ცდილობს ქართლის მეფეებად რევ მირიანის ძის შთამომავლები წარმოადგინოს. ამიტომ, ამ წყაროში, როგორც ითქვა, ბაკურ მირიანის ძე რევის ძედ შეცდომითაა დასახელებული (რასაც ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ მიაქცია ყურადღება). ბაკურ მირიანის ძის შემდეგ, როგორც ეს „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ არის ნათქვამი. ტახტზე თრდატ რევის ძე არ ასულა. მან მხოლოდ დაახლოებით 368 წელს რომაელთა დახმარებით დაიკავა ქართლის ტახტი, ქართლის გაყოფისას კი რომის გავლენაში მოქცეულ ქართლის ნახევარში გამეფდა. აღნიშნულთან ერთად, „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებიდან ხომ აშკარად ჩანს, IV ს. ქართლში ტახტი მამიდან შვილზე რომ გადადიოდა. რატომ არ უნდა დავუჯეროთ „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებს? „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე არაფრით არ არის „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ იმ თხზულებებზე უფრო ძველი, რომლებშიც ვახტანგ გორგასლის წინადროინდელი ამბებია გადმოცემული. თ. ჟორდანიასი არ იყოს, „მარტო ხელნაწერის სიძველე, მასში მოთხრობილი ამბის ჭეშმარიტებისათვის საკმაო არ არის“.

ძველ ქართულ საისტორიო წყაროთა არასანდოობის შესახებ რუსეთში და უცხოეთში (ო. სენკოვსკი, ქ. პატკანოვი, ვ. ლანგლუა) დამკვიდრებულმა მოსაზრებამ და ვ. ბოლოტოვის მიერ გამოთქმულმა შეხედულებებმა, როგორც ჩანს, ისეთი დიდი გავლენა მოახდინა იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ ივ. ჯა-

ჯახიშვილზე. რომ მან ძველ ქართულ წყაროთა ცნობების მიმართ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰიპერკრიტიკული მიდგომა ღაამკვიდრა. სწორედ ქართულ წყაროთა უნდობლობის გამო ივ. ჯავახიშვილმა ვ. ბოლოტოვის მსგავსად ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ დიდი ბაკური მიიჩნია. მისი მტკიცებით, ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად დაახლოებით 337 წელს სწორედ დიდმა ბაკურმა გამოაცხადა [105:273]. შემდეგ ქართლიდან წასული ბაკური მონაწილეობდა ადრიანოპოლის (378 წ.) და ფრიგიდუსის (394 წ.) ბრძოლებში. მან მოუთხრო გელასი კესარიელს ქართლის გაქრისტიანების ამბავი [105: 262]. თუმცა. იქვე ეჭვი გამოთქვა, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე 394 წელს კიდევ ცოცხალი რომ იყო. რადგან იმ დროს „უხუცესობაზე დამყარებული კანონის ძალით“ ტახტზე ასული მეფეები უკვე ხანში შესულები იყვნენო [105:262].

ასეთი წინააღმდეგობიდან გამოსავალი ივ. ჯავახიშვილმა იმაში ნახა, რომ იმ პიროვნებად. რომელმაც გელასი კესარიელს ქართლის მოქცევის ამბავი მოუთხრო. მცირე ბაკური მიიჩნია [105:263]. მაგრამ საქმე ისაა. რომ როგორც კ. კეკელიძე წერს, წყაროებში მცირე ბაკურის შესახებ არავითარი ცნობა არაა და სავალდებულო არ არის, რადგან დიდი ბაკური იყო, მცირე ბაკურიც ყოფილიყო [55. № 7: 141].

მეფეთა რიგი და ქრონოლოგია ივ. ჯავახიშვილს შემდეგნაირად აქვს მოცემული:

ბაკური (დიდი ბაკური) . . .	მეფობდა 360 წლამდე.
მირიანი (მიჰრანი) . .	როდის გამეფდა გამორკვეული არ არის. დიდხანს არ უნდა ემეფა.
საურმაგი ასპაგური	368 წელს ჩანან
ფარსმანი . .	გამეფდა 394—404 წლებს შუა. რამდენ ხანს მეფობდა არა ჩანს.
ბუზმირი	მეფობდა 413/416 წლიდან. გარდ. 421/424 წ. შემდეგ
არჩილი (დიდი ბაკურის ძმა) . . .	მეფობდა 424—437 წლებს შუა
ვახტანგ გორგასალი	

[105:262, 274, 276; შდრ. 108:157—164]

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილმა ქართლის მეფეებად მხოლოდ ის პირები მიიჩნია, რომლებიც უცხოენოვან წყაროებში იხსენიებიან.

ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგსა და ქრონოლოგიას კ. კეკელიძე დიდი ბაკურის ვინაობასთან დაკავშირებით ჯერ

კიდევ 1929 წელს შეეხო. იგი უარყოფს რა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას დიდი ბაკურის ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მიჩნევის შესახებ [55:155—140], მოაქვს მირიანის მემკვიდრეთა სია, რომელსაც შემდეგ დებულებაზე ამყარებს: კ. კეკელიძის თანახმად, მირიანი არა უადრეს 323 წლისა უნდა გამეფებულიყო. მეორე მხრივ, რადგან ამიანუს მარცელინუსის მერობანი მირიანად მიაჩნია, მირიანის გარდაცვალება 362 წელზე გადააქვს [55:141]. მირიანის შემდეგ მეფედ სამართლიანად მიიჩნევს ბაკურ [ბაქარ] მირიანის ძეს. მაგრამ, „მეფეთა ცხოვრებაში" ამ ბაკურის ძე რომ მირდატად იწოდება, ეს შეცდომა ჰგონია და ამტკიცებს: მისი ნამდვილი სახელი თრდატია, იგი „მოქცევაჲ ქართლისაჲსა" დასახელებული თრდატ რევის ძეა. კ. კეკელიძემ მირდატ ბაკურის ძე და თრდატ რევის ძე რადგან გააიგივა, აქედან გამომდინარე, „მეფეთა ცხოვრების" ცნობა, რომლის თანახმად ვარაზ-ბაკური მირდატის ძე იყო, შეცდომად ჩაითვალა. ასე დარჩა ვარაზ-ბაკური უმამოდ. ამ ჩიხიდან გამოსავალი კ. კეკელიძემ იმაში ნახა, რომ ვარაზ-ბაკური თრდატის ქალიშვილის ქმრად მიიჩნია. მისი მტკიცებით, თრდატს ერთი ქალიშვილი და ორი ძე ჰყავდა, თრდატის გარდაცვალების შემდეგ მისი სიძე ვარაზ-ბაკური გამეფდა. ასეთი მტკიცებისას კ. კეკელიძე ეყრდნობა „მეფეთა ცხოვრების" ცნობას თრდატი ვარაზ-ბაკურის სიმამრი რომ იყო და იქვე დასძენს: „მეფეთა ცხოვრების" ცნობა ვარაზ-ბაკურის გარდაცვალების შემდეგ მეფედ რომ მისი სიმამრი თრდატი დაჯდა მცდარია. იგი ერთხელ იყო მეფე და მეორედ გამეფება რატომ დასჭირდებოდაო. კ. კეკელიძის თანახმად, ვარაზ-ბაკურის შემდეგ მეფობდა ბაკურ თრდატის ძე, შემდეგ ვარაზ-ბაკურის უფროსი ძე ფარსმანი [55:142]. იგი ჯერ მირდატმა შეცვალა, შემდეგ არჩილმა, მაგრამ ეს არჩილი, დასძენს კ. კეკელიძე, როგორც „მეფეთა ცხოვრება" წერს ფარსმანის ძმის თრდატის (როგორც ქვემოთ ვნახავთ, „ქართლის ცხოვრების" ძველ რედაქციებში არჩილი ვარაზ-ბაკურის მეორე ძის მირდატის შვილად არის დასახელებული) ძე კი არ იყო, არამედ თრდატ რევის ძისა (№ 3) და ბაკურის (№ 5) ძმაო [55:147].

ზემომოტანილი მსჯელობიდან გამომდინარე კ. კეკელიძის მიხედვით მირიანის შთამომავალ მეფთა რიგი ასეთ სახეს მიიღებს (იხ. გვ. 31).

1955 წელს „ეტიუდების" III ტომში გამოქვეყნებულ ნაშრომებში [52; 53] კ. კეკელიძემ ზემომოტანილი რიგი არსებითად შეცვალა. 362 წელს გარდაცვლილი მირიანის შემდეგ კ. კეკელიძის თანახმად, ქართლის ტახტზე რომაელებმა კონსტანტინოპოლში მძევლად მყოფი ბაკურ მირიანის ძე დასვეს. მაგრამ, 368 წელს ან უფრო ადრე, სომხების მცდელობის გამო ქართლში რევის ძე გაემეფებიათ, იგი ტახტიდან გადადგა და კვლავ ბიზანტიაში წავიდა. რომაელებმა მის მა-



გივრად ტახტზე რევის ძე სავრომაკი აიყვანეს. 368 წელსვე ირანის შაჰმა იგი ჩამოაგდო და ასპაგური (ბაკურის ძე) გაამეფა. ასე გაჩნდა — ასკვნის იგი, — ქართლში ორი მეფე. დასავლეთში — რომაელთა ხელქვეითი სავრომაკი, აღმოსავლეთში სპარსელების ხელქვეითი ასპაგური [52: 14—15]. ამის შემდეგ ნაშრომში „იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან“ [53: 22] მეფთა რიგი და ქრონოლოგია ასე წარმოადგინა:

აღმოსავლეთ იბერიაში

1. ასპაკური, ძე ბაქარისა	
2. თრდატი, ძმა ასპაკურისა	368--422
3. ბაკური, ძე თრდატისა[11]	
4. არჩილი, ძმა ბაკურისა	422—432

[11] კ. კეკელიძის თანახმად, ესაა დიდი ბაკური, რომელმაც თავისი ქალიშვილი მიათხოვა თავისივე თანამედროვე „დასავლეთ იბერიის“ მეფე ბუზმირს [53:22].

დასავლეთ იბერიაში

სავრომაკი, ძე რევისა ვარაზ-ბაკური, ძმა სავრომაკისა	368—400
ფარსმანი, ძე ვარაზ-ბაკურისა	400—406
მირდატი, ძმა ფარსმანისა	406—410
ბუზმარიოს, დისშვილი ფარსმანისა	410—428

კ. კეკელიძემ. მართალია, სწორად მიუთითა 368 წლის ქართლის ორად გაყოფის შემდეგ მეფობაც ორ შტოდ რომ უნდა ვიანგარიშოთ, მაგრამ თვით მეფეთა რიგი არასწორად წარმოადგინა. ერთმანეთში აურია რევ მირიანის ძისა და ბაკურ მირიანის ძის შთამომავლები. ასპაკურს (№ 1) იგი ბაკურ მირიანის ძის შვილად მიიჩნევს, მაშინ როცა ასპავური იგივე ვარაზ-ბაკურია. ეს უკანასკნელი „მეფეთა ცხოვრების" თანახმად ხომ მირდატის ძე იყო. № 2 თრდატი, მისი ძე ბაკური (№ 3). არჩილი (№ 4) რევის შთამომავლები იყვნენ და ისინი „აღმოსავლეთ იბერიის" მეფეთა სიაში არ უნდა შეეტანა. რაც შეეხება „დასავლეთ იბერიაში" შეტანილ მეფეთა სიას. სავრომაკი (საურმაგი) იგივე თრდატ რევის ძეა და „დასავლეთ იბერიაში" სწორად არის შეტანილი. თუმცა. აქ კ. კეკელიძე ისევ ცდება. ვარაზ-ბაკური თრდატ-საურმაგის ძმა კი არა, როგორც თვითონ ადრე წერდა, სიძე იყო და იგი „აღმოსავლეთ იბერიის" მეფეთა სიაში (№ 1) ასპაკურის იდენტური პიროვნებაა. ასევე. ვარაზ-ბაკურის ძეები — ფარსმანი და მირდატი „აღმოსავლეთ იბერიის" მეფეთა სიაში უნდა იყვნენ.

მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგსა და ქრონოლოგიას 1958 წელს გ. მელიქიშვილი სპეციალურ გამოკვლევაში შეეხო (ვახტანგ გორგასლის მემკვიდრეთა ქრონოლოგია მას არ უკვლევია). რიგის დადგენისას ჩან უპირატესობა „მეფეთა ცხოვრების" ცნობებს მიანიჭა და იქვე სამართლიანად მიუთითა. რომ პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში" ძველ ქართულ წყაროთაგან განსხვავებული მეფეები რომაა დასახელებული ეს ორმეფობით უნდა აიხსნას. საურმაგი, ბუზმიპრი და სხვანი „რომის ხელთ დარჩენილი იბერიის (შედარებით უმნიშვნელო) ნაწილის" მმართველები უნდა ყოფილიყვნენ [69:166]. თუმცა, ამის შენდეგ რევ მირიანის ძის შთამომავალთა ცალკე რიგი არ მოუცია და ისინი ბაკურ მირიანის ძის შთამომავლებთან ერთად ასე წარმოადგინა.

26. მირიან III გამეფდა IV ს. 20—30-იან წლებში (?). გარდ. 338 წლამდე (?) ან დაახლ. 362 წ.
27. ბაკურ II. IV ს. 40—60-იან წლებში (?) ან: IV ს. 60-იან წლებში (?)

28. მითრიდატე IV (= საურმაგი)
29. ვარაზ-ბაკურ (=ასფაგურ II?) } IV ს. 60—70-იანი წლები
30. ბაკურ III (თრდატი) IV ს. 80—90-იანი წლები
31. ფარსმან IV. V ს. დასაწყისი
32. მითრიდატე V (=ბუზმიჰრი?) — V ს. 10—20-იანი წლები
33. არჩილი — V ს. მეორე მეოთხედი
34. მითრიდატე VI.V ს. შუა ხანები
35. ვახტანგ გორგასალი V ს. მეორე ნახევარი (459—502 წწ.)
[69:170].

ზემომოტანილ რიგში მითრიდატე IV-თან გაიგივებული საურმაგი (№ 28), იგივე რევ მირიანის ძის ძე — თრდატია. ამიტომ, მას ბაკურ მირიანის ძის შვილთან მირდატთან (№ 28. მითრიდატე IV) ვერ გავაიგივებთ. რაც შეეხება № 30-ს. აქ ძირითად რიგში ვარაზ-ბაკურის სიმამრი თრდატ რევის ძე უნდა ჩავსვათ. თრდატმა ქართლის ტახტი ვარაზ-ბაკურის გარდაცვალების შემდეგ. მისი ძეების მცირეწლოვნობის გამო დაიკავა. ბაკურ III (№ 30) „მოქცევაჲ ქართლისაჲს" თანახმად, თრდატ რევის ძის (იგივე საურმაგის) ძე იყო. ამიტომ, მათი გაიგივება არ შეიძლება. ასევე არ შეიძლება ბუზმიჰრისა (№ 32) და ვარაზ-ბაკურის ძის მირდატის (მითრიდატე V) გაიგივება. თრდატის გარდა, ბაკური და ბუზმიჰრი, როგორც რევიანთა შტოს წარმომადგენლები, ცალკე რიგში უნდა მოვათავსოთ. რაც შეეხება ვარაზ-ბაკურს (№ 29) მისი ასფაგურთან იდენტურობა საეჭვო არაა.

1958 წელსვე საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში ვ. დონდუა ირანისა და ბიზანტიის მიერ ქართლის ორად გაყოფის შემდეგდროინდელ მეფეთა რიგსა და ქრონოლოგიას შეეხო. იგი წერს, რომ ამ გაყოფით კონსტანტინოპოლიდან ზურგგამაგრებულმა საურმაგმა მიიღო „მტკვრის მარცხნივ მდებარე ქართლი", რომელშიც მცხეთა შედიოდა. ქვემო ქართლი კი ირანის კულტურულ-პოლიტიკურ გავლენაში მოექცა [9:91].

ვ. დონდუას მტკიცებით, ქართლის სპარსულ ნაწილში ირანელი პიტიახშის ზედამდგომელობით მეფობდნენ:

ვარაზ-ბაკური (368—408 დაახლოებით).
არჩილი (ვარაზ-ბაკურის ძმა — 408—437 დაახლოებით).
რომის ნაწილში:
ფარსმანი (საურმაგის მემკვიდრე. 395—413 დაახლოებით).
ბუზმარი 413—437 დაახლოებით.
[9:91—92].

უპირველეს ყოვლისა, ქართლის 369 წლის გაყოფით რევიანებს, როგორც ამას ამიანუს მარცელინუსი წერს, სომხეთისა და ლაზების მოსაზღვრე, ასფაგურს კი ალბანეთისა და სპარსეთის მოსაზღვრე ქართლის ნაწილი შეხვდა [XXVII, 12, 17], ამიტომ საურმაგი, როგორც ამას ვ. დონდუა წერს, მცხეთას და მტკვრის მარცხნივ მდებარე ქართლს ვერ მიიღებდა (ა. ბოგვერაძის თანახმად, საურმაგს შეხვდა მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლი — სომხეთის მოსაზღვრე და ლაზიკისა სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან. 17:21; შდრ., 11:91). რაც შეეხება მეფეთა რიგსა და ქრონოლოგიას, ვარაზ-ბაკურისა და არჩილის ძმებად მიჩნევა არ შეიძლება. ასევე ფარსმანი და ბუზმირიც სხვადასხვა შტოს განეკუთვნებოდნენ. დასახელებულ მეფეთა არც ვ. დონდუასეული ქრონოლოგიაა მისაღები.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების II ტომში (გამოიცა 1973 წელს) ნ. ჯანაშიამ მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგი სულ სხვაგვარად განსაზღვრა. მისი მტკიცებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთხელ გამოთქმული მოსაზრება მირიანის შთამომავლების დროს ქართლის ორად გაყოფის შესახებ თვით V ს. 40-იან წლებამდეც კი, სწორი არ უნდა იყოს. ირანელებმა ქართლის ერთიანობა IV ს. 70-იანი წლების ბოლოს აღადგინეს და იგი მთლიანად დაიმორჩილეს[12] [110:80—81]. ნ. ჯანაშია იქვე შენიშნავს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „მეფეთა ამბავს“ ქართლის მეფეთა სხვადასხვა თანმიმდევრობა აქვთ დაცული და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში არსებული თანმიმდევრობა უფრო სწორი უნდა იყოს [110:81, შენ. 1]. ამის შემდეგ, იგი მართალია აღიარებს მირიანის შთამომავლებს შორის არსებულ დინასტიურ ბრძოლას, მაგრამ ეს ბრძოლა, როგორც „მეფეთა ცხოვრება“ გადმოგვცემს და გ. მელიქიშვილმაც მიუთითა [69:163], მან მირიანის ძეების — ბაკურისა და რევის მემკვიდრეთა შორის მიმდინარედ კი არ მიიჩნია, არამედ რევის შთამომავალთა შორის. მირიანის ძის ბაკურის დროიდან ქართლის სამეფო სახლში წარმოებდა დინასტიური ბრძოლა. ეს ბრძოლა, — წერს იგი, — მიმდინარეობდა ბაკურ რევის ძისა და თრდატ რევის ძის შთამომავალთა შორის [110:82]. ნ. ჯანაშიას თანახმად, მირიანი რადგან 362 წლამდე მეფობდა, ხოლო, მეორე მხრივ, 368 წელს ქართლის ტახტზე ირანელებმა ვარაზ-ბაკური დასვეს, ფიქრობს, რომ მირიანის შემდეგ მის ძეს ბაკურს და ბაკურის

---

12 ამავე აზრისა იყო ივ. ჯავახიშვილი [105:275]. ა. ბოგვერაძის თანახმად, ორმეფობას ქართლში 377 წელს მოეღო ბოლო [11:94]. 70-იანი წლების ბოლოს ირანელებს ქართლი მთლიანად არ დაუმორჩილებიათ. ქართლის ნაწილი კვლავ ბიზანტიის გავლენაში რჩებოდა. ამიტომ გააგზავნეს 422 წელს ბიზანტიაში მძევლად ქართლის ამ ნაწილიდან პეტრე იბერი.

ძეს მირდატს არ უმეფიათ. 368 წელს ირანელთა მიერ ქართლის ტახტზე დასმული ვარაზ-ბაკურის (ბაკურის შტო) შემდეგ ტახტზე ავიდა ბაკურ თრდატის ძე (თრდატის შტო) და ასე, სამეფო ტახტზე „რიგრიგობით სხდებოდნენ ორი ზემოხსენებული შტოს წარმოჰადგენლები“ [110:82—83].

ნ. ჯანაშია ეხება რა ჯუანშერის ცნობას ქართლის მეფე არჩილისა და მის ძის მირდატის ბრძოლებს ბარზაბოდის წინააღმდეგ ასკვნის: „ჯუანშერის ეს ცნობები რეალურ ვითარებას არ ასახავენ“, ქართლი ამ დროს ირანს ემორჩილებოდა და ცდილობდა „თავისი კულტურული თვითმყოფობა“ დაეცვა [110:84]. შემდეგ V ს. სომეხი ავტორის ლაზარ ფარპეცის ცნობაზე (იგი ირანის შაჰის კარზე ჩასულ დიდებულთა შორის ქართლის მეფეს არ იხსენიებს) დაყრდნობით ასკვნის: „ამ დროს ქართლის სამეფო ტახტი ან ცარიელი იყო, ან — რაიმე განსაკუთრებული ვითარება არსებობდა, შესაძლოა ვახტანგი იყო მცირეწლოვანი, ამიტომ მის წასვლას ირანში აზრი არ ჰქონდა“ [110:91].

საქართველოს ისტორიის ნარკვევების II ტომში მირიანის შთამომავალ ქართლის მეფეთა რიგი ნ. ჯანაშიას მსჯელობიდან გამომდინარე ასეთ სახეს მიიღებს:

1. მირიანი . . . . . გარდ. 362 წელს.
2. ვარაზ-ბაკური (ბაკურ რევის ძის შტო).
3. ბაკურ თრდატის ძე (თრდატ რევის ძის შტო)... IV ს. 80—90-იანი წლები. პეტრეს პაპა დედის მხრივ. ეს ბაკური ახლდა ერთ-ერთ ომში ირანელებს და მზეზე არ ილოცა [110:81—82].
4. ფარსმანი (ვარაზ-ბაკურის ძე) . . . 398—400 [110:82].
5. მირდატი (ვარაზ-ბაკურის ძე)
6. არჩილი (თრდატ რევის ძის შტოდან) V ს. 20-იანი წლები
7. მირდატი (არჩილის ძე) . V ს. 30—40-იანი წლები [110:84]. შესაძლოა ტახტზე არავინ იჯდა [110:90—91].
8. ვახტანგი (მირდატის ძე) გამეფდა V ს. 40-იან წწ. შუა ან ბოლო ხანაში [110:91].

წარმოდგენილ მეფეთა რიგში, როგორც ვხედავთ, მირიანის ძის ბაკურისა და შვილიშვილის — მირდატისათვის ადგილი აღარ დარჩა. ამ მირდატის ძე ვარაზ-ბაკური რევის შთამომავლად იქნა გამოცხადებული. მეფეთა რიგიდან ამოვარდა ვარაზ-ბაკურის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასული თრდატ რევის ძე. იგი გარდა იმისა, რომ ვარაზ-ბაკურის სიმამრი იყო, რევიანთა სახლიდან პირველმა დაიწყო მეფობა ქართლის ერთ ნაწილში. ასევე, ვახტანგის

გამეფების წინ ქართლში უმეფობა არ ყოფილა. რევ მირიანის ძეს, ქართულ წყაროთა ცნობების ანალიზიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი ძე — თრდატი ჰყავდა და, როგორც ლ. ჯანაშია ამტკიცებს რევ მირიანის ძეებს შორის არც დინასტიური ბრძოლა იქნებოდა.

1966 წელს გამოცემულ ლ. ჯანაშიას „ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ნარკვევებში" გამოქვეყნდა მის მიერ 1961 წლის საინსტიტუტო გეგმით შესრულებული გამოკვლევა — „კორიუნის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის". დასახელებულ ნაშრომში ლ. ჯანაშიას მიერ მოცემული მეფეთა რიგი არსებითად განსხვავდება ამ ნაშრომის დაწერიდან 12 წლის შემდეგ გამოქვეყნებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II ტომში მოთავსებული ლ. ჯანაშიასავე გამოკვლევაში არსებულ მეფეთა რიგიდან. ახლა ძნელი სათქმელია, ახალ გამოკვლევაზე მუშაობისას ლ. ჯანაშიამ სწორად არ ჩათვალა 1961 წელს დაწერილ გამოკვლევაში მიღებული შედეგები ქართლის მეფეთა რიგის შესახებ, თუ იგი მხედველობიდან გამორჩა. მთავარი ისაა, რომ 1961 წელს შესრულებულ გამოკვლევაში მან სცადა სათანადოდ დაესაბუთებინა ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრება „მეფეთა ცხოვრებაში" მირდატ ბაკურის ძის ნაცვლად თრდატ რევის ძე რომ უნდა იყოს.

1974 წელს გ. გოზალიშვილმა სცადა დაესაბუთებინა, რომ მართალნი იყვნენ ვ. ბოლოტოვი და ივ. ჯავახიშვილი, როცა ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ დიდ ბაკურს მიიჩნევდნენ. გ. გოზალიშვილმა დიდ ბაკურად (პეტრე იბერის პაპა დედის მხრივ) ვარაზ-ბაკური მიიჩნია [22:42]. „მეფეთა ცხოვრებაში" არსებული ცნობა, რომ ვარაზ-ბაკური იყო „კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა" [58:135] იმის დამადასტურებლად ჩათვალა, ვარაზ-ბაკური როგორც ბიზანტიის იმპერატორის იულიანე განდგომილის თანამედროვე [22:59], მისი გავლენით ქრისტიანობის შინაგან არსს ვერ ჩასწვდა და ქრისტიანობა გარეგნულად მიიღო [22:53]. ირანელთა სამხედრო ბანაკში მყოფმა ბაკურმა მზეზე რომ არ ილოცა, ეს 337 წლის ახლო ხანაში მოხდაო [22:51]. გ. გოზალიშვილის თანახმად, დიდი ბაკურის (მისი მტკიცებით იგივე ვარაზ-ბაკურის) შემდეგ მირიანი მეფობდა (ეს მოსაზრება, როგორც უკვე ვთქვით, ვ. ბოლოტოვიდან მოდის) და სწორედ მას „... მოუხდა დიდი საქმიანობის შესრულება ქრისტიანობის საბოლოო დასამკვიდრებლად. დიდი ბაკურის დროს ქრისტიანობა ნებადართულია, ხოლო მირიანის დროს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა [22:59]. მირიანს, სხვების მსგავსად, იგი რადგან მერიბანთან აიგივებს, მირიანიც იულიანე განდგომილის თანამედროვედ მიაჩნია [22:61]. ასევე მირიანის თანამედროვე ჰგონია მირიანის სიმამრის, ასფაგურის (იგი როგორც ვნახავთ, დაახლოებით 257 წელს უნდა გარდაცვლილიყო) სპასპეტი

მაეჟანი. თვლის, რომ მირიანი (სომეხი ავტორი მოვსეს ხორენაცი მას რადგან სომეხთა მეფის პიტიახშად ასახელებს) ჯერ სომხეთში იყო სპარსეთის ხელისუფლების წარმომადგენელი, შემდეგ, როგორც ირანის შაჰის შთამომავალი, ქართლში გამეფდა [22:62—64]. დიდი ბაკური კი ქართლიდან გაიქცა და ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკურ იბერიელი სწორედ იგია [22:74]. ივ. ჯავახიშვილის ეჭვი იმის შესახებ, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე, რომელმაც დაახლოებით 337 წელს ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, 394 წელს ფრიგიდუსთან მომხდარ ბრძოლაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებდა, გ. გოზალიშვილმა იმით უარყო, რომ ბაკური დაახლოებით 310 წელს დაბადებულად მიიჩნია და 394 წელს მას შეეძლებოდა ბრძოლაში მონაწილეობა, პატარა კახი ხომ სწორედ ამ ასაკისა (ე. ი. 84 წლისა) წარმატებით უძღოდა ჯარსაო [22:78].

ამრიგად, გ. გოზალიშვილის მტკიცებით, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე — დიდი ბაკური (იგივე ვარაზ-ბაკური) დაიბადა დაახლოებით 310 წელს, მის მეფობაში დაახლოებით 337 წელს, ქართლში ქრისტიანობა ნებადართულ რელიგიად გამოცხადდა, იგი მეფობდა 361 წელსაც, შემდეგ გაიქცა ბიზანტიაში და 394 წელს იბრძოდა ევგენიოსის წინააღმდეგ.

რა შეიძლება ითქვას გ. გოზალიშვილის მტკიცებათა შესახებ?

1. ყოვლად გაუმართლებელია ვარაზ-ბაკურის დიდ ბაკურად და ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მიჩნევა; 2. III ს. შუა ხანაში მოღვაწე მაეჟან სპასპეტის IV ს-ში გადაყვანა; 3. გ. გოზალიშვილმა ანგარიში არ გაუწია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობასა (მასში მირიანი რევის ძედ არის დასახელებული) და ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ არსებითად გაბატონებულ მოსაზრებას, მირიანი ირანის შაჰის ძე რომ არ იყო და მირიანი ისევ ირანელ უფლისწულად ჩათვალა; 4. მირიანი უსაფუძვლოდ მიიჩნია სომხეთში მოსამსახურე ირანელ მოხელედ; 5. ვარაზ-ბაკურის დიდ ბაკურთან გაიგივებითა და მის ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მიჩნევით უარყო ქართულ წყაროთა მეტად სანდო ცნობები, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი იყო. ვარაზ-ბაკურის დიდ ბაკურთან გაიგივებით მირიანზე ადრე ქართლის ტახტზე მისი შვილიშვილის შვილი — ვარაზ-ბაკური გაამეფა.

ა. ბოგვერაძეს ძველ ქართულ წყაროთა ცნობები გვიანდელად მიაჩნია, ამიტომ ფიქრობს, რომ მათი ნდობა არ შეიძლება თუ უცხოენოვან წყაროებში საკონტროლო მასალა არა გვაქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. ბოგვერაძე შეეხო რა ქართლის ქრისტიან მეფეთა რიგსა და ქრონოლოგიას, ძველ ქართულ წყაროებში მეფეებად დასახელებული ის პირები, რომლებიც უცხოენოვან წყაროებში არ

იხსენიებიან, მეფეთა რიგში არ შეიტანა. იგი იზიარებს რა მოსაზრებას მირიანის მერიბანთან გაიგივების შესახებ [12:20], თანაც ამიანუსი მერიბანს რადგან 361 წელს იხსენიებს, ხოლო 368 წლის წინ ამავე ისტორიკოსის ცნობით ტახტი საურმაგმა დაიკავა, თვლის, რომ მირიან-მერიბანის შემდეგ საურმაგი გამეფდა. თუმცა, იქვე შესაძლებლად მიაჩნია 363—368 წლებში ქართლში მირიანის ძესაც (არ ასახელებს ვის) ემეფა [12:23]. 368 წელს ქართლში გამეფებული საურმაგი ა. ბოგვერაძის მტკიცებით. 377 წელს თავისი ახლობლებით კონსტანტინოპოლში გაიქცა [12:23] და სწორედ მისი შთამომავლები იყვნენ ბაკური და ფარსმანი [12:25], თვლის, რომ ისინი საურმაგთან ერთად გადაიხვეწნენ კონსტანტინოპოლში. ა. ბოგვერაძის თანახმად, საურმაგი და ფარსმანი ფარნავაზიანთა სხვა შტოს წარმომადგენლები იყვნენ, ასპაგური და ბაკური კი სხვისა [12:25]. იგი ქართლის მეფედ თვლის ასპაგურსაც, მაგრამ რომელ წლებში იჯდა ქართლის ტახტზე არაფერს წერს [12:24]. ამიტომ იქვე შენიშნავს, რომ კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებულმა ფარსმანმა ვინ შეცვალა ქართლის ტახტზე ასპაგური თუ მისი მომდევნო ვინმე არ ვიცითო („მეფეთა ცხოვრებაში" აშკარადაა ნათქვამი რომ ფარსმანმა ქართლის ტახტი თრდატის შემდეგ დაიკავა. 58:137). IV—V სს-თა მიჯნაზე ა. ბოგვერაძის თანახმად, ქართლში ფარსმანი მეფობდა, 400-იანი წლების ბოლოდან 410-იანი წლების ბოლომდე — ბაკური[13]. ამ ბაკურის შვილიშვილად მიაჩნია პეტრე იბერი და 421—422 წლებში როცა პეტრე ბიზანტიაში მძევლად გაგზავნეს, ქართლში უკვე არჩილი მეფობდა [12:25—26, 32], რომელიც 430-იანი წლების ბოლოს კიდევ ცოცხალი იყო [12:32] და ამ არჩილის ძე უნდა იყოს მირდატი (მას „მეფეთა ცხოვრება" არჩილის ძედ ასახელებს), მაგრამ პეტრე იბერის „ცხოვრების" თანახმად, რადგან არჩილს ძე არ ჰყავდა, ა. ბოგვერაძემ მირდატის პიროვნების რეალურობაში ეჭვი შეიტანა [12:33—34]. „მის შესახებ, — დასძენს იგი, — სხვა საკონტროლო ცნობები არ მოგვეპოვება", „ყოველ შემთხვევაში არჩილის მომდევნო მეფე დიდხანს არ უნდა ყოფილიყო ტახტზე", რადგან დაახლოებით 439—442 წლებში ქართლის მარზპანად ვასაკ სივნელი იყო. ამიტომ ამ დროს ქართლში სამეფო ხელისუფლება არ უნდა ყოფილი-

---

13 ს. კაკაბაძის, ვ. დონდუას და გ. მელიქიშვილის მოსაზრება ბოზმარიოსის ქართლის ერთი ნაწილის მეფედ მიჩნევის შესახებ ა. ბოგვერაძემ იმ მოტივით უარყო, თითქოს V ს. ქართლში ორ მეფობის დაშვება საფუძველს მოკლებულია [12: 29—30]. ამის შემდეგ პეტრეს მამა ბუზმირი, რომელიც პეტრეს „ცხოვრებით" როგორც თვით ა. ბოგვერაძე წერს „იბერთა მეფედ" იწოდება, ხოლო სომხურ წყაროებში საერთოდ არ იხსენიება, მეფის შემდგომ მეორე პირად — ქართლის სპასპეტად მიიჩნია [12:30—32].

ყო [12:33]. შესაძლებელია ქართლის მარზპანობიდან ვასაკის გადაყენების შემდეგ. ეს თანამდებობა „რომელიმე ადგილობრივ დიდაზნაურს ეპირა“ [12:36]. საბოლოოდ ასკვნის, რომ ვახტანგის გამეფების წინ ქართლში მეფობა გაუქმებული იყო და 450—451 წლების სომხეთისა და ალბანეთის ანტიირანული აჯანყების ზეგავლენით დაინიშნა ვახტანგი მეფედ [12:39].

როგორც ვხედავთ, ნ. ჯანაშიას მოსაზრებას, ვახტანგის გამეფების წინ ქართლში შესაძლოა უმეფობა ყოფილიყო, ა. ბოგვერაძემ საბოლოო სახე მისცა. მაგრამ თვით ქართულ წყაროებში ამის შესახებ არაფერია თქმული და პირიქით, როგორც წყაროშია ნათქვამი. ამ დროის ქართლის მეფე მირდატი აქტიურ ანტიირანულ პოლიტიკას აწარმოებდა. რაც მთავარია, 368 წელს ქართლის ტახტზე ასული საურმაგი (იგივე თრდატ რევის ძე) ქართლიდან არ გაქცეულა. ფარსმანის მისი ძედ ჩათვლა არ შეიძლება. ფარსმანი და მისი მამა ასფაგური (იგივე ვარაზ-ბაკური) ბაქარიანები იყვნენ, ხოლო ბაკური და მისი მამა საურმაგი (იგივე თრდატ რევის ძე) რევიანები.

ა. ბოგვერაძის ნაშრომიდან ზემომოტანილი მასალის საფუძველზე ქართლის მეფეთა რიგი და ქრონოლოგია ასე გამოიყურება:

1. მირიანი . . . . . 363 წ.
2. ? (მირიანის ძე) . . . . . მეფობდა მცირე ხნით 363—368 წლებს შორის
3. საურმაგი . . . . . 377 წელს თავის ძეებთან ბაკურთან და ფარსმანთან ერთად გაიქცა ქართლიდან
4. ასპაგური
5. ფარსმანი . . . . . IV—V სს-თა მიჯნა
6. ბაკური . . . . . 400—410-იანი წლები
7. არჩილი . . . . . V ს. 30-იანი წლები. ცოცხალია 437 წელსაც

   უმეფობა . . . . . { ვასაკ სივნელი 439—442 წწ. „ადგილობრივი აზნაურთაგან“??
8. ვახტანგ გორგასალი გამეფდა 451 წლის შემდეგ.

V ს. I ნახევრის ქართლის მეფეთა ქრონოლოგიის საკითხს ამ ბოლო დროს მ. ჩხარტიშვილი შეეხო. იგი ფიქრობს, რომ ბიზანტიიდან დაბრუნებული ბაკური ქართლში 402—416 წლებში მეფობდა. მას ძე არ დარჩა, ამიტომ ავიდა ქართლის ტახტზე მისი მამიდაშვილი ფარსმანი. ფარსმანის, მირდატისა და არჩილის პირველი წლების მეფობის საერთო ხანგრძლივობას 5 წლით განსაზღვრავს. ფარსმანი,

წყაროს ცნობით, რადგან „მცირედ ჟამ“ მეფობდა, მის ზეობას ლ-ნ. ჯანაშიას მსგავსად 2 წელს ვარაუდობს. შემდეგ მირდატიც ჩქარა გარდაიცვალა და გამეფდა ბაკურის ღრმად მოხუცებული ბიძა არჩილი [95:166]. არჩილის მეფობაში, — დასძენს იგი, — როცა ბაკურის დისწული 12 წლის მურვანოსი მძევლად წაიყვანეს ბიზანტიაში, არჩილი ქვეყანას მართავდა პეტრეს მამასთან ერთად (პეტრეს მამად „პეტრე იბერის ცხოვრების“ ქართული ვერსიის ცნობიდან გამომდინარე ვარაზ-ბაკური მიაჩნია) და წერს, რომ ამჯერად ვარაზ-ბაკურმა ხელმეორედ დაიკავა ქართლის ტახტი [95:166].

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მის წინამორბედ მკვლევართა მსგავსად, ქართლის მეფეთა რიგში მ. ჩხარტიშვილმა ერთმანეთში აურია ბაკურ მირიანის ძისა და რევ მირიანის ძის შთამომავლები. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ფარსმანს, მართალია, თრდატის დისწულად ასახელებს და აქედან გამომდინარე, ფარსმანი ბაკურის მამიდაშვილი გამოდის, მაგრამ „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, ფარსმანი თრდატის ასულის წული და ვარაზ-ბაქარის უფროსი ძე იყო. როგორც ა. ბოგვერაძემ შენიშნა, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ფარსმანი თავის ადგილზე არაა [13:169]. მართალია, პეტრე იბერის ქართულ „ცხოვრებაში“ პეტრე ვარაზ-ბაკურის ძედაა დასახელებული, მაგრამ ამ ცნობის მცდარობა აშკარაა [12:27—29]. რაც მთავარია, პეტრე იბერის ასურული „ცხოვრებით“ პეტრეს მამა ქართლის მეფე ბოზმარიოსი იყო. ასევე, ბიზანტიიდან IV ს. ბოლოს დაბრუნებული ბაკური, როგორც ფიქრობენ, თუ პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ დასახელებული დიდი ბაკურია[14] (ქსე, ტ. 2, ბაკურ III), მაშინ პეტრე მისი დისწული კი არა, ასულის წული იყო. არაეითარი ცნობა არა გვაქვს ამ ბაკურის უძეოდ გარდაცვალების შესახებ. „ღრმად მოხუცებული“ არჩილი ბაკურის ძმა იყო და არა ბიძა [43: 249, 251].

როგორც ვნახეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგისა და ქრონოლოგიის შესახებ დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული. ქართლის მეფეთა რიგისა და ქრონოლოგიის შესახებ მკვლევრებმა ასეთი განსხვავებული შედეგები რომ მიიღეს, ჩემი აზრით, ამის მიზეზია: 1. „მეფეთა ცხოვრების“ ცნობათა უგულებელყოფა, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ (თითქოს, როგორც უძველესი მატიანესად-

---

14 დასახელებული სტატიის (ავტორი ა. ბოგვერაძე) გარდა იმავე ფურცელზე მოთავსებულია გ. გოზალიშვილის სტატია „ბაკური იბერიელი“. როგორც გაირკვა, ორივე წერილი ერთ და იგივე პიროვნებას ეხება. აღნიშნული, ვფიქრობთ, IV ს. ქართლის მეფეთა შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა კარგი დადასტურებაა.

მი) და უცხოენოვანი წყაროებისადმი უპირატესობის მინიჭება. 2. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგის დადგენისას მხედველობიდან გამორჩათ „მეფეთა ცხოვრებაში“ მხოლოდ ძირითადი შტოს (ბაქარიანთა—ბაკურ მირიანის ძის შთამომავალნი) მეფეთა რიგი (თრდატ რევის ძის გარდა) რომაა მოცემული. ამ წყაროში რევ მირიანის ძის შთამომავლები (რევიანები) „ნათესავებად“ იწოდებიან.

3. გათვალისწინებული არ იქნა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და პეტრე იბერის ასურული „ცხოვრება“ ქართლის მეფეებად (ფარსმანის გარდა) რევიანებს რომ ასახელებენ.

4. მეფეთა რიგის დადგენისას მხედველობიდან გამორჩათ 369 წელს ქართლის ორ სამეფოდ გაყოფის შემდეგ მეფეებიც ორ შტოდ რომ უნდა წარმოედგინათ (მართალია, კ. კეკელიძემ და ვ. დონდუამ ეს გაითვალისწინეს, მაგრამ მათ მეფეთა რიგის დადგენისას ბაქარიანები და რევიანები ერთმანეთში აურიეს).

მესამე თავი

მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგი

ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგიის კვლევისას, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მეფეთა რიგი უნდა გვქონდეს ზუსტად დადგენილი. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა შესახებ ძველ ქართულ წყაროებში („მეფეთა ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“) ერთი შეხედვით თითქოს მცირედ განსხვავებული ცნობები გვაქვს, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ამ წყაროთა ცნობებს საეჭვოდ ხდის უცხოენოვან წყაროებში ქართლის ზოგი მეფის განსხვავებული სახელით მოხსენიება, გაირკვა, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ ძირითადად ბაკურ მირიანის ძის, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ რევ მირიანის ძის შთამომავლები არიან წარმოდგენილნი. ამიტომ, კვლევისას საკითხს თუ ამ მხრივ არ მივუდგებით, ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგის დადგენა არ მოხერხდება.

ჩვენამდე მოღწეულ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ანა დედოფლისეულ ნუსხაში არსებული ფარნავაზიანთა სამეფო სახლის

ქრისტიან მეფეთა რიგი ემთხვევა XII ს-ში შესრულებულ „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში შემონახულ მეფეთა რიგს, რაც იმის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ XII ს. შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ ქრისტიან მეფეთა რიგს ცვლილება რომ აღარ განუცდია და ეს რიგი მასში თავდაპირველი სახით უნდა იყოს შემონახული.

მირიანის შემდგომი ხანის ქართლის მეფეთა შესახებ, როგორც ითქვა, უცხოენოვან საისტორიო წყაროებშიც გვაქვს ცნობები. ამ წყაროებიდან სომხურში ქართლის მეფეები თუ ჩვენთვის ცნობილი სახელებით იხსენიებიან (ეს იმიტომ რომ ძველი სომეხი ავტორები ქართული წყაროებით სარგებლობდნენ. 41:529—530), ბიზანტიელ ავტორებთან ისინი სრულიად განსხვავებული — ქართული სამყაროსათვის უცნობი სახელებით არიან წარმოდგენილნი. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე რუფუსის მიერ VI ს-ში სირიულ ენაზე შედგენილი „პეტრე იბერის ცხოვრებაში“ არსებული ცნობები. რუფუსის თხზულებაში გარდა იმისა, რომ ქართლის მეფეები განსხვავებული სახელებით იწოდებიან, მასში როგორც ითქვა, ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მირიანის მაგიერ პეტრე იბერის პაპა — დიდი ბაკური არის დასახელებული [43:248—249].

ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა შესახებ ძველ ქართულ და უცხოენოვან წყაროთა ეს შეუსაბამობა გ. მელიქიშვილმა ქართლში ორმეფობის არსებობით ახსნა. „...არც „პეტრე იბერის ცხოვრებამ“ და არც ქართულმა წყაროებმა („ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“), — წერს იგი, — არაფერი იციან ამ დროის ქართლში ორმეფობის შესახებ. მაგრამ, ვფიქრობთ, სწორედ ამ მოვლენის განსახიერებას უნდა წარმოადგენდეს ის დახლართული სურათი ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრეობისა, რომელიც წარმოდგენილია ამ წყაროში“ [69:165]. ასეთი მოსაზრების დამადასტურებლად გ. მელიქიშვილი მიიჩნევს „მეფეთა ცხოვრებაში“ არსებულ მითითებას, სამეფო ტახტის დაუფლებასთან დაკავშირებით მირიანის ძეების — ბაქარისა და რევის ჩამომავალთა დაპირისპირების შესახებ.

იოანე რუფუსის მიერ პეტრე იბერის წინაპრად და ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ დასახელებული დიდი ბაკური რევიანთა შტოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. სხვა მხრივ, როგორც კ. კეკელიძე წერს, მართლაც წარმოუდგენელია ქართულ წერილობით საისტორიო

ტრადიციას პირველი ქრისტიანი მეფის სახელი დავიწყებოდა [55: 140]. მეორე მხრივ, ვფიქრობ, არც იოანე რუფუსის ყველა ცნობის უგულებელყოფა შეიძლება. იოანე რუფუსი ხომ თვით პეტრეს „თანადამხდური იყო მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში" და პეტრეს „ცხოვრება" მაიუმშივე დაწერა [105:254]. რა თქმა უნდა, ქართლის მეფეთა შესახებ არსებული „დახლართული სურათიდან" გამოსავალი, როგორც გ. მელიქიშვილი მიუთითებს, ისევ ორმეფობაში უნდა ვეძიოთ.

ასფაგურის გარდაცვალებით, როგორც ვნახეთ, ქართლში ფარნავაზიანთა დინასტიის ძირითადი შტო შეწყდა და ფარნავაზიანთა სახლის მეორე შტოს წარმომადგენლის — მირიანის ქართლის ტახტზე ასვლით კვლავ აღსდგა ფარნავაზიანთა დინასტია. მაგრამ, მირიანის გარდა ჰყავდა თუ არა რევის სხვა ძე და მირიანის მეფედ გახდომის შემდეგ ფარნავაზიანთა მეორე შტო განაგრძობდა თუ არა არსებობას თავიანთ კუთვნილ ქართლში, არ ვიცით. უფრო სავარაუდებელია, მირიანის გარდა რევის სხვა ძე არ ჰყოლოდა. ამიტომ, მირიანის გამეფების შემდეგ ქართლში მეფის შემდეგ მეორე პირის ინსტიტუტი მოისპობოდა. მირიანის შემდგომ ქართლში რომ ფარნავაზიანთა მეორე სახლი კვლავ ჩანს, ეს რა თქმა უნდა, ორმეფობის დროინდელი გადმონაშთი არაა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, რევ მირიანის ძის შთამომავალნი ბიზანტიელთა მხარდაჭერით 369 წლიდან ქართლის ნახევარს დაეუფლნენ და თავს ქართლის ამ ნაწილის მეფეებად აცხადებდნენ.

პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში", ასევე ბიზანტიელ ავტორებთან ქართლის მეფეებად რადგან ისეთი პირები არიან დასახელებულნი, რომლებიც ქართულმა წყაროებმა არ იციან, ამიტომ, ქართლში თუნდაც ორმეფობის არსებობა რომ დავუშვათ, ჩვენს წინ დგას მაინც მეტად რთული ამოცანა: კონკრეტულად გავერკვეთ წყაროების სულ სხვადასხვაგვარ ჩვენებებში ამ პერიოდში ქართლის სამეფო ტახტის მფლობელთა შესახებ [69:165]. მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც გ. მელიქიშვილი წერს, რადგანაც ძველ ქართულ ტრადიციას ბევრად უფრო ძველი ხანისათვის შემოუნახავს ნდობის ღირსი სამეფო სიები, რომლებიც ცალკეულ ხარვეზებს თუ შეიცავენ, მით უმეტეს, ჩვენ არა გვაქვს საბუთი უნდობლობა გამოვუცხადოთ უფრო გვიანდელი (მირიან-ვახტანგის) ხანის სიებს. ასეთი უნდობლობისათვის გ. მელიქიშვილის თანახმად, ბიძგი შეიძლება მიეცა იმ გარემოებას, რომ რომაულ-ქრისტიანულ სამყაროდან მომდინარე წყაროებში (აგრეთვე ზოგიერთ ძველ სომხურ წყაროში) იხსენიება ამ დროის ქარ-

თლში ზოგი ისეთი მეფე, რომელიც უცნობია ქართული წყაროებისათვის [69:166]. ასეთია, ამიანუს მარცელინუსის მიერ 368 წლის ამბებში მოხსენიებული რომაული ორიენტაციისა და შემდეგ „რომაული იბერიის“ მეფე საურმაგი, ბუზმიჰრი [69:166].

გ. მელიქიშვილის შენიშვნით საინტერესოა ის რომ. რომაულ წყაროებში მოხსენიებული ანტირომაული ბანაკის მეფეები ქართულ წყაროებშიც ჩანს, რასაც იგი იმით ხსნის ამ პერიოდისათვის ქართული წყაროები ანტირომაულ ტრადიციას რომ ეყრდნობიან. ქართული წყაროების ვარაზ-ბაკურს (ვარაზ-ბაქარს), — წერს იგი, — მაგალითად აიგივებენ ამიანე მარცელინუსის მიერ 368 წ. მოხსენიებულ ქართლის მეფე ასფაგურთან (Aspacurae), რომელიც ირანული ორიენტაციის პირი იყო და ირანის ხელთ მყოფ იბერიის ნაწილს მართავდა. აშკარად ანტირომაული მიმდინარეობის ფარსმან მეფეც, რომელსაც იხსენიებს პეტრე იბერის ასურული ცხოვრება, აგრეთვე გვხვდება ქართულ წყაროში [69:166]. შემდეგ გ. მელიქიშვილი დასძენს, რომ ეგების, როგორც საურმაგი, ბუზმიჰრიც რომის ხელთ დარჩენილი იბერიის (შედარებით უმნიშვნელო) ნაწილის მმართველი იყო [69:166]. გ. მელიქიშვილის სამართლიანი დასკვნით, „... ქართულ წყაროებში მოხსენიებული ყველა მეფე შეიძლება აგრეთვე არ ყოფ მთელი ქართლის ხელისუფალი, არამედ, ქართლის მხოლოდ ერთი (რომის ან ირანის) ნაწილის მმართველი იყო. ამიტომაც ქართული წყაროების სამეფო სიებში მოხსენიებული ზოგიერთი პირი შეიძლება ამავე სიაში მოხსენიებული მეორე პირის პარალელურადაც მეფობდა“ [69:167].

გ. მელიქიშვილის ზემომოტანილი დასკვნა ამოსავალი დებულება ჩანს ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგიის კვლევისას.

მირიანის ძეების — რევის და ბაკურის — შთამომავლებს შორის ადრიდანვე წინააღმდეგობა რომ იყო, ეს თვით „მეფეთა ცხოვრებიდან“ ჩანს. მირიანის შემდგომი დროის ქართლში, კერძოდ. ქართლის ორ სამეფოდ გაყოფის შემდეგ მირიანის უფროსი ძის რევის შთამომავალთა სახით კვლავ განაგრძობდა არსებობას ფარნავაზიანთა სახლის მეორე შტო. ამიტომ ჩანს ქართლის ტახტზე ხშირად ერთდროულად ორი განსხვავებული სახელის მქონე მეფე.

მაშინდელი ქართლის სამეფო კარზე შექმნილი ოფიციალური ტრადიცია, როგორც ჩანს, რევის შთამომავლებს მეფეებად არ თვლიდა, რის გამოც მემატიანეებს თრდატ რევის ძის გარდა, რომელსაც

ქართლის ტახტი ეპირა, რევიანები არც საისტორიო ქრონიკებში შეჰქონდათ. თუმცა ფარნავაზიანთა სახლის რევიანთა შტოს წარმომადგენლები თავს ქართლის (უფრო სწორად მათი კუთვნილი ქართლის) მეფეებად მიიჩნევდნენ. ამიტომ, იმ თხზულებაში, რომელშიც მათი ოჯახის წევრების ცხოვრებაა აღწერილი, ისინი ქართლის მეფეებად იხსენიებიან. უფრო მეტიც, ამ თხზულებაში ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მირიანი კი არა, ბაკური არის დასახელებული. სწორედ ზემოაღნიშნულით უნდა აიხსნას, „პეტრე იბერის ცხოვრებაში" ქართლის მეფეთა სრულიად განსხვავებული რიგი რომაა წარმოდგენილი.

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანესა და „პეტრე იბერის ცხოვრებაში" დასახელებული მეფეები (ფარსმანის გარდა) რადგან რევ მირიანის ძის შთამომავლები არიან, ქართლის ძირითად მეფეთა რიგის დასადგენად „მეფეთა ცხოვრების", „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა" და მისი გაგრძელების მონაცემებით უნდა ვისარგებლოთ. დასახელებულ წყაროებში ქართლის მეფეებად ძირითადად ბაკურის შთამომავლები (თრდატის გარდა) არიან წარმოდგენილნი. ეს გარემოება საგრძნობლად აადვილებს მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგის დადგენის საქმეს.

აღნიშნულთან ერთად, „მეფეთა ცხოვრების" „ჟამითი-ჟამად" შემდგენლები, როგორც ჩანს, ფარნავაზიანთა გვერდითი შტოს (რევის შთამომავლებს) წარმომადგენლებსაც არ ივიწყებდნენ. ვფიქრობ, სწორედ ისინი იგულისხმებიან ჯუანშერის იმ ცნობაში, რომელშიც მირიანიდან ვახტანგამდე ათ მეფესთან ერთად, „რვა ნათესავის" გარდაცვალებაზეა მითითება [116:159]. მეფეებად ამ წყაროებში რადგან ბაკურ მირიანის ძის შთამომავლები ითვლებიან, ამ მეფეთა „ნათესავი რვა" რევ მირიანის ძის შთამომავლები უნდა იყვნენ. ასე რომ, ქართულ თუ უცხოენოვან წყაროებში მირიანიდან ვახტანგამდე ძირითადი ათი მეფის გვერდით რვა „ნათესავი მეფის" სახელიც შეიძლება შეგვხვდეს. ამ „ნათესავი" მეფეთაგანი უნდა იყვნენ: საურმაგი, ბაკური, ბუზმირი და სხვანი.

ახლა ვნახოთ მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგი როგორაა წარმოდგენილი ძველ ქართულ წყაროებში[15]:

---

[15] ბიზანტიურ წყაროებში ქართლის მეფეებად დასახელებულ პიროვნებათა შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი.

„მეფეთა ცხოვრება“, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ და მისი გაგრძელება



„მოქცევაჲ ქართლისაჲ“



მირიანის შთამომავალ ქრისტიან მეფეთა ზემომოტანილ რიგში ვახტანგ გორგასლის შემდგომი ხანის მეფეები სპეციალურად არ მოვიტანე. მათზე ცალკე შევჩერდები.

ვახტანგის შთამომავალ მეფეთა რიგის დადგენას, ისე როგორც მათი წინაპარი მეფეებისას, უცხოენოვან წყაროებში ქართლის მეფეთა განსხვავებული სახელით მოხსენიება ართულებს. თვით ქართულ წყაროებში ისინი ერთნაირი სახელებით არიან წარმოდგენილნი.

---

16 ვარაზ-ბაქარის მესამე ძეს თრდატს არ უმეფია. უფრო სწორი უნდა იყოს. ცნობა, რომლის თანახმად არჩილი ამ თრდატის ძე კი არ იყო, არამედ მირდატისა.

„ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ გაგრძელება		„მოქცევაჲ ქართლისაჲ“
დაჩი	XI	დაჩი
↓		↓
ბაკური	XII	ბაკური
↓ ფარსმანი, ↓ ?	XIII	ფარსმანი
↓ ფარსმანი	XIV	ფარსმან სხვაჲ
↓ ბაკური[17]		ბაკური[17]

დასახელებულ მეფეთა გარდა, VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპიოს კესარიელი VI ს. 20-იან წლებში ქართლის მეფედ გურგენს ასახელებს. ასევე, VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე მალალა და IX ს. თეოფანე ჟამთააღმწერელი VI ს. 30-იანი წლების დამდეგსა და შემდგომი ხანისათვის ქართლის მეფედ ძამანარძოსს იხსენიებენ (იხ. თავი IX).

ვახტანგ გორგასლის შთამომავალ ქართლის მეფეთა ზეობის წლების დადგენას ვახუშტის შემდეგ არაერთი მკვლევარი შეებო. მაგრამ არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებდა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის ცნობას, საიდანაც აშკარად ჩანს, 541 წლისათვის ქართლში უკვე უმეფობის ხანა რომ იყო. თვით ვახუშტიმ ვახტანგ გორგასლის შთამომავალ ქართლის მეფეთა ზეობის დასასრული VI ს. 60-იანი წლების ბოლომდე გადაიტანა (ისე როგორც ეს სწავლულ კაცთა კომისიამ გააკეთა). ვახუშტის ვახტანგის შთამომავალ ქართლის მეფეთა ზეობის წლები ასე აქვს წარმოდგენილი:

დაჩი	499—514	მეფობის ხანგრძლივობა 15 წელი („ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულ ნუსხაში დაჩის შესახებ ნათქვამია: „და მოკუდა დაჩი თორმეტისაჴ წლისა. 84:140)

---

[17] ორივე წყარო ერთხმად მიუთითებს „ბაკურის ზევე“ მეფობის დასრულების შესახებ [116:217; 73:326].

ბაკური	514—527/8	მეფობის ხანგრძლივობა	13 წელი
ფარსმანი	527/8—541/2	„—“	14 „—“
ფარსმანი	541/2—556/7	„—“	15 „—“
ბაკური	556/7—569/70	„—“	13 „—“

თუ „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხის მონაკვეთებსაც გავითვალისწინებთ, სადაც დაჩის მეფობის ხანგრძლივობა 12 წლითაა განსაზღვრული, მაშინ ვახტანგის შთამომავალ მეფეთა ზეობის წლებად მითითებული 12, 13, 14, 15 წელი არ შეიძლება უჩვეულოდ არ მოგვეჩვენოს, რადგან გამოდის, რომ ყოველი მომდევნო მეფე, წინაზე 1 წლით მეტ ხანს მეფობდა. აღნიშნული შეუსაბამობა ს. ყაუხჩიშვილმა შეამჩნია. მან გაარკვია, რომ „... მეფეთა ისეთივე სათვალავი, როგორიც [„ქართლის ცხოვრების] A ნუსხაშია[18], მოიპოვება აგრეთვე C ნუსხაშიც[19]. გარდა ამისა, — წერს იგი, — სრულიად ეკვმიუტანლად გაირკვა. რომ თვით A ნუსხასაც მეფეთა სათვალავი მოეპოვება არა მარტო ზემოთ მოყვანილი 23 მეფის (იგულისხმება ფარნავაზიანთა სახლის წარმართ მეფეთა რიგი. — ვ. გ.) ფარგლებში. არამედ ამის შემდეგაც. ქრისტიან მეფეთა აღნუსხვაშიც“ [91:026]. ს. ყაუხჩიშვილის ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში. იქ სადაც არჩილ I-ის გარდაცვალების შესახებ არის თხრობა, ტექსტში უცნაურად არის ჩაჩხირული სიტყვა „ც ხ რ ა ს ა“[20] [91:026]. ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, ტექსტში უცნაური იყო აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ A ნუსხაში სათვალავი 12, 13 და 14 ამ სათვალავთა შერწყმა ტექსტში და მისი გაუგებრად დამახინჯება. კერძოდ მითითება:

„და მოკუდა დაჩი თორმეტისა წლისა“
„... და მოკუდა ბაკურ ცამეტისა წლისა“
„მოკუდა ფარსმან თოთხმეტისა წლისა“ [91:026—027].

გარდა იმისა, — განაგრძობს ს. ყაუხჩიშვილი, — რომ თვალში ეცემა ადამიანს ის. რომ სამი, ერთიმეორის მომდევნო მეფე გარდაცვლილა 12, 13 და 14 წლისა (სწორედ თითო წლით მეტი ასაკისა), თავისთავადაც უცნაური იყო ის. რომ მეფე გარდაიცვალა 12 წლისა, 13 წლისა ან 14 წლისა. მაგრამ. ჩანს. ასე ეწერა „ძველი ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებში, რომლებიც ხელთ ჰქონდათ მეცნიერ კა-

---

18 იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხა XV ს. [91:05—06].

19 იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეული ნუსხა XVI ს. [91:05—06].

20 „ხოლო ამან არჩილ მეფემან ყოველნი დღენი ცხორებისა მისისანი აღასრულნა... და მოკუდა ც ხ რ ა ს ა“ [84:92].

ცებს და მათ უცდიათ რამენაირად გარკვეულიყვნენ ამ უცნაურობაში. ამიტომ არის, რომ ვახტანგისეულ ნუსხებში ზემოთ მოყვანილი ტექსტის ნაცვლად იკითხება:

„და იმეფა დაჩი თ ო რ მ ე ტ წელ და მოკუდა დაჩი მეფე“.

„ესრეთ მეფობდა ა თ ც ა მ ე ტ წელ და შემდგომად ამისა მოკუდა ბაკურ მეფე“.

„ხოლო ამან ფარსმან მეფემან იმეფა ა თ ო თ ხ მ ე ტ წელ და მოკუდა მეფე ფარსმან“.

მაშასადამე, — დასძენს ს. ყაუხჩიშვილი, — მეცნიერ კაცებს უცნაურად მოეჩვენათ, რომ მეფე დაჩი მოკვდა 12 წლისა, ბაკური 13 წლისა, ხოლო ფარსმან 14 წლისა, და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ხელნაწერებში ივარაუდეს დამახინჯება და თითქოს აღადგინეს ნამდვილი შინაარსი, რომ დაჩი 12 წლისა კი არ გარდაიცვალა, არამედ 12 წელი იმეფა; ბაკურმაც 13 წელი იმეფა და ფარსმანმაც 14. ვერც ამათ შეამჩნიეს ეს უცნაური დამთხვევა, რომ სამი ერთიმეორის მომდევნო მეფე მეფობს თითო წლით მეტს წინამორბედ მეფეზე [91:027].

ზემოაღნიშნულის შემდეგ ს. ყაუხჩიშვილმა დაასკვნა: „ჩვენთვის აშკარაა, რომ ეს სათვალავები აღნიშნავენ მე-9 მეფეს, მე-12 მეფეს, მე-13 მეფეს და მე-14 მეფეს, ე. ი. ანასეულ ნუსხას მეფეთა სათვალავი ჰქონია არა მარტო წარმართ მეფეთა აღნუსხვაში, არამედ ქრისტიან მეფეთა მიხედვითაც დაუსათაურებია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი [91:027]. ამის შემდეგ ს. ყაუხჩიშვილმა ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგი ასე წარმოადგინა (აქვე შესადარებლად მომაქვს გ. მელიქიშვილის მიერ დადგენილი რიგი).

1. მირიანი	26. მირიან III
2. ბაქარი	27. ბაკურ II
3. მირდატი	28. მითრიდატე IV (=საურმაგი?)
4. ვარაზ-ბაქარი . . .	29. ვარაზ-ბაკურ (=ასფაგურ II?)
5. თრდატი	30. ბაკურ III (თრდატი)
6. ფარსმანი	31. ფარსმან IV
7. მირდატი	32. მითრიდატე V (=ბუზმიჰრი?)
8. არჩილი . . .	33. არჩილი
9. მირდატ V	34. მითრიდატე VI[21].
10. ვახტანგ გორგასალი	35. ვახტანგ გორგასალი

[69:170].

---

21 მითრიდატე ივიეე მირდატია.

11. დაჩი
12. ბაკური
13. ფარსმან V
14. ფარსმან VI [91:027].
[15. ბაკური]

მეფეთა რიგის მოტანის შემდეგ ს. ყაუხჩიშვილი ასკვნის: „ამის შემდეგ აღარ შეიძლება რაიმე ეჭვის შეტანა იმაში, რომ „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მეფეთა სათვალავი წერებულა, მაგრამ ისე დამახინჯებული ყოფილა, რომ მეფეთა სათვალავი მეფობის წელთა რაოდენობად მიუჩნეიათ“]91:027[.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში არსებული დამახინჯებული ადგილები მეფეთა რიგისა ს. ყაუხჩიშვილმა გაასწორა. მაგრამ, როგორც თვით აღნიშნავს, „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში არჩილი ხომ მეცხრედ, დაჩი მეთორმეტედ, ბაკური მეცამეტედ, ფარსმანი მეთოთხმეტედ არის დასახელებული და ეს ათვლა ქრისტიან მეფეთა რიგით ნომერს აღნიშნავს. ასეთი დასკვნის მიუხედავად, ს. ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილ ზემომოტანილ რიგში, როგორც ვხედავთ. არჩილი 8, დაჩი 11, ბაკური 12, ფარსმანი 13 ნომრად მოხვდა. ანასეულ „ქართლის ცხოვრებასა“ და მის მიერ დადგენილ მეფეთა რიგს შორის მიღებული შეუსაბამობის გასწორება ს. ყაუხჩიშვილმა შემდეგნაირად სცადა. თუ პირველ ქრისტიან მეფედ ჩავთვლით მირიანს, — წერს იგი, — მე-9 იქნება მირდატი, მე-12 დაჩის შემდეგ, მე-13 ბაკურის შემდეგ და მე-14 ფარსმან V-ის შემდეგ [91: 027].

ს. ყაუხჩიშვილის შესწორება, როგორც ვხედავთ, ხელოვნურია, რადგან ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული მითითებით თვით არჩილი იყო „მეცხრე“, დაჩი მეთორმეტე, ბაკური მეცამეტე[22] და ა. შ. „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ მეფეთა რიგს მირიანიდან „მეცხრე“ არჩილამდე უეჭველია ერთი მეფის სახელი აკლია.

რომელი მეფე აკლია მირიანიდან არჩილამდე?

ვფიქრობ, ამ მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს „მირიანის ცხოვრებაში“ არსებულ იმ ცნობას, რომლის თანახმად, ქართლის ტახტზე ჯერ კიდევ მირიანის სიცოცხლეში მირიანის უფროსი ძე რევი რომ იჯდა [58:129]. მირიანის სიცოცხლის ბოლო წლებში ქართლის ტახტზე ასული რევი, რა თქმა უნდა, ქრისტიანი იყო და „მეფეთა ცხოვრების“ უძველეს ნუსხებში იგი ქრისტიან მეფეთა სათვალავშიც იქნებოდა. მაგრამ, რადგან რევი ჯერ კიდევ მირიანის სიცოცხლეში გარ-

---

22 მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე „ქართლის ცხოვრების“ ჰალაშვილისეულ — C ნუსხაში [91:027].

დაიცვალა, ალბათ ამის გამო, მისი ზეობის წლებს ცალკე არ უთითებდნენ. აღნიშნულის გამო, როგორც ჩანს, იგი „ქართლის ცხოვრების“ რომელიღაც გადამწერ-რედაქტორმა მეფეთა რიგიდანაც ამოიღო. მაგრამ, მეფეთა საერთო სათვალავი რადგან ძველი დარჩა, მას ერთი მეფე დააკლდა.

ამრიგად, მირიანის შემდეგ მეფეთა რიგში თუ რევის ჩავსვამთ, შეივსება ის ნაკლი, რაც ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილ მეფეთა რიგში გვაქვს და „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ათვლის თანახმად, არჩილი იქნება მეცხრე, დაჩი მეთორმეტე, ბაკური შეცამეტე და ასე შემდეგ. მეფეთა რიგი კი შემდეგ სახეს მიიღებს:

1 მირიანი
2. რევი
3. ბაკური
4. მირდატი
5. ვარაზ-ბაკური
6. თრდატი
7. ფარსმანი
8. მირდატი
9. არჩილი
10. მირდატი
11. ვახტანგ გორგასალი
12. დაჩი
13. ბაკური
14. ფარსმანი
15. ფარსმან სხვაჲ
16. ბაკური

რამდენად სწორია წარმოდგენილ მეფეთა რიგი, ამის შესახებ აქ მსჯელობას აღარ გავაგრძელებ. ფაქტი ისაა, რომ იგი უძველესი დროიდან მომდინარეობს. ვფიქრობ, ს. ყაუხჩიშვილმა ცსადჰყო: ქეცნიურ კაცებს ტექსტი მეფეთა მიხედვით იმ ადგილებში დაუყვიათ, სადაც ადრე მეფეთა სათვალავი ყოფილა. მისი მტკიცებით, მეფეთა სათვალავი როგორც წარმართი, ისე ქრისტიანი მეფეებისათვის რადგან ანასეულ ნუსხაში არის, იგი ადრევე იყო [91:026]. „ასეთი სისტემატური აღნიშვნა სათვალავისა, — დასძენს იგი, — რასაკვირველია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს: ორ უძველეს ნუსხაში (AC) მეფეთა სათვალავის აღნიშვნა სწორედ იმ ადგილას, სადაც ვახტანგისეულ ნუსხებში მოიპოვება სათაურები, მოწმობს იმას, რომ იდეა მეფეთა ზეობის მიხედვით ტექსტის დაყოფისა და დასათაურებისა ვახტანგის მცნიერ კაცებს არ ეკუთვნის. მათ ეკუთვნის მხოლოდ ამ იდეის სრულყოფილად ხორცშესხმა“ [91:028].

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ძველ ავტორს ქრისტიან მეფეთა რიგი ცალკე რომ აუთვლია. ქრისტიანი მეფეები ასევე დანომრილია „ამოქცევაჲ ქართლისაჲს“ — ჰელიშურ ბ — ნუხაში [74:91—94].

მეოთხე თავი

ქრონოლოგიური საკრძენები

§ 1. ქრონოლოგიის საკითხი ძველ ქართულ წყაროებში

ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგიის კვლევას საგრძნობლად აადვილებს ძველ ქართულ წყაროებში არსებული ქრონოლოგიური მითითებანი და ვახტანგ გორგასლის დაბადება-გარდაცვალებისა და გამეფების ზუსტი თარიღების ცოდნა. 1983 წელს, როცა ვახტანგ გორგასლის დაბადება-გარდაცვალების თარიღების დადგენისადმი მიძღვნილი გამოკვლევა [24] გამოვაქვეყნე, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" ავტორი ჯუანშერ ჯუანშერიანი, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს გაბატონებული მოსაზრებიდან გამომდინარე, მეც XI ს-ში მოღვაწე პირად მიმაჩნდა და ვფიქრობდი, რომ ის თარიღი, რომლიდანაც ათვლილია „ვახტანგის ცხოვრებაში" მოთხრობილი სხვა ამბები ადრევე უნდა დაკარგულიყო (ჯუანშერ ჯუანშერიანს მთელი თხრობა, როგორც ივ. ჯავახიშვილმაც მიუთითა ვახტანგის დაბადების თარიღიდან აქვს ათვლილი). მას შემდეგ, რაც „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების", როგორც საისტორიო წყაროს, შესწავლა დავიწყე, ჩემი შეხედულება ჯუანშერ ჯუანშერიანის მოღვაწეობის დროზე არსებითად შეიცვალა. ახლა ვთვლი რომ ჯუანშერი, როგორც ამას ჯერ კიდევ თეიმურაზ ბატონიშვილი ფიქრობდა, ვახტანგის თანამედროვე მოღვაწე უნდა ყოფილიყო. მაგრამ, აქვე ისმება კითხვა. თუნდაც V ს-ში მცხოვრებ ჯუანშერს შეეძლო იმ დროს ვახტანგის ზეობის ზუსტი თარიღები მიეთითებინა?

რა თქმა უნდა შეეძლო, თუ ჯუანშერი ძველი ბაბილონის მეფის ნაბონასარის (ძვ. წ. 747—734). სელევკიდურის (აითვლებოდა ძვ. წ. 312 წლიდან), ანდა ბიზანტიის იმპერიაში მოქმედ „დიოკლეტიანეს ერას" (აითვლებოდა ახ. წ. 284 წლის 29 აგვისტოდან), ან კონსტანტინე დიდის მიერ შემოღებულ მცირე ინდიქტიონს (15-წლიანი ციკლი. აითვლებოდა 312 წლის 1 სექტემბრიდან) გამოიყენებდა. უფრო მეტიც, რ. პატარიძის თანახმად, იმ დროის ქართლში უკვე არსებობდა წელთაღრიცხვის ქორონიკონული სისტემით ათვლა. დროის ათვლის ეს მეთოდი, — დასძენს იგი, — საქართველოში 781 წლიდან მე-13 მოქცევით კი არ უნდა დაწყებულიყო, როგორც ეს დღესაა მიღებული (იხ. ქსე, ტ. 10, სტ. ქორონიკონი), არამედ 249 წლიდან მე-12 მოქცევით [78:152—153].

532-წლიან ციკლზე აგებული ქართული ქრისტიანული ქრონოლოგია, — წერს რ. პატარიძე, — ჩვენში ნიკეის კრების (325 წ.)

შემდეგ უახლოეს ხანაში, არა უგვიანეს 342 წლისა, უნდა შემოეღოთ. მისი მტკიცებით, სწორედ ამ წელს დაიწერა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ [78:152] და ეს თხზულებაა პირველი თარიღიანი ნაწარმოები, რაზეც მიგვითითებს ტექსტში არსებული 94 წელი.

თხზულების თარიღიანობას რ. პატარიძე შემდეგნაირად ასაბუთებს: რადგან ახ. წ. 248 წელს ქვეყნის დასაბამიდან გასრულდა თერთმეტი 532-წლიანი ციკლი, მეთორმეტე ციკლის (ჟამეულის) 94 წელი (248+94)=342 წელზე მოვა (78:152). „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ — განაგრძობს იგი, — ქართული „დასაბამითგანითაც“ თარიღდება. ეს თხზულება შეიქმნა იმ დროს, როცა დასაბამითგან თერთმეტი ჟამეული (11×532) და მე-12 ჟამეულის 94 წელი გასრულდა.

11×532=5852

5852+94=5946, ე. ი. თხზულება დაიწერა ქართული დასაბამითგან 5946 წელს. მეორე მხრივ, რაკი ქართული დასაბამითგანით ქრისტეს შობამდე 5604 წელი იანგარიშება, ამიტომ ქართული დასაბამითგან 5946 წელი, ახალი წელთაღრიცხვის 342 წელს ნიშნავს. 5946—5604=342 [78:152—153].

რ. პატარიძის ზემომოტანილი მოსაზრება თუ სწორია, მაშინ თავისუფლად შეეძლო ჯუანშერს ვახტანგის დაბადების თარიღად მიეთითებინა მე-12 მოქცევის 182 წელი; ბერძენთა (ე. ი. სელევკიდური) წელთაღრიცხვის 743[23], ან დიოკლეტიანეს ერის 147 წელი და ასე შემდეგ.

მაგრამ ჯუანშერს არც დასახელებული „ერები“ და არც წელთაღრიცხვის ქორონიკონული სისტემა არა აქვს გამოყენებული. ვფიქრობ, არა იმიტომ, რომ მათი არსებობა არ იცოდა: სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ძვ. წ. 747 წელს ბაბილონის მეფის ნაბონასარის ბრძანებით მისი გამეფების ეს წელი ახალი ერის დასაწყისად გამოცხადდა, ამ ერამ ფართო გამოყენება მხოლოდ ახ. წ. დამდეგიდან ჰპოვა [126:43]. რაც შეეხება სელევკიდურ ერას, ბიზანტიის იმპერიაში მოქმედ დიოკლეტიანეს ერასა და ე. წ. „ქრისტიანულ ერას“ (525 წელს დიონისე შცირემ თითქოს გაანგარიშებით დაადგინა, რომ ქრისტე ახ. წ. 1 წელს დაიბადა. ამიტომ დრო ქრისტიანული ერით ახ. წ. 1 წლიდან აითვლება). ქრისტიანულ ქვეყნებს ამ „ერებით“ სარგებლობა იმთავითვე არ დაუწყიათ. მაგ., ბიზანტიის იმპერიაში პირველი ოფიციალური მოხსენიება ქრისტეს დაბადებიდან დროის ათვლისა მხოლოდ 742 წელს არის. X ს-იდან ამ

---

23 VI ს. ანონიმ სირიელ ავტორს ამ ერით აქვს დათარიღებული ირანში ხოსრო I-ის დროს დაწყებული ქრისტიანთა დევნა [177:78].

ერას, მართალია, უფრო ხშირად იყენებდნენ, მაგრამ მისი მასიურად გამოყენება მხოლოდ XV ს. შუა ხანებიდან დაიწყო. თუმცა, იმავდროულად საკალდებულოდ ითვლებოდა, წელი „ქვეყნის დასაბამითგანაც" (ქორონიკონი) მიეთითებინათ, როგორც ეს XI ს. ქართველ ისტორიკოსს სუმბატ დავითის ძეს აქვს (იხ. ქვემოთ).

რუსეთი ქრისტიანულ ერაზე 1699 წელს გადავიდა [159:186—190]. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენში ქორონიკონით ათვლა, ძველ ქართველ ავტორთაგან, როგორც აღვნიშნე, სუმბატ დავითის ძეს აქვს გამოყენებული აშოტ I დიდის გარდაცვალების დასათარიღებლად. იგი წერს: „მოიკლა ესე აშოტ კურაპალატი დასაბამითგან წელთა ხ^ულ, ქრონიკონსა მეათცამეტედ მოქცეულსა შინა მ^ვ, თუესა იანვარსა ოცდაცხრასა"[24] [82:377, 254]. ე. ი. სუმბატის ცნობით, აშოტ I დასაბამითგან ხ^ულ (=6430) წელს მოკლეს. ქართული დასაბამითგანი ქრ^სტეს შობამდე რადგან 5604 წელი იანგარიშება, დასაბამითგან აშოტის მოკვლამდე გასულ 6430 წელს უნდა გამოვაკლოთ 5604 და აშოტ I-ის მოკვლის თარიღად მივიღებთ 826 წელს. სუმბატისავე მითითებით, აშოტის მოკვლისას რადგან მეცამეტე მოქცევის ქორონიკონი იყო მ^ვ, ე. ი. 46, მეთორმეტე მოქცევა 780 წელს დამთავრდა და მეცამეტე მოქცევის 46 წელი (780+46) ისევ 826 წელზე მოვა. ამრიგად, სუმბატის ცნობიდან გამომდინარე, აშოტ I გარდაცვლილა 826 წლის 29 იანვარს (შდრ., ქსე, ტ. 2, სტ. აშოტ I დიდი).

როგორც ვხედავთ, IX ს. დამდეგის საქართველოში უკვე ორივე მითითება გამოუყენებიათ აშოტ I-ის გარდაცვალების დასათარიღებლად (მითითება აშოტ I-ის მოკვლის თანადროულად რომ არ ყოფილიყო ჩაწერილი, სუმბატ დავითის ძე 2 საუკუნის შემდეგ, რა თქმა უნდა, ასე ზუსტად თვესა და დღეს ვერ მიუთითებდა). მსგავსი დათარიღებანი გვაქვს ანდერძ-მინაწერებშიც[25], მაგრამ ისტორიკოსები რატომღაც ასეთ მითითებებს არ ურთავდნენ ყველა ცნობილი პირის გარდაცვალების ამბავს. მაგ., თამარის ისტორიკოსებს თამარის გარდაცვალების აღსანიშნავად არც ერთი მითითება არ აქვთ გამოყენებული, რის გამოც, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში თამარის

---

24 XI ს. ანონიმ ავტორს ასევე ზუსტად აქვს მოცემული ბაგრატ III-ის გარდაცვალების თარიღი — „ქრონიკონი ორას ოცდათოთხმეტი, თუესა მაისსა შჯდსა, დღესა პარასკევსა" [65:283], რაც (780+234) 1014 წელს უდრის. შდრ., ქსე, ტ. 2, სტ. ბაგრატ III.

25 გიორგი დოდი მის მიერ გადაწერილ დიდ სვინაქსარს ასე ათარიღებს: „სრულ იქმნა... ესე წიგნი ბერძენთა ზედა მეფობასა მანოელისსა, ქართლსა დიმიტრისსაჲ, იერუსალიმს — ბელღიონისსაჲ, დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხღნთ და ქრონიკონი ტოე" [71:94.] რადგანაც ხღნთ არის 6759, მას გამოკლებული 5604=1155 წელს. ასევე ტოე =375+780=1155 წელს, ე. ი. სვინაქსარი გადაუწერია 1155 წელს.

გარდაცვალების ზუსტი თარიღი არაა დადგენილი (იხ. ქსე. ტ. 4, სტ. თამარი).

მიუხედავად იმისა, რომ XII საუკუნეშიც კი ქართველ ისტორიკოსებს თამარის გარდაცვალების ზუსტი თარიღის აღსანიშნავად გამოყენებული არა აქვთ არც ერთი ქრონოლოგიური მითითება, მე მაინც ვფიქრობ, რომ ჯუანშერს V ს-ში შეეძლო ვახტანგის მეფობის დასათარიღებლად იმ დროს არსებული რომელიმე ერა გამოეყენებინა, მაგრამ ეს რომ არ გააკეთა, ამაში გასაკვირვი არაფერია.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემონახული მეფეთა სიები მოწმობს, რომ დროის ათვლა მათში ცალკეულ მეფეთა მიხედვით ხდებოდა. მეფეთა სიები ისეთი დოკუმენტი იყო, რომლებიც აღნიშნავდა ამა თუ იმ მეფის სახელსა და მეფობის ხანგრძლივობას [56: 117—118]. ძველი აღმოსავლური ტრადიციით დროის ათვლა ცალკეულ მეფეთა მიხედვით ხდებოდა ალ. მაკედონელის შემდეგაც, თვით სელევკიდურ ხანაში. სელევკიდური ერის არსებობისას [123:107].

როგორც ჩანს, მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ძველ საქართველოშიც. „მეფეთა ცხოვრებაში" ქართლის ისტორიის გადმოცემა ცალკეულ მეფეთა მიხედვით, ვფიქრობ, სწორედ იმის დამადასტურებელია, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მომდინარე ტრადიციით, ძველ ქართლის სამეფოში მომხდარი ყოველი ამბავი ცალკეულ მეფეთა ზეობით რომ აითვლებოდა. ამ ტრადიციით უსარგებლია V ს. ავტორს ჯუანშერ ჯუანშერიანს ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის გადმოცემისას. მან ვახტანგის ცხოვრების ათვლა, ვახტანგის დაბადებიდან რომ დაიწყო, ეს იმ დროისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჯუანშერი რომ XI ს. ავტორი ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ისტორიის გადმოცემისას ასეთ ხერხს არ გამოიყენებდა, ისევე როგორც ეს ხერხი არ გამოუყენებია სუმბატ დავითის ძეს.

§ 2. ვახტანგ გორგასლის ზეობის წლები და მისი მნიშვნელობა ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგიის კვლევისას

ვახუშტი ბატონიშვილიდან მოყოლებული საქართველოს ისტორიის არაერთმა მკვლევარმა სცადა ვახტანგ გორგასლის დაბადების, გამეფებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენა. მაგრამ, რადგან მისი გარდაცვალების თარიღის განსასაზღვრავად ჯუანშერი ხელმოსაკიდ მასალას არ იძლევა, ამ მკვლევართა ნაშრომებში ვახტანგის გარდაცვალება თითქმის 50 წლის ფარგლებში 484—532 წლებს შორის მერყეობდა [დაწვრილებით იხ. 24:153].

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული

502 წელი არის მიღებული [105:327—329; 110:106]. ჯუანშერს ნათქვამი აქვს, რომ ვახტანგი მის მეფობაში მომხდარ ბერძენ-სპარსელთა მეორე ომის დასაწყისში დაიღუპა. ამ ომად ბიზანტია-ირანის 502—506 წლების ომი იყო მიჩნეული [105:329]. მაგრამ, რადგანაც ამ ომის დროს სამხედრო ოპერაციები, როგორც წყაროებიდანაა ცნობილი, წინა აზიაში მიმდინარეობდა და ომის მსვლელობისას ირანის ლაშქარი ქართლში არ შემოსულა [105:329], ჯუანშერის ცნობით კი ვახტანგი „იორსა ზედა“ ბრძოლაში დაიჭრა და შემდეგ უჯარმაში გარდაიცვალა, ვახტანგის გარდაცვალების თარიღად მიღებული 502 წელი, როგორც ამას ლ. ჯანაშია შენიშნავდა, „მეტად არასაიმედო საფუძველზე იყო დაფუძნებული“ [112:164]. აშკარა იყო, ომი, რომელშიც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა, ბიზანტია-ირანის 502—505(6) წლების ომი არ იგულისხმებოდა. ისეთ ომზე კი, რომელიც ბიზანტია-ირანს V ს. ბოლოს ქართლის ტერიტორიაზე ჰქონდა, ამ უკანასკნელ ხანებამდე არაფერი იყო ცნობილი.

ბიზანტია-ირანის ამ უცნობი ომის შესახებ ჩემი ყურადღება მიიქცია სირიული აგიოგრაფიული ძეგლის ცნობამ. ამ ძეგლში ქართლ-ალბანეთის მარზპანის ფირან გუშნასპის გაქრისტიანებისა და დასჯის ამბავია გადმოცემული. მასში ნათქვამია, რომ „იმ მხარეში (იგულისხმება ქართლი და ალბანეთი. — ვ. გ.) გურზანისა და არანისათვის მიმდინარე ომის დამთავრების (ზავის დადების) მეორმოცე წელს ავიდა მეფე ხოსრო ტახტზე“ [177:80].

ძეგლში მოხსენიებული „გურზანი და არანი“ ქართლი და ალბანეთია, ხოლო „მეფე ხოსრო“ ირანის შაჰი ხოსრო I ანუშირვანი. იგი 531 წელს ავიდა ტახტზე. მეორე მხრივ, მისი ტახტზე ასვლის წელი თუ ამიერკავკასიაში „გურზანისა და არანისათვის“ მიმდინარე ომის დამთავრების მეორმოცე წელი იყო, მაშინ ეს ომი (531—40) 491 წელს დამთავრებულა.

ამრიგად, ჯუანშერის მიერ მითითებული ბიზანტია-ირანის მეორე ომი, რომელშიც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა (იგი ამ დროს „დღეთა მიწევნილ იყო ვითარ სამოცისა წლისა“. 116:200), სირიულ ძეგლში ნახსენები ქართლისა და ალბანეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ირან-ბიზანტიის 491 წლის ომი უნდა იყოს. ამ ომის დროს ვახტანგი რადგან 60 წლისა გარდაიცვალა, მისი დაბადება 431 წელზე მოვა.

ჯუანშერისავე ცნობით, ბიზანტია-ირანის პირველ და მეორე ომს შორის 35 წელი იყო გასული. რადგან პირველი ომის დამთავრებისას ვახტანგი, როგორც ეს ჯუანშერის ცნობიდან ჩანს, 25 წლისა იყო, ხოლო მეორე ომი 491 წელს მიმდინარეობდა, პირველი ომი (491—

35) 456 წელს დამთავრდებოდა და 431 წელს დაბადებული ვახტანგი 456 წელს მართლაც 25 წლისა იქნებოდა.

რაც შეეხება ბიზანტია-ირანის 456 წელს დამთავრებულ ომს. ეს ომი, როგორც ჯუანშერი მოგვითხრობს, 453 წ. ვახტანგ გორგასალმა ბიზანტიის წინააღმდეგ თავის ბიძასთან, ქართლ-ალბანეთის მარზპან ვარაზ-ბაკურთან ერთად დაიწყო (ამიტომ ომში ირანის ჩრდილო სამფლობელოების ჯარები მონაწილეობდა) და სამ წელს მიმდინარეობდა. ომი მართლაც 456 წელს რომ დამთავრდა, ეს V ს. ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის პრისკოს პანიელის ცნობით დასტურდება [160:4,83—84]. ამ ომის ერთ-ერთი ბოლო ბრძოლის ეპიზოდი, რომლის შესახებაც ჯუანშერი ვრცლად მოგვითხრობს, ასახული ჩანს V ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის ჰიდატიუსის „ქრონიკაში" [117: 276—278].

ჯუანშერის ცნობითვე, რადგან ქართლის მეფე მირდატის გარდაცვალებისას ვახტანგი 7 წლისა იყო. 431 წელს დაბადებული ვახტანგი 7 წლისა 438 წელს იქნებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მირდატის გარდაცვალება და ვახტანგის გამეფება 438 წლით უნდა განისაზღვროს. ვახტანგის მეფობის საერთო ხანგრძლივობა 53 წელი მოვა.

§ 3. დამატებითი ქრონოლოგიური საყრდენი

ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცნობები ძირითადად ძველ ქართულ წყაროებში („მეფეთა ცხოვრება", „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება", „მოქცევაჲ ქართლისაჲ") გვაქვს. ამ წყაროების მონაცემებიდან მხოლოდ ვახტანგ გორგასლის მეფობის წლების ხანგრძლივობის (53 წელი) დადგენა ხერხდება. ასე რომ, გარდა ამისა, არ ვიცით, რომელი მეფე დაახლოებით რომელ წლებში მეფობდა, არ ვიცით, ამა თუ იმ მეფის ზეობის წელთა რაოდენობა, რაც ცხადია, ძალზე ართულებს ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგიის დადგენას.

ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგიისათვის, ვახტანგ გორგასლის ზეობის წელთა ცოდნასთან[26] ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ წყაროებში არსებულ იმ მითითებებს, რომლის თანახმად, მირიანის გარდაცვალებიდან ვახტანგის გარდაცვალებამდე 157, ხოლო ფარსმან II-ის გარდაცვალებამდე 200 წელი იყო გასული [116:159: 86:188]. ამ მითითებათა საფუძველზე რადგან ადვილი გასარკვევია მირიანისა

---

26 ვახტანგის დაბადება-გარდაცვალებისა და გამეფების ზუსტი თარიღები გაანალიზა გ. წულაიამ ჯუანშერის თხზულების რუსულ ენაზე თარგმნისას [122:44].

და ფარსმანის გარდაცვალების წლები, საბოლოო ჯამში ჩვენს ხელთაა რამდენიმე საყრდენი თარიღი.

აღნიშნულთან ერთად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგიის კვლევის საქმეს საგრძნობლად აადვილებს ამიანუს მარცელინუსთან ქართლის მეფედ ასპაგურის (იგივე ვარაზ-ბაკურის) და „პეტრე იბერის ცხოვრებაში" ფარსმანის მოხსენიება. ამ წყაროთა მონაცემებით დასახელებულ მეფეთა გამეფების ზუსტი თარიღის დადგენაც ხერხდება.

ყოველივე თქმულის მიუხედავად, მირიანის შთამომავალ მეფეთა ქრონოლოგიის კვლევისას რჩება ერთი სიძნელე. როგორც ითქვა, მირიანის შთამომავლებიდან მხოლოდ ვახტანგის მეფობის წელთა რაოდენობა ვიცით. ამიტომ, სანამ სხვა ხელმოსაკიდი მასალა არ იქნება მიკვლეული მირიანის შთამომავალ მეფეთა ზეობის ხანგრძლივობის შესახებ ვახუშტისეული მითითებანი უნდა გამოვიყენოთ. შევეცდები ვახუშტის მითითებანი სათანადო ისტორიული რეალობით დავადასტურო. სადაც შესაძლებელი იქნება უცხოენოვან წყაროთა მონაცემებით შევამოწმო. ზეობის წელთა ხანგრძლივობის შესახებ ზუსტი მონაცემების უქონლობის გამო, რა თქმა უნდა, ზოგიერთი მეფის ზეობის წლების განსაზღვრა მიახლოებითი იქნება.

მეხუთე თავი

მირიანის ზეობის შესახებ არსებულ მოსაზრებათა და წყაროთა კრიტიკული განხილვა

§ 1. მირიანის გარდაცვალების თარიღი

მირიანის შთამომავალ მეფეთა ქრონოლოგიის განსაზღვრა, რა თქმა უნდა, თვით მირიანის მეფობის წლების დადგენით უნდა დავიწყოთ.

ვახუშტის მირიანის ზეობა, როგორც ვნახეთ, 265—342 წლებით ჰქონდა განსაზღვრული, მაგრამ ვახუშტისეული წლები, როგორც არასწორი, ქართველ ისტორიკოსთა მიერ კარგა ხანია უარყოფილია. უარყოფის მიუხედავად, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მირიანის გარდაცვალების მიახლოებითი თარიღიც კი არაა მიღებული. მაგ., ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მირიანის შესახებ ა. ბოგვერაძე წერს: მირიანი იყო ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინესა (306—337) და სომხეთის მეფის თრდატის (287—330) თანამედროვე. იქვე დასძენს, რომ მირიანის დროს 337 წლის ახლო ხანაში,

ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. მირიანი უნდა იყოს ამიანე მარცელინუსის მიერ მოხსენიებული ქართლის მეფე მერობანი (იხ. ტ. 7, სტ. მირიან III).

რადგან ა. ბოგვერაძე არ უთითებს ამიანუს მარცელინუსი მერიბანს 361 წლის ამბების გადმოცემისას რომ იხსენიებს, მკითხველს მირიანის ზეობის წლების შესახებ გარკვეული წარმოდგენა არ რჩება.

მერიბანის მირიანთან შესაძლო იდენტურობის საკითხი, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ სენ მარტენმა დასვა. ვ. ბოლოტოვმა მას საბოლოო სახე მისცა, ხოლო ს. გორგაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა. ასე დამკვიდრდა ეს შეხედულება ჩვენში.

1958 წელს გ. მელიქიშვილმა მირიანის გამეფება IV ს. 20—30-იან, გარდაცვალება კი 338 წლამდე ან დაახლოებით 362 წელს ივარაუდა [69:170]. უფრო გვიან, საქართველოს ისტორიის ნარკვევების II ტომში მირიანის შესახებ ლ. ჯანაშია წერდა: სამწუხაროდ, მირიანის ზეობის წლების მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრა არ ხერხდება. „მეფეთა ამბავის“ მიხედვით, მირიანი უნდა გამეფებულიყო თრდატის სომხეთში გამეფებამდე სულ მცირე 35—36 წლით უადრეს, ე. ი. დაახლოებით 251—263 წლებში, რაც ძნელი წარმოსადგენია. რადგან... მისი მეფობა უნდა გაგრძელებულიყო IV ს. 60-იან წლებამდე. გადაწყვეტით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ მირიანი იყო კონსტანტინე დიდისა და თრდატ III-ის თანამედროვე [110:62]. შეიძლება მივიღოთ, რომ დასძენს იგი შემდეგ, — მირიანი ნიზიბისის ზავამდე გამეფებულა... ეს შეიძლება მომხდარიყო ირან-რომის ომის დროს 296—297 წლებში [110:62].

როგორც ვხედავთ, ლ. ჯანაშია მირიანის გამეფების თარიღად დაახლოებით 296/297 წწ. ვარაუდობს. რაც შეეხება მირიანის გარდაცვალების თარიღს, ამ მხრივ იგი იზიარებს იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომელთაც ამიანუს მარცელინუსის მიერ 361 წელს ქართლის მეფედ მოხსენიებული მერიბანი და ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი იდენტურ პირებად მიაჩნიათ. ლ. ჯანაშიას თანახმად, ასეთ გაიგივებას მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრების“ ის ცნობა, რომლის თანახმად მირიანი გარდაიცვალა ქრისტიანობის მიღებიდან ოცდამეხუთე წელს, ე. ი. ის შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო IV ს. 60-იან წლებში [110:77; 2:80—81]. ასე რომ, ლ. ჯანაშიამ მირიანის გარდაცვალების თარიღად 362 წელი უფრო სწორად მიიჩნია. მისი ქრონოლოგიით, მირიანის ზეობა 296/297—362 წლებზე მოვა.

მირიანის გარდაცვალების თარიღად მიჩნეული 362 წელი ამიანუს მარცელინუსის ცნობაზეა დამყარებული. რაც შეეხება 338 წელს,

მას საფუძვლად უდევს მოსაზრება, იმპერატორ კონსტანტინე დიდის სიცოცხლეში ქართლის მოქცევის შესახებ. რადგან კონსტანტინე 337 წლის 22 მაისს გარდაიცვალა, ქართულ წყაროთა მითითებით კი, ქართლი კონსტანტინე დიდის სიცოცხლეში მოიქცა, ივ. ჯავახიშვილმა ქართლის მოქცევის თარიღად დაახლოებით 337 წელი მიიჩნია [105:273]. ამიტომ ვარაუდობენ, რომ მირიანი 338 წლის მახლობელ ხანში უნდა გარდაცვლილიყო (თვით ივ. ჯავახიშვილს ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ, როგორც ვნახეთ, „პეტრე იბერის ცხოვრებაში" დასახელებული დიდი ბაკური მიაჩნია. 105:273).

მირიანის გარდაცვალების თარიღებად მიღებული 338 და 362 წელი ქართულ წყაროთა მონაცემებს არ ეთანხმება. მირიანის გარდაცვალების წლის განსაზღვრასთან უშუალო კავშირშია მის მეფობაში მომხდარი ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის თარიღი, როგორიცაა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. მირიანის გარდაცვალება რადგან 362 წლით თარიღდებოდა, ქართლის მოქცევის თარიღის გარკვევით დაინტერესებულმა ზოგმა მკვლევარმა, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 355/56, 357 წელზე გადაიტანა [54:267; 5:117]. მაგრამ, ეს თარიღები, როგორც ისტორიულ რეალობიდან შორს მდგომი, უარყოფილი იქნა. დღეისათვის ქართლის მოქცევის თარიღად, როგორც ითქვა, 337 წელია მიღებული. მაგრამ, თუ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად ჩემს მიერ მიღებულ 491 წელს 157 წელს (ამ წლით „მეფეთა ცხოვრებაში", როგორც ითქვა, მირიანის გარდაცვალებიდან ვახტანგის გარდაცვალებამდე გასული დროა განსაზღვრული) გამოვაკლებთ, მირიანის გარდაცვალება 334 წელზე მოვა. აქედან გამომდინარე, ქართლის მოქცევის თარიღიც 334 წლის წინა ხანაშია საძიებელი.

ქართლის მოქცევის თარიღის დასადგენად ჩემს მიერ გაწეულმა კვლევა-ძიებამ ცხადჰყო, რომ ქართლში დაახლოებით 317/318 წელს გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად (როგორც ამას ჯერ კიდევ ვახუშტი ამტკიცებდა), ხოლო ქართლის ეკლესიის პირველი მეთაურის ხელდასხმა ევსტათი ანტიოქიელის მიერ ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების დაწყების წინ 324/325 წელს შედგა [28:162]. ქართლი თუ 317/318 წლებში მოიქცა, ხოლო ქართლის ეკლესიის ორგანიზაცია 325 წელს მოხდა, მაშინ ქართულ წყაროებში არსებული მითითება, მირიანის გარდაცვალებიდან ვახტანგის გარდაცვალებამდე 157 წლის გასვლის შესახებ არ ეწინააღმდეგება ამ მითითების საფუძველზე მირიანის გარდაცვალების თარიღად მიღებულ (491—157)=334 წელს.

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად ჩემს მიერ მიღებული 491 წელი რომ სწორია. ეს თვით ჯუანშერის თხზულებაში არსებულმა არა ერთმა რეალიებმა დაადასტურა [24: 25].

ახლა ვნახოთ, რამდენად სწორია მირიანის გარდაცვალების თარიღად მიღებული 334 წელი. ამ თარიღის სისწორის შესამოწმებლად ძველ ქართულ წყაროში, როგორც აღენიშნე, მეორე მითითებაც გვაქვს. ვახტანგ გორგასლის შთამომავლის — ფარსმან მეფის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ გაგრძელებაში [122:45—46] ნათქვამია: „მეფობითგან მირიან მეფისათა ვიდრე მეორისა ფარსმანისა გარდახდეს წელნი ორას ორმოცდაათი“ [116:215].

ფარსმან მეორე იგივე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ფარსმან სხვაჲ არის (ქართულ ენციკლოპედიაში იგი ფარსმან V-დ არის მიჩნეული. ტ. 10). დასახელებულ წყაროთა ერთობლივი მითითებით, ამ ფარსმან მეორის ძის — ბაკურის დროს სპარსელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს [116:217; 73:326].

თუ მირიანის გარდაცვალების თარიღად ჩემს მიერ მიღებულ 334 წელს 250 წელს მივუმატებთ, ფარსმან II-ის გარდაცვალება 584 წელზე მოვა. 541 წლისათვის კი როგორც ეს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ ვიცით, ქართლში უკვე უმეფობის ხანა იყო [33:28]. გამოდის, რომ ირანელებმა მეფობა 541 წლის წინ გააუქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითება მირიანის გარდაცვალებიდან ფარსმან II-ის გარდაცვალებამდე 250 წლის გასვლის შესახებ აშკარად უსწორობა. 250 წელი „ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ უნდა იყოს ჩასწორებული (ამით მათ მეფობის გაუქმება VI ს. 90-იან წლებზე გადაიტანეს). რადგან „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ანა დედოფლისეულ და ჭალაშვილისეულ ნუსხებში მირიანის გარდაცვალებიდან ფარსმან II-ის გარდაცვალებამდე 200 წლის გასვლაზეა მითითება (84:141; 116:215 სქოლიო; ამ ნუსხებში არსებული მითითების სისწორეს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი ადასტურებს. 86:188: როგორც ზემოთ ვნახეთ 200 წელი იცის ვახუშტიმაც).

334 წელს გარდაცვლილი მირიანიდან ფარსმან II-ის გარდაცვალებამდე თუ 200 წლის გასვლას ვიანგარიშებთ, მაშინ ფარსმანის გარდაცვალება 534 წელზე მოვა (ამ თარიღის დაახლოებითი სისწორის შესახებ იხ. თავი IX) და მისი ძის ბაკურის დროს მეფობის დასრულება. რაზეც ძველი ქართული წყაროები მიუთითებენ, 541 წლის წინა ხანაშია საძიებელი.

ფარსმან II მართლაც 534 წელს რომ იჯდა ქართლის ტახტზე, ამას მოწმობს „შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ შეტანილი ცნობა, ასევე ბიზანტიელი ისტორიკოსების იოანე მალალასი და თეოფანე ჟამთააღმწერელის მონაცემები (ამ ცნობათა შესახებ დაწვრილებით იხ. თავი IX). დასახელებულ ცნობათა გაანალიზების შემდეგ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ სასანიანებს ქართლში მეფობა ფარსმან II-ს ძის ბაკურის დროს დაახლოებით 537 წელს უნდა გაეუქმებიათ, თვით ფარსმანი კი დაახლოებით 535 წელს უნდა გარდაცვლილიყო (იხ. თ. IX. § 2).

მირიანის გარდაცვალების თარიღზე მსჯელობისას არ შეიძლება თვით „მირიანის ცხოვრების“ ცნობები არ გავითვალისწინოთ. „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის სიცოცხლეში იმპერიაში მძევლად მყოფი მირიანის ძის — ბაქარის ქართლში დაბრუნების შემდეგ, „ბოჭცევითგან მირიან მეფისათ მეოცდაბუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევი,... რომლისადავე მიეცა მეფობა სიცოცხლესავე ,მისსა“. „...ესვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე“, მოიყვანა ძე მისი ბაქარი და უთხრა „შვილო ჩემო,... შენდა მომიცემია გჯრგჯნი მეფობისა ჩენისა“ [58:129].

ზემომოტანილ ცნობაში, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა: ა. რევის გარდაცვალებისას მირიანი ხანდაზმული იყო, რის გამოც, მას ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ჰქონდა ქართლის ტახტი გადაცემული უფროსი ძისათვის (ივარაუდება რომ რევიმ რამდენიმე წელი იმეფა მირიანის სიცოცხლეში). ბ. მირიანი რევის გარდაცვალების შემდეგ დასნეულდა და იმავე წელს გარდაიცვალა.

წყაროს მითითებით, ქართლის ტახტზე რევი რადგან მირიანის სიცოცხლეში იჯდა, იგულისხმება, რომ ტახტი მას მირიანის გაქრისტიანების (ე. ი. 317/318 წელს ქართლის მოქცევის) შემდეგ უნდა დაეკავებინა. ამიტომ, ივარაუდება, რომ ქართლის მოქცევისას მირიანი უკვე ხანში შესული იყო, რის გამოც, ქართლის მოქცევიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ ტახტი მას უფროსი ძისათვის დაუთმია.

ქართლის მოქცევისას — 317/318 (თუნდაც 337) წელს მირიანი თუ ხანდაზმული იყო და მისი სიცოცხლის ბოლო წლებში რევი მეფობდა, მაშინ, რა თქმა უნდა, საეჭვოა ქართლის მოქცევის შემდეგ მას კიდევ 25 წელი — 362 წლამდე ეცოცხლა. თანაც, 361 წელს მოხსენიებული მერიბანი რომ მირიანი ყოფილიყო, მაშინ ბიზანტიის საიმპერატორო კარს, როგორც ამას ამიანუს მარცელინუსი წერს (XXI, 6, 7), მირიანის „უხვი დასაჩუქრება“, რათა მას ირანელთა მხარე არ დაეკავებინა, არ დაჭირდებოდა. როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ წყაროთა მითითებით გაქრისტიანების შემდეგ მირიანი ხომ ბიზანტიურ ორიენტაციას დაადგა [58:115; 166:99].

არათუ 361 წელს არის საეჭვო მირიანის ქართლის ტახტზე ყოფნა, როგორც ვნახეთ. 335 წელსაც კი. როგორც ამას მოვსეს ხორენაცი გადმოგვცემს, ამ წელს იგი ბრძოლაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას. აშკარაა 361 წელს ქართლის მეფედ დასახელებული მერიბანი მირიანი არაა.

„მირიანის ცხოვრებიდან" ზემომოტანილ ცნობაში. როგორც ვნახეთ, მირიანის გარდაცვალების თარიღად, მისი მოქცევიდან ოცდამეხუთე წელია მითითებული. მირიანის გარდაცვალების თარიღი, სწორედ 25-წლიან მითითებაზე დაუმყარებია ვახუშტი ბატონიშვილს. იგი ქართლის მოქცევას 317 წელზე დებდა, ამიტომ მირიანის გარდაცვალების თარიღად 342 წელი მიიღო (იხ. გვ. 25, შენ. 9).

მითითება ქართლის მოქცევიდან მირიანის გარდაცვალებამდე ოცდახუთი წლის გასვლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის ცხოვრების" ანა დედოფლისეულ ნუსხაში გვაქვს [84:83], იგი მაინც არარეალური მეჩვენება.

ქართლის მოქცევიდან მირიანის გარდაცვალებამდე გასული დროის მონაკვეთს „ქართლის ცხოვრების" გადამწერ-რედაქტორები. როგორც ჩანს, ადრევე ეძებდნენ. ამიტომ, ზოგი გადამწერი ამ თარიღს თვითონ ასწორებდა მაგ., „ქართლის ცხოვრების" ჭალაშვილისეულ ნუსხაში 26 წლის გასვლაზეა მითითება [58:129, შენ.]. თეიმურაზ ბაგრატიონი წერს. რომ „მირიანი მოქცევის 35 წელს მოკვდა" [37:272], „ქართლის ცხოვრების" ფალავანდიშვილისეული ნუსხიდან [გადაწერილია 1661 წ.] მომდინარე მ. ბროსესეულ ნუსხაში [91:052] 15 წლის გასვლაზეა მითითება [58:129, შენ.]. ეს უკანასკნელი, მართალია, დაახლოებით ემთხვევა მირიანის გარდაცვალების თარიღად ჩემს მიერ მიღებულ 334 წელს (317) 318+15= 332 (333), მაგრამ არა მგონია იგი დედნიდან მომდინარეობდეს.

მითითება ქართლის მოქცევიდან მირიანის გარდაცვალებამდე როგორც 25, 26, 35 ისე 15 წლის გასვლის შესახებ „მირიანის ცხოვრების" თავდაპირველი ტექსტიდან არ უნდა მომდინარეობდეს. ვფიქრობ, უფრო სწორი უნდა იყოს, „ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში არსებული შემდეგი ცნობა: როცა გაათავისუფლა კონსტანტინემ მირიანის 'ძე ბაკარი მძევლობიდან. ამის შემდეგ დაამთავრა საეპისკოპოსო ეკლესია და იმ დღეებში გარდაიცვალა მირიანის ძე რევი, რომელმაც ოცდათოთხმეტი წელი იცოცხლა. იმავე წელს ავად გახდა მირიან მეფე, მოუწოდა თავის შვილს, დაადგა გვირგვინი და დაიძინა. მეორე წელს განისვენა ნანა დედოფალმაც [86:129—130].

რადგან მირიანი და რევი ერთ წელს გარდაიცვალნენ, ზემომოტანილი ცნობის საფუძველზე გამოდის, რომ კონსტანტინოპოლიდან ბა-

ქარის დაბრუნების შემდეგ, მირიანი ჩქარა გარდაიცვალა[27] და იმავე წელს გარდაცვლილი რევი 34 წლისა იყო. ეს უკანასკნელი მითითება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეტად მნიშვნელოვანია.

როგორც ვხედავთ, XII ს-ში შესრულებულ „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში ქართლის მოქცევიდან მირიანის გარდაცვალებამდე გასულ დროზე არაფერია ნათქვამი. და პირიქით, „ქართლის ცხოვრების" დღემდე შემონახულ ნუსხებში არაა ცნობა რევის 34 წლის ასაკში გარდაცვალების შესახებ.

მირიანის 334 წ. გარდაცვალება ჰეშმარიტებასთან რომ ახლოა, ეს შემდეგითაც დასტურდება: 1. ძველი ქართული და სომხური წყაროები მირიანს სომხეთის მხოლოდ პირველი ქრისტიანი მეფის თრდატის (298—330) და მისი ძის ხოსრო II კოტაკის (330—338) თანამედროვედ ასახელებენ.

2. ძველ ქართულ წყაროთა მითითებით მირიანი მხოლოდ იმპერატორ კონსტანტინე დიდის (306—337) თანამედროვე იყო. მირიანს რომ 362 წლამდე ეცოცხლა და იგი კონსტანტინეს ძეების: კოსტანტინ II-ის (გარდ. 340 წ.), 'კოსტანტის (გარდ. 350 წ.) და კონსტანციუს II-ის (გარდ. 361) თანამედროვეც ყოფილიყო, მაშინ ქართულ წყაროებში ამის შესახებ რაიმე მითითება შემოინახებოდა.

მირიანის შესახებ, როგორც ცნობილია, ცნობები არის ძველი სომეხი ავტორის მოვსეს ხორენაცის თხზულებაში. მისი ცნობა, მირიანის ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილ ხალხებთან ბრძოლაში დაღუპვის შესახებ, როგორც ვნახავთ. მართალია, სიმართლეს არ შეეფერება, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ხორენაცმ მირიანის გარდაცვალება ამ ლაშქრობას დაუკავშირა საინტერესოა, ამიტომ ქვემოთ მასზე შევჩერდები.

ხორენაცის ცნობას როცა გ. მელიქიშვილი შეეხო აღნიშნა: „რამდენად ჰეშმარიტია ეს ცნობა — ძნელი სათქმელია". რადგან ქართული წყაროები საწინააღმდეგო ჩვენებებს შეიცავს, „მეფეთა ცხოვრებაში" არსებული ცნობის თანახმად, მირიანი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა [69:162].

ხორენაცისთან მირიანი (მიჰრანი) ხან „გუგარელთა პიტიახშად", ხან „ქართველთა წინამძღოლად" არის ნახსენები. სომხური წყაროს ასეთი მონაცემები ალ. აბდალაძემ იმით ახსნა, რომ ხორენაცი ზოგჯერ ერთმანეთთან აიგივებს ქართლსა და გუგარქს (ქვემო ქართლს) და ამით თითქოს ხაზს უსვამს, ქართლის მეფეც ისეთივე ქვეშევრდომი რომაა სომეხთა მეფისა, როგორც გუგარქის პიტიახში. მირიანის სო-

---

27 რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს კონსტანტინე 324 წელს დაეუფლა [28:151], ამიტომ მის მიერ იმპერიაში მძევლად მყოფი ბაქარის განთავისუფლება 324 წლის შემდეგაა სავარაუდებელი.

შეხთა მეფის სარდლად გამოცხადებაც, — დასძენს იგი, — ამას მოწმობს. სინამდვილეში სომეხთა მეფის ოთხ სარდალს შორის შეიძლებოდა ყოფილიყო გუგარქის პიტიახში, როცა ეს ქვეყანა სომხეთს ექვემდებარებოდა [72:281, შენ. 9].

ახლა თვით ხორენაცის ცნობებს გადავხედოთ და ვნახოთ, რამდენად სწორია მისი ცნობები მირიანის შესახებ.

მირიანს ხორენაცი ორ სხვადასხვა ომთან დაკავშირებით იხსენიებს. ხორენაცის თანახმად, სომეხთა მეფე თრდატმა დაამარცხა ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ბასილები (ბარსილები) და გაქცეულებს ჰუნების მიწებამდე სდია. როცა გამობრუნდა, თან დიდძალი ჯარი წამოიყვანა. თვითონაც შეჰყარა თავისი ლაშქარი და გაემართა სპარსთა ქვეყნისაკენ შაპუჰ არტაშირის ძის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობისას, — განაგრძობს ხორენაცი, — მხედართმთავრებად თავისიანებიდან ოთხი კაცი შეარჩია, რომელთაგან ერთი იყო ქართველთა წინამძღოლი მირიანი [28], რომელსაც ენდო ქრისტეს რწმენის გამო [72: 170]. ამის შემდეგ ხორენაცი გადმოსცემს ნინოს მიერ „ქართველთა წინამძღოლის მიჰრანის" ცოლის განკურნების, მირიანის ნადირობისა და მოქცევის ამბავს. ყვება ნინოს მოთხოვნით როგორ გააგზავნეს კაცი სომეხთა განმანათლებელ გრიგორისთან შეკითხვით თუ როგორ მოქცეულიყვნენ. შემდეგ ხორენაცი დასძენს, რომ ნინომ „იქადაგა (სახარება) კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე. როგორც ამას აგათანგელოსი გაუწყებს შენ" [72:171—172].

ქართლის მოქცევის ამბავი ხორენაცის, როგორც თვით წერს, რადგან აგათანგელოსის ცნობებზე დაყრდნობით აქვს გადმოცემული [ამის შესახებ ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა. 105:223], ვნახოთ თვით აგათანგელოსის ცნობები.

V ს. სომეხი ისტორიკოსი აგათანგელოსი „წმინდა გრიგოლ პართელის ცხოვრებაში" სომეხთა მოქცევაზე საუბრისას გრიგოლის მიერ ახალი რელიგიის გავრცელებას მართლაც კლარჯეთამდე აღნიშნავს [145:175, შენ. 1]. ამ მხრივ ხორენაცი სწორია. მაგრამ, აგათანგელოსთან არაფერია ნათქვამი ქართველთა განმანათლებელს — ნინოს გრიგოლისათვის რაიმე შეკითხვა გაეგზავნოს. ამიტომ, ხორენაცის თხზულებიდან ზემომოტანილი ამბები აშკარაა აგათანგელოსის ცნობათა ხორენაცისეული ინტერპრეტაციაა. აგათანგელოსის თხზულების არაბულ ვერსიაში თრდატის ქვეშევრდომად არა მარტო ქართლის (თუმცა მასში კონკრეტულად მირიანი არ იხსენიება). არამედ ალბანეთის (ალანეთის?) და რუსთა მეფეც კია დასახელებული [145:133].

---

[28] სომხურ ტექსტშია მიჰრანი [72:278, შენ. 203].

როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, აგათანგელოსის თხზულებასთან ერთად ხორენაცი რადგან „ნინოს ცხოვრებასაც“ იცნობდა [105:223], თავისთავად ცხადია, გააანალიზა რა ამ წყაროთა ცნობები აგათანგელოსმა, რადგან ქართლის მეფეს თრდატ III-ის ქვეშევრდომად იხსენიებს, მირიანი თრდატის ქვეშევრდომად გამოაცხადა.

ხორენაცის ცნობები მირიანის შესახებ არც სხვა მხრივაა რეალური.

ხორენაცის მიერ დასახელებული „შაპუჰ არტაშირის ძე“, ირანის შაჰი შაბურ I (242—272) არის და გამოდის, რომ მეფე თრდატმა მირიანთან ერთად შაბურ I-ის წინააღმდეგ 272 წლის წინ, როცა მას არათუ სომხეთის ტახტი ჰქონდა დაკავებული, შეიძლება დაბადებულიც არ იყო. მაშინ გაილაშქრა. აღნიშნულთან ერთად, ამ ლაშქრობისას ხორენაცი მირიანს ქრისტიანად ასახელებს. რა თქმა უნდა, 272 წლის წინა ხანაში მირიანის ქრისტიანობაზე საუბარი არ შეიძლება. ასე რომ, „შაპუჰ არტაშირის ძის“ წინააღმდეგ ვერც თრდატი გაილაშქრებდა და არც ქართლის მეფე იქნებოდა მის მხედართმთავართა შორის. ამ მხრივ ხორენაცის ცნობები ისტორიულ რეალობას არ ასახავს. პირიქით, სანამ თრდატი და მირიანი გაქრისტიანდებოდნენ, როგორც ეს „მირიანის ცხოვრებაშია“ ნათქვამი, ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ. ამ ცნობათა გაანალიზებისას ლ. ჯანაშიამ აღნიშნა: „მირიანსა და თრდატს შორის ყოფილა ომი, რომლის დროსაც რომაელები ეხმარებოდნენ თრდატს, ირანელები — მირიანს. შემდეგ კი მირიანს ირანელებთან ერთად სომხეთის გავლით რომაელთა წინააღმდეგ ულაშქრია. ყველაფერი ეს, — დასძენს ლ. ჯანაშია, — შეიძლებოდა მომხდარიყო ირან-რომის ომის დროს 296—297 წლებში, რადგან სწორედ ამ პერიოდში სომხეთი უკვე რომაელთა ბანაკში იყო, ქართლი კი ჯერ კიდევ ირანელთა მოკავშირედ გამოდიოდა. რომაელთა გავლენის სფეროში ქართლი. — ასკვნის იგი, — როგორც ცნობილია, ნიზიბინის ზავის შემდეგ შევიდა“ [110:62].

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულ წყაროში ქართლისა და სომხეთის ურთიერთობა ამ ქვეყნებში ქრისტიანობის გამარჯვების წინსულ სხვაგვარად და რეალურად არის წარმოდგენილი. მასში თრდატი რომაული ორიენტაციის დამცველად გამოდის. მართლაც, 287 წლიდან იგი ხომ რომის იმპერიაში იმყოფებოდა და სამეფო ტახტი 298 წელს იმპერატორ დიოკლეტიანეს მხარდაჭერით დაიკავა. რაც შეეხება მირიანს, როგორც ამის შესახებ მისი „ცხოვრება“ გადმოგვცემს, მან მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ დადო კავშირი იმპერიასთან [ეს ცნობა ბიზანტიელი ისტორიკოსის სოზომენეს მონაცემით დასტურდება. 28:162]. ვფიქრობ, ქართული წყაროს ცნობების ლ. ჯანაშიასეული ინტერპრეტაცია თრდატსა და მირიანს (უფრო სწორად მირიანის მა-

მის რევს) შორის 296/297 წლებში ომიანობის შესახებ სწორია. მხოლოდ ამ ბრძოლის შემდეგ დადებულ ზავს უნდა მოჰყოლოდა ქართლისა და სომხეთის დაახლოება, რაც მირიანისა და თრდატის დანათესავებაშიც გამოიხატა.

ასე რომ, მირიანისა და თრდატის ერთობლივი ბრძოლა ირანის წინააღმდეგ, რის შესახებაც ხორენაცი მოგვითხრობს, მხოლოდ 298 წლის შემდეგაა სავარაუდებელი, ხოლო ხორენაცის მიერ მოხსენიებული „შაპუჰ არტაშირის ძე" შაბურ II (309—379) უნდა იყოს. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მიუთითებდეს თვით ხორენაცის ის ცნობა, რომლის თანახმად, ამ ერთობლივი ლაშქრობის შემდეგ შაბურმა კონსტანტინეს ზავი მოსთხოვა. კონსტანტინე დათანხმდა და ამის შემდეგ გაემგზავრა დედოფალი ელენე იერუსალიმში [72:173].

ირანსა და რომს შორის 324—326 წლებში მომხდარი ომი უნდა იგულისხმებოდეს ჯუანშერის იმ ცნობაში, რომელშიც იგი ქართლის მოქცევისას სპარსთა და ბერძენთა შფოთზე მოგვითხრობს [116:197].

ხორენაცი რადგან კონსტანტინესთან ზავის დადებაზე ლაპარაკობს, კონსტანტინე მხოლოდ 324 წელს დაეუფლა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს და ვფიქრობ, ხორენაცის ცნობაც ზავის დადების შესახებ 324 წლის შემდეგ ხანას უნდა გულისხმობდეს 326 წლამდე, რადგან დედოფალი ელენე 325 წელს გაემგზავრა იერუსალიმში, ხოლო დაახლ. 326 წ. გარდაიცვალა. იხ. სტ. Helena Flavia. ანტიკურობის ენციკლ., ლაიპციგი, 1985 (გერმან. ენაზე).

ამრიგად, ხორენაცის ცნობაში ირანის წინააღმდეგ თრდატისა და მირიანის ერთობლივი ლაშქრობის შესახებ 324—326 წლებში ირანსა და რომს შორის მომხდარი რომელიღაც შეტაკება იგულისხმება. ამ დროისათვის როგორც თრდატი, ისე მირიანი ქრისტიანები და რომაული ორიენტაციისანი იყვნენ და მართლაც შეიძლებოდა ისინი ერთად გამოსულიყვნენ რომაელთა მხარეზე.

ახლა რაც შეეხება ხორენაცის ცნობას მირიანის ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილ ხალხებთან ბრძოლაში დაღუპვის შესახებ. ხორენაცის მიერ მოთხრობილი ეს ამბავი თრდატ III-ის ძის ხოსროვის მეფობაში (330—338) ხდება. ხორენაცის თანახმად, სომხეთში მოსულმა ბიზანტიელთა სარდალმა ანტიოქოსმა „სომხეთში გაამეფა ხოსროვი" (იგულისხმება 330 წელს) და მანვე იგივე უფლებები მიანიჭა ოთხ მხედართმთავარს (მათ თითქოს ჯერ კიდევ თრდატმა მისცა ეს სახელები), რომელთაგან „მეორე მირიანი, ქართველთა წინამძღოლი და გუგარელთა პიტიახში, ჩრდილოეთის ლაშქრის მხედართუფროსი" იყო [72:184].

ზემომოტანილი ცნობიდან, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა: 330 წელს თრდატ III-ის გარდაცვალების შემდეგ, მის ძეს რომ სომ-

ხეთის ტახტი დაეკავებინა ბიზანტიელთა ჩარევა დასჭირებია. აღნიშნული, ვფიქრობ, იმით უნდა აიხსნას 324—326 წლებს შორის მომხდარი ირან-რომის ომის თუ საომარი კონფლიქტის დროს სომხეთი რომის იმპერიის მხარეზე რომ გამოსულა, რის გამოც, ირანის შაჰს ხოსროვისათვის გამეფების უფლება აღარ მიუცია. ეს რომ ასეა და ბიზანტიელი სარდალი ანტიოქოსი ამიერკავკასიაში ანტიირანული — საერთო ბიზანტიურ ღონისძიებათა გასატარებლად იყო მოსული იქიდან ჩანს, მას თან იმპერიის ლაშქარი (კილიკიელები, გალატიელები) რომ ახლდა [72:184].

ხორენაცის თანახმად, ანტიოქოსი გაემართა რა მეფე შაპუჰის წინააღმდეგ საბრძოლველად „სომეხთა მეფე ხოსროვი ადგილზე დატოვა, რამეთუ იყო იგი ტანად პატარა, ძვალსუსტი და ომისათვის შეუფერებელი აღნაგობისა"[29]. ანტიოქოსმა, დასძენს შემდეგ ხორენაცი, „ბერძნებთან ერთად წაიყვანა მირიანი და ბაგრატი მათი ჯარებითურთ და გაემართა სანატრუკის წინააღმდეგ" [72:184].

სანატრუკი ამ დროს ალბანეთის მეფე იყო. ანტიოქოსმა ალბანეთისაკენ გაილაშქრა. სანატრუკმა როცა ეს გაიგო, „ალვანელი ნახარარების თანხლებით სასწრაფოდ გაეშურა მეფე შაპუჰისაკენ" [72:184]. სანატრუკმა რადგან ბრძოლას აარიდა თავი, ანტიოქოსი იმპერიაში გაბრუნდა, ე. ი. ამიერკავკასიაში ამ დროს ბრძოლა არ მომხდარა, თუმცა ანტიოქოსის მიერ მხედართმთავრად დანიშნული მანაჭიჰრი თავისი ლაშქრით შუამდინარეთში ქ. ნისიბისთან (ეს ქალაქი იმ ხანად იმპერიის ფარგლებში შედიოდა) ახლოს ირანელებს ებრძოდა [72:184]. მსგავსი ცნობა აქვს მოვსეს კალანკატვაცის. მოვსესის თანახმად, როცა ალბანეთში სანატრუკი გამეფდა, მან სომეხთა წინააღმდეგ გამოილაშქრა. სწორედ ამ დროს მიიწვია ხოსროვმა ანტიოქოსი ბერძენთა ჯარით. ბაგრატი დასავლეთის ჯარით და „მიჰრანი ივერიის პიტიახში" [148:34].

ხოსროვის გამეფების თარიღად 330 წელი ითვლება. ამიტომ ანტიოქოსის ამიერკავკასიაში მოსვლა 330 წელსაა სავარაუდებელი, შეიძლება ვიფიქროთ, „ქართველთა წინამძღოლსა და გუგარელთა პიტიახშს" (ძვ. წ. II ს-იდან ერთხანს გუგარქი—ქვემო ქართლი სომხეთის სამეფოში შედიოდა. როგორც ჩანს, ხორენაცი ძველი ტრადიციით იხსენიებს მირიანს ასე) ირანის წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერიის მხარეზე ამიერკავკასიაში მიმდინარე ბრძოლაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ეს ბრძოლა საერთო ანტიირანული კამპანიის ნაწილი იყო.

---

29 ხორენაცი სხვა ადგილას წერს: „მართალია ხოსროვი ტანად არ იყო დიდი, მაგრამ არც ალექსანდრე მაკედონელივით პატარა ყოფილა, რომლის სიმაღლე წყრთა თუ იქნებოდა" [72:185].

ასე რომ, მირიანის სომხეთის ერთ-ერთ სარდლად გამოცხადება ძველ ცნობათა ხორენაციისეული ინტერპრეტაციაა.

ხორენაციისავე ცნობით, ზემოაღწერილი ომის შემდეგ. როცა „სპარსთა მეფესთან ზავი" დაიდო [72:185], ჩრდილოეთელებმა შეიტყვეს „ხოსროვის სილაჩრისა და მცონარობის შესახებ... გაერთიანდნენ ჩრდილო კავკასიელები და სანატრუკისაგან გადაბირებული სპარსთა მეფე შაპუჰის საიდუმლო ბრძანებით გამოილაშქრეს... და მოაღწიეს ჩვენი ქვეყნის შუაგულს" [72:186]. ხორენაცის თანახმად, სწორედ ამ ბრძოლაში დაიღუპა მირიანი (მიჰრანი). „რაც შეეხება მირიანს, იგი [ბრძოლაში] დაეცა, ხოლო ჩვენი ჩრდილოეთის ჯარი დამარცხდა და გაეცალა მტერს, რომელმაც ვალარშაპატის კარებამდე მოაღწია და გარემოიცვა იგი" [72:186].

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში შაბურ II-ის წყაროებით ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში მასკუტების (მასახეჰუნების) შემოჭრა 335 წლით არის დათარიღებული [162:188—197; 141:41; 133:91]. ბრძოლებში ბიზანტიის მონაწილეობაზეც მიუთითებენ. ამიტომ, ცხადია, ამიერკავკასიის ქრისტიანი სახელმწიფოები (ქართლი და სომხეთი) იმპერიის მხარეზე გამოვიდოდნენ. ასე რომ, 335 წლის ბრძოლებში ქართლის მონაწილეობა გამორიცხული არაა. მაგრამ, ჩრდილოეთის ხალხებთან ბრძოლაში დაღუპული მიჰრანი რომ ქართლის მეფე არაა იქიდანაც ჩანს, რომ მიჰრანის დაღუპვის შემდეგ ხოსროვმა მის ნაცვლად სარდლად ხორხორუნთა უფალი გარჯუილ მალხაზი დანიშნა[30] [72:186]. რა თქმა უნდა, მიჰრანი რომ ქართლის მეფე მირიანი ყოფილიყო, იგი ქართლის ჯარით იქნებოდა გამოსული სანატრუკის წინააღმდეგ და მისი დაღუპვის შემდეგ ქართლის ჯარის სარდლად მირიანის ძე დაინიშნებოდა და არა ხორხორუნთა უფალი. სანტრუკის ლაშქრობის შესახებ სომეხთა წინააღმდეგ კალანკატვაციც მოგვითხრობს, მაგრამ ბრძოლაში ქართლის პიტიახშის მიჰრანის დაღუპვის შესახებ არაფერს წერს [148:34]. 335 წლისათვის მირიანი თუნდაც ცოცხალი ყოფილიყო, იგი ბრძოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, მირიანის მოხუცებულობის გამო ქართლის ტახტზე ხომ მისი ძე რევი იჯდა.

ხორენაციმ, როგორც ჩანს, სომხეთის მეფის ქვეშევრდომობაში მყოფი ვინმე მიჰრანი[31] მიიჩნია ქართლის მეფედ. მეორე მხრივ, იქნებ

---

30 ალ. აბდალაძის ვარაუდით, ბუზანდაცის ცნობაში IV ს. 60-იან წლებში ქართლის სამეფოდან გუგარქის დროებით ჩამოშორების ამბავი უნდა იყოს ასახული [72:281, შენ. 12].

31 ამ მხრივ საყურადღებოა, მოვსეს კალანკატვაცისთან შემონახული ცნობა ირანიდან მიჰრანთა საგვარეულოს გამოქცევისა და გარდაბანში დამკვიდრების შე-

ჰქონდა მას რაიმე ცნობა დაახლოებით 334 წელს ქართლის მეფის მირიანის გარდაცვალების შესახებ (მირიანი ამ წელს ბუნებრივი სიკვდილით უნდა გარდაცვლილიყო).

§ 2. მირიანის დაბადებისა და გამეფების თარიღი

„მირიანის ცხოვრებაში" არსებული ცნობით, მირიანი 7 წლისა გამეფდა. ვახუშტი მირიანის მეფობის ხანგრძლივობას 77 წლით განსაზღვრავს. ვახუშტის მითითება თუ ძველი წყაროდან მომდინარეობს და იგი სწორია, მაშინ გამოდის რომ მირიანს 84 წელი უცოცხლია

როდის ავიდა იგი ქართლის ტახტზე?

მირიანი, როგორც ვნახეთ, 334 წელს უნდა გარდაცვლილიყო. მეორე მხრივ, მირიანმა თუ მართლაც 84 წელი იცოცხლა, მაშინ იგი (334—84) 250 წელს დაბადებულა. მირიანი რადგან 7 წლისა იყო როცა ახლად გარდაცვლილი ქართლის მეფის ასფაგურის ასული აბეშურა შეირთო, მისი გამეფება 257 წელზე მოვა.

ახლა ვნახოთ მირიანის გამეფების თარიღად მიღებული 257 წელი რამდენად შეესაბამება იმ დროის ისტორიულ ვითარებას.

ვახუშტი აბეშურას მამის ასფაგურის მეფობის ხანგრძლივობას 3 წლით განსაზღვრავს [34:69]. ვახუშტის ეს მითითება რამდენად სარწმუნოა არ ვიცი. მაგრამ თუ იგი ძველი ხელნაწერიდან მომდინარეობს და სწორია, მაშინ მირიანი, რადგან ასფაგურის გარდაცვალების (257 წ.) შემდეგ გამეფდა. ასფაგურის ზეობა 254—257 წელზე მოვა.

„მეფეთა ცხოვრებაში" ხაზგასმულია, რომ ალექსანდრე მაკედონელის ხანიდან მოკიდებული ასფაგური იყო „უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა" კერპთმსახური [58:59]. მიუხედავად იმისა, რომ წყაროში ასფაგურის მეფობა „მცირე ხნით" არის განსაზღვრული, მისი მეფობის შესახებ შედარებით ვრცლადაა მოთხრობილი, რაც მისი მირიანთან ნათესაობით უნდა აიხსნას. ცნობა ასფაგურის „მცირე ხნით" (3 წ.) მეფობის შესახებ თუ მირიანის თანადროული წყაროდან მაინც მოდის, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასფაგურის შესახებ ცნობები ასე ვრცლად „მირიანის ცხოვრებაში" შედარებით გვიან უნდა შეეტანათ. რა თქმა უნდა, „მირიანის ცხოვრე-

---

სახებ. მართალია კალანკატვაცი გარდაბანში მიჰრანთა დამკვიდრებას ბაკრამ ჩუბინის აჯანყებას (589 წ.) უკავშირებს [148:93—94], მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მიჰრანთა საგვარეულო უძველესი დროიდან ჩანს ამიერკავკასიაში (23), მაშინ მიჰრანთა ამ მხარეში დამკვიდრება გაცილებით ადრეა სავარაუდებელი და შესაძლოა, მათი რომელიმე წარმომადგენელი დაიღუპა 335 წელს.

ბის“ შემდგენელს[32] გაუჭირდებოდა ასფაგურის მეფობის ზუსტი წლების მითითება. ეფიქრობ, ამით უნდა აიხსნას ასფაგურის მეფობის განსასაზღვრავად სინქრონული ხერხი რომაა გამოყენებული. წყაროში მის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „ქასრე ანუშარვან სასანიანის, რომელმან მოსრნა მეფენი აღღალანიანნი, რომელი იცნობების არდაბირობით“ თანამედროვე იყო [58:59].

არდაშირ სასანიანი, სასანიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი და პირველი შაჰი არდაშირ I (226—241) არის. ამ ცნობის საფუძველზე ასფაგური არდაშირ I-ის თანამედროვე გამოდის (ასეა სწორედ ასფაგურის შესახებ მითითებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. იხ. სტ. ასფაგური. ავტ. ნ. ლომოური) და ზემოთ ჩემს მიერ ასფაგურის მეფობის თარიღად მიღებული 254—257 წლები თითქმის 20 წლით შორდება არდაშირ I-ის ეპოქას.

აღნიშნულის მიუხედავად, „მეფეთა ცხოვრების“ ცნობები ასფაგურის შესახებ რეალური ჩანს. რადგან ისინი ისე კარგად ესადაგება სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩვენთვის ცნობილ არდაშირ I-ის ძის—შაბურ I-ის (241—272) მეფობის ხანის ამბებს, რომ საეჭვო აღარ ჩანს წყაროში შაბურ I-ის დროის მოვლენები რომაა გადმოცემული. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებლად უნდა იქნას მიჩნეული ასფაგური შაბურ I-ის თანამედროვე რომ იყო.

„მეფეთა ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, როცა სომხეთში კოსარო [უნდა იგულისხმებოდეს სომხეთის მეფე ხოსროვ I (217—238)][33] გამეფდა, „მან ბრძოლა დაუწყო „ქასრე მეფესა სპარსთასა“. ხოსროვს ასფაგურიც შველოდა ჩრდილო კავკასიელი ხალხებით და როგორც წყაროშია ნათქვამი, მოკავშირეები თითქოს შევიდნენ სპარსეთს „აოტეს იგი და მოსპეს სპა მისი“ [58:59].

როგორც აღვნიშნე, ქართული წყარო ასფაგურს არდაშირ I-ის თანამედროვედ მიიჩნევს და სომხეთის მეფეც არდაშირის თანამედროვედაა დასახელებული. დღეს ჩვენ კარგად ვიცით, რომ არდაშირ I-მა თავისი მეფობის დიდი ნაწილი ირანის გაერთიანებისათვის ბრძოლას მოახმარა. შემდეგ იგი დიდხანს იბრძოდა ირანის აღმოსავლეთი რაიონებისა და პართიის კუთვნილი შუაზიური სამფლობელოების დასამორჩილებლად. არაბი ისტორიკოსის ატ-ტაბარის (გარდ. 923) ცნობით, ამ დროს მას დაუმორჩილებია ქერმანი, სისტანი, გურ-

---

32 თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობიდან გამომდინარე, „მირიანის ცხოვრების“ ავტორად მაეყან სპასპეტი ივარაუდება. იგი წერს, რომ მაეყანი იყო „ბუნებით ქართველი, სწავლულიცა და მეისტორე, სპასალარი მეფეთა ნინაშე“ [37:33].

33 ასეა დათარიღებული ხოსროვ I-ის მეფობა საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში (ტ. I, სტ. Аршакиды армянские), ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. I, გვ. 614) კი მისი ზეობის წლებად 198—215 წლებია მითითებული.

განი, აბარშაჰრი, მერვი, ბალხი და ხორეზმი [125:333]. არდაშირ I-ის დაპყრობათა რეალური სურათი, როგორც მ. დიაკონოვი მიუთითებს, მოცემულია ზოროასტრის ქააბას წარწერაში, სადაც შაბურ I მისი მამის — არდაშირ I-ის ქვეშევრდომთა შორის იხსენიებს: ქერმანის, სისტანის, მერვისა და აბარშაჰრის მეფეებს [125:333; შდრ., 3]. რადგან არდაშირ I-მა თავისი მეფობა ირანის გაერთიანებისა და აღმოსავლელი მეზობლების დამორჩილების ბრძოლას შეალია და ისე გარდაიცვალა, რომ ამიერკავკასიაში არ შემოსულა, ქართველ-სომეხთა ერთობლივი ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ, როგორც ეს ქართული წყაროს თხრობიდან გამომდინარეობს, შაბურ I-ის (224—272) მეფობის ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. თუმცა არც შაბურ I-ს დაუწყია თავისი ლაშქრობა გამეფებისთანავე ამიერკავკასიისაკენ. პირველ ხანებში, როგორც ეს „არბელის ქრონიკიდან" ჩანს, ისიც ირანის აღმოსავლეთში იბრძოდა. ქრონიკაში ნათქვამია, რომ არდაშირის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასულ შაბურს მეფობის პირველ წლებში ომი ჰქონდა ხორეზმელებთან, მთის მიდიელებთან და გაიმარჯვა მათზე. აქედან იგი გაემართა და დაამარცხა გელები, დაილამიტები. ზღვის მახლობლად მცხოვრები გურგანები და შიშის ზარი დასცა ყველას [153:159].

შემდეგ, შაბურ I რომის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა შუამდინარეთში. 249 წლიდან 253 წლამდე იგი ებრძოდა სომხეთს, რომელსაც რომის იმპერია უჭერდა მხარს. ამიტომ სომხეთთან ომი რომთან ახალ ომში გადაიზარდა და თითქმის 262 წლამდე შაბური რომის იმპერიის დასავლეთ საზღვარზე იბრძოდა [128:98].

ქართლის მეზობელ სომხეთთან შაბურ I-ის ომი იმას ნიშნავდა, რომ სომხეთის დაპყრობის შემდეგ, ქართლის ჯერი დადგებოდა, ეს რომ მართლაც ასე მოხდა, ამის შესახებ „მირიანის ცხოვრება" მოგვითხრობს. „ვითარცა დაიპყრა სომხეთი სპარსთა მეფემან", — ნათქვამია მასში. — შემდეგ „შემოვიდა ქართლად". „წარვიდა ასფაგურ ქართველთა მეფე ოვსეთს, რათამცა მოიმატნა სპანი ოვსეთით და განამაგრა ციხე-ქალაქნი. ხოლო რაჟამს შევიდა ასფაგურ ოვსეთად ეწია სიკუდილი და მოკუდა მუნ" [58:62].

ზემომოტანილი ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ასფაგური ირანის მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ გარდაიცვალა. როგორც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, სომხეთი შაბურ I-მა 255/256 წელს დაიმორჩილა [141:33]. თავისთავად ცხადია, სომხეთის დამორჩილების შემდეგ შაბურ I ქართლის დაპყრობას შეეცდებოდა. ირანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მზადებისას, ოვსთა დამხმარე ლაშქრის დასაქირავებლად ასფაგური ჩრდილო კავკასიაში გადასულა, სადაც „ეწია სიკუდილი და მოკუდა მუნ". ასე უბრალოდ

გადმოგვცემს წყარო ასფაგურის ჩრდილო კავკასიაში გარდაცვალებას. ოესეთში გადასული ასფაგური რამ მოკლა? რა თქმა უნდა, ავადმყოფი რომ ყოფილიყო იგი თვით არ წავიდოდა ჯარის დასაქირავებლად. 257 წ. მის დაღუპვასთან იქნებ უშუალო კავშირი აქვს დაახლოებით 258 წელს კავკასიის ზეკარებით ამიერკავკასიაში გოთების შემოჭრას. წარმოშობით კაპადოკიელი ისტორიკოსის ფილოსტორგიუსის ცნობით, ამ ლაშქრობისას გოთებმა კაპადოკიამდე მიაღწიეს [175: 797]. საეჭვო არ უნდა იყოს, სანამ გოთები ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში გამოილაშქრებდნენ პირველი ბრძოლები 257 წელს ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან ექნებოდათ და ამ წელს ჩრდილო კავკასიაში მყოფი ასფაგური შესაძლოა გოთებთან ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა.

255/256 წელს შაბურ I-მა სომხეთი კი დაიპყრო; მაგრამ ამის შემდეგ დაიმორჩილა მან ქართლი თუ არა?

ნ. პიგულევსკაიას თანახმად, 256 წელს შაბურ I-ის მიერ წამოწყებული სამხედრო კამპანია რომის იმპერიის წინააღმდეგ წარმატებითი არ უნდა ყოფილიყო, რადგან იმპერატორი ვალერიანუსი 257 წელს გამოშვებულ მონეტაზე პართელად („parthicus") იწოდება, რაც ამ კამპანიაში რომაელთა წარმატებაზე მიუთითებს [153:159]. ასე რომ, სომხეთის დაპყრობის შემდეგ შაბურ I-მა, როგორც ჩანს, ქართლისათვის ვერ მოიცალა. არის ცნობა 257 წელს ანტიოქიაში სპარსელთა გარნიზონის განადგურების შესახებ; ამიტომ, ვარაუდობენ რომ 256—257 წლებში შაბურს ისევ სირიაში უნდა გაეგრძელებინა სამხედრო მოქმედებანი.

259—260 წლებში ირან-რომის ომის მესამე ეტაპი დაიწყო. 260 წ. გადამწყვეტ ბრძოლაში ქ. ედესასთან შაბურ I-მა იმპერატორ ვალერიანეს 70000-იანი არმია გაანადგურა, თვით იმპერატორი კი დაატყვევა, რის შემდეგაც შაბურ I-ს სირიასა და მცირე აზიისაკენ გზა გახსნილი ჰქონდა [153:164].

260 წლამდე რომაელთა აქტიურობა, როგორც ჩანს, გარკვეულწილად აჩერებდა ირანის აგრესიას ქართლის მიმართ. 260 წლიდან ქართლის მესვეურები, რა თქმა უნდა, იძულებულნი შეიქნებოდნენ თავი სასანიანთა ქვეშევრდომად ელიარებინათ.

260 წლის შემდეგ ქართლში არსებული ვითარებაა ასახული შაბურ I-ის ბრძანებით 262 წელს ამოკვეთილ „ზოროასტრის ქაბას" წარწერაში. მასში ქართლის მეფე ამაზასპი ირანელ დიდებულთა შორისაა მოხსენიებული [66ა: 565].

ასფაგურის შესახებ ზემომოტანილი მასალით, გარდა იმისა, რომ თვით ასფაგურის გარდაცვალების თარიღი (257 წ.) ჩანს რეალური, ვფიქრობ, იგი მბარს უპერს მირიანის შესახებ ჩემს მიერ მოღებულ ქრონოლოგიას. აქვე დგება ერთი საკითხი, თუ მირიანმა 257 წელს

დაიკავა ქართლის ტახტი, მაშინ 262 წელს ამოჭრილ „ზოროასტრის ქააბას“ წარწერაში ქართლის მეფედ რატომაა დასახელებული ამაზასპი?

ასფაგურისა და მირიანის ზეობის შესახებ ჩემს მიერ მიღებული თარიღები არ ეწინააღმდეგება „ზოროასტრის ქააბას“ წარწერაში ქართლის მეფედ ამაზასპი რომაა დასახელებული. ამაზასპის სახელის ქვეშ უეჭველია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში ასფაგურის შემდეგ 26-ე მეფედ დასახელებული „ლევ მამაჲ მირიანისი“ [73:321] იგულისხმება. ეფიქრობ, ადვილი ასახსნელია 262 წელს ამოკვეთილ წარწერაში შაბურ I-ის დიდებულთა შორის მირიანი რომ არაა ნახსენები. 257 წელს ქართლის ტახტზე ასული 7 წლის მირიანი 262 წლისათვის მხოლოდ 12 წლისა იქნებოდა და იგი, რა თქმა უნდა, სამეფოს მართვას ვერ შეძლებდა. მირიანის მცირეწლოვნობაში ქართლის უშუალო გამგებელი მისი მამა — ფარნავაზიანთა არმაზული შტოს წარმომადგენელი, ქართლის სპასპეტ-პიტიახში რევი (ლევი) იქნებოდა. „ნეფეთა ცხოვრება“ ქართლის მეფეთა რიგში რევის რომ არ ასახელებს, როგორც აღვნიშნე, ამ თხზულებისათვის ფარნავაზიანთა მეორე შტოს წარმომადგენლებისადმი ასეთი მიდგომა ჩვეულებრივი მოვლენაა[34]. თავის მხრივ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რადგანაც ფარნავაზიანთა მეორე შტოს ინტერესთა გამომხატველია, ცდილობს მათ მეტი ყურადღება დაუთმოს.

რატომ იხსენიება რევი წარწერაში ამაზასპად?

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელის განმარტებით, „რევი“ „მძლეს“ ნიშნავს [86:62]. მეორე მხრივ, სახელი „ჰამაზასპ“ ძველირანულად იხსნება როგორც „სიმრავლე“ [97:78], ამიტომ, შესაძლოა ამაზასპი რევის შინაარსობლივ თარგმანს წარმოადგენს.

„ზოროასტრის ქააბას“ წარწერაში, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ქართლის მეფე ამაზასპი იხსენიება ისეთ პირად, რომელსაც ირანის შაჰის კარზე ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა. იგი ირანის შაჰის გავლენიანი მოკავშირე ჩანს [66ა:567]. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანად ამტკიცებენ, რომ იმ დროს ქართლი ირანს იარაღით არ უნდა ჰქონოდა დაპყრობილი [66ა: 567; 141:32].

როგორც ზემოთ ვაჩვენე, 257 წელს შაბური მართლაც არ უნდა შემოსულიყო ქართლში. 260 წელს ედესასთან ბრძოლაში რომაელ-

---

34 არაა გამორიცხული ქართლის სამეფოს ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ მირიანი იმიტომ გამოაცხადა ირანელ უფლისწულად, რათა ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის ფარნავაზიანთა მეორე შტოდან წარმოშობა დაემალა. სამაგიეროდ, რევიანებმა ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ სხვა პიროვნება დასახელეს.

თა მარცხის შემდეგ. როგორც ჩანს, რევი იძულებული შეიქნა სასანიანთა უზენაესობა ეღიარებინა.

ასე რომ, 257 წელს ქართლის ტახტზე ასული მირიანის მცირეწლოვნობის გამო, ქართლს რევი (ამაზასპი) განაგებდა. მაგრამ, როდემდე გაგრძელდა მისი რეგენტობა? როდის დაიკავა ტახტი მირიანმა?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საისტორიო წყაროები არავითარ ცნობას არ იძლევიან. ამიტომ რევის მეფობის დასასრულისა და მირიანის გამეფების თარიღის განსასაზღვრავად წყაროთა არაპირდაპირი ცნობების ანალიზისას მიღებული შედეგებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

„მირიანის ცხოვრებაში" არსებული ცნობა, თითქოს მირიანი ირანის შაჰის ძე იყო, როგორც ითქვა, გვიანდელი შენათხზია. მირიანი რევის ძე იყო. მირიანის ირანის შაჰთან დაკავშირება რადგან გვიანდელი გადანაკეთებია. მაშინ „მირიანის ცხოვრებაში" არსებულ იმ მითითებაში, რომლის თანახმად: „ვითარ იქმნა მირიან წლისა ორმეოცისა მაშინ მოკუდა მამა მისი, სპარსთა მეფე" [58:67[იქნებ მართლაც მირიანის მამის — რევის გარდაცვალება იგულისხმება და ასეთი მითითება ადრე თვით რევის გარდაცვალებას აღნიშნავდა?

რევი ირანული ორიენტაციის მოღვაწე იყო და მიუხედავად იმისა, რომ მის დროს სასანიანებს ქართლი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ იარაღით დაპყრობილი, რევი ქართლის ჯარით, როგორც ჩანს, სასანიანთა ომებში მაინც მონაწილეობდა.

„მირიანის ცხოვრება" ირანის შაჰის გარდაცვალების შემდეგ, მირიანსა და მისი ძმის — ბარტამს შორის ირანის ტახტისათვის გამართული ბრძოლის ადგილად შუამდინარეთში — „ხევსა ზედა ნისიბისისა" ასახელებს [58:67]. რადგან ასეთ ბრძოლაში მირიანს მონაწილეობა არ მიუღია, ქართული წყაროს ცნობაში, ვფიქრობ ირან-რომის 296—298 წლების ომი უნდა იყოს ასახული.

აღნიშნული ომი ირანის შაჰმა ნარსემ (293—302 წწ.) წამოიწყო, მაგრამ ამ ომში ირანი დამარცხდა. თვით ნარსე ძლივს გადაურჩა დატყვევებას [149:398]. 297/298 წელს რომაელებმა დაიკავეს ქ. ნისიბისი [149: 398, შენ. 1]. ნისიბისის ზავით (298 წ.) მდ. ტიგროსის ზემო წელზე მდებარე ტერიტორიები რომის ხელში გადავიდა. რომის პროტექტორატი დამყარდა სომხეთზე და ქართლზე [149: 399]. ქართლის მეფეს, როგორც პეტრე პატრიკიოსი (VI ს.) გვამცნობს, სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიეღო [152: 304: 62:42]. სწორედ ამ ზავის პირობებიდან გამომდინარე, 298 წელს დასვა სომხეთის ტახტზე იმპერატორმა დიოკლეტიანემ თრდატ III.

ამავე წელს უნდა დაეკავებია ქართლის ტახტი მირიანს.

მირიანის მამა — ქართლის მეფე რევი (ამაზასპი) 297 წელს ომში დაიღუპა[35], რომაელებმა გადააყენეს 298 წელს, თუ სიბერით გარდაიცვალა არ ვიცი. ფაქტი ერთია, 298 წლის შემდეგ მას, როგორც ირანული ორიენტაციის მოღვაწეს, დიოკლეტიანე ქართლის ტახტზე აღარ დატოვებდა. ამ წელს ქართლის ტახტი რომაელთა მხარდაჭერით მირიანს უნდა დაეკავებია — მას უნდა მიეღო რომიდან ის სამეფო ნიშნები, რომლის შესახებაც პეტრე პატრიკიოსი მოგვითხრობს.

თუ ზემომოტანილი მსჯელობა სწორია, მაშინ გამოდის რომ მირიანის სრულწლოვანებაშიც კი ქართლის ტახტზე ისევ რევი იჯდა. მაგრამ, მირიანი, რომელიც ფაქტობრივად მეფედ ითვლებოდა, რატომ ითმენდა ასეთ მდგომარეობას? სავარაუდებელი ერთია, რევის მეფობა ხელს აძლევდათ სასანიან შაჰებს და მათი მხარდაჭერით იგი მეფედ რჩებოდა სანამ ქართლზე რომაელთა პროტექტორატი არ დამყარდა და რევი, როგორც ირანული ორიენტაციის მოღვაწე, დიოკლეტიანესათვის მიუღებელი არ შეიქნა.

მირიანის გამეფება 298/300 წელს, როგორც ზემოთ ვაჩვენე, ჯერ კიდევ ს. გორგაძემ ივარაუდა. დაახლოებით ამავე წლებით განსაზღვრა მირიანის გამეფება ლ. ჯანაშიამაც. მირიანს მართლაც 297/298 წელს რომ უნდა დაეკავებია ქართლის ტახტი, ამის სასარგებლოდ უნდა მიუთითებდეს „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში არსებული მითითება მირიანის უფროსი ძმის — რევის 34 წლის ასაკში გარდაცვალების შესახებ.

როგორც ვაჩვენე, მირიანი და მისი უფროსი ძე რევი რადგან ერთ წელს — 334 წელს უნდა გარდაცვლილიყვნენ, რევის დაბადება 300 წელზე მოვა. მირიანმა ნანა დედოფალი, როგორც ჩანს, 298 წლის შემდეგ, ქართლზე რომაელთა პროტექტორატის დამყარების შემდეგ შეირთო. მისი ასეთი ნაბიჯი თავისთავად ცხადია, რომაულ ორიენტაციას ნიშნავდა (ნანა დედოფალი, როგორც „მირიანის ცხოვრებაშია“ ნათქვამი, პონტოდან იყო „ასული ოლიღოტოსისი“. 58:66.

---

35 „მირიანის ცხოვრებაში“ არსებული მითითება, მირიანი 40 წლისა რომ გახდა [58:67], მაშინ მისი მამის — ირანის შაჰის გარდაცვალების შესახებ, არც ირანის შაჰის გარდაცვალებას უდგება. თუ მის დაბადების თარიღად 250 წელს მივიჩნევთ. მაშინ ბაჰრამ II 293 წელს გარდაიცვალა, რაც მირიანის დაბადების 43 წელზე ჰოდის. ასეთი მითითება თავდაპირველად იქნებ მირიანის გამეფებიდან — ნისიბისის ბრძოლამდე გასულ დროს ნიშნავდა? მაშინ 257 წლიდან „ხევსა ზედა ნისიბისისასა“ ბრძოლამდე მართლაც 40 წელი გავიდოდა.

ამ ხანად პონტო რომის იმპერიაში შედიოდა). რაც შემდეგ მის ბიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაში გამოიხატა.

მირიანს რომ 298 წლამდე შეერთო ცოლი, იგი, ალბათ. „რომაელს" არ შეირთავდა.

ამრიგად. მირიანი 250 წელს უნდა დაბადებულიყო. 257 წელს ცოლად შეირთო ასფაგურის ასული აბეშურა და ქართლში გამეფდა. მაგრამ, მცირეწლოვნობის გამო ქართლს მისი მამა რევი განაგებდა. 297/298 წლებში მან რომაელთა დახმარებით დაიკავა ქართლის ტახტი. გარდაიცვალა 334 წელს 84 წლისა. 317/318 წელს ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

* * *

ახლა მოკლედ მირიანის მეუღლეების ცხოვრების წლების შესახებ.

ქართლის მეფე ასფაგურს გარდაცვალებისას, როგორც წყაროშია ნათქვამი, მხოლოდ ერთი ასული — 15 წლის აბეშურა დარჩა. ქართლის ერისთავებმა აბეშურას ფარნავაზიანთა არმაზული შტოს წარმომადგენელი 7 წლის მირიანი შერთეს, რის შემდეგაც ქართლის სამეფო ტახტი კვლავ ფარნავაზიანთა სამეფო სახლის წარმომადგენლის ხელში მოექცა.

მირიანის ცხოვრების წლების შესახებ ზემომოტანილი ქრონოლოგია თუ დაახლოებით მაინც სწორია და 257 წელს ასფაგურის გარდაცვალებისას აბეშურა 15 წლისა იყო. მაშინ იგი 242 წელს უნდა დაბადებულიყო. „მირიანის ცხოვრების" ცნობით, როცა მირიანი 15 წლისა გახდა (ე. ი. 265 წელს) აბეშურა გარდაიცვალა. გამოდის, რომ მირიანმა და აბეშურამ 8 წელი იცხოვრეს ერთად და აბეშურა 265 წელს 23 წლისა გარდაიცვალა.

265 წელს აბეშურას გარდაცვალებიდან 298/299 წლამდე მირიანმა რატომ არ შეირთო ცოლი ჩემთვის აუხსნელია. შეიძლებოდა გვეგარაუდა, რომ მას ნანა დედოფლის შერთვამდე სხვა ცოლი ჰყავდა. მაგრამ წყაროში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი (მირიანის ასული. რომელიც ფეროხს ჰყავდა ცოლად. წყაროდან არ ჩანს მირიანს ვისგან შეეძინა).

რაც შეეხება ნანა დედოფალს. მისი დაბადების შესახებ არაფერი ვიცით. გარდაცვალების თარიღი კი, ზემომოტანილი ცნობებიდან გამომდინარე, ასე წარმოდგება. მირიანი და რევი, როგორც წყაროშია

ნათქვამი, ერთ წელს (334) გარდაიცვალნენ. რადგან ნანა დედოფალი მირიანის გარდაცვალებიდან „მეორესა წელსა მოკუდა“ [58:130], მისი გარდაცვალება 335 წელზე მოვა. იგი „დაეფლა მასვე სუეტსა დასავლით, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო“ [58:130].

მეექვსე თავი

ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ

§ 1. ᲑᲐᲙᲣᲠ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ (ᲑᲐᲥᲐᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘ)

ქართლის სამეფო ტახტის მფლობელობის შესახებ წყაროთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებში რომ გაეერკვეთ, ამისათვის საჭიროა, მკვეთრად გავმიჯნოთ მირიანის შთამომავალი მეფეები ბაქარიანებად და რევიანებად. ბაქარიანთა შესახებ რადგან ძირითადად „მეფეთა ცხოვრება“ მოგვითხრობს, ქვემოთ სწორედ მის ცნობებზე დაყრდნობით გადმოვცემ ბაქარიან მეფეთა ისტორიას. მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები გახდეს ქართლის მეფეთა ზეობის ჩემებური დათარიღება, ამიტომ ამ მეფეთა შესახებ სანამ ჩემს ქრონოლოგიას წარმოვადგენ, მოკლედ ვუთითებ ცალკეულ მეფეთა ზეობის შესახებ ვახუშტისეულ წლებს და თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებს.

*
* *

ბაკურ (ბაქარ) მირიანის ძე

მირიანის უმცროსმა ძემ ბაკურმა ქართლის სამეფო ტახტი, როგორც ვნახეთ, 334 წელს მირიანის გარდაცვალებისას დაიკავა.

ვახუშტი ბაკურის მეფობის ხანგრძლივობას 22 წლით განსაზღვრავს და 342—364 წლებში ათავსებს [34:95]. გ. მელიქიშვილის თანახმად, ბაკურ II, IV ს. 40—60-იან ან IV ს. 60-იან წლებში მეფობდა [69:170]. ა. ბოგვერაძე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობიდან გამომდინარე, ბაკურ II-ს რევის ძედ მიიჩნევს და მის მეფობას IV ს. მეორე ნახევარში დებს (იხ. ქსე, ტ. 2, ბაკურ II).

ბაკურის ზეობის ხანგრძლივობის ვახუშტისეული 22 წელი თუ სწორია, მაშინ ბაკურის მეფობა 334—356 წლებზე მოვა. იგი რადგან მირიანის უმცროსი ძე იყო დაახლოებით 303—304 წელს უნდა და-

ბადებულიყო და ამის შემდეგ ჩქარა იგი რომის იმპერიაში წაუყვანიათ მძევლად. 317/318 წელს ქართლის მოქცევისას ბაკური უკვე იმპერიაში იმყოფებოდა და ქართლის მოქცევის შემდეგ სამშობლოში დააბრუნეს.

დაახლოებით 303/304 წელს დაბადებული ბაკური 334 წელს ქართლის ტახტზე ასვლისას 30 წლისა იქნებოდა, ხოლო გარდაცვალებისას 52 წლისა.

ბაკურის ზეობის წლების ხანგრძლივობის შესახებ ვახუშტისთან არსებული 22 წელი შეიძლება საეჭვოც იყოს, მაგრამ სანამ დამატებითი მასალა არ აღმოჩნდება, იგი უცვლელად უნდა დავტოვო.

ბაკურის მეფობაში ბევრი რამ საინტერესო მოხდა ქართლის სამეფოში. მან „მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა". ბაკურის მშვიდობიანი მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი გამეფებიდან ჩქარა ქართლში შინააშლილობა დაწყებულა. რადგან სომხეთის სამეფო კარს განუზრახავს ქართლის ტახტზე რევ მირიანის ძის შთამომავალი დაესვა. „... არ აძლევდნენ [საშუალებას] სომეხნი, რომ ემეფნა ბაქარს, რადგან უნდოდათ გაემეფებინათ ტრდატის ქალის შვილი", აღნიშნულია „ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში [86:130—131].

მირიანის უფროსი ძის რევის შემკვიდრენი ქართლის ტახტს თავისად თვლიდნენ. ტახტისათვის ბრძოლაში რევის მეუღლეს სალომეს სომხეთის სამეფო კარი დაუხმარებია (სალომე ხომ თრდატ III-ის ასული იყო). სამაგიეროდ ბაკური—ნათქვამია „მეფეთა ცხოვრებაში"— „ეზრახა სპარსთა მეფესა", „დაემოყურა" მას. „გაუცვალა ქუეყანა დისიძესა[36] მისსა ფეროზს. რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემული მირიანისაგან. და მისცა მის წილ სამშჳლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა" [58:130—131]. „მაშინ ნათელ იღო ფეროზ და ერმან მისმან"[37] [58:131]. შემდეგ „მოირთო სპარსთა ძალი". ეწყო „სომეხთა ჯავახეთს" სძლია და აოტა ისინი [58:131].

---

36 ფეროზი ბაკურის დის ქმარი (სიძე) იყო [91:043—044].

37 თრდატ III-ის შემკვიდრე ხოსროვ II (330—338) სუსტი მმართველი იყო (იხ. გვ. 68—69). ამიტომ სომეხთა ჩარევა ქართლის საქმეებში 338 წლის შემდეგ, სომეხთა მეფე ტირანის (338—350) დროსაა სავარაუდებელი. სწორედ 338 წლის შემდეგ, 340/341 წლებში იბრძოდნენ ირანელები თავიანთი სამეფოს დასაელეთ საზღვარზე [141:41] და ამ დროს შეეძლოთ მათ ქართლში შემოსვლა.

რადგან სომხეთთან ომის დროს მიიღო ბაკურისაგან ფეროზმა ტერიტორია „სამშვილდითგან მოღმართ... ვიდრე თავამდე აბოცისა" და, როგორც ახლა ფიქრობენ ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული ბეროზი თუ მართლაც მირიანის სიძე ფეროზია, მაშინ ახლად მოქცეულ ფეროზს ბოლნისის სიონის მშენებლობა, როგორც ამას რ. პატარიძე ფიქრობს, შეიძლება მართლაც დაახლოებით 342 წელს დაეწყო და 15 წლის შემდეგ 357 წელს დაემთავრებინა [შდრ. 76:156, 158—159. იხ. აგრეთვე, თავი VII].

გამარჯვებულმა ბაკურმა ბერძენთა და სპარსთა მეფეების შუამდგომლობით დაუწერა „ხელით-წერილი“ ძმისწულებსა და მათ დედას სალომეს, რომ „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისათა“ [58:131].

შემორიგებული „რევიან ნათესავების“ მამას — რევის საუფლისწულოდ მირიანისაგან თუ „კახეთი და კუხეთი“ ჰქონდა მიცემული ცენტრით უჯარმაში [58:70—71], ამ ახალი „ხელით-წერილით“ ბაკურმა მათ მხოლოდ კუხეთი მისცა და „დასხნა რუსთავს ერისთავად“ [58:131]. ასე რომ, ბაკურს რევიანთა სამფლობელო საგრძნობლად შეუმცირებია. ამ დროიდან რევიანთა სამფლობელოს ცენტრი რუსთავი გახდა.

სამეფო საქმეების მოწესრიგების შემდეგ ბაკურმა კვლავ საქვეყნო საქმეებისათვის მოიცალა: „განამრავლა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად... აღაშენა ეკლესია წილკნისა“. „ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა“. „მოკუდა და დაეუფლა ძმასავე თუსსა თანა“ [58:131].

მირდატ ბაკურის ძე

ბაკურის შემდეგ ქართლის ტახტი „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად, მისმა ძემ მირდატმა დაიკავა [58:131] მირდატი ბაკურის ძეთაა დასახელებული „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანშიც [86: 132].

ვახუშტი მირდატის მეფობის ხანგრძლივობას 15 წლით განსაზღვრავს და მის მეფობას 364—379 წლებში ათავსებს [34:95]. გ. მელიქიშვილი მირდატს (მას მითრიდატე IV-ს უწოდებს) ამიანუს მარცელინუსთან მოხსენიებულ საურმაგთან აიგივებს და მისი მეფობის დროდ IV ს. 60—70-იან წლებს უთითებს (69:170; შდრ., მისივე. მითრიდატე V, ᲛᲘᲠᲓᲐᲢᲘ, ქსე. ტ. 6).

მირდატის მეფობის ხანგრძლივობის განსასაზღვრავად თუ ვახუშტისეულ 15 წელს ავიღებთ, მაშინ მისი მეფობა 356—371 წლებზე მოვა. მაგრამ, ამიანუს მარცელინუსის ცნობათა გათვალისწინებით, მირდატის მეფობის წლების უფრო დაზუსტება შეიძლება (იხ. ქვემოთ).

ამიანუს მარცელინუსი 361 წლისათვის, როგორც აღვნიშნე, ქართლის მეფედ მერიბანს ასახელებს, ხოლო 368 წლისათვის საურმაგსა და ასფაგურს [XXI, 6,7; XXVII, 12,4]. როგორც ითქვა, ქართულ ისტორიოგრაფიაში მერიბანი ქართლის პირველ ქრისტიან მეფესთან—

მირიანთან არის გაიგივებული, რის გამოც მირიანის გარდაცვალება 362 წელზე გადააქვთ. ჩემი ქრონოლოგიით მირიანი რადგან 334 წ. გარდაიცვალა, ხოლო მისი ძე ბაკური 356 წელს, მაშინ 361 წელს ამიანუსის მიერ ქართლის მეფედ დასახელებული მერიბანი (Meribanes) მირდატ ბაკურის ძე უნდა იყოს[38]. მათ იგივეობას, ვფიქრობ, ივ დროის ქართლში არსებული ვითარებაც ადასტურებს:

1. ქართლის მოქცევის შემდეგ. მირიანი, როგორც ქართული და ბიზანტიური წყაროები მიუთითებენ. ბიზანტიურ ორიენტაციას დაადგა. ბიზანტიური ორიენტაციის ქართლის მეფეს კი ბიზანტიის იმპერატორისაგან მოქრთამვა არ დასჭირდებოდა.

2. მირიანის ძე ბაკური, როგორც ვნახეთ, სომხებთან ომის დროს ირანის შაჰს „დაუმოყვრდა" და მისი დახმარებით შეინარჩუნა ტახტი. 361 წლისათვის, მართალია, ბაკური ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მისი ძე მირდატი გარეგნულად მაინც შაბურ II-ის პატივისმცემელი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულით უნდა აიხსნას, ბიზანტიის იმპერატორმა, როგორც ამას ამიანუსი გვამცნობს. მერიბანს მოსაქრთამავად „ბრწყინვალედ შემკული სამოსი და მრავალნაირი საჩუქრები" რომ გამოუგზავნა [2:101—102].

პოლიტიკური ვითარება IV ს. 60—70-იანი წლების ქართლში

მირდატის ზეობის ბოლო წლებში ქართლის სამეფოში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა, რომელთა გათვალისწინების გარეშე მირდატისა და მისი ძის ვარაზ-ბაკურის მეფობის წარმოჩენა შეუძლებელია.

ძველ სომეხ ავტორებთან IV ს. 60-იანი წლების ქართლის შესახებ ორი მეტად საყურადღებო ცნობა გვაქვს. ამ ცნობათა შეჯერება ძველ ქართულ საისტორიო წყაროთა და ამიანუს მარცელინუსის მონაცემებთან იმ დროის ქართლში არსებული პოლიტიკური ვითარების წარმოსაჩენად დღემდე არავის უცდია.

ირანელებმა ისარგებლეს იმით, რომ 363 წელს ბიზანტიასთან დადებული ზავით, ეს უკანასკნელი სომხეთის საშინაო საქმეში აღარ უნდა ჩარეულიყო და ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში სომხებს არ

---

38 როგორც უკვე ვთქვი (იხ. გვ. 22), ასპაგური მირდატის ძედ ჯერ კიდევ სენ მარტენმა მიიჩნია. მანვე მიუთითა სახელ მერიბანესის მიჰრანთან მსგავსებაზე, რომ ორივე სახელი „მიჰრ", „მითრ"-ადან არის ნაწარმოები. მართლაც, მერიბანესი თავისუფლად შეიძლება „მიჰრიდატესის" დაპატიჟებული გადმოცემა იყოს, მით უმეტეს, როგორც გ. ხალათიანცი წერს, ამიანუსის ტექსტში ხშირადაა b და h ასოების აღრევა [165:267, შენ. 2].

უნდა დახმარებოდა, სომხეთში შეიჭრნენ [110:78]. გაჭირვებაში ჩავარდნილი სომხეთის მეფე არშაკ II (350—367) მოვსეს ხორენაცის ცნობით, „შეუკავშირდა ქართველებს და გაიქცა კავკასიონის მსარეებისაკენ“ [72:199]. შემდეგ იგი „ქართველთა რაზმებით“ დაბრუნდა სომხეთში [72:200]. ლ. ჯანაშიას თანახმად, ხორენაცის ეს ცნობები მიგვითითებენ იმ დიდ სიახლოვეზე, რომელიც ქართლსა და სომხეთს შორის ყოფილა [110:78].

თუ ხორენაცის ცნობებიდან გამომდინარე IV ს. 60-იან წლებში ქართლსა და სომხეთს შორის ასეთი კეთილმეზობლური დამოკიდებულება იყო, ძველი ქართული წყაროები და V ს. სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდაცი იმავე დროის ქართლისა და სომხეთის ურთიერთობას სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენენ. 1. „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, როგორც ვნახეთ, თრდატ III-ის ასულმა სალომემ სომხების დახმარებით მოიწადინა ბაკურ მირიანის ძისათვის ტახტი წაერთმია. ბაკურმა მხოლოდ ირანელთა დახმარებით შეძლო ტახტის შენარჩუნება. აღნიშნული კონფლიქტის შემდეგ, როცა ბაკური ირანის შაჰს „დაემოყვრა“, ძნელი დასაჯერებელია იგი შაჰისაგან დევნილ არშაკ II-ის დამხმარედ გამოსულიყო. იმ დროის ქართლის სამეფოსა და სომხეთს შორის „კეთილმეზობლური დამოკიდებულება“ რომ არ ყოფილა, ეს ფავსტოს ბუზანდაცის შემდეგი ცნობიდან ჩანს. სომეხთა სარდალმა მუშელ მამიკონიანმა, — წერს იგი, — „დაიპყრო ქართველთა ქვეყანა... მახვილს მისცა ყოველნი აზატნი და ნახარართა გვარნი... ბრძანა ფარ[ნ]ავაზიანნი ჯვარს ეცვათ“ [132:162].

ზემომოტანილ ცნობაში, როგორც ფიქრობენ, IV ს. 60-იან წლებში მომხდარი ამბებია გადმოცემული [110:60] და მას თუ ქართულ წყაროთა იმ მითითებას დავუმატებთ, რომელთა თანახმად, სწორედ მირდატის მეფობაში სომხეთის კათალიკოსმა ნერსესმა ქართლის ეკლესიის მეთაურად „იობ სომეხი“ დასვა, მაშინ ნათელი გახდება, რომ IV ს. 60-იან წლებში ქართლსა და სომხეთს შორის „კეთილმეზობლური დამოკიდებულება“ კი არა, სისხლისმღვრელი ბრძოლები ყოფილა. აღნიშნულის მიუხედავად, ვფიქრობ, არც მოვსეს ხორენაცი ცდება, სომხეთის მეფეს არშაკ II-ს რევიანები უნდა დახმარებოდნენ.

ბაკურ მირანის ძის „ხელით-წერილით“, როგორც ვნახეთ, თრდატმა თავისი სამფლობელოს დიდი ნაწილი — კახეთი დაკარგა. ამიტომ, განაწყენებული თრდატი მცხეთელი ნათესავების დასასჯელად ყოველ ღონეს იხმარდა. რა თქმა უნდა, სომხების ქართლში ლაშქრობა იმ დროს უნდა მომხდარიყო, როცა ბიზანტიელთა დახმარებით საურმაგმა ქართლის ტახტი დაიკავა. ამ დროს უნდა დაესვათ სომხებს ბიზანტიელთა თანხმობით „იობ სომეხი“ ქართლის ეკლესიის საპეთმპყრობლად, ხოლო იაკობი გადაეყენებინათ. როცა ვარაზ-ბაკურმა 368 წელს

ირანელთა დახმარებით მამისეული ტახტი დაიბრუნა. იგი, ალბათ, იაკობს კვლავ ქართლის ეკლესიის მეთაურად აღადგენდა. აღნიშნულით უნდა აიხსნას იაკობი ქართლის მთავარეპისკოპოსად „მეფეთა ცხოვრებაში“ ჯერ მირდატ ბაკურის ძის (მის ზეობაში იაკობის გარდაცვალებაზე მითითება გვიანდელი ჩანასწორები უნდა იყოს), შემდეგ კი თრდატ რევის ძის ზეობაში რომ ჩანს.

ამრიგად, იმის გამო, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ იაკობი მირიანიდან მესამე მეფე თრდატ რევის ძის, ხოლო „მეფეთა ცხოვრებაში“ ჯერ მესამე მეფე მირდატ ბაქარის ძის, შემდეგ კი მეხუთე მეფე თრდატ რევის ძის მეფობაში იხსენიება „მეფეთა ცხოვრებაში“, როგორც ამას ლ. ჯანაშია მოითხოვს (იხ. მისი, კორიუნის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის), თრდატ რევის ძის ვარაზ-ბაკურზე წინ გადასმა არ შეიძლება. „მეფეთა ცხოვრებაში“ ბაკურ მირიანის ძის შთამომავალ მეფეთა რიგია წარმოდგენილი და ლეონტის არც „შეცდომით“ და არც „შეგნებული მოქმედებით“ თრდატისათვის ადგილი არ შეუცვლია.

ასევე, როგორც თ. ჟორდანია, ს. გორგაძე, კ. კეკელიძე და გ. მელიქიშვილი ფიქრობენ, „მეფეთა ცხოვრების“ მირიანიდან მესამე მეფე მირდატი და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მესამე მეფე თრდატი იდენტური პირები არ არიან.

ვარაზ-ბაკურ (ვარაზ-ბაქარი) მირდატის ძე

მირდატის შემდეგ „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, სამეფო ტახტი მისმა ძემ ვარაზ-ბაკურმა დაიკავა [58:132]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არ უთითებს ვარაზ-ბაკური ვისი ძე იყო [73:325].

ვახუშტი ვარაზ-ბაკურის მეფობას 379—393 წლებით განსაზღვრავს [34:96]. გ. მელიქიშვილის თანახმად, ვარაზ-ბაკური [იგივე ასფაგური] IV ს. 60—70-იან წლებში მეფობდა [69:170]. ლ. ჯანაშია ვარაზ-ბაკურის მეფობის დროდ IV ს. II ნახევარს უთითებს (იხ. ქსე, ტ. 3, სტ. ვარაზ-ბაკური).

ვარაზ-ბაკურის მეფობის დასაწყისი თარიღის განსასაზღვრავად, როგორც აღვნიშნე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამიანუს მარცელინუსის ცნობებს. ამიანუსის თანახმად, ირანის შაჰმა მოიწადინა სომხეთის დაუფლება. ამიტომ, სომხეთის მეფე არშაკი თავისთან მიიწვია, ჯერ თვალები დათხარა, შემდეგ მოაკვლევინა [XXVII, 12, 1—3]. ამის შემდეგ, — განაგრძობს მარცელინუსი, — „სავრომაკი გააძევა რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას, და იმ ხალხის გამგებლობა ვინმე ასფაგურს გადასცა; თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი გადაწყვეტილებისადმი შეურაცხყოფა მიეყენებინა“ [XXVII,

12, 4]. ამიანუსის მიერ მოთხრობილი ამბავი 367—368 წელს მოხდა.

სანამ საურმაგის ქართლის ტახტზე ასვლის ამბავს შევეხები, უნდა აღვნიშნო: მართალია, მარცელინუსი მის მიერ მოთხრობილი ამბების თანამედროვეა და 361—363 წლებში ირანის წინააღმდეგ ომშიც მონაწილეობდა, მაგრამ იმპერატორ იულიანე განდგომილის დაღუპვისა და ირანთან 30-წლიანი ზავის დადების შემდეგ 378 წლამდე, როგორც ვარაუდობენ, იგი ანტიოქიაში ყოფილა [2:77]. ამიტომ, ამიანუსის ცნობები 364—374 წლებს შუა ქართლში მომხდარი ამბების შესახებ მის უშუალო ნანახიდან არ მომდინარეობს და შეიძლება არც ზუსტი იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დაახლოებით 338 წლის შემდეგ ახლო ხანაში, ქართლში დაწყებული აშლილობის გამო ბაკურ მირიანის ძე ირანის შაჰს „დაემოყვრა" და ირანელთა მხარდაჭერით ტახტი შეინარჩუნა. ასეთი დახმარების მიუხედავად, რადგან იმ დროისათვის ირანელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ქართლი იარაღით დაპყრობილი როგორც ბაკური, ისე მისი ძე — მირდატი გარკვეულ პოლიტიკურ თავისუფლებას ინარჩუნებდნენ. ასეთი მოსაზრების სისწორეზე მიუთითებს ბიზანტიელთა საჩუქრები ქართლის მეფისადმი. რათა მას ბიზანტია-ირანის ომში ირანის მხარე არ დაეჭირა.

დასაჩუქრების შემდეგ მირდატმა (მერიბანმა) ბიზანტიელთა მოთხოვნა რომ ვერ შეასრულა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ირანის შაჰის კარზე ქართველი უფლისწულის ულტრას მძევლად ყოფნა უნდა ყოფილიყო. როგორც მე ვვარაუდობ, უფლისწული ულტრა თუ მირდატის ძე იყო, მაშინ მირდატი, რა თქმა უნდა, 361—363 წლების ბიზანტია-ირანის ომში შაბურ II-ის მხარეზე აღმოჩნდებოდა.

დასახელებულ ომში იმპერატორ იულიანე განდგომილის დაღუპვისა და „სამარცხვინო ზავის" დადების შემდეგ, ბიზანტია შეეცდებოდა აღმოსავლეთში თავისი პოზიციები აღედგინა და გაემყარებინა. იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის გამგებლის ვალენტ II-ის (364—378) პოლიტიკა 364 წლის შემდეგ აღმოსავლეთში მართლაც აქტიურობით გამოირჩეოდა. იგი ცდილობდა სომხეთს დაუფლებოდა, შესაფერ დროს უცდიდა, რათა ქართლის ტახტზე ბიზანტიური ორიენტაციის მეფე დაესვა და ამით ამიერკავკასიაში თავისი პოზიციები განემტკიცებინა.

ირანული ორიენტაციის მირდატ ბაკურის ძისა და მისი ძის ვარაზ-ბაკურის წინააღმდეგ ბიზანტიის საიმპერატორო კარს, რა თქმა უნდა, რევ მირიანის ძის შთამომავალნი უნდა გამოეყენებინა. ამიანუს მარცელინუსის მონაცემებთან ერთად, ერთი მხრივ, „მეფეთა ცხოვრების" ცნობა მირდატ ბაკურის ძის მეფობაში ქართლის ეკლესიის მეთაურად „იობ სომეხის დაჯდომის" [58:132], ხოლო, მეორე მხრივ,

სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდაცის მითითება IV ს. 60-იან წლებში სომეხი სარდლის მუშელ მამიკონიანის მიერ ქართლში ფარნავაზიანთა ამოხოცვის შესახებ, როგორც ზემოთ ვაჩვენე, იმის დასტურად უნდა იქნას მიჩნეული, ბიზანტიის სამპედრო ღონისძიებებში, რომელსაც ქართლის ტახტზე საურმაგის დასმა მოჰყვა, სომხებიც რომ მონაწილეობდნენ და ბუზანდაცის ცნობა ამ ბრძოლაში შესაძლოა სწორედ მირდატის დაღუპვაზე მიგვითითებს.

ბიზანტიელთა და სომეხთა დახმარებით ქართლის ტახტზე დაახლოებით 368 წ. (ან 368 წლის წინა ახლო ხანაში) თრდატ-საურმაგის დასმისას ცოცხლად გადარჩენილი ვარაზ-ბაკური, როგორც წყაროდან ჩანს, „ხიდარად უკუჯდა"[39] (მთებში გაიხიზნა) და ირანის შაჰს დახმარება სთხოვა.

ასე რომ, 368 წელს შაბურ II-ს შესაძლებლობა მიეცა ქართლის საქმეებში ჩარეულიყო. 368 წელს ირანელებმა დაიპყრეს სომხეთი და ქართლი. ქართლის ტახტიდან გადააყენეს რომაელთა მიერ დასმული საურმაგი და მის მაგიერ ვარაზ-ბაკური დასვეს. ამის შემდეგ, „ვარაზ-ბაქარ ეზრახა (ირანელებს) შევრდომით და ითხოვა მშვიდობა". ზავის ერთ-ერთ პირობად ირანელთა სარდალმა ვარაზ-ბაკურს რანი და მოვაკანი მოსთხოვა. „მაშინ ვარაზ-ბაქარ, — აღნიშნულია „მეფეთა ცხოვრებაში", — ვერღარა პასუხი მიუგო შიშისაგან დიდისა. მისცა რანი და მოვაკანი, და განუკვეთა ხარკი". სამაგიეროდ, სპარსთა ერისთავმა მის მიერ აშენებული „ტფილისის" ციხესიმაგრე მისცა ვარაზ-ბაკურს და წავიდა. „მიერითგან იქმნნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მობარკენი"[40] [58:136].

ამიანუსის ცნობებიდან გამომდინარე, ვარაზ-ბაკურმა 368 წელს ქართლის ტახტი ირანელთა დახმარებით დაიკავა. მაგრამ, ბიზანტია-ირანის მეტოქეობა ქართლში გასაბატონებლად ამით არ დამთავრებულა. ქართლიდან გაძევებული საურმაგი დაახლოებით 369 წელს ბიზანტიელ სარდალ ტერენციუსთან ერთად 12 ლეგიონით დაბრუნდა. როცა რომაელთა ჯარით იგი მდ. მტკვარს მოუახლოვდა, ასფაგურს (ვარაზ-ბაკურს) მისთვის უთხოვია, „როგორც ნათესავებმა" ერთად ვიმეფოთო, იმ მიზეზით, — დასძენს ამიანუსი, — რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეს გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა... მძეულის წესით სპარსელებს ჰყავდათ" [XXVII, 12, 16].

---

39 საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ, რადგან „განრყუნილ იყო საყოფელად მცხეთა", ეგრისიდან გადმოსული არჩილი „დაჯდა ნაციხარსა ხიდარისასა" [116:243] და ჩანს, ამ დროს ხიდარიც განაახლა.

40 ქართული წყარო ირანელთა ქართლში ამ ლაშქრობისას ირანის შაჰს რომ არ ასახელებს არ ცდება. როგორც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, 368 წლიდან შაბურ II აღმოსავლეთში „ქაბულის მეფეს" ებრძოდა [143:25].

ბიზანტიის იმპერატორი ვარაზ-ბაკურის ასეთ მოთხოვნას დათანხმდა. თანაც ქართლი ისე უნდა გაყოფილიყო, რომ „საზღვრად შუაში მდინარე კიროსი (მტკვარი. — ვ. გ.) დადებულიყო და საერომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე [მხარე] რგებოდა, ასფაგურს კი — ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე“ [XXVII, 12, 17; შდრ., 69:165].

ასე რომ, 369 წელს ქართლის გაყოფის შემდეგ კუხეთის მფლობელმა საურმაგმა ბიზანტიელთა ხელშეწყობით ძველად არსებული ორმეფობის დროინდელი, არმაზში მჯდომი მეფის შემდგომ მეორე პირების — ქართლის სპასპეტ-პიტიახშების კუთვნილი ტერიტორიები მიიღო. ეს იყო მდ. მტკვრის სამხრეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მიწა-წყალი[41] (როგორც ვარაუდობენ ორმეფობის დროს ეს ტერიტორია მოიცავდა ტერიტორიას კლარჯეთიდან ხუნანამდე. იხ. ქსე, ტ. 8, სტ. პიტიახში). რევიანები კუხეთის მაგიერ ნახევარი ქართლის ოფიციალური მეფეები გახდნენ.

ქართლისათვის ამ მძიმე დროს „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, ვარაზ-ბაკურისაგან „კლარჯნი განდგნენ და მიერთნეს ბერძენთა“ [58:136—137]. ვარაზ-ბაკურის კუთვნილი სამფლობელო რადგან „ალბანიისა და სპარსელების“ მომიჯნავე ქართლი იყო, კლარჯეთი[42] საურმაგისათვის უნდა წაერთმიათ ბიზანტიელებს. „დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე“ [58:137] — ნათქვამია იმავე წყაროში.

ბიზანტიელთა ასეთმა ნაბიჯმა, რა თქმა უნდა, შაბურ II გაანაწყენა. ბიზანტიელთა ქმედება სომხეთსა და ქართლში მან „ხელშეკრულების შინაარსის საწინააღმდეგო“ მოქმედებად მიიჩნია და ხელსაყრელ დროს დაუწყო ლოდინი, რათა ომი დაეწყო [XXVII, 12, 18]. 374 წელს შაბურ II-მ ბიზანტიელებს მოთხოვნა წაუყენა მოესპოთ ორმეფობა და ქართლი მთლიანად ასფაგურისათვის დაემორჩილებინათ [XXX, 2,2]. ირანის შაჰის ასეთ მცდელობას, როგორც ჩანს, შედეგი არ მოჰყვა. ბიზანტიელთა მიერ ზურგგამაგრებული რევიანები ქართლის ნაწილში მეფობას აგრძელებდნენ და ბიზანტიაშიც ხშირად აგზავნიდნენ უფლისწულებს მძევლებად (მაგ., ბაკურ თრდატის ძე, მურვანიოსი, რომელიც შემდეგ პეტრე იბერის სახელით იყო ცნობი-

---

41 ამ გაყოფისას რევიანთა (ე. ი. საურმაგის) კუთვნილი ქ. რუსთავი ვარაზ-ბაკურის ტერიტორიაზე (ე. ი. ირანელთა ხელში) დარჩა.

42 თუ ბიზანტიელებმა საურმაგის კუთვნილ ქართლს წაგლიჯეს ტერიტორია „ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე“, ირანელებმა ვარაზ-ბაკურს „რანი და მოვაკანი“ წაართვეს. თანაც ქართლიდან წასულმა ირანელთა სარდალმა ტყვედ წაიყვანა „შვილნი ფეროზისანი, ასულის წულნი მირიანისა“ და მისი ქვეყანა „საზღვარი ქართლისა“ (ე. ი. „სამშუღლდითგან ძიღმართ... ვიდრე თავადმდე აბოცისა“) ვარაზ-ბაკურს გადასცა [58:137].

ლი). თუმცა. როგორც ზემოთაც მივუთითე. ქართლის სამეფოს ოფიციალური მემატიანეები რევიანებს მეფეებად არ თვლიდნენ. მათ მხოლოდ „ნათესავს“ უწოდებდნენ.

ამრიგად. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ: მ ი რ დ ა ტ ბ ა კ ურ ი ს ძ ეს 356—368 წ ლ ებ შ ი უ ნ დ ა. ე მ ე ფ ა. 368 წელს. მის მაგივრად შაჰის ჩარევით. ტახტზე კვლავ ბაკურ მირიანის ძის შთამომავალი ვარაზ-ბაკური იქნა აყვანილი. 369 წ. ქართლის ნახევარი მან თრდატ რევის ძეს დაუთმო. სამაგიეროდ ქართლის მეორე ნახევარში ამ წლიდან მისი მეფობა ბიზანტიამაც ცნო. ვახუშტი ვარაზ-ბაკურის მეფობის ხანგრძლივობას რადგან 14 წლით განსაზღვრავს, მისი მეფობა 368/9—382/3 წლებზე მოვა.

ვარაზ-ბაკურის ოჯახი

„მეფეთა ცხოვრებაში“ არსებული ცნობით. გარდაცვალებისას ვარაზ-ბაკურს დარჩა „ძენი სამნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა“ [58:137]. ამიტომ. „წარჩინებულთა ქართლისათა ზრახვა ყვეს“ და მეფედ დასვეს ვარაზ-ბაკურის სიმამრი მოხუცებული თრდატ რევის ძე.

383 წელს გარდაცვლილ ვარაზ-ბაკურს რატომ დარჩა მცირეწლოვანი ძეები?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ ძველ ქართულ წყაროთა მონაცემები უნდა გავითვალისწინოთ. „მეფეთა ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ვარაზ-ბაკურს ორი ცოლი ჰყავდა. „...ერთი ასული თრდატისი, რევის ძისა... და ერთი ძისწული ფეროზისი“ [58:132; 84:85], რომელთაგან რევის ძისწულმან უშვა „ორნი ძენი... მირდატ და თრდატ“, ხოლო „ერთი უშვა ფეროზის ძისწულმან, რომელსა ერქუა ფარსმან“ [58:135; 84:85].

ზემომოტანილი ცნობიდან გამომდინარე. ვარაზ-ბაკურის პირველ ცოლად თრდატის ასული უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ, მის შემდეგ რატომ შეირთო ვარაზ-ბაკურმა მეორე ცოლი? წყაროში ვარაზ-ბაკურის ასეთი ნაბიჯი იმითაა გამართლებული თითქოს იგი „დაშთა უძეოდ, შეიყვარა სოფელი ესე და მიდრკა კეთილისაკენ და ესუა სხუაცა ცოლი ძის წული ფეროზისი“ [58:135]. შეიძლებოდა მართლაც გვეგულისხმა, რომ ვარაზ-ბაკურს პირველი მეუღლისაგან ძე არ შეეძინა და ამიტომ შეირთო მეორე ცოლი. მაგრამ, წყაროში ხომ მითითებულია, რომ თრდატის ასულისაგან მას ორი, ხოლო ფეროზის ძისწულისაგან ერთი ძე ჰყავდა. ასე რომ, ვარაზ-ბაკურის „უძეოდ დაშთენა“ მის მიერ მეორე ცოლის შერთვის გასამართლებლად არ გამო-

დგება. არც ის ჩანს დამაჯერებელი ვარაზ-ბაკურის პირველი მეუღლე თითქოს თრდატის ასული იყო. ვფიქრობ. წყაროში არსებული მითითება „ესუა სხუაცა ცოლი ძის წული ფეროზისი“ ისე უნდა გავიგოთ, ვარაზ-ბაკურს ფეროზის ძის ასული თრდატის ასულზე ადრე რომ უნდა შეერთო. მართლაც, „მეფეთა ცხოვრებაში“ ფარსმანი ხომ ძმათა შორის „უხუცესად“ არის დასახელებული [58:137] ასევე, „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში ჯერ ფარსმანის დაბადებაზეა მითითება, შემდეგ მირდატისა და თრდატისა [86:132—133].

იმ დროს არსებული ვითარების გათვალისწინებით ვარაზ-ბაკურის დაოჯახების ამბავი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ვარაზ-ბაკურს უფროსი ძე ფარსმანი რადგან ფეროზის ძის წულისაგან ჰყავდა, „ფეროზის შვილნი“ კი დაახლოებით 369 წელს ქართლიდან წასულმა ირანელმა სარდალმა თან წაიყვანა, ვარაზ-ბაკურს ფეროზის ძის წული 369 წლის წინა ხანაში უნდა შეერთო. რაც შეეხება ვარაზ-ბაკურის მიერ თრდატის ასულის ცოლად შერთვას, უფრო სავარაუდებელია, ასეთი ნაბიჯი მას პოლიტიკური მოსაზრებით გადაედგა. 369 წელს, ქართლში როცა საურმაგი ბიზანტიელთა დამხმარე ჯარით შემოვიდა (ამ დროისათვის, როგორც ჩანს, ქართლში ირანელების სამხედრო კონტიგენტი აღარ იყო ვარაზ-ბაკურისათვის დახმარება რომ გაეწია), ვარაზ-ბაკურმა მას სთხოვა, რომ ქართლი შუაზე გაეყოთ, რაზეც, როგორც ბიზანტიის საიმპერატორო კარი, ისე თვით საურმაგი (ბიზანტიური წყაროს საურმაგი იგივე თრდატ რევის ძეა) დათანხმდა[43]. ვარაზ-ბაკურისა და საურმაგის (თრდატის) შეთანხმება ქართლის შუაზე გაყოფის შესახებ, როგორც ჩანს, მათი „დანათესავებითაც“ გამყარდა. 369 წელს ვარაზ-ბაკურმა თრდატის ასული შეირთო ცოლად. მისგან შეეძინა ორი ძე — მირდატი და თრდატი (ვარაზ-ბაკურს უფროსი ძისათვის მამის, ხოლო უმცროსისათვის სიმამრის სახელი დაურქმევია).

თუ ზემომოტანილი მსჯელობა სწორია, მაშინ 383 წლისათვის ვარაზ-ბაკურის ძეები მართლაც მცირეწლოვნები იქნებოდნენ (ფარსმანი დაახლოებით 368/369, ხოლო მირდატი და თრდატი 370 წლის შემდეგ უნდა დაბადებულიყვნენ). ამიტომ დაიკავა 383 წელს ქართლის ტახტი თრდატ რევის ძემ. მას მისცეს აღსაზრდელად თავისი

---

43 ქართულ ისტორიოგრაფიაში საურმაგსა და ასფაგურს შორის ქართლის გაყოფის თარიღად 369 წელია მიღებული [110:79; შდრ., 11], თუ გავითვალისწინებთ, რომ რომაელთა ჯარით საურმაგის დაბრუნებისას სპარსთა პიტიახში ქრამ ხუარბორზარდი უკვე წასული იყო (368 წელს ქართლის დაპყრობის შემდეგ მან რადგან ტფილისის ციხე ააშენა, მშენებლობა სულ მცირე 1 ან 1,5 წელი მაინც გაგრძელდებოდა, თანაც ბიზანტიის საიმპერატორო კართან წარმოებულ მოლაპარაკების დროსაც თუ გავითვალისწინებთ), ვფიქრობ, უფრო რეალური იქნება ქართლის გაყოფა 370 წლით დათარიღდეს.

ქალიშვილის ძეები — მირდატი და თრდატი. ვარაზ-ბაკურის უფროს ძეს ფარსმანს კი „ზრდიდა ერისთავი სამშვილდისა“ (სამშვილდე ადრე ფარსმანის პაპის — ფეროზის სამფლობელოში შედიოდა).

ქართული წყაროს ცნობით, ვარაზ-ბაკურს გარდაცვალებისას თუ მცირეწლოვანი ძეები დარჩა. ამიანუს მარცელინუსი, როგორც ვნახეთ, ასპაკურის (იგივე ვარაზ-ბაკურის) ძედ ირანში მძევლად მყოფ უფლისწულს — ულტრას ასახელებს. მაგრამ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვარაზ-ბაკურს 369 წლისათვის იმოდენა ძე არ ეყოლებოდა იგი ირანში მძევლად რომ წაეყვანათ.

როგორც აღვნიშნე, 364—378 წლებში ამიანუსი ანტიოქიაში იმყოფებოდა. ამიტომ, 368—374 წლებში ქართლში მომხდარი ამბების მისეულ აღწერაში შეიძლება გარკვეული უზუსტობაც იყოს. როგორც ითქვა, უფრო სავარაუდებელია, ულტრა მირდატის ძე ყოფილიყო[44].

თრდატ რევის ძე

ვარაზ-ბაკურს გარდაცვალებისას, როგორც ითქვა, დარჩა „ძენი სამნი წურილნი. რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა“. ამიტომ, ქართლის წარჩინებულებმა „ზრახვა ყვეს და დასვეს მეფედ სიმამრი ვარაზ-ბაქარისი, ძე რევისი, ძის წული მირიანისი; კაცი მოხუცებული, სახელით თრდატ“ [58:137].

369 წელს ქართლის ირანისა და ბიზანტიის გავლენის სფეროებად გაყოფის შედეგად, რევ მირიანის ძის ვაჟი თრდატ-საურმაგი ქართლის ერთი ნაწილის მეფე გახდა. ამიტომ, 383 წელს ქართლის წარჩინებულთა „ზრახვის“ შედეგად ბაქარიანთა კუთვნილი ქართლის სამეფო ტახტიც რომ თრდატ რევის ძემ დაიკავა, ეს რი თქმა უნდა, იერიდიულად ბაკურ მირიანის ძესა და რევ მირიანის ძის მეუღლის — სალომეს შორის დადებულ „ხელით-წერილს“ აღარ ემყარებოდა. „ყოველ ქართლში“ თრდატის გამეფებისას, როგორც ჩანს,

---

44 ქართლის მეფის (ვარაზ-ბაკურის) და ქართველი უფლისწულის განსხვავებული სახელით მოხსენიება უჩვეულო არ არის საქართველოს ძველი ისტორიის ამსახველ უცხოენოვან წყაროებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელი „ულტრა“ ქართველი უფლისწულის ან წარმართული სახელის თარგმანია. ანდა მას ასე თვით ირანში. უწოდეს. რაც შეეხება სახელის ეტიმოლოგიას, „ულტრა“ შეიძლება სირიული „ულდუ“, ირანული "uštra" — აქლემი, — მომდინარეობდეს. ფიქრობენ, რომ სახელი „უშტრა“ გამოიყენებოდა როგორც კომპოზიტის მეორე ნაწილად (მაგ., Zaratuštra ზოროასტრიული რელიგიის დამაარსებლის სახელი იყო), ისე კომპოზიტს პირველ წევრად (Uštrabari — აქლემზე მჯდარი მხედარ). იყო შემთხვევა, როცა სახელად მხოლოდ Uštra (აქლემი) გამოიყენებოდა [97:37 — 38]. ძველ სომხურად „უშტრა“, გამოითქმოდა როგორც „ულტრა“ ამიტომ, შესაძლოა ამიანუსთან იგი სომხური ფორმიდან აისახა (ლათინურად — ულტრა).

ბაქარიანებიდან ისეთი არავინ იყო, რომელიც მეფობას შეძლებდა (ირანის სამეფო კარზე მძევლად მყოფი ულტრა ამ დროისათვის, ალბათ, ცოცხალი აღარ იყო).

როგორც „მეფეთა ცხოვრებაშია" ნათქვამი, თრდატი მეფობდა კეთილად. იგი „იყო კაცი მორწმუნე. ბრძენი და გონიერი, ამან სიბრძნითა თჳსითა დაამშჳდნა სპარსნი... ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფესა" [58:137].

თრდატ რევის ძემ ბაქარიანთა კუთვნილი ქართლის ტახტი რადგან ვარაზ-ბაკურის ძეების მცირეწლოვნობის გამო დაიკავა, ამიტომ, იგულისხმებოდა, რომ როცა ვარაზ-ბაკურის ძეები, უპირველეს ყოვლისა, უფროსი ძე ფარსმანი მეფობას შეძლებდა (თუნდაც ეს თრდატის სიცოცხლეში მომხდარიყო), თრდატს ბაქარიანთა კუთვნილი ქართლის ტახტი უნდა დაეტოვებინა. მაგრამ, აქვე ისმება კითხვა. არ შეეცდებოდა თრდატი, რათა თავის შემდეგ ბაქარიანთა კუთვნილი ქართლის ტახტი თავისი ასულის ძეებისათვის, ე. ი. დედით რევიანი უფლისწულებისათვის უზრუნველეყო?

ვფიქრობ, რომ შეეცდებოდა. თავისი ასულის ძეებს თრდატი ხომ თვითვე ზრდიდა და იგი თავისი სურვილის განსახორციელებლად ირანის გამოყენებასაც არ დაერიდებოდა. თრდატმა სასანიანთა სამეფო კართან რადგან კარგი ურთიერთობა დაამყარა, მამისეული ტახტის ძიებისას ფარსმანს მხოლოდ ბიზანტიის თანადგომის იმედი უნდა ჰქონოდა. აღნიშნულით უნდა აიხსნას უფლისწული ფარსმანი სამშვილდიდან ბიზანტიის საიმპერატორო კარზე რომ ჩავიდა. კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე მყოფმა ქართველმა უფლისწულმა დაუწყო ლოდინი შესაფერის დროს, რათა ქართლის ტახტი დაებრუნებინა.

ვახუშტი თრდატის მეფობის ხანგრძლივობას 12 წლით განსაზღვრავს და 393—405 წლებში ათავსებს [34:97]. გ. მელიქიშვილმა 1958 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში თრდატის (იგივე ბაკურ III-ის) მეფობა IV ს. 80—90-იანი [69:170], ხოლო ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში IV ს. 60—70-იანი წლებით დაათარიღა (იხ. ტ. 6, სტ. მითრიდატე V).

ვარაზ-ბაკურის გარდაცვალების თარიღად რადგან 383 წელი მივიღე, მეორე მხრივ კი, როგორც ვახუშტი წერს, თრდატმა თუ 12 წელი იმეფა, თ რ დ ა ტ ი ს მ ე ფ ო ბ ა „ყ ო ვ ე ლ ქ ა რ თ ლ შ ი" 383—395 წ ლ ე ბ ი თ უ ნ დ ა გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ო ს.

თრდატ რევის ძემ 383 წელს დაიკავა „ყოველი ქართლის" ტახტი. ამ დროისათვის „მეფეთა ცხოვრების" ავტორი მას „კაცს მოხუცებულს" უწოდებს. რამდენი წლისა უნდა ყოფილიყო თრდატი 383 წლისათვის?

როგორც ზემოთ ვნახეთ, თრდატის მამა — რევ მირიანის ძე

ჯერ კიდევ მირიანის სიცოცხლეში 334 წელს გარდაიცვალა. „მეფეთა ცხოვრებ-ს“ ცნობებიდან გამომდინარე ივარაუდება, რომ ტახტი მამიდან უფროს ძეზე გადადიოდა (ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჯერ კიდევ ბაკურ მირიანის ძის სიცოცხლეში რევის მეუღლე და ძე ტახ-ტის ძიებას არ დაიწყებდნენ). ამიტომ. რევის გარდაცვალების შემ-დეგ ტახტზე მისი ძე თრდატი უნდა ასულიყო. მირიანმა კი თრდატის მაგიერ ტახტზე თავისი უმცროსი ძე ბაკური რომ დასვა, ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას. 334 წლისათვის თრდატი ჯერ კიდევ მცირე-წლოვანი რომ იყო. თრდატი რადგან დაახლოებით 320 წელს უნდა დაბადებულიყო 334 წლისათვის 14 წლის ყმაწვილი მართლაც ვერ შეძლებდა მეფობას, ხოლო 383 წელს „ყოველ ქართლში“ გამეფე-ბისას უკვე 63 წლისა იქნებოდა. აი რატომ იწოდება იგი „მეფეთა ცხოვრებაში“ ამ დროისათვის „მოხუცებულად“.

„მეფეთა ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, თრდატმა კაცმა „მორწმუნემ, ბრძენმა და გონიერმა“ თავისი „სიბრძნით“ როცა „სპარსნი დაამშჯდნა“ შემდეგ გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლე-სია“ [58:137]. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ნათქვამია: „მეფემან რუ-სთვისა რუჲ გამოიღო და ეკლესიასა საფუძველი დადვა“ [73:325]. „მეფეთა ცხოვრება“ თრდატსავე მიაწერს „ჯვართა გამოჩენასა“ და „ეკლესიათა შეკაზმვას“, ნეკრესის ეკლესიის აშენებას. თრდატის მე-ფობაში გარდაცვლილა ეპისკოპოსი იაკობი და მის მაგიერ ილია დაუსვია [58:137].

ფარსმან ვარაზ-ბაკურის ძე

თრდატ რევის ძის შემდეგ, ქართლის ტახტზე ვარაზ-ბაკურის უფროსი ძე ფარსმანი ავიდა. „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, დედით იგი მირიანის სიძის ფეროზის შთამომავალი იყო[45]. მამის გარდაცვა-ლების შემდეგ სამშვილდის ერისთავთან იზრდებოდა. ქართულ წყა-როში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ფარსმანი იყო „უხუცესი ძმათა მისთა“, „კაცი მორწმუნე და მჴედარი შემმართებელი“. იგი „ეზრახა მეფესა ბერძენთასა, — წერს მემატიანე, — და ითხოვა მისგან შე-წევნა; და აღასრულა თხოვა მისი კეისარმან. მაშინ განდგა და არღა-რა მისცა სპარსთა ხარკი“, „განამრავლნა ჯუარნი და განაახლა ეკ-ლესიანი ყოველსა ქართლსა შინა, და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა მცირედ-ჟამ მეფობდა და მოკუდა [58:137—138].

ქართული წყარო, როგორც ვხედავთ, ფარსმანს დადებითად ახასიათებს. „მცირედ-ჟამ“ მეფობის მიუხედავად, მას მნიშვნელოვანი

---

45 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ფარსმანს თრდატის (ვარაზ-ბაკურის სიმამრის) დის-წულად მიიჩნევს [73:325]. გამოდის რომ ვარაზ-ბაკურს ცოლად ჰყავდა თრდატის დაც და ასულიც. ამ მხრივ „მეფეთა ცხოვრების“ ცნობა უფრო სწორია.

კვალი დაუმჩნევია ქართლის სამეფოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

„მეფეთა ცხოვრების“ ცნობებს ფარსმანის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ავტორის იოანე რუფუსის მონაცემები. იოანე რუფუსის ცნობით, ფარსმანმა კონსტანტინოპოლიდან გამოქცევის შემდეგ თეთრი ჰუნების დახმარებით დაიკავა ქართლის სამეფო ტახტი [43:249]. გამოდის, რომ სამშვილდეში ყოფნის შემდეგ ფარსმანი კონსტანტინოპოლში მოხვდა. მაგრამ, როდის, რატომ ჩავიდა იგი ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქში ამის შესახებ იოანე არ წერს. მართალია, „მეფეთა ცხოვრებაში“ ფარსმანის კონსტანტინოპოლში ყოფნის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ, რადგან, ფარსმანმა ბიზანტიელთა დახმარებით შეუწყვიტა ხარკი ირანს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას იმპერიასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა.

რომელ წლებში მეფობდა ფარსმანი?

„მეფეთა ცხოვრებაში“ მისი მეფობა, როგორც ვნახეთ, „მცირედ-ჟამით“ არის განსაზღვრული. ვახუშტი ფარსმანის მეფობას მართლაც მცირეჟამით — 3 წლით განსაზღვრავს და ზეობის წლებად 405—408 წლებს მიიჩნევს [34:97]. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ფარსმანი 395—404 წლებს შორის უნდა გამეფებულიყო [105:179]. გ. მელიქიშვილის თანახმად, ფარსმანი V ს. დასაწყისში მეფობდა [69:170]. ასეა განსაზღვრული ფარსმანის მეფობა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც (ტ. 10. სტ. ფარსმან IV).

როგორც ვნახეთ, თრდატს 383—395 წლებში უნდა ემეფა. რადგან თრდატის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტი ფარსმანმა დაიკავა და ვახუშტის თანახმად მან მხოლოდ 3 წელი იმეფა, ფ ა რ ს მ ა ნ ი ს ზ ე ო ბ ა 395—397 წ ლ ე ბ ი თ უ ნ დ ა გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ო ს.

„პეტრე იბერის ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, ფარსმანმა ქართლის ტახტი კონსტანტინოპოლიდან გამოქცევის შემდეგ დაიკავა. ამიტომ ვნახოთ, როდის უნდა გამოქცეულიყო ფარსმანი კონსტანტინოპოლიდან და, რაც მთავარია, ფარსმანის გამეფების თარიღად ჩემს მიერ მიღებული 395 წელი როგორ ეფარდება იმ დროის ვითარებას.

იოანე რუფუსი წერს: კონსტანტინოპოლში მყოფი ქართველი უფლისწული ფარსმანიოსი „რომაელთა მეფეს არკადიუსს დიდ პატივში ჰყავდა, ჯარის სარდლის თანამდებობაც ეკავა და პირველი ადგილი ეპყრა [43:248]. მაგრამ, განაგრძობს იგი, „არკადიუსის მეუღლის, ევდოქსიას შეყვარების გამო, იგი გაიქცა და დაიმალა, სასწრაფოდ თავის სამშობლოში წავიდა“ [43:249].

კონსტანტინოპოლიდან გამოქცეულმა ფარსმანმა, როგორც ითქვა, ქართლის სამეფო ტახტი ჰუნების დახმარებით დაიკავა. ამრიგად, უნდა

ვაირკვეს როდის გამოიქცა კონსტანტინოპოლიდან ფარსმანი და იმ ბანად ამიერკავკასიის ან მცირე აზიის ტერიტორიაზე თუ იყვნენ ჰუნები.

სანამ კონსტანტინოპოლიდან ფარსმანის გამოქცევის ამბავს შეეხები, მინდა ქართული ისტორიოგრაფიისათვის ჯერჯერობით უცნობი ერთი წერილის შინაარსი მოვიტანო. რადგან ვფიქრობ, წერილის ადრესატი „ფარესმანი" სწორედ ქართველი უფლისწული ფარსმანი უნდა იყოს.

წერილის ავტორი წმინდა ნილოსი (გარდ. 450 წ.) იმპერატორ თეოდოსიუს დიდის (379—395) დროს კონსტანტინოპოლის პრეფექტი იყო. 390 წელს მან დატოვა ეს ბრწყინვალე თანამდებობა, ოჯახი (ცოლი და ორი ძე) და სინას მთაზე განმარტოვდა, სადაც მან დიდი წმინდანის სახელი მოიხვეჭა. იმპერიის მოქალაქეები, როგორც ძველად ორაკულს, ისე ნილოსს ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვა კითხვით (შემონახულია მისი პასუხი იმპერატორ არკადიუსისადმი) ერთ-ერთი ასეთია ნილოსის პასუხი ფარსმანის შეკითხვაზე.

ნილოსის საპასუხო წერილში ფარსმანი დეცემვირად იწოდება[46], რაც მთავარია ნილოსის პასუხიდან ვგებულობთ, რომ ფარსმანს რაღაც უკმაყოფილება, დარდი, გულგატეხილობა ტანჯავდა. ჰქონდა შიშის განცდები, შური, პატივმოყვარეობა, საძრახისი სურვილები ამოძრავებდა, ლოთობას იყო მიძალებული[47].

წმინდა ნილოსის საპასუხო წერილის შინაარსიდან კარგად ჩანს ფარსმანის აფორიაქებული სულიერი მდგომარეობა. ნილოსის აღრესატი თუ მართლაც ქართველი უფლისწულია, მაშინ ისმება კითხვა. რას განიცდიდა ფარსმანი ასე. ქართლის ტახტის დაკარგვას, თუ მისი სასოწარკვეთილი მდგომარეობა კონსტანტინოპოლში მისი ინტიმური

---

46 დეცემვირები ძველ რომში 10 კაცისაგან შემდგარ ყოველგვარ კოლეგიას ეწოდებოდა. იმპერიის დედაქალაქად კონსტანტინოპოლის გამოცხადების შემდეგ ძველი რომაული თანამდებობები თითქმის VII ს-მდე შემორჩა და სასახლესთან დაახლოებულ პირებს ეძლეოდათ როგორც საპატიო წოდება [124:91]. მართლაც, უფრო მოსალოდნელია ქართლიდან კონსტანტინოპოლში ჩასულ ახალგაზრდა ქართველ უფლისწულს დეცემვირის საპატიო წოდება მიეღო, ვიდრე „ჯარის სარდლის თანამდებობა", როგორც ამას პეტრე იბერის „ცხოვრება" გვამცნობს.

47 Децемвиру Фарисманиму

Если и не гонит тебя ни один языческий мучитель, все же будь готов к мученью, чтобы не утратить ревности. Если и нет гонения, как желал бы ты: то все же будет у тебя дело. Лучше же сказать, и гонение предстоит целую жизнь: есть раздражительность, есть срамная похоть, мучат тебя неудовольствие, печаль, уныние, близ тебя безвременный страх, с тобою зависть, при тебе стоит князь тщеславия, чревоугодия, пьянства и других зловредных страстей. Ибо каждый из них гонит человеческую душу, не допуская в жизнь вечную. Посему подвизайся и мужайся против них, как Христов воин [150:249].

თავგადასავლით უნდა აიხსნას? ალბათ, ორივეა გასათვალისწინებელი.

როგორც ვნახეთ, ფარსმანი ქართლში ყოფნისას სამშვილდის ერისთავთან იზრდებოდა. როდის უნდა ჩასულიყო იგი კონსტანტინოპოლში არ ვიცით. ნილოსის საპასუხო წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ფარსმანს მისთვის, როგორც ახლო ნაცნობისათვის უნდა მიემართა. ეს მოსაზრება თუ სწორია, მაშინ ნილოსისა და ფარსმანის გაცნობა-დაახლოება კონსტანტინოპოლში ნილოსის პრეფექტობის დროს, ე. ი. 390 წლის წინა ხანაში უნდა მომხდარიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფარსმანის კონსტანტინოპოლში ჩასვლა 382 წლის შემდეგ, 390 წლამდეა სავარაუდებელი. კონსტანტინოპოლში, საიმპერატორო კარზე მყოფი ქართველი უფლისწული იმპერატორ არკადიუსს რადგან „დიდ პატივში ჰყავდა", კონსტანტინოპოლის პრეფექტს ნილოსს მასთან, ალბათ, ახლო ნაცნობობა ექნებოდა.

ახლა რაც შეეხება საკითხს, როდის უნდა დაეტოვებინა ფარსმანს კონსტანტინოპოლი?

395 წლის 17 იანვარს მედიოლანუმში (ახლანდელი მილანო, იტალიაში) იმპერატორი თეოდოსიუს დიდი გარდაიცვალა. იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილის მბრძანებელი თეოდოსიუსის ულოსი ძე — 17 წლის არკადიუსი, ხოლო დასავლეთი ნაწილისა 10 წლის ჰონორიუსი გახდა.

აი, ამ არკადიუსის მეუღლე იყო დედოფალი ევდოქსია, რომელსაც „პეტრე იბერის ცხოვრების" ავტორის ცნობით, ქართველი უფლისწული ფარსმანი ყვარობდა.

ევდოქსია მეტად კოლორიტული ფიგურა იყო. მის თანამედროვეთა თანახმად, დედოფლის ხასიათში მისი წინაპარი ხალხისათვის (იგულისხმება გალები. — ვ. გ.) დამახასიათებელი თვისება — ვაჟკაცური გამბედაობა ერწყმოდა მგრძნობიარობასა და სიფიცხეს, გრაცია და სილამაზე კი მაღალ სულიერ ნიჭიერებას. როგორც ბარბაროსი (ე. ი. არაბერძენი. — ვ. გ.) ევდოქსია განსაკუთრებით მგრძნობიარე ყოფილა მლიქვნელებისა და თაყვანისმცემლების მიმართ [169:83, შენ. 1].

სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება ევდოქსიას მეუღლე იმპერატორი არკადიუსი. ისტორიკოს ფილოსტორგიუსის აღწერით არკადიუსი იყო: პატარა ტანის, შავგვრემანი, გამხდარი, ძალასუსტი. მის უხალისო სულს ამეღავნებდა ნელი მეტყველება და ავადმყოფური, მთვლემარე თვალები [139:148]. არკადიუსის სუსტ გონებრივ განვითარებაზე მიუთითებს ისტორიკოსი ზოსიმეც [139:148]. აღნიშნულის მიუხედავად, მომავალ იმპერატორს წესაფერისი რიტორიკული და რელიგიური განათლება მიუღია [139:148].

იმპერატორმა თეოდოსიუსმა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში დანიშნა არკადიუსის ხელმძღვანელად პატივმოყვარე და მდიდარი რუფინუსი (წარმოშობით სამხრეთ გალიიდან იყო). რუფინუსს უნდოდა არკა-

დიუსისათვის თავისი ქალიშვილი შეერთო. მაგრამ, რუფინუსის ასეთი განზრახვა საიმპერატორო კარის მეორე დიდმოხელემ ევტროპიუსმა ჩაშალა[48]. მან ისარგებლა რუფინუსის ანტიოქიაში გამგზავრებით და არკადიუსს აჩვენა კონსტანტინოპოლში ერთი ქვრივის სახლში შეხიზნული რომის არმიის ერთ-ერთი სარდლის, წარმოშობით გალის იმ ხანად უკვე გარდაცვლილი ბაუტონის ასულის ევდოქსიას სურათი. არკადიუსს ევდოქსია მოწონებია და სასწრაფოდ ქორწინებისათვის მზადება დაუწყიათ. როცა რუფინუსი ანტიოქიიდან დაბრუნდა, ისღა დარჩენოდა 395 წლის 27 აპრილს არკადიუსის და ევდოქსიას ქორწილს დასწრებოდა [139:149—150].

ფარსმანი როდის დაუახლოვდა ევდოქსიას რუფინუსი არ წერს, მაგრამ, ვფიქრობთ, საეჭვო არ უნდა იყოს, მათი დაახლოება ევდოქსიას გათხოვებამდე რომ უნდა მომხდარიყო. კონსტანტინოპოლში სასახლეში მყოფი ქართველი უფლისწულისათვის ქვრივის სახლში შეხიზნულ ევდოქსიასთან დაახლოება, ალბათ, არც ისე ძნელი იქნებოდა.

ფარსმანისა და ევდოქსიას ინტიმური ურთიერთობის შესახებ იცოდა თუ არა ევტროპიუსმა ძნელი სათქმელია, მაგრამ, რადგან მათი ამბავი „პეტრე იბერის ცხოვრებაში“ აისახა, თანაც ევდოქსიას გათხოვების შემდეგ კონსტანტინოპოლში დატრიალებულ ამბებს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ფარსმანისა და ევდოქსიას ინტიმური ურთიერთობის ამბავი საკმაოდ გაბმაურებული უნდა ყოფილიყო და იგი ევტროპიუსსაც ეცოდინებოდა. ამიტომ, არკადიუსის ქორწილი, რადგან 395 წლის 27 აპრილს იყო დანიშნული, ფარსმანს (შესაძლოა თვით ევტროპიუსის გაფრთხილებითაც კი) ქორწილამდე უნდა დაეტოვებინა იმპერიის დედაქალაქი (გამორიცხული არაა, ფარსმანს ევტროპიუსის მიერ მიცემული ფულით რომ დაექირავებინა ჰუნები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფარსმანი კონსტანტინოპოლიდან 395 წლის დამდეგს უნდა გამოქცეულიყო. 383. წლიდან კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართლში თრდატ რევის ძე მეფობდა. თრდატი გარდა იმისა, რომ ნებით არ დათმობდა ტახტს, შეეცდებოდა ტახტი თავისი შვილიშვილებისათვის უზრუნველეყო. აი, რატომ დასჭირდა ფარსმანს ტახტზე ასასვლელად ჰუნების დაქირავება.

ახლა რაც შეეხება საკითხს. 395 წლის დამდეგისათვის იყვნენ ჰუნები მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში?

---

48 ევტროპიესი წარმოშობით იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციიდან (შესაძლოა კაპადოკია ან პონტო) იყო. დიდი ნიჭისა და ნოხერსებულობის წყალობით საიმპერატორო კარზე დაწინაურდა. 393 წლიდან მას სასახლეში ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა ეკავა. „იყო ესე ავტროპე საჭურისი, — ნათქვამია იოანე ოქროპირის ცხოვრებაში, — რომელი დგა სარეცელსა ზედა მეფისასა და საგანძურსა, და იგი იყო უწინარეს ყოველთა საჭურისთა“ [19:60].

ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში ჩრდილო კავკასიიდან ჰუნების შემოჭრის შესახებ სირიული წყაროები უზუსტეს ცნობებს გვაწვდიან. 540 წელს შედგენილ „ედესის ქრონიკაში“ არსებული ცნობით, ჰუნები რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში 394 წლის ივლისის თვეში გამოჩნდნენ [155:91]. 395/396 წლებში არკადიუსისა და ჰონორიუსის მეფობაში მთელი სირია ჰუნების ხელში იყო [139:150]. იმპერიის პროვინციებში ჰუნების ასეთი თარეშის დროს, რასაკვირველია, ფარსმანს მათი დაქირავება არ გაუჭირდებოდა. კონსტანტინოპოლიდან 395 წლის დამდეგს გამოქცეული ფარსმანი, ჰუნების დახმარებით ქართლის ტახტს 395 წელსვე უნდა დაუფლებოდა. ფარსმანის ქართლში გამეფებისას რევიანთა კუთვნილი ქართლი განსაკუთრებით დაზიანებულია. ჰუნები „იმათთვის, რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომები იყვნენ, მრავალი უბედურების მიზეზი შეიქმნა“ [43:249] — ნათქვამია პეტრე იბერის „ცხოვრებაში“.

სანამ ფარსმანის ქართლში მოღვაწეობის ამბავს შევეხები, ვნახოთ რა მდგომარეობა იყო კონსტანტინოპოლში მისი იქიდან გამოქცევის შემდეგ.

395 წლის 27 ნოემბერს რუფინუსი იმპერიის სამსახურში მყოფი გოთი გაინას ჯარისკაცებმა მოკლეს. ამ დღიდან იმპერიის მმართველობა ფაქტობრივად ევტროპიუსის ხელში გადავიდა (ამ დროიდან შეეძლო მას ფარსმანისათვის დახმარება გაეწია ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში). ევდოქსიას გადედოფლებაში რადგან ევტროპიუსს დიდი წვლილი მიუძღოდა, ივარაუდება, რომ მას დედოფალთან კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ, წყაროთა ჩვენებით, მათ შორის მტრული დამოკიდებულება ყოფილა. ერთხელ თურმე ევტროპიუსმა ისიც კი გაბედა. რაღაც საბაბის გამო დედოფალს სასახლიდან გაგდებით დაემუქრა. დედოფლის რა საიდუმლო იცოდა ევტროპიუსმა, რომ მის გამხელას სასახლიდან დედოფლის გაძევება მოჰყვებოდა? უფრო სავარაუდოა, ამ საიდუმლოდ ფარსმანსა და დედოფალს შორის ადრე არსებული ინტიმური დამოკიდებულება მივიჩნიოთ.

394 წლის ივლისიდან ჩრდილო კავკასიიდან იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში შეჭრილი ჰუნების თარეში თანდათან ძლიერდებოდა. საიმპერატორო კარი იძულებული შეიქნა ჰუნების წინააღმდეგ სამხედრო ღონისძიებანი განეხორციელებინა. 398 წელს ევტროპიუსი თვით ჩაუდგა სათავეში ჰუნების წინააღმდეგ გაგზავნილ სამხედრო ნაწილებს და ჰუნები იმპერიის საზღვრებიდან გააძევა.

ჰუნებზე გამარჯვების შემდეგ ევტროპიუსი მეტისმეტად აღზევდა. დედოფალი ევდოქსია კი შესაფერ დროს უცდიდა მის დასამხობად. და ასეთი დროც ჩქარა დადგა. 399 წელს კონსტანტინოპილში ხმა გავრცელდა, რომ ირანის შაჰი იმპერიის წინააღმდეგ გალაშქრე-

ბას აპირებდა. არკადიუსმა იმპერიის დასავლეთი ნაწილის იმპერატორს, თავის უმცროს ძმას — ჰონორიუსს სთხოვა დახმარება. მაგრამ, იმპერიის დასავლეთი ნაწილის ფაქტობრივმა ხელისუფალმა წარმოშობით ვანდალმა სტილიხონმა (392 წლიდან იგი იყო არმიის მაგისტროსი და იმპერიის დასავლეთი ნაწილის სამხედრო ძალების მთავარსარდალი, ხოლო 395 წლიდან ჰონორიუსის მეურვე) სამხედრო დახმარების საფასურად არკადიუსს ევტროპიუსის თანამდებობიდან გადაყენება მოთხოვა. არკადიუსი ყოყმანობდა, მაგრამ იმპერატორის ყოყმანს საქმეში დედოფლის ჩარევამ დაუსვა წერტილი. როგორც აღვნიშნე, ევდოქსიას თავისი ანგარიშები ჰქონდა ევტროპიუსთან. ევდოქსია იმპერატორ ქმართან ორ მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად შესულა და ტირილით უთხოვია ევტროპიუსის გადაყენება და გასახლება. 399 წლის 17 აგვისტოს ევტროპიუსი დაამხეს (იგი ჯერ კ. კვიპროსზე გაასახლეს, შემდეგ სიკვდილით დასჯეს). ისტორიკოს ზოსიმეს ცნობით, ევდოქსია თვითონ მონაწილეობდა ევტროპიუსის ქონების ძარცვა-გლეჯაში [139:175].

საეჭვო არ უნდა იყოს აღმოსავლური (პონტო-კაპადოკიიდან?) წარმოშობის დიდმოხელე ევტროპიუსი დედოფალ ევდოქსიას ინტიმური თავგადასავლის ცოდნას რომ შეეწირა:

ორი ქალიშვილის შემდეგ, დედოფალ ევდოქსიას 401 წლის 12 აპრილს მომავალი იმპერატორი თეოდოსი (მცირე) შეეძინა [139:175], 404 წელს კი იგი მშობიარობას გადაჰყვა [139:186]. 408 წლის 1 მაისს არკადიუსიც გარდაიცვალა.

დედოფლის ინტიმური თავგადასავალი რომ ცნობილი ყოფილა იმპერიის დედაქალაქში ეს შემდეგიდანაც ჩანს. 396 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნექტარიუსის გარდაცვალების შემდეგ, ახალ პატრიარქად იოანე ოქროპირი აირჩიეს (ხელდასხმა 398 წ. 26 თებერვალს შედგა). პატრიარქად არჩევამდე იოანე ანტიოქიაში მოღვაწეობდა. სწორედ ევტროპიუსის ჩარევით შეაჩერა მასზე არჩევანი არკადიუსმა [19:38, 169:80]. იოანესა და ევდოქსიას შორის თავიდან კარგი ურთიერთობა იყო. დედოფალი მხარს უჭერდა იოანეს ბრძოლას არიანელების წინააღმდეგ .[169:80]. მაგრამ ევდოქსიასა და იოანე ოქროპირს შორის ურთიერთობა დედოფლის ვერცხლისმოყვარეობამ გაამწვავა. „ხოლო დედოფალსა ევდოქსიას უყვარდა ვერცხლი ფრიად“ ხაზგასმით წერს იოანე ოქროპირის „ცხოვრების“ ავტორი [19:56, 76]. ვერცხლისმოყვარე დედოფალს იოანემ ერთხელ ასეთი სიტყვებით მიმართა: „ნუ გნებავს შენდა სახელის-დებად ახალი იეზა-

ბელ და მიიღო წყევაჲ იგი, რომლითა იგი იწყევა"[49] [19:92]. ასეთი მიმართვით განაწყენებულმა დედოფალმა „ბრძანა იოვანესი განყვანებაჲ პალატით მძლავრ" [19:92]. სამაგიეროდ იოანემ თავის ქვეშევრდომებს დაავალა ევდოქსია ეკლესიაში არ შეეშვათ [19:92—93].

დედოფალმა იოანეს მოწინააღმდეგე სასულიერო პირთა საეკლესიო კრება მოიწვია, სადაც დაადგინეს იოანეს ექსორია. იმპერატორს კი უთხრეს „ვითარმედ უწოდა დედოფალსა იეზაბელ" [19:101].

იოანე გადადგა, მაგრამ იმ ხანად კონსტანტინოპოლის მოსახლეობის მოთხოვნით კვლავ აღადგინეს.

დედოფალსა და პატრიარქს შორის ურთიერთობის ახალი გაჭვავება გამოიწვია კონსტანტინოპოლში ევდოქსიას ვერცხლის ქანდაკების დადგმამ [19:108]. იოანე კვლავ გამოვიდა დედოფლის წინააღმდეგ, სამაგიეროდ დედოფალმა ისევ მოიწვია იოანეს მოწინააღმდეგეთა კრება და 404 წელს იოანე კუკუსოში („მცირე არმენია") გაასახლეს, აქედან კი 407 წელს — ბიჭვინთაში. გარდაიცვალა გზაში, კომანის ახლოს იმავე წლის 14 ოქტომბერს [139:186].

იოანეს გადაყენებამ და გასახლებამ რომის პაპისა და იმპერატორ ჰონორიუსის განაწყენება გამოიწვია. არკადიუსმა დამნაშავენი დასაჯა. ხოლო დედოფალს უბრძანა „რაჲთა ჯდეს ერთსა კეიტონსა შინა პალატისასა" [19:134].

იოანეს გასახლების შემდეგ კონსტანტინოპოლში საიმპერატორო სასახლე დაიწვა [19:115—116], ზედიზედ რამდენიმეჯერ მიწისძვრა მოხდა. როგორც ვ. გრუმელის ცხრილიდან ჩანს, კონსტანტინოპოლში მიწისძვრები ყოფილა: 402, 403 წელს ორჯერ და 407 წლის 1 აპრილს [174:477]. ბუნების მოვლენისაგან შეშინებულ არკადიუსს ნილოსისათვის ქალაქის დალოცვა უთხოვია. საპასუხო წერილში ნილოსი წერს: „როგორ მთხოვ მე ქალაქი დავლოცო, როცა შენ მანდედან გააძევე „ჭეშმარიტი მანათობელი და ქრისტეს საყვირი" [150:146].

იოანეს გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ, 438 წლის 27 იანვარს, იოანეს ნეშთი დედაქალაქში გადაასვენეს და წმინდა მოციქულთა ეკლესიაში დაკრძალეს. ამ პროცესიაში დედოფალ ევდოქსიას ვაჟი — იმპერატორი თეოდისიუს მცირეც (408—450) მონაწილეობდა. იგი თურმე წმინდანის კუბოსთან ლოცულობდა და ცოდვათა შენდობას შესთხოვდა თავისი ცოდვილი დედის გამო [19:142; 139:189].

როგორც ვხედავთ, დედოფალი ევდოქსია დაუნდობლად ებრძოდა თავის მოწინააღმდეგეებს. მან ადვილად მოიშორა თავიდან იმ

---

49 კონსტანტინოპოლში შექმნილი მდგომარეობა იოანემ რომის პაპს ინოკენტი I-ს [401—417] შეატყობინა. არკადიუსისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი 20-წერილ წერილში პაპმა ევდოქსიას „ახალი დალილა" უწოდა [139:187].

დროის ცნობილი მოღვაწეები ევტროპიუსი და იოანე ოქროპირი. რა თქმა უნდა, ქართველ უფლისწულს სასწრაფოდ რომ არ დაეტოვებინა კონსტანტინოპოლი, იგი გადედოფლებისთანავე შეეცდებოდა ფარსმანის ფიზიკურად მოსპობას. მაგრამ დედოფლის სიმკაცრე. როგორც ჩანს, საქმეს ვერ შველოდა. მისი ადრინდელი ინტიმური ურთიერთობის ამბავი საკმაოდ გახმაურებული ყოფილა, თორემ იოანე ოქროპირი მას მარტო ვერცხლისმოყვარეობისათვის „ახალ იეზაბელს", ხოლო რომის პაპი „ახალ დალილას" არ უწოდებდა.

ისრაელის მეფის მეუღლის სახელი იეზაბელი — უნამუსობის, გარყვნილობის [129:158], ხოლო დალილა — ქმრის მოღალატის [მსაჯულთა 16, 4—21] სინონიმად იყო მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, თავისთავად ცხადია, 422 წელს კონსტანტინოპოლში ჩასული ქართველი უფლისწული პეტრეც შეიტყობდა ფარსმანისა და ევდოქსიას ინტიმური ურთიერთობის ამბავს (შესაძლოა, ეს ამბავი პეტრემ ჯერ კიდევ საქართველოში გაიგო), რის გამოც სათანადოდ აისახა კიდეც მის „ცხოვრებაში".

ამრიგად, ფარსმანი კონსტანტინოპოლიდან ევდოქსიასი და არკადიუსის ქორწილის (395 წ. 27 აპრილი) წინ, 395 წლის დამდეგს უნდა გამოქცეულიყო. იმავე წელს თეთრი ჰუნების დახმარებით ქართლში გამეფდა, „მცირედ-ჟამს" (3 წ.) იმეფა და 397 წელს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა.

საქართველოში ჩამოსულმა ფარსმანმა შეირთო თუ არა მეუღლე წყაროები არაფერს წერენ. ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტი მისმა ძმამ მირდატმა დაიკავა.

მირდატ ვარაზ-ბაკურის ძე

ფარსმანის ხანმოკლე მეფობის შემდეგ. ქართლის ტახტი ვარაზ-ბაკურის მეორე ძემ მირდატმა დაიკავა. მირდატი, ნათქვამია წყაროში, იყო „დედულად რევიანი", ხოლო „მამულად ბაქარიანი" „ორითავე მირიანის ძეთა ნათესავი" [58:138].

ვახუშტის ქრონოლოგიით მირდატმა სულ 2 წელი 408—410 წლებში იმეფა [34:97]. გ. მელიქიშვილის თანახმად, მითრიდატე V-ს (იგივე ბუზმირი?) V ს. 10—20-იან წლებში უნდა ემეფა [69:170] (შდრ., მისივე, მითრიდატე VI, ქსე, ტ. 6).

ქართლის ტახტზე ასული მირდატი „მეფეთა ცხოვრების" ცნობით, იყო „კაცი ქველი, მბედარი შემმართებელი", „უშიში ღმრთისა, ლაღი და ამპარტავანი, და მინდობილი მბედრობასა თჳსსა". „არა მსახურა ღმერთსა, — დასძენს ავტორი, — არცა აღაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა". ასეთი ხასიათის („სილაღითა მისითა")

გამო მირდატი „მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა“ [58:138]. იგი კლარჯეთისათვის ებრძოდა ბერძნებს, ხოლო სპარსელებს ხარკს არ აძლევდა.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული 379 წელს ირანის შაჰის შაბურ II-ის გარდაცვალებიდან 20 წლის განმავლობაში ირანის ტახტი ხელიდან ხელში გადადიოდა [156:46]. ირანის საშეფო კარზე არსებული არეულობით, რა თქმა უნდა, ქართლის მეფეებიც სარგებლობდნენ. მაგრამ, 399 წელს ირანის ტახტი ძლიერმა მმართველმა იეზდიგერდ I-მა დაიკავა [156:45]. მან, როგორც ჩანს, მირდატს ხარკის მიუცემლობა აღარ აპატია.

ირანის შაჰს მის წინააღმდეგ დიდი ლაშქრით გამოუგზავნია ერისთავი უფრობ. მტრის სიმრავლისა მირდატს არ შეშინებია. „სილაღითა თჳსითა, არა ჰრიდა სიმრავლესა სპარსთა, მცირედითა სპითა მიეგება“ მტერს. გარდაბანთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. მირდატი სპარსელებმა დაატყვევეს. გამარჯვებულმა მტერმა „დაიპყრო ქართლი და განრყუნნა ეკლესიანი“[50] [58:138]. მირდატი „წარიყვანეს“ ირანში და იქ გარდაიცვალა, ხოლო „... ნათესავნი ქართველთა მეფისანი დარჩეს სევსა კახეთისასა, — ნათქვამია „მეფეთა ცხოვრებაში“, — სუმონ ეპისკოპოსი მათ თანავე“ [58:138].

მიუხედავად იმისა, რომ მირდატი მამაცი და უშიშარი მებრძოლი ყოფილა, მას ორი დიდი იმპერიის წინააღმდეგ ერთდროულად ბრძოლა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ბიზანტიელთა გარკვეულ მხარდაჭერას მოკლებული მირდატის დამარცხებისა და დატყვევების შემდეგ სასანიანებმა თავიანთ კუთვნილ ქართლში მეფობა გააუქმეს. ასე რომ, მირდატი, რადგან 397 წელს ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ ავიდა ტახტზე და 2 წელი იმეფა, მისი მეფობა 398—399 წლებით უნდა განისაზღვროს. ამ ორი წლის მეფობაში, როცა მირდატი სულ იბრძოდა, რა თქმა უნდა, ვერავითარ მშენებლობას ვერ ჩაატარებდა.

უმეფობა ქართლში

გარდაბანთან ბრძოლაში მარცხისა და მირდატ მეფის დატყვევების შემდეგ სასანიანებმა ბაქარიანთა კუთვნილ ქართლში მეფობა გააუქმეს.

რადგან მირდატი 399 წელს დაატყვევეს, უმეფობის 3-წლიანი ხანა 400—402 წლებით უნდა განისაზღვროს.

---

50 399 წელს კონსტანტინოპოლში გავრცელებული ხმა იმპერიის წინააღმდეგ ირანის შაჰის იეზდიგერდ I-ის შესაძლო ლაშქრობის შესახებ ირანელთა ამიერკავკასიაში შემოჭრის გამოძახილი უნდა იყოს.

368 წელს ქართლის დაპყრობისა და ხარკის აღების შემდეგ, ირანელი მოხელე ქრამ-ხუარ ბორზარდი ქართლიდან წავიდა. ამ დროიდან წყაროები ქართლში ირანელ მოხელეს აღარ ასახელებენ. მაგრამ, როცა 399 წელს ირანელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს, ქართლი მათ ალბანეთში მჯდომი მარზპანისათვის დაუქვემდებარებიათ. „... ერისთავი სპარსთა მეფისა, — წერს ძველი ქართველი ავტორი, — რომელი ერისთაობდა რანს და მოვაკანს, ვიდრე არჩილამდე, მისივე გასაგებელი იყო ქართლი“ [116:140]. ძველი ქართველი ავტორის ცნობა 399 წლიდან ქართლისა და ალბანეთის ერთი ირანელი მოხელისადმი დაქვემდებარების შესახებ, სირიული აგიოგრაფიული ძეგლის მონაცემებითაც დასტურდება [177:80].

399 წლიდან 628 წლამდე (სასანიანთა ბატონობიდან ქვეყნის საბოლოო განთავისუფლებამდე) ქართლსა და ალბანეთს ერთი ირანელი მოხელე განაგებდა. ეს მოხელეები ირანში ცნობილი მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ და მემკვიდრეობით ფლობდნენ ამ სახელოს (დაწვრილებით იხ. 23).

ქართლში უმეფობის ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართველები შესაფერ დროს უცდიდნენ, რათა ტახტზე კვლავ საკუთარი მეფე დაესვათ. და ეს დროც ჩქარა დამდგარა. „შემდგომად სამისა წლისა, — წერს მემატიანე, — უცალო იქმნა სპარსთა მეფე, რამეთუ აღდგეს მტერნი აღმოსავლეთით. მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასუეს მეფედ მცხეთად ძე თრდატისი. ძმისწული მირდატისი, მეფისა წარტყუენილისა, სახელით არჩილ“ [116: 139].

არჩილ მირდატის ძე

უმეფობის შემდეგ ქართლის ტახტზე „დასმული“ არჩილი „ქართლის ცხოვრების“ უძველეს: ანასეულ, ჭალაშვილისეულ და მარიამისეულ ნუსხებში მართლაც მირდატის ძმისწულად და თრდატის ძედ არის დასახელებული [116:139, შდრ., იქვე შენიშვნა]. მაგრამ, „ქართლის ცხოვრების“ რუმიანცევისეულ, თეიმურაზისეულ, ბარათაშვილისეულ, დადიანისეულ ნუსხებში [116:139 შენიშვნა], რაც მთავარია, „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში [86:139], ასევე ვახუშტისთან [34:98] მირდატის ძედ იხსენიება. რადგან „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი XII ს-შია შესრულებული, ამ უკანასკნელის ცნობას მეტი ნდობით უნდა მოვეკიდოთ და არჩილი მირდატის ძედ ჩავთვალოთ.

წინააღმდეგობრივია ქართულ და უცხოენოვან (მხედველობაში მაქვს „პეტრე იბერის ცხოვრება“) წყაროთა მონაცემები არჩილის

შესახებ. „მეფეთა ცხოვრების“ ცნობების ზემომოტანილი ანალიზიდან გამომდინარე, 382 წლისათვის ვარაზ-ბაკურის ძეები მცირეწლოვნები იყვნენ. რის გამოც ქართლის ტახტი მისმა სიმამრმა თრდატმა დაიკავა.

უმეფობის შემდეგ 402 წელს ქართლის ტახტზე „დასმული“ არჩილი, მირდატის ძე იყო, ვარაზ-ბაკურს კი ამ მირდატის დედა (თრდატის ასული) 369 წელს უნდა შეერთო, ხოლო მირდატი დაახლოებით 370 წელს უნდა დაბადებულიყო (ფარსმანის დაბადება 370 წლის წინაა სავარაუდებელი) და მან დაახლოებით 17/18 წლისამ (388 წ.) თუ მაინც შეირთო ცოლი, მაშინ მისი ძე არჩილი, ქართლის ტახტზე ასვლისას 402 წელს 13 წლისა იქნებოდა[51]. შეიძლება აღნიშნულით უნდა აიხსნას წყაროს მითითება არჩილის მეფედ „დასმის“ შესახებ?

თუ თვით არჩილმაც დაახლოებით 17/18 წლისამ შეირთო ცოლი (406—407), მაშინ მისი ძე მირდატი დაახლოებით 407/408 წელს უნდა დაბადებულიყო და გამოდის, რომ მირდატი 18/19 წლისა იყო როცა 426 წელს ბარზაბოდის ასული შეირთო (იხ. ქვემოთ). დაახლოებით, აი ასეთი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ ვარაზ-ბაკურის მეორე ძის — მირდატის შთამომავალთა ქრონოლოგია.

ზემომოტანილ მსჯელობას ეწინააღმდეგება მემატიანის ცნობა არჩილის მიერ ცოლად „საბერძნეთით ივბიმიანოს მეფის ნათესავის მარიამის“ [116:140] მოყვანის შესახებ. რადგან ივბიმიანოსი იგივე იობიანი 363 წლის 27 ივნისიდან 364 წლის 16 თებერვლამდე იყო იმპერატორი, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ივბიმიანოსის ნათესავი არჩილს. ივბიმიანოსის ზეობის თანადროულად უნდა შეერთო. მაგრამ, არჩილს 406/407 წელსაც ხომ შეეძლო იმპერატორ იობიანის ნათესავის — მარიამის შერთვა?

ვახუშტის თანახმად, არჩილმა 24 წელი იმეფა 410—434 წლებში [34:98]. გ. მელიქიშვილი არჩილის მეფობას V ს. მეორე ნახევარში დებს [69:170], ა. ბოგვერაძე V ს. 20—30-იან წლებში (ქსე, ტ. I, სტ. არჩილ I).

თუ არჩილმა, როგორც ამას ვახუშტი წერს, მართლაც 24 წელი იმეფა, მაშინ მისი მეფობა 402—426 წლებით უნდა განისაზღვროს.

საინტერესოა ქართული წყაროს ცნობები არჩილის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. უმეფობის შემდეგ ტახტზე ასულ არ-

---

51 როგორც ზემოთ ითქვა, ფარსმანი უძეოდ გარდაიცვალა, ხოლო 402 წელს ქართლის ტახტზე არჩილი რადგან მცირეწლოვანი დასვეს, ჩანს, ვარაზ-ბაკურის მესამე ძე თრდატი ამ დროისათვის ცოცხალი აღარ იყო. ასევე, ცხადია, პეტრე იბერის „ცხოვრების“ ცნობაში თითქოს გამეფებისას არჩილი „ღრმა მოხუცი“ იყო, არჩილ მირდატის ძე არ იგულისხმება.

ჩილს. მართლაც გარეშე ძალის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ამიტომ, მის მიერ საბერძნეთიდან ცოლის მოყვანა იმას ნიშნავდა, რომ იგი ბიზანტიურ ორიენტაციას დაადგა.

არჩილმა, როგორც წყაროშია ნათქვამი, „მოსრნა და განასხა ყოველი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა; მოირთო ძალი საბერძნეთით და... იწყო ბრძოლად სპარსთა" [116:140].

არჩილის ასეთ ნაბიჯს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქართლისა და ალბანეთის გამგებლის, ირანელი მარზპანის საწინააღმდეგო ღონისძიებანი მოყვებოდა. მაგრამ, მისი ლაშქრობა არჩილის წინააღმდეგ მარცხით დამთავრებულა. პირიქით, არჩილი თვით შეიჭრა ალბანეთში და შინ გამარჯვებული დაბრუნდა.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაუტარებია არჩილს აღმშენებლობის მხრივაც. მას განუახლებია ეკლესიები, აუშენებია ეკლესია „სტეფან-წმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგვისათა, სადა იყვნეს ჯოშკნი მტკიცენი საბრძოლონი, რომელნი მასვე აღეშენეს" [116:140].

მირდატ არჩილის ძე

არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტი მისმა ძემ მირდატმა დაიკავა. მირდატის მეფობის ხანგრძლივობას ვახუშტი 12 წლით განსაზღვრავს და 434—446 წლებში ათავსებს [34:99—100]. გ. მელიქიშვილის თანახმად, მითრიდატე VI (მას ასე უწოდებს) V ს. შუა ხანებში მეფობდა [69:170] (შდრ., მისივე, მითრიდატე VII. ქსე, ტ. 6).

არჩილის ძე მირდატი ვახტანგ გორგასლის მამა იყო. როგორც ზემოთ ვაჩვენე, ვახტანგი 431 წელს დაიბადა და 438 წელს მამის — მირდატის გარდაცვალებისას 7 წლისამ დაიკავა სამეფო ტახტი. მეორე მხრივ, ვახუშტი მირდატის მეფობის ხანგრძლივობას რადგან 12 წლით განსაზღვრავს, მირდატის გარდაცვალებისა და ვახტანგის გამეფების თარიღად ჩემს მიერ მიღებულ 438 წელს თუ 12 გამოვაკლებთ, მირდატის გამეფების თარიღად 426 წელს მივიღებთ, რაც, როგორც ვხედავთ, ზუსტად ემთხვევა არჩილის გარდაცვალების წელს.

როგორც ჯუანშერი წერს, ქართლ-ალბანეთის მარზპანის ბარზაბოდის ასული საგდუხტი მირდატმა ცოლად ჯერ კიდევ არჩილის სიცოცხლეში შეირთო [116:141]. პირველი შვილი ხვარანძე მირდატს ვახტანგის დაბადებამდე 4 წლით ადრე — 427 წელს შეეძინა [25: 163]. როგორც ჯუანშერის ცნობიდან ჩანს, რადგან ხვარანძეს დაბადებისას არჩილი ცოცხალი აღარ იყო, ცხადია, არჩილი 427 წლის წინ გარდაცვლილა, ხოლო მირდატს ბარზაბოდის ასული, როგორც ითქვა, 426 წელს, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, 18/19 წლის ასაკში შეურთავს.

რაც შეეხება მირდატის მოღვაწეობას. ჯუანშერის თანახმად, მირდატ არჩილის ძე იყო „მორწმუნე და ღმრთის-მსახური“, „ქუელი და შემმართებელი“. როცა იგი დადგა „ასაკსა მამაკაცობისასა“, — დასძენს ჯუანშერი, — მაშინ სპარსეთის შაჰი ებრძოდა „ინდოთა და სინდთა და აბაშთა“, რის გამოც „უცალო იყო“. ამით ისარგებლა მირდატმა და „უმეტესად უწყო ბრძოლა სპარსთა“. მირდატის სპარსელებთან ბრძოლა ქართლ-ალბანეთის მარზპანის ბარზაბოდის წინააღმდეგ ლაშქრობებში გამოიხატებოდა [116:140—141]. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობისას, როგორც ჯუანშერი წერს, მირდატს შეუტყვია, რომ ბარზაბოდს „ესუა ასული ქმნულ-კეთილი, შუენიერი, რომელსა ერქუა საგდუხტ“. „სმენითა სიშუენიერითა მისისათა ტრფიალ იქმნა მირდატ მის ზედა“. მამის — არჩილის ნებართვით მირდატმა ცოლად შეირთო საგდუხტი. მცხეთაში გადაბდილი დიდი ქორწილის შემდეგ, არჩილმა მირდატს მისცა სამშვილდე „და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ“ [116:141—142]. ირანელი მარზპანის ასული საგდუხტი ცეცხლთაყვანისმცემელი იყო. ამიტომ მირდატმა „მოჰგუარა კაცნი სჯულის მეცნიერნი“. მათ საგდუხტს „უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“, რის შემდეგაც საგდუხტმა ჩქარა „დაუტევა ცეცხლის-მსახურება, ნათელ-იღო და იქმნა მორწმუნე, და მან აღაშენა სიონი სამშვლდისა“ [116:142].

მირდატი 438 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ალბათ, დაახლოებით 29/30 წლისა გარდაიცვალა. დარჩა 7 წლის ვახტანგი და ორი ქალიშვილი (ბაქარიანთა გენეალოგიური შტო რადგან ემთხვევა „მეფეთა ცხოვრებიდან“ და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან“ ზემომოტანილ რიგს განმეორებით აქ აღარ მომაქვს).

§2. რევ მირიანის ძის შთამომავლები (რევიანები)

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე, როგორც აღვნიშნე, რევიანთა ორიენტაციის გამომხატველი თხზულებაა. ავტორი ცდილობს IV ს. და V ს. დამდეგის ქართლის მეფეებად მხოლოდ რევ მირიანის ძის შთამომავლები დაასახელოს. მაგ., ბაკური „მირიანის ცხოვრებაში“ თუ მირიანის ძედაა მიჩნეული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად იგი რევის ძე იყო [73:324], ეს „ბაკურ რევის ძე“ ქართლის ტახტზე თითქოს მისმა ძმამ, თრდატმა (ე. ი. ისევ რევის ძემ) შეცვალა. თრდატის შემდეგ, ნათქვამია ამ წყაროში, „დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ“ [73:325] (მითითებული არაა იგი ვისი ძე იყო). ვარაზ-ბაკურის შემდეგ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მეფედ ასახელებს ბაკურ თრდატის ძეს და დასძენს, რომ იგი „იმიერ განვიდა და განაახლა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს“ [73:325]. ბაკურის შემდეგ მეფეებად დასახელებულნი

არიან: ფარსმანი „დისწული თრდატისი“ (ისევ რევის შთამომავლობაზეა ხაზგასმა. ვისი ძეა არ წერს), მირდატი, არჩილი და ასე შემდეგ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲდან“ ზემომოტანილი მასალის მიხედვით, რევ მირიანის ძის შთამომავალი მეფეები ასე წარმოგვიდგება:



რევ მირიანის ძის მემკვიდრეთა შესახებ, როგორც ითქვა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გარდა ცნობები არის პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“. ამ თხზულებაში გარდა იმისა, რომ ქართლის მეფედ ზოგი ისეთი პირია დასახელებული, რომლებიც ქართულმა წყაროებმა არ იციან (მაგ., პეტრეს მამა ბოზმარიოსი და პაპა ბოზმარიოსი), როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნე, ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ პეტრე იბერის პაპა (დედის მხრივ) დიდი ბაკური იხსენიება. მასში პეტრეს წინაპარი მეფეები ასეა წარმოდგენილი:



რევ მირიანის ძე

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას ვისი ძე იყო ბაკური, მირიანისა, როგორც ამას „მირიანის ცხოვრება“ გვაუწყებს, თუ რევისა (ე. ი. მირიანის შვილიშვილი) როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამტკიცებს?

დასმული საკითხის გარკვევით დღემდე არავინ დაინტერესებულა. ერთნი უპირატესობას „მირიანის ცხოვრებას“ ანიჭებენ და ბაკურს მირიანის ძედ მიიჩნევენ, მეორენი უფრო სანდოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თვლიან და აქედან გამომდინარე, ბაკური რევის ძედ მიაჩნიათ[52].

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა თითქოს ბაკური რევის უფროსი ძე იყო, არ დასტურდება. ამ ცნობაში, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ შეიტანა ეჭვი. ბაკურ მირიანის ძის მიერ რევის მეუღლისადმი მიცემულ „ხელით-წერილში“ მართალია რევის „წულები“ იხსენიება, მაგრამ, წყაროთა სხვა მონაცემებით რევის მხოლოდ ერთი ძე ჩანს. მაგ., „ნინოს ცხოვრებაში“ როცა ნინოს მიერ რევის სნეული ძის განკურნებაზეა საუბარი ნათქვამია: იყო ძე რევისი სნეული და მიწევნულ სიკუდიდ. რამეთუ იგი ხოლო მარტოჲ ესუა“ [73:352]. ასევე, „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში ზემოდასახელებული „ხელით-წერილის“ დადების ამბის თხრობისას, მხოლოდ სალომეზე და მის შვილზეა მითითება [86:131].

---

52 ორივე თხზულებაში რომ ბაკურ მირიანის ძეზეა საუბარი იქიდანაც ჩანს, რომ ორივე წყარო ამ ბაკურს წილკნის ეკლესიის ამშენებლად თვლის [58:131; 73: 324].

ასე რომ, ძველ წყაროთა ცნობებიდან გამომდინარე, რევ მირიანის ძეს მხოლოდ ერთი ძე — თრდატი ჰყავდა (თრდატის გარდა შეიძლება სხვანი ასულები იყვნენ, ამიტომაა მითითება „წულებზე"). აღნიშნულთან ერთად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტიდან ისე გამოდის, თითქოს მირიანის გარდაცვალების შემდეგ ჯერ ბაკურ რევის ძე გამეფდა, შემდეგ გარდაიცვალა რევი [73:324]. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაკურ რევის ძემ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში დაიკავა ქართლის ტახტი. მაგრამ, „მირიანის ცხოვრების" ცნობებიდან გამომდინარე, თვით რევისაც ხომ მირიანის სიცოცხლეში (ე. ი. 334 წლამდე) ეკავა ქართლის ტახტი და იგი 334 წელს, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში გარდაიცვალა.

„ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში არსებული ცნობით, რევი რადგან 34 წლისა გარდაიცვალა [86:129—130], იგი 300 წელს უნდა დაბადებულიყო. მეუღლე კი ქართლის მოქცევის (317 წ.) შემდეგ, დაახლოებით 318/319 წელს უნდა შეერთო და რევის ძის — თრდატის დაბადება დაახლოებით 320 წელსაა სავარაუდებელი. ასე რომ, 334 წელს რევის გარდაცვალებისას თრდატი (რევის თავის ძეს, როგორც ჩანს, თავისი სიმამრის, სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფის — თრდატ III-ის პატივსაცემად დაარქვა ეს სახელი) მცირეწლოვანი, 14 წლისა იქნებოდა. ალბათ, ამით უნდა აიხსნას მირიანმა ქართლის ტახტზე თავის სიცოცხლეშივე მეორე ძე ბაკური რომ დასვა. ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობა თითქოს ბაკური რევის ძე იყო და იგი ჯერ კიდევ რევის სიცოცხლეში მეფობდა მიუღებელია. „მოქცევაჲ ქართლისაჲში" რევის ძედ დასახელებული ბაკური, უეჭველია, ბაკურ მირიანის ძეა[53] და რევიანთა გენეალოგიის ათვლა რევ მირიანის ძიდან უნდა დავიწყოთ.

რევის ცხოვრების წლებად ჩემს მიერ მიღებულ თარიღთა სისწორის გასამყარებლად, სომხურ წყაროთა ცნობებიც უნდა იქნას გათვალისწინებული. ქართულ და სომხურ წყაროთა ერთობლივი მითითებით რევის მეუღლე სალომე სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფის — თრდატის ასული იყო. ვნახოთ დაახლოებით როდის უნდა დაბადებულიყო იგი.

ქართულ წყაროებში არსებულ ცნობათა გათვალისწინებით, ლ. ჯანაშიამ ვარაუდი გამოთქვა, რომ თრდატი მირიანის გამეფებიდან 35/36 წლის შემდეგ უნდა გამეფებულიყო სომხეთში [110:62]. ამ გაანგარიშების საფუძველზე თრდატი მირიანზე გაცილებით უმ-

---

53 წყაროში არსებული მითითება, რომ მირდატი იყო „დედულად რევიანი", ხოლო „მამულად ბაკარიანი" „ორივე მირიანის ძეთა ნათესავი" კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ მირიანს ორი ძე ჰყავდა.

ცროსი ჩანს და მირიანს გვიან რომ არ შეერთო მეორე ცოლი, სხვა მხრივ, მისი ძე თრდატ III-ის ასულის ტოლი ვერ იქნებოდა.

თრდატ III-ის ასული სალომე მართლაც რევ მირიანის ძის დაახლოებით თანატოლი რომ უნდა ყოფილიყო, ეს შემდეგიდან ჩანს.

სომეხთა განმანათლებლის გრიგოლ პართელის „ცხოვრების" ძველ ქართულ თარგმანში არსებული ცნობით, როცა გრიგოლის მამამ ანაკმა თრდატ III-ის მამა ხოსროვი მოკლა (287 წ.), მაშინ თრდატი „... არა მოკლა სიჩჩოჲსათჳს ჰასაკისა მისისა, არამედ წარავლინა იგი ქუეყანად საბერძნეთსა" [101:10]. ზემომოტანილი ცნობიდან გამოდის, რომ 287 წელს თრდატი მცირეწლოვანი იყო.

სომხეთიდან გაქცეული თრდატი რომის იმპერიის ტერიტორიაზე, ალბათ, იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის დედაქალაქ ნიკომედიაში იმყოფებოდა და, როგორც ცნობილია, სომხეთის ტახტი მან იმპერატორ დიოკლეტიანეს (284—305) დახმარებით დაიკავა 298 წელს (ადრე მის გამეფების თარიღად 287 წელი ითვლებოდა). მაგრამ, მეუღლემას, როგორც ამას მოვსეს ხორენაცი გადმოგვცემს, გაცილებით ადრე შეურთავს. ხორენაცის ცნობით, როცა თრდატმა აშხენა შეირთო ცოლად, იმავე ხანებში დიოკლეტიანეს ასული მაქსიმინა ნიკომედიაში დაქორწინდა კონსტანტინე კეისარზე, რომაელთა მეფის, კონსტანტის შვილზე [72:167].

ქორწილი, რომლის შესახებ ხორენაცი მოგვითხრობს, 293 წელს უნდა შემდგარიყო. ამ წელს დიოკლეტიანემ თავისი ქალიშვილი ვალერია იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის გამგებელს გალერიუსს (გარდ. 311 წ.) მიათხოვა. ამავე დროს, კონსტანტინე დიდის ძემ კონსტანტიმ მაქსიმიან გერკულესის ქალიშვილი თეოდორა შეირთო ცოლად [140:6].

თუ ხორენაცი არ ცდება და თრდატმა 293 წელს შეირთო აშხენა, მაშინ მისი ქალიშვილი სალომე 300 წელს დაბადებული რევ მირიანის ძის დაახლოებით თანატოლი იქნებოდა (წყაროებიდან არა ჩანს თრდატის შვილებიდან მისი ძე ხოსროვი იყო ეფროსი თუ სალომე, ან თუ ჰყავდა თრდატს მათ გარდა სხვა შვილები).

თრდატ რევის ძე

334 წელს ქართლში ბაკურ მირიანის ძის გამეფებიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა, დაახლოებით 338/339 წელს ქართლში შინაომი დაიწყო. რევის მეუღლემ სალომემ მოინდომა ქართლის ტახტზე ამ დროისათვის უკვე სრულწლოვანი (ალბათ, 18/19 წლის) ძე — თრდატი სომხეთის სამეფო კარის დახმარებით

დაესვა. სამაგიეროდ ბაკური „დაემოყვრა სპარსთა მეფეს“. ირანელთა დახმარებით სომხები დაამარცხა და ტახტი შეინარჩუნა. რევის მეუღლესა და ძეს კი დაუწერა „ხელით-წერილი“, რომ სანამ მის შთამომავლებს მეფობა შეეძლებოდათ, რევის ნათესავებს მეფობა არ ეძლათ. მისცა მათ კუხეთი და „დასხნა რუსთავს ერისთავად“ (შდრ., ბაკურ მირიანის ძე).

ასე რომ, ამ ომის შემდეგ მეფობის მაძიებელი თრდატ რევის ძე მხოლოდ კუხეთის მფლობელი შეიქნა და შესაფერ დროს დაუწყო ლოდინი, რათა ქართლის ტახტი დაეკავებინა. ეს დროც დადგა. ბიზანტიის იმპერატორის, იულიანე განდგომილის ირანთან 363 წელს განცდილი მარცხის შემდეგ, იმპერატორმა ვალენტიმ ამიერკავკასიაში იმპერიის პოზიციების განსამტკიცებლად, როგორც ზემოთ ვნახეთ, ირანული ორიენტაციის მირდატ ბაკურის ძის წინააღმდეგ თრდატი (ცხადია თრდატი სომეხთა მხარდაჭერითაც ისარგებლებდა) გამოიყენა. 368 წელს იგი ქართლის ტახტზე დასვა.

ამიანუს მარცელინუსი ბიზანტიელთა მიერ ქართლის ტახტზე დასმულ პიროვნებას, მართალია, საურმაგს უწოდებს, მაგრამ, რადგან რევის თრდატის გარდა სხვა ძე არ ჰყავდა, საურმაგი, როგორც ეს ლ. ჯანაშიამ შენიშნა და მეც არაერთხელ მივუთითე, თრდატ რევის ძე უნდა იყოს.

მოტანილი მსჯელობა თუ სწორია, მაშინ უნდა დავასკვნათ: თრდატ-საურმაგი ჯერ რუსთავში იჯდა და რევიანთა კუთვნილ ტერიტორიას— კუხეთს განაგებდა. 368 წელს რომაელთა დახმარებით იგი „ყოველი ქართლის“[54] მეფე გახდა. 368 წელს, ბაკურ მირიანის ძის შთამომავალმა ვარაზ-ბაკურმა ირანელთა დახმარებით მამისეული ტახტი დაიბრუნა (როგორც ჩანს, სწორედ ამ აქტს საყვედურობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ავტორი მას, როცა წერს „დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ“. ალბათ, გულისხმობს, რომ ვარაზ-ბაკურმა ძალით დაიკავა ტახტი)[55] და თრდატ-საურმაგი ტახტიდან გადააყენა. 369 წელს ბიზანტიელთა დახმარებით თრდატ-საურმაგი ქართლის ნახევარს დაეპატრონა. ამ დროიდან რევიანები კუხეთის მაგიერ ქართლის ერთი ნაწილის ოფიციალური მეფეები შეიქნენ.

---

54 ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად ფიქრობს, რომ „ყოველი ქართლი“ ვრცელდებოდა „ხუნანითგან ვიდრე ზღუდმდე სპერისა“, მაგრამ თვით ტერმინი X—XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმოქმნილად მიაჩნია [10:11].

55 მ. ჩხარტიშვილმა წყაროს ასეთი მითითება იმით ახსნა, თითქოს ვარაზ-ბაკურმა დროებით დაიკავა ქართლის ტახტი [95:164]. ვარაზ-ბაკური რადგან პეტრე იბერის მამად მიაჩნია, ფიქრობს, რომ 422 წლის შემდეგ იგი მეორედ გამეფდა [95:166].

ქართლის შუაზე გაკოფის შემდეგ ვარაზ-ბაკურმა თრდატის ასული შეირთო ცოლად, რის შედეგადაც ფარნავაზიანთა სახლის ორი შტო — რევიანები და ბაქარიანები კვლავ დაახლოვდნენ — „დანათესავდნენ".

მირიანის ორივე ძის შთამომავლებმა რადგან ქართლი შუაზე გაიყვეს, ამ დროიდან ბაკურ მირიანის ძის მიერ დადებულმა „ხელითწერილმა" ძალა დაკარგა. ამიტომ, როგორც აღვნიშნე, 383 წელს ვარაზ-ბაკურის გარდაცვალების შემდეგ თრდატ-საურმაგი „ყოველ ქართლში" რომ გამეფდა, ეს მხოლოდ ვარაზ-ბაკურის ძეების მცირეწლოვნობით იყო განპირობებული.

თრდატ-საურმაგის „ყოველ ქართლში" გამეფების შემდეგ, რევიანთა შტო განაგრძობდა თუ არა მეფობას თავიანთ კუთვნილ ქართლში? უფრო ზუსტად, თრდატის უფროსმა ძემ ბაკურმა დაიკავა მამის თანადროულად რევიანთა კუთვნილ ქართლში ტახტი?

როგორც ჩანს, არა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" მას მეფედ თრდატის შემდეგ ასახელებს [73:325]. თრდატი რადგან რომაული ორიენტაციის მოღვაწე იყო, ბიზანტიელები მას უეჭველად 369 წელს მძევალს მოსთხოვდნენ და თრდატს გაუგზავნია კიდეც იმპერიაში თავისი ძე ბაკური (იხ. ქვემოთ). რაც შეეხება თრდატ-საურმაგის სხვა ძეებს: პეტრე იბერის პაპას — ბოზმარიოსსა (თუ იგი მართლაც თრდატის ძე იყო) და არჩილს, ისინი თრდატის „ყოველ ქართლში" მეფობისას, ალბათ, ერისთავებად იწოდებოდნენ.

ბაკურ თრდატის ძე

395 წლის დამდეგს, როგორც ვნახეთ, ვარაზ-ბაკურის უფროსმა ძემ ფარსმანმა თრდატ-საურმაგი ტახტიდან გადააყენა და „ყოველ ქართლში" გამეფდა. მაგრამ, „ყოველი ქართლის" მეფედ იგი დიდხანს არ დარჩენილა, ბიზანტიიდან ჩამოსული ბაკური დაახლოებით 396 წელს რევიანთა კუთვნილ ქართლს დაეუფლა. ქართლში ორმეფობა აღდგა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს ბაკური იმპერიაში მძევლად რომ იქნა გაგზავნილი. ამიტომ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს ბიზანტიაში წასვლამდე ბაკური ქართლში მეფედ იყო, არაა სწორი[56]. ვნახოთ რა ცნობებს გვაწვდიან ბაკურის შესახებ ბიზანტიელი ავტორები.

---

56 ს. ყაუხჩიშვილმა ბაკურის მიერ ქართლის დატოვება იდეოლოგიურ ნიადაგზე ახსნა. ბაკურს თითქოს უთანხმოება ჰქონდა ქართლში გაბატონებულ მართლმა-

392 წლით დათარიღებულ ლიბანიოსის წერილებში რადგან ბაკურის ანტიოქიაში ჩასვლაზეა მითითება [59:62—65], უნდა ვივარაუდოთ, რომ სანამ 394 წლის სექტემბერში ჩრდილო იტალიაში ფრიგიდუსთან ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებდა, იგი პალესტინაში უნდა ყოფილიყო. სოკრატე სქოლასტიკოსის (იმოწმებს რუფინუსს) თანახმად, ბაკური წინათ იბერთა უფლისწული იყო, შემდეგ რომაელებთან მივიდა და პალესტინის სამხედრო ნაწილის სარდლად იქნა დაყენებული. ამის შემდეგ მიიღო მონაწილეობა ფრიგიდუსთან ბრძოლაში[57] [81:234]. გელასი კვიზიკელი (გელასი კესარიელის ცნობას იმეორებს) ბაკურს „მეფის შთამომავლად იხსენიებს და წერს, რომ მან პალესტინის მწვერვალებზე დაამარცხა სარკინოზები [16: 194]. რუფინუსის ცნობით კი, ბაკური იბერთა ის მეფეა, რომელიც იმპერიაში იყო დომესტიკთა კომსი. იერუსალიმში ცხოვრობდა და პალესტინის საზღვრის სარდალი იყო [79ა:207]. აქვე, „ბაკური იბერიელის" (რა თქმა უნდა, იგი თუ ბაკურ თრდატის ძეა) 378 წელს ადრიანოპოლის ბრძოლაში მონაწილეობის ფაქტსაც თუ გაკითვალისწინებთ, მაშინ ნათელი გახდება რომ იგია პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში" ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ დასახელებული „დიდი ბაკური", მან უამბო ბიზანტიელ ავტორებს იერუსალიმში ქართლის მოქცევის შესახებ, ბაკურის ძირითადი სამსახური პალესტინაში იყო. ფრიგიდუსთან ბრძოლის შემდეგ, იგი, რა თქმა უნდა, პალესტინაში დაბრუნდებოდა და სწორედ იქ უნდა გაეგო მას 395 წელს „ყოველი ქართლის" ტახტიდან მამის — თრდატ რევის ძის გადაყენების ამბავი. სანამ კონსტანტინოპოლის ხელისუფალთა თანხმობით ბაკური სამსახურიდან გადადგებოდა და ქართლში ჩამოსვლის შემდეგ გამეფდებოდა, ალბათ, 396 წელიც დადგებოდა[58].

ქართლში მოსულმა ცნობილმა ბიზანტიელმა მოხელემ — ბაკურმა ძალით დაიბრუნა რევიანთა კუთვნილი ქართლი თუ ფარსმანმა

დიდებლური მიმართულების ქრისტიანობასთან. ამიტომ, მისი პოზიცია, ვითარცა სამეფო გვარის წარმომადგენლისა, დაგმობილი იქნა და ბაკური იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა [90:19]. ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, სწორედ ამ ბაკურმა მოუთხრო ბიზანტიელ ავტორებს ქართლის მოქცევის ამბავი [90:14, 18].

57 ზოსიმეს ცნობიდან გამომდინარე, ბაკურის ამ ბრძოლაში დაღუპვა ივარაუდება [35:270]. ბაკურის ფრიგიდუსთან ბრძოლაში დაღუპულად თვლიან: ს. ყაუხჩიშვილი [90:133], გ. გოზალიშვილი [21:2—3], კ. კეკელიძე [52:15].

58 ს. კაკაბაძემ ბაკურის ქართლში დაბრუნება 395 წლით განსაზღვრა [46:152]. მ. ჩხარტიშვილის თანახმად, ბაკური დაახლოებით 402 წელს უნდა გამეფებულიყო და 416—422 წლებს შორის დაახლოებით 60 წლისა გარდაიცვალა [95:164]. ჩემი ქრონოლოგიით თრდატი რადგან დაახლოებით 320 წელს უნდა დაბადებულიყო, მისი უფროსი ძის ბაკურის დაბადება 340/342 წელსაა სავარაუდებელი და 416 წლის ახლო ხანაში გარდაცვალებისას იგი დაახლოებით 75/76 წლისა იქნებოდა.

ოგი ნებით დათმო წყაროები არაფერს წერენ. ფაქტი ისაა, რომ ბაკურის ჩამოსვლამდე ქართლში მყოფი რევიანები ტახტს ვერ დაეუფლნენ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ნათქვამია, რომ ბაკური „იმიერ განვიდა და განააბლა არმაზი სპარსთა შიშისათჳს“ [73:325]. ცხადია, „იმიერ გასვლა“ „არმაზში დაჯდომას“ ნიშნავს და როგორც ჩანს, ბაკური კვლავ დაეუფლა „ყოველ ქართლში“ თრდატის მეფობისას „მიტოვებულ“ მამაპაპისეულ რეზიდენციას არმაზში, რომელსაც განახლება დასჭირებია. ბიზანტიიდან დაბრუნებულ და ბიზანტიური ორიენტაციის ცნობილ მოღვაწეს, რა თქმა უნდა, სპარსთა შიში ექნებოდა, რაზეც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიუთითებს. იმ ხანად ბაქარიანთა კუთვნილი ქართლი ხომ ირანელთა ხელდებული ქვეყანა იყო.

ამრიგად, ბაკურ თრდატის ძის დაბრუნება ქართლში დაახლოებით 396 წელსაა სავარაუდებელი. მისი ზეობა რევიანთა კუთვნილ ქართლში დაახლოებით 416 წლის შემდგომ ახლო ხანამდე უნდა გაგრძელებულიყო.

ბაკურის მეფობის ზემომოტანილი თარიღების სისწორეს ძველ სომხურ წყაროთა ცნობები ადასტურებს. V ს. სომეხი ავტორის კორიუნის თანახმად, როცა მესროპმა ქ. სამოსატაში (მდებარეობდა მდ. ევფრატის მარჯვენა ნაპირზე სირიაში) ბერძენი კალიგრაფის დახმარებით სომხური ანბანი შექმნა[59] და სომეხთა მეფე ვარამშაპუჰის (400—414) მეექვსე წელს ვალარშაპატში (ახლანდელი ეჩმიაძინი) დაბრუნდა [138:93], რამდენიმე ხნის შემდეგ გაემართა ივერთა მხარეში და იქ წარუდგა მეფე ბაკურს და იმ ქვეყნის ეპისკოპოსს მოსეს[60] [138:100—101].

მსგავსი ცნობა აქვს მოვსეს ხორენაციისაც [72:231]. ამიტომ, ფიქრობენ, რომ მისი ცნობები კორიუნიდან მომდინარეობს. ხორენაცის თანახმად, ახლად შექმნილი ანბანით შუამდინარეთიდან მესროპი სომხეთში იმპერატორ თეოდოსი მცირის, სომეხთა მეფე ვარამშაპუჰისა და ირანის შაჰის იეზდიგერდის დროს დაბრუნდა [72:223].

დასახელებული მმართველებიდან თეოდოსი მცირემ რადგან 408 წელს დაიკავა ტახტი, ხოლო ვარამშაპუჰი 414 წელს გარდაიცვალა, კორიუნისა და ხორენაცის ცნობებიდან გამომდინარე, მესროპი სომ-

---

59 კორიუნის თხზულების რუსულ ენაზე მთარგმნელები სომხური ანბანის შექმნის დროდ 402—407 წელს უთითებენ [138:154, შენ. 216].

60 კორიუნი ბაკურს მართლაც რევიანთა კუთვნილი ქართლის მეფედ რომ ასახელებს ამას მოწმობს მის მიერ ქართლის ეპისკოპოსად მოსეს დასახელება. მოსე, როგორც ცნობილია, IV—V სს. მიჯნაზე მცხეთაში მჯდომ ქართლის ეკლესიის მეთაურთა შორის წყაროებში არ იხსენიება.

ხეთში 406/408 წლის შემდეგ ახლო ხანაში უნდა დაბრუნებულიყო. აქვე თუ გავითვალისწინებთ ქართლში შემოსვლამდე მესროპის მიერ სომხეთში სკოლების დაარსების ამბავს, მაშინ იგი ქართლში პირველად, როგორც ლ. ჯანაშია წერს, 396/397 წლებში [111:129] კი არა, 408—414 წლებს შუა ხანაში უნდა შემოსულიყო (მ. ჩხარტიშვილმა მესროპის ქართლში შემოსვლა 416 წლით განსაზღვრა) [96:39]. ამ დროს რევიანთა კუთვნილ ქართლის ტახტზე მართლაც ბაკური იჯდა.

ბიზანტიური წყაროების ბაკური იბერიელი იგივე დიდი ბაკური ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე რომ არ იყო, ეს ცხადია. მაგრამ თავისთავად საინტერესოა, ვინ უნდა იყოს დიდი ბაკურის პროტოტიპი?

პეტრე იბერის „ცხოვრების" თანახმად, დიდი ბაკური იყო პეტრეს პაპა დედის მხრივ [43:248]. თვით პეტრე 408 წ. დაიბადა (ქსე, ტ. 8, სტ. პეტრე იბერი), პეტრეს მამა ბოზმარიოსი (დიდი ბაკურის ასულის ქმარი) 422 წლის შემდეგ ახლო ხანაში გარდაიცვალა. პეტრეს დედა — ბაკურდუხტი მეუღლის გარდაცვალებისას ჯერ კიდევ გასათხოვარი ასაკისა იყო და „არასგზით არ ისურვა მეორე ქმარს გაჰყოლოდა" [43:253]. ასე რომ, ქალი რომელიც 422 წლის შემდეგ ახლო ხანაში ჯერ კიდევ გასათხოვარი ასაკისა იყო, IV ს. I ნახევარში მოღვაწე პიროვნების ასული ვერ იქნებოდა[61] (ამ საკითხზე სათანადო კრიტიკა იხ. კ. კეკელიძის ნაშრომებში. 55:135—141: 53:19—20). დიდი ბაკური აშკარად იგივე ბაკურ თრდატის ძეა.

დიდი ბაკური, როგორც ვნახეთ, ბიზანტიაში ყოფნის დროს გამოჩენილი ფიგურა იყო და პეტრე იბერის „ცხოვრების" ავტორს ივი შეიძლებოდა „დიდ ბაკურად" მოეხსენებინა, მაგრამ მისი მიჩნევა ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ — იმ პიროვნებად, რომელმაც ირანელთა ბანაკში მზეზე არ ილოცა არ შეიძლება. ამ მხრივ „დიდი ბაკურის" პროტოტიპი ქართლშია საძიებელი.

ბაკურ თრდატის ძე თუ მართლაც იგივე „დიდი ბაკურია", მაშინ გამოდის, რომ ბაკური იბერიელი თვით იყო ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე და იგი ბიზანტიელ ავტორებს თავისთავზე მოუთხრობდა, რაც აშკარად მიუღებელია. სათანადო მასალის გაანალიზების შემდეგ კ. კეკელიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იოანე რუფუსი ბაკურს ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ პეტრე იბერისა და

---

61 ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ დიდი ბაკური, ბაკურ მირიანის ძეა და მას კონსტანტინოპოლში მძევლად ყოფნის დროს შეიძლებოდა ქართლის სამეფო სახლიდან პირველს მიეღო ქრისტიანობა [114:228—229]. მ. ჩხარტიშვილი ბაკურ რევის ძეს (როგორც ვნახეთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ცდება, როცა ბაკურს რევის ძედ ასახელებს) იმიტომ თვლის დიდ ბაკურად, თითქოს მან ქართლის ქრისტიანიზაცია ლოკალური მნიშვნელობის ფაქტიდან აქცია რეგიონალური მნიშვნელობის ფაქტად — მოაქცია „უმრავლესი კავკასიანნი" [96:165; 96:42].

მისი წინაპრების განდიდების მიზნით ასახელებს[62] [54:27]. ამ მოსაზრებას იზიარებს ა. ბოგვერაძე (იხ. ქსე, ტ. 2, სტ. ბაკურ III).

ერთი ცხადია, პიროვნება, რომელიც რევიანთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო და მზეზე არ ილოცა (რუფუსის ცნობა ამ მხრივ თუ სინამდვილეს ასახავს) რევიანთა შტოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ასეთ პიროვნებად ბაკურ თრდატის ძეს იმიტომ ვერ მივიჩნევთ, რომ როგორც ვნახეთ, დაახლოებით 369 წლიდან იგი ბიზანტიაში იმყოფებოდა და ქართლში მხოლოდ 396 წელს დაბრუნდა. ამის შემდეგ რომ მოხვედრილიყო იგი ირანელთა ბანაკში (ეს გამორიცხულიცაა, მან ქართლში დაბრუნების შემდეგ „სპარსთა შიშისათჳს" არმაზი განაახლა. ირანელთა ბანაკში მყოფი პიროვნება კი ირანელებთან კარგ ურთიერთობაში მყოფი ჩანს), ეს, რა თქმა უნდა, იოანე რუფუსთან აღარ აისახებოდა.

რევიანთა შტოს მეფეებიდან ირანელთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობა მხოლოდ თრდატ რევის ძეს შეიძლებოდა მიეღო. რევიანთაგან, როგორც ვნახეთ, სწორედ იგი გახდა პირველი მეფე. მართალია, მისი კუთვნილი ქართლი ბიზანტიელთა გავლენაში იყო და ამ მხრივ ირანელთა ბანაკში მისი ყოფნა გამორიცხული ჩანს, მაგრამ 383—395 წლებში როცა თრდატი „ყოველ ქართლს" განაგებდა და ირანთან კარგი ურთიერთობა დაამყარა, ცხადია, ირანელთა სამხედრო ოპერაციაშიც მიიღებდა მონაწილეობას. მისი თავგადასავალი შეიძლებოდა ასახულიყო იოანე რუფუსთან. თრდატი რევიანთა შორის მართლაც კოლორიტული ფიგურა იყო.

ბოზმარიოსი (პეტრეს მამა)

დიდ ბაკურთან (ე. ი. ბაკურ თრდატის ძესთან) რა ნათესაურ დამოკიდებულებაში იყო პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში" პეტრეს მამად დასახელებული ბოზმარიოსი და პაპა (მამის მამა) ბოზმარიოსი „ცხოვრებაში" არაფერია ნათქვამი. საინტერესოა ისიც, რომ „ცხოვრების" ავტორი პეტრეს მამას თუ მეფედ ასახელებს. პეტრეს პაპას ყოველგვარი ტიტულის გარეშე იხსენიებს[63]. ა. ბოგვერაძემ,

---

62 კ. კეკელიძის სხვა მოსაზრებით ბაკურმა ქართლში გაბატონებული არიანელობის მაგიერ მართლმადიდებლობა შემოიტანა. ამიტომ იწოდა დიდ ბაკურად და პირველ ქრისტიან მეფედ [53:22]. კ. კეკელიძის ეს მოსაზრება მიუღებელია. ქართლში იმთავითვე ნიკეის რწმენა დამყარდა [იხ. 28].

63 პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში" ეპვს იწვევს პეტრეს მამისა და პაპის ერთი სახელით მოხსენიება, რადგან ქართლის მეფეთა რიგში მსგავსი მაგალითი არა გვაქვს, ჩომ არ ცდება „ცხოვრების" ავტორი პეტრეს პაპასაც ბოზმარიოსს რომ ეწოდებს?

ალბათ, აღნიშნულის გამო, პეტრეს მამა ბოზმარიოსი (მიუხედავად იმისა, რომ იგი „ცხოვრებაში“ მეფედ იწოდება) ქართლის სპასპეტად — სამეფოში მეორე პირად მიიჩნია [12:31].

ბოზმარიოსის ქართლის სპასპეტად მისაჩნევად არავითარი საფუძველი არ არსებობს. 257 წელს ასფაგურის უძეოდ გარდაცვალების შემდეგ, ქართლის ტახტზე რევისა და მისი ძის მირიანის სახით. სწორედ ფარნავაზიანთა მეორე შტოს (ქართლის სპასპეტ-პიტიახშების) წარმომადგენლები ავიდნენ. მირიანის შემდეგ ფარნავაზიანთა ამ შტოს ჩამომავალი წყაროებში აღარ იხსენიება. ამით უნდა აიხსნას, 369 წელს ქართლის გაყოფისას თრდატ რევის ძემ სწორედ ის ტერიტორია რომ მიიღო, რომელიც ადრე სამეფოში მეორე პირებს — ქართლის სპასპეტ-პიტიახშებს ეკუთვნოდა. აღნიშნულთან ერთად რევ მირიანის ძეს, რადგან თრდატის გარდა სხვა ძე არ ჰყავდა, პეტრეს პაპა ბოზმარიოსი თრდატ რევის ძის ძე (ბაკურისა და არჩილის ძმა) უნდა ყოფილიყო[64].

ბოზმარიოსი (პეტრეს პაპა) ბაკურის გარდაცვალებისას, როგორც ჩანს, ცოცხალი აღარ იყო, თორემ რევიანთა კუთვნილ ქართლში არსებული „მეფეთა მონაცვლეობის წესის“ (რაზეც იოანე რუფუსი მიუთითებს) თანახმად, ტახტი მას უნდა დაეკავებინა (ბოზმარიოსის მეფედ მოუხსენებლობა კიდევ ერთი საბუთია იმისა, „ყოველ ქართლში“ თრდატის მეფობისას, რევიანთა კუთვნილ ქართლში მისი ძეებიდან რომ არავინ მეფობდა). 416 წლის შემდეგ ახლო ხანისათვის პეტრეს პაპა — ბოზმარიოსი თუ გარდაცვლილი იყო, მაშინ ტახტზე თრდატის მესამე ძე არჩილი უნდა ასულიყო, მაგრამ ტახტზე რატომღაც პეტრეს მამა ბოზმარიოსი ჩანს. არჩილმა ტასტზე თვით თქვა უარი, თუ პეტრეს მამამ ძალით დაიკავა ტახტი, არ ვიცით. 422 წლის შემდეგ, როცა ბოზმარიოსი გარდაიცვალა (ამ დროს მისი ძე უკვე კონსტანტინოპოლში იყო მძევლად) არჩილი უკვე „ღრმად მოხუცებული“ გამეფდა.

არჩილ თრდატის ძე

პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ არჩილი პეტრეს პაპის (დედის მხრივ) დიდი ბაკურის ძმადაა დასახელებული [43:249, 251].

---

64 ი. მარკვარტი ამიანუს მარცელინუსის მიერ ფაროსანთა ტრიბუნად დასახელებულ ბარზიმერესს [2:135] პეტრე იბერის პაპასთან — ბოზმარიოსთან აიგივებდა. მსგავსი მოსაზრებისანი არიან გ. წერეთელი [102:20] და ს. ყაუხჩიშვილი [გეორგიკა I, გვ. 91]. ბარზიმერესი 377 წელს თრაკიაში გუთებთან ბრძოლაში დაიღუპა [2:143]. 378 წელს ადრიანოპოლის ბრძოლაში ბაკური რადგან ფაროსანთა ტრიბუნად იხსენიება, ფიქრობენ, რომ ეს სახელი მან ბარზიმერესის გარდაცვალე-

ამ ცნობის საფუძველზე იგი რევ მირიანის ძის შვილიშვილი — თრდატის ძე გამოდის. „ცხოვრებაში“ იგი „ცხონებულად“ იწოდება და ნათქვამია, რომ მან „ბაკურიოსთან და ბოზმარიოსთან ერთად ღრმად ბოხუცებულმა, თანახმად იბერთა მეფეთა მონაცვლეობის წესისა, იმეფა იბერიაში, დაასრულა თავის ცხოვრება უმანკოებაში და ღვთისნიერებაში“ [43:249].

ივ. ჯავახიშვილი შეეხო რა აღნიშნულ ცნობას მიუთითა: „ცხადი ხდება რომ ბაკურსაც, ბუზმარსაც და არჩილსაც ერთად კი არ უმეფიათ, არამედ თითოეულს თავისი მეფობის ხანა ანუ ზეობა ჰქონიათ და „ორმეფობა“ ამ დროს აღარ ყოფილა“ [105:316]. ივ. ჯავახიშვილმა, მართალია, დასახელებულ პირთაგან თითოეულის ერთიმეორის მიყოლებით მეფობაზე სწორად მიუთითა, მაგრამ ამის შემდეგ, როცა უარყო კ. კეკელიძის მოსაზრება იმ დროის ქართლში ორმეფობის შესახებ, როგორც ვხედავთ, არ იყო მართალი. „ორმეფობა“ ამ დროს აღარ ყოფილა — წერს იგი და დასძენს: „არსაიდან არ ჩანს, რომ ბაკური და არჩილი სპარსეთის ხელქვეშეთი იბერიის მეფე ყოფილიყვნენ, ხოლო ბუზმარი ბიზანტიის...[65] [105:316].

არჩილის ზეობას ივ. ჯავახიშვილი 429—437 წლებით ათარიღებს [105:276]. არჩილის მეფობის წლების ასეთ განსაზღვრას მხარს უჭერს პეტრე იბერის „ცხოვრებაში“ არსებული ის მითითება. რომლის თანახმად. არჩილმა კონსტანტინოპოლიდან პეტრეს იერუსალიმში ჩასვლის ამბავი როცა შეიტყო, მას წერილი მისწერა [43:252]. პეტრეს იერუსალიმში ჩასვლა სათანადო წყაროებზე დაყრდნობით პ. დევომ 437/438 წლით დაათარიღა [32:157]. გამოდის, რომ ამ წელს არჩილი კიდევ ცოცხალი იყო. მისი გარდაცვალება დაახლოებით 439 წლით უნდა განისაზღვროს.

რევიანთა კუთვნილ ქართლში არჩილის მეფობის თანადროულად ბაქარიანთა კუთვნილ ქართლში, 426—438 წლებში, როგორც ვნახეთ, ვახტანგ გორგასლის მამა მირდატ არჩილის ძე მეფობდა. ამ დროის ცნობაში, რომელიც ისევ კორიუნს ეკუთვნის, ქართლის (რევიანთა კუთვნილი) მეფედ არჩილი იხსენიება.

კორიუნის ცნობით, სამისიონერო მოღვაწეობიდან სომხეთში მიმავალი მესროპი გარდმანის გამგებლის ხურსისთან სტუმრობის შემდეგ. ქართლში არშუშა პიტიახშს ეწვია. ამ ამბის გადმოცემისას კო-

---

ბის შემდეგ მიიღო [გეორგიკა, I, გვ. 91—92]. ბარზიმერესის პეტრეს პაპად მიჩნევა საეჭვოდ შეჩვენება.

65 კ. კეკელიძემ მართალია ორმეფობაზე მიუთითა, მაგრამ რევიანები და ბაქარიანები ერთმანეთში აურია (იხ. ზემოთ) ივ. ჯავახიშვილი მართალია იმ მხრივ, რომ როგორც ბაკური და არჩილი, ისე ბოზმარიოსი რევიანები იყვნენ და ბიზანტიის გავლენაში მყოფ ქართლში მეფობდნენ.

რიუნი შენიშნავს: „ამ დროს გამეფდა იბერებზე მეფე სახელად არძიუხი“ [138:108—109]. „არძიუხი“ რომ იგივე არჩილია, ეს მოვსეს ხორენაცის ცნობიდან ჩანს. როცა ხორენაცი მესროპის ქართლში მეორედ შემოსვლის ამბავს მოგვითხრობს წერს: „როცა გარდმანში მყოფი მესროპი“ გუგარელთა პიტიახშმა „აშუშამ“ მიიწვია, ამ დროს „ქართველთა მეფე იყო ვინმე არჩილი“ [72:231].

რადგან მესროპი ქართლში პირველად 408/414 წლებს შუა შემოვიდა (ლ. ჯანაშიას თანახმად, ქართლში მესროპის პირველი შემოსვლიდან მეორე შემოსვლამდე ოცზე მეტი წელი იყო გასული. 111; 129), ოცი წლის შემდეგ მისი მეორედ შემოსვლა დაახლოებით 428—432 წლებზე მოვა და ამ დროს მის მიერ ქართლის მეფედ დასახელებული არჩილი, სხვა ვინ უნდა იყოს, თუ არა სწორედ ამ ხანაში რევიანთა კუთვნილ ქართლში გამეფებული „ძალზე მოხუცი“ არჩილ თრდატის ძე. ასე რომ, არჩილის ზეობის განსაზღვრა ივ. ჯავახიშვილის მიერ დაახლოებით 429—437 წლებით რეალური ჩანს.

ლ. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია, რომ როცა კორიუნი ქართლში მეფედ არჩილს ასახელებს, სომხეთში უკვე არტაშესი მეფობდა [113: 79]. რადგან სომხეთში არტაშესი 422—428 წლებში მეფობდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ არჩილი ქართლის ტახტზე არტაშესის მეფობის ბოლო წელს მაინც უნდა ასულიყო.

რაც შეეხება რევიანთა სახლის სხვა წევრებს: ვისი ძეები უნდა ყოფილიყვნენ ჯუანშერის მიერ ვახტანგ გორგასლის თანამედროვედ დასახელებული მირიანი და გრიგოლი?

ჯუანშერის ცნობით, როცა ვახტანგი ჩრდილოეთ კავკასიაში სალაშქროდ მიდიოდა (447 წ.), ანდერძი დატოვა: იგი „უკეთუ არღარა შემოიქცეოდა ცოცხალი“ მისი დაჲ ხუარანძე შეერთო მირიანს, „რომელი ეყოდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა“ და მას „ეპყრა მეფობა“ [116:151].

447 წელს, როცა ეს ამბავი ხდება, ვახტანგი ჯერ მხოლოდ 16 წლისა იყო. მას არც ძმა ჰყავდა. ამიტომ, იგი თუ ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობისას დაიღუპებოდა, სამეფო საგვარეულო რომ გაგრძელებულიყო ერთადერთი გამოსავალი იყო მისი დაჲ ხუარანძე რევის შთამომავალს მირიანს შეერთო (ისე როგორც 257 წელს ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ. მისი ასული ფარნავაზიანთა არშაზული შტოს წარმომადგენელმა მირიანმა შეირთო და აღდგა დინასტია). მაგრამ, როგორც ჯუანშერი წერს, იყო მირიანი ვახტანგის „მამის ძმისწული“?

წყაროს ამ გამოთქმას ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნა: ჯუანშერი „ძმა“-ს ცოტა ფართოდ ხმარობს.

მისივე გენეალოგიით, ვახტანგის მამის ძმისწული მირიანი ვერ იქნებოდა. ასეთი „მამის ძმისწული“ ვახტანგის შორეული სახლიკაცი იყო [10:29].

ჯუანშერი ვახტანგის „მამად“ რომ ბაკურ მირიანის ძეს მიიჩნევს, ვფიქრობ, მას ეს შეცდომით არ მოსდის. როგორც ჩანს, მირიანის შთამომავალნი „მამაში“ ფარნავაზიანთა ორი სახლის წინაპრებს — ბაკურსა და რევს გულისხმობდნენ. სწორედ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი ჯუანშერთან ეს ტერმინი ვახტანგის ბიზანტიის წინააღმდეგ 453—456 წლების ლაშქრობის აღწერისას. ერთ-ერთი ამბის გადმოცემისას ჯუანშერი ვახტანგს ათქმევინებს: „მამის მამა ჩემი მირიან“ [116:160]. ვახტანგისათვის მირიანი თუ „მამის მამა“, ე. ი. მათი შტოს დამაარსებლის მამა იყო, მაშინ ჯუანშერი ვახტანგის „მამის ძმისწულად“ ბაკურ მირიანის ძის უფროსი ძმის — რევის შთამომავალს მირიანს რომ იხსენიებს, რა თქმა უნდა, არ ცდება. მიუხედავად იმისა, რომ მირიანი, როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, ვახტანგის შორეული სახლიკაცი იყო.

მირიანი, მართლაც, რევ მირიანის ძის შთამომავალი რომ იყო, ეს ჯუანშერის შემდეგი ცნობიდან ჩანს. იგი საგანგებოდ მიუთითებს: „...მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავებისაგან რევისა, მირიანისავე ძისა და აქუნდა მას კუხეთი, და ცხოვნდებოდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა რამეთუ შემცირებულ იყვნეს ურთიერთსა კლვითა“ [116 159].

ასე რომ, 447 წლისათვის რევიანთა სახლის მამრობითი სქესიდან მხოლოდ ორი წევრი — მირიანი და გრიგოლი ყოფილან შემორჩენილი. ამ დროისათვის ისინი ქართლის ნახევარში აღარ მეფობდნენ. თრდატ რევის ძის ძეების (ბაკური, ბოზმარიოსი, არჩილი) გარდაცვალების შემდეგ რევიანთა სახლში, როგორც ჩანს, ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. ამით უნდა აიხსნას ჯუანშერის მითითება რევიანები „ურთიერთისა კლვითა შემცირებულნი“ იყვნენო. ჩანს, ამ შინაბრძოლით ისარგებლა ვახტანგმა და მისმა მომხრეებმა და რევიანების ხელისუფლება ერისთავობამდე დაამცრეს — ისე როგორც 369 წლის ქართლის გაყოფამდე, მათ ამჯერადაც მხოლოდ „კუხეთი აქუნდათ“ და რუსთავში ცხოვრობდნენ.

ამის შემდეგ რა მოუვიდათ რევიანთა ამ შტოს წარმომადგენლებს ჯუანშერი არაფერს გვამცნობს. მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი არსებობას განაგრძობდნენ[66]. იქნებ, სწორედ რევიანთა შთამომავალი იყო ფარსმან მეფის (VI ს. 30-იან წწ-ში) თანამედროვე ევაგრე, რომელიც იყო „შემდგომად მეფისა გამგებელ სამეფოჲსა

---

66 ლ. ჭილაშვილი რევიანთა შთამომავლად მიიჩნევს ვახტანგის თანამედროვე დემეტრეს, ერისთავს კახეთისა და კუხეთისა [102 ა:45].



67 ბაკური და პეტრეს პაპა ბოზმარიოსი თუ ძმები იყვნენ, მაშინ გამოდის, რომ პეტრეს მამას თავისი ბიძაშვილი შეურთია ცოლად. როგორც ივ. ჯავახიშვი-

ქართველთაჲსა და... სპასპეტი". ქართლში მეფის არყოფნის ჟამს კი „მცველი სამეფოჲსა" [100:108—109].

„ქართლის ცხოვრების" ძველი სომეხი მთარგმნელი მირიანს ტრდატის (ე. ი. თრდატ რევის ძის) შვილიშვილად ასახელებს [86: 147]. რადგან ბოზმარიოსს პეტრეს გარდა კანონიერი ძე არ ჰყავდა, ხოლო არჩილი უძეოდ გარდაიცვალა, მირიანი და გრიგოლი მართლაც შეიძლებოდა ბაკურ თრდატის ძის ძეებად მიგვეჩნია, მაგრამ 447 წლისათვის, როცა ეს ამბავი ხდება, განა მირიანი კიდევ საქორწინო იყო? უფრო სწორი ხომ არ იქნება მირიანი და გრიგოლი ბაკურის შვილიშვილებად ჩავთვალოთ?

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ფარნავაზიანთა სახლის რევიანთა შტოს მეფეთა რიგი და ქრონოლოგია 119-ე გვერდზე არსებული სქემის სახეს მიიღებს (ვარსკვლავით აღნიშნულ პირებს არ უმეფიათ).

მეშვიდე თავი

ბოლნისის სიონის აშენების საკითხი ძველი ქართული წყაროების მიხედვით

ადრექრისტიანული ხანის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის — ბოლნისის სიონის აშენება, ჯერ კიდევ ამ ძეგლის საამშენებლო წარწერის აღმოჩენამდე, ივ. ჯავახიშვილმა ძველი ქართული წყაროების ცნობებიდან გამომდინარე V ს. დამდეგით დაათარიღა [106:163—164]. 1937 წელს, ბოლნისის სიონზე სარესტავრაციო სამუშაოებისას აღმოჩნდა საამშენებლო წარწერის ფრაგმენტი. წარწერის ტექსტი პირველად ა. შანიძემ წაიკითხა და, ერთი მხრივ, წარწერაში მოხსენიებული ფეროზის ირანის შაჰთან პეროზთან (459—484) გაიგივების, ხოლო, მეორე მხრივ, წარწერაში არსებული ცნობით, რადგან მშენებლობა 15 წელს გრძელდებოდა, ბოლნისის სიონის მშენებლობის დამთავრება 493/494 წლებით დაათარიღა[68] (დღეისათვის ეს მოსაზრება გაბატონებულია ქართულ მეცნიერებაში. ქსე, ტ. 2. სტ., ბოლნისის სიონი. — ავტორი ვ. ბერიძე; იქვე, სტ., ბოლნისის წარწერები. — ავტ. ა. შანიძე; შდრ., 93:63—70; 66:3—5).

ლი წერს ფარნავაზიანთა სამეფო სახლის მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არ იყო [105:150] და ასეთი რამ შეიძლება მოჰხდარიყო.

68 ტექსტი შეტანილია გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევაში [168:69].

ბოლნისის სიონის მშენებლობის დამთავრების (როგორც რ. პატარიძე ფიქრობს, ალბათ, აღდგენის) დასათარიღებლად ძეგლზე არსებულ წარწერებთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ძველი ქართული საისტორიო წყაროთა ცნობებს. ამ მხრივ სააღმშენებლო წარწერის აღმოჩენის შემდეგ პირველი ნაბიჯი სარგის კაკაბაძემ გადადგა. 1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წაკითხულ მოხსენებაში (ეს მოხსენება 1985 წელს გამოქვეყნდა) ტაძრის წარწერაში მოხსენიებული პეროზი (მისი წაკითხვით „ნახაპეტი პეროზი") მირიანის სიძის (ასულის ქმრის) ფეროზის შთამომავლად (რომელიც თითქოს ბაკურის ბიზანტიაში წასვლის შემდეგ სპარსელებმა დასვეს, მთელი ქართლის სამეფოს მმართველად) მიიჩნია, ხოლო ტაძარი „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობებიდან გამომდინარე, IV—V საუკუნეთა მიჯნაზე ბაკურ მეფის აშენებულად[69] [46:149, 152].

ს. კაკაბაძის თანახმად, ბოლნისის სიონის მშენებლობა დაიწყო დაახლოებით 384 წელს ნახაპეტმა პეროზმა (ამ წელს თითქოს მან ბიზანტიაში წასული მეფე ბაკურის ადგილი დაიკავა), თუმცა მშენებლობის ხარჯებში დიდ მონაწილეობას ღებულობდა პალესტინაში მყოფი ბაკური. ს. კაკაბაძის მტკიცებით, ტაძრის მშენებლობა 399 წელს დამთავრდა, მაგრამ შემდეგ იქვე წერს, რომ 395 წელს, როცა ბაკური ქართლში დაბრუნდა და გამეფდა, მშენებლობა დამთავრებული იყოო. ამიტომ, ბაკურმა სიონის შემდგომ მოწყობაში მიიღო მონაწილეობა [46:152]. აღნიშნულთან ერთად, „მეფეთა ცხოვრება" ბოლნისის სიონის ამშენებლად რადგან ფარსმანს თვლის, ს. კაკაბაძე წერს, რომ „ზოგი რამ ტაძრისათვის" ფარსმანსაც (მან თითქოს 400 წელს ბაკური გადააყენა ტახტიდან და საუფლისწულოდ რომელიღაც მბარე მისცა) უნდა გაეკეთებინა. ამიტომ მიაწერა მემატიანემ ფარსმანს ბოლნისის სიონის მშენებლობის ამბავი [46:152—153].

როგორც ვხედავთ, ს. კაკაბაძის ცდა ძველ ქართულ წყაროთა და ტაძრის წარწერის ცნობები ურთიერთკავშირში მოეყვანა. წარუმატებლად დამთავრდა. გარდა იმისა, რომ მან ტაძრის მშენებლობის დამთავრება ორი სხვადასხვა წლით განსაზღვრა, ბიზანტიაში წასვლამდე, როგორც ვნახეთ, ბაკური ქართლში მეფე არ ყოფილა. არაა მართალი ს. კაკაბაძე, როცა 384 წლიდან მთელი ქართლის მმართვე-

---

69 ს. კაკაბაძის თანახმად, ბოლნისის სიონი შენდებოდა 381—396 წლებში [46:154]. იქვე, მშენებლობის დამთავრებას 399 წლითაც განსაზღვრავს [46:152—153]. მისივე ვარაუდით, ბოლნისის სიონზე არსებულ დავით ეპისკოპოსის წარწერაში ბოლო ორი ასო „ი. ი." უნდა ნიშნავდეს „ინდიქტიონსა ათსა" და იგი 312 წლიდანაა ათვლილი მცირე (15-წლიანი) ინდიქტიონით. IV ს. ოცდანასუნელ მეოთხედში მორიგი ინდიქტიონი გათავდებოდა 386 წელს და აქედან შემდგომი ინდიქტიონის მეათე წელი 396 წელზე მოვა [46:154; შდრ. იქვე, შენ. 4].

ლებად ირანელთა მიერ დანიშნულ პიროვნებებს ფეროზს და ვაჰანს თვლის [46:152]. ბიზანტიიდან დაბრუნებულ ფარსმანს ქართლის ტახტიდან ბაკური არ გადაუყენებია, ასევე არ შეიძლება მირდატის ფარსმანის შვილად ჩათვლა (მირდატი ფარსმანის ძმა იყო) და, რაც მთავარია, არაა სწორი ქართლის მეფეთა ს. კაკაბაძისეული ქრონოლოგია.

1977 წელს ქ. ლენინგრადში — ერმიტაჟში სამეცნიერო სესიაზე ბოლნისის სიონის შესახებ წაკითხულ მოხსენებაში საურმაგ კაკაბაძემ ქრისტიანულ ტაძარზე მაზდეანი მეფის მოხსენიება საეჭვოდ მიიჩნია [136:94]. ეს გამოკვლევა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1984 წელს გამოქვეყნდა. ს. კაკაბაძის მტკიცებით, წარწერაში მოხსენიებული პეროზი ირანის შაჰი პეროზი კი არაა, ვიღაც სხვა პირი „მეფის ნახაპეტი". იქვე დასძენს, რომ ასეთი სახელის მქონე იყო IV ს. I ნახევარში მირიანის სიძე ფეროზი [136:94]. ტაძრის მშენებლობა IV ს. ბოლოს ან V ს. დამდეგს უნდა დამთავრებულიყო. რადგან „მოქცევაჲ ქართლისაჲს" თანახმად, ტაძარი ააშენა ბაკურმა, ხოლო „მეფეთა ცხოვრების ცნობით ფარსმანმა, თანაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ჯერ ბაკურს ასახელებს მეფედ, შემდეგ ფარსმანს. ს. კაკაბაძე თვლის, რომ ბაკურმა დაიწყო მშენებლობა და ფარსმანმა დაამთავრა [136: 99].

1982 წელს საურმაგ კაკაბაძისაგან დამოუკიდებლად მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ბ. მჭედლიშვილმა [75:104—105]. მანაც წარწერაში მოხსენიებული პეროზი მირიანის სიძესთან — ფეროზთან გააიგივა. ტაძრის ჩრდილოეთის მხარის მარჯვენა კარის თავზე წარწერაში მოხსენიებული პირის სახელი ამოიკითხა როგორც „ფარსმან ერისთავმან"[70] და დაასკვნა, რომ ბოლნისის სიონის მშენებლობა ფეროზმა დაიწყო IV ს. 40-იან წლებში გაქრისტიანების შემდეგ, ხოლო განასრულა მისმა ძისწულისწულმა და აღზრდილმა ფარსმანმა, რომელიც ღრმა მოხუცებული IV ს. დასასრულს თუ V ს. დასაწყისში გამეფდა და მალევე გარდაიცვალა [75:114].

ბ. მჭედლიშვილის მტკიცებიდან გამომდინარე, ტაძარი ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენდებოდა, მაშინ როცა ტაძარზე არსებული საალმშენებლო წარწერის თანახმად, მშენებლობა 15 წელს გაგრძელდა. რაც მთავარია, ფარსმანის ფეროზის თანამედროვედ მიჩნევა არ შეიძლება[71].

---

70 ამ სახელის განსხვავებული წაკითხვის შესახებ იხ. 93:70, შდრ., 66:33.

71 საურმაგ კაკაბაძისა და ბ. მჭედლიშვილის ახალ მოსაზრებათა (ამ დროს სარგის კაკაბაძის წერილი ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული). წინააღმდეგ გამოვიდა მეცნიერთა ჯგუფი. მათ ტაძრის აშენების ძველი თარიღი დაიცვეს [61]. ბ. მჭედლიშვილმა სამართლიანად შენიშნა, თუ ტაძრის წარწერაში ირანის შაჰის

ტაძარზე არსებულ წარწერაში რადგან მირიანის სიძე ფეროზი იგულისხმება, 368 წელს ქართლში ირანელთა ლაშქრობისას კი იგი ცოცხალი აღარ ჩანს, ცხადი იყო ბოლნისის სიონი ფეროზს ადრე უნდა აეშენებინა. სწორედ ამ კუთხით მიუდგა რ. პატარიძე ძველ ქართულ წყაროთა ცნობებს. მისი მტკიცებით, ტაძარი ფეროზს გაქრისტიანების შემდეგ (როცა სამფლობელოდ მიიღო ტერიტორია „სამშჳლდითგან... ვიდრე თავადმდე აბოცისა"), 342/3—356/7 წლებში უნდა აეშენებინა (ეფიერობ, ბოლნისის სიონის მშენებლობის დაწყება 342/343 წლებში რეალური ჩანს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ბაკურმა დაახლოებით 339/340 წელს დაამარცხა სალომეს დასახმარებლად მოსული სომხები და ამ დროს მისცა ზემოდასახელებული ტერიტორია ფეროზს), IV ს. 60-იან წლებში ტაძარი დანგრეულა ქართლში ირანელთა ლაშქრობის დროს და იგი IV ს. ბოლოს აღუდგენიათ, რაზეც ძველი ქართული წყაროები მოგვითხრობენ [76:154—155].

ა. ბოგვერაძემ სწორად მიუთითა, რომ ძველი ქართული წყაროებით ბოლნისის სიონის აღმშენებლად ბაკური, ფარსმანი და მათი თანამედროვე ქართლის მთავარეპისკოპოსი ელია ჩანან [13:168—169]. მაგრამ, მშენებლობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობებიდან გამომდინარე, მაინც ბაკურის სახელთან დააკავშირა. მისი მტკიცებით, ტაძრის მშენებლობა ბაკურის ზეობაში 410-იანი წლების ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო [13:177].

ტაძრის მშენებლობის დამთავრებას „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობიდან გამომდინარე ბაკურის სახელთან აკავშირებს მ. ჩხარტიშვილიც. „ბოლნისის მშენებლობა ფარსმანის დროს, — წერს იგი, — ბაკურის პოლიტიკის ინერციაა მხოლოდ. ფარსმანმა ჩანს, ფორმალურად დაასრულა ის, რაც მისმა წინამორბედმა წამოიწყო და განახორციელა არსებითად". „ბოლნისის სიონის მშენებლობა V ს. 20-იან წლებს არ გადასცილდება" [95:166].

როგორც ვხედავთ, უკანასკნელი ხანის გამოკვლევებში მკვეთრად გამოიკვეთა ტენდენცია, ბოლნისის სიონის მშენებლობის დამთავრება ძველ ქართულ წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრონ. ვფიქრობ მართლაც დადგა დრო ძველ ქართულ წყაროთა ცნობებს ვენდოთ. მაგრამ, ამ საკითხში „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობებისათვის უპირატესობის მინიჭება არ შეიძლება. როგორც ა. ბოგვერაძემაც შენიშნა და ზემოთაც ვაჩვენე, ამ თხზულებაში ფარსმანი ბაკურის შემდგომ მეფედ შეცდომითაა დასახელებული. ამიტომ, მტკიცება, თითქოს ტაძრის მშენებლობა ბაკურმა დაიწყო და ფარსმანმა დაასრულა

პეროზის სახელს ჩავსვამთ, მაშინ გამოდის, რომ ათი წლის წინ გარდაცვლილმა შაჰმა ქართველებს ქრისტიანული ეკლესია აუშენა [75:102].

(იხ. საურმაგ კაკაბაძისა და მ. ჩხარტიშვილის მოსაზრებანი) არ შეიძლება.

ძველ ქართულ წყაროთა, პირველ რიგში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებს თუ კარგად ჩავუკვირდებით, თან კვლევისას ჩემს მიერ მიღებულ შედეგებს გავითვალისწინებთ, ბოლნისის სიონის აღდგენის თარიღი და თვით აღმდგენელი პიროვნებანი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშურ რედაქციაში ვარაზ-ბაკურის შემდეგ ქართლის მეფედ ბაკურ თრდატის ძე, ხოლო მთავარეპისკოპოსად ელია არის დასახელებული და მითითებულია: „ამან აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნისს“ [74:92]. ამ ცნობით, ბოლნისის სიონის ამშენებლად ელია მთავარეპისკოპოსი გამოდის. მაგრამ, ამავე წყაროს შატბერდულ რედაქციაში შესაბამისი ადგილი ასეა წარმოდგენილი: ვარაზ-ბაკურის „... შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძე თრდატისი. და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნის[ს]. და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს“ [74:92; 73:325].

როგორც ვხედავთ, თუ ჭელიშურ რედაქციაში ბოლნისის სიონის ამშენებლად აშკარად ელია მთავარეპისკოპოსი ჩანს, შატბერდული რედაქციიდან გაურკვეველია ბოლნისის სიონი მარტო ელიამ ააშენა თუ ბაკურმაც. იქნებ, ბაკურის მონაწილეობა ბოლნისის სიონის მშენებლობაში არც შატბერდული რედაქციით ივარაუდება? ზემომოტანილი სტრიქონების ავტორს რომ ორი მშენებელი პიროვნების მითითება ნდომოდა, მაშინ იტყოდა: „ამათ აღაშენეს“ ან „რომელთა აღაშენეს“. აქ კი ხაზგასმულია — „ამან აღაშენა“.

ახლა „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებს გადავხედოთ. ამ თხზულებაში, როგორც ცნობილია, ქართლის სახელმწიფოს შესახებ გაბმული და შედარებით სრული თხრობა გვაქვს. „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად, თრდატ რევის ძემ (იგულისხმება მისი „ყოველ ქართლში“ მეფობა 383—395 წლებში) „შეკაზმა ეკლესიანი“. მის დროს მოკვდა „ეპისკოპოსი იაკობ, და დასუა მის წილ ელია“ [58:137].

მოტანილი ცნობიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ ელიამ ქართლის ეკლესიის მეთაურის კათედრა 383 წლის შემდეგ დაიკავა. იგი თრდატის მეფობაში ცოცხალი იყო და 395 წლის დამდეგს ქართლის ტახტზე თრდატი რადგან ფარსმანმა შეცვალა, ელია ფარსმანის მეფობაში [395—397] გარდაიცვალა. ფარსმანმა დასვა ელიას მაგიერ ქართლის ეკლესიის მეთაურად სჳმონ [58:137]. მეორე მხრივ, ელიას მთავარეპისკოპოსობის დროს, რადგან თრდატმა „შეკაზმნა ეკლესიანი“, რა თქმა უნდა, იგი თავის წინაპართა (რევიანთა) კუთვნილ ქართლში მდებარე ბოლნისის სიონის [46:152] „შეკაზმვასაც“ (აღდგენას) დაიწყებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, 395 წლის დამდეგს ქართლში ფარ-

სმანის გამეფების გამო, მას ბოლნისის სიონის „შეკაზმვა"-აღდგენა არ დასცალდა. „მეფეთა ცხოვრება" არაფერს წერს ელიას მიერ ბოლნისის სიონის აშენება-შეკაზმვაზე, მაგრამ სამაგიეროდ უთითებს: ფარსმანმა „განაახლა ეკლესიანი ყ ო ვ ე ლ ს ა ქ ა რ თ ლ ს ა შ ი ნ ა (საზგასმა ჩემია. — ვ. გ.) და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა და მცირედ ჟამ მეფობდა და მოკუდა"[72] [58:138].

ფარსმანი, როგორც ვნახეთ, 395—397 წლებში მეფობდა და იგი ამ მართლაც „მცირედ-ჟამ" მეფობაში ბოლნისის სიონის აშენებას კი არა, აღდგენასაც ვერ მოასწრებდა[73]. უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლნისის სიონის აღსადგენი სამუშაოები თრდატ რევის ძესა და ელია მთავარეპისკოპოსს უნდა დაეწყოთ (როგორც ჩანს, თრდატისა და ელიას დროს დაწყებული არაერთი სამუშაო დამთავრდა ფარსმანის ამ მცირეხნიან მეფობაში. ამიტომაა მითითება მასზე წყაროში „განაახლა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა").

როგორც ითქვა, ბაკურ თრდატის ძე ბიზანტიიდან ქართლში დაახლოებით 396 წელს უნდა დაბრუნებულიყო და დაეკავებინა ტახტი რევიანთა კუთვნილ ქართლში. მეორე მხრივ, წყაროს ცნობით, მთავარეპისკოპოსი ელია ხომ ფარსმანის სიცოცხლეში გარდაიცვალა და ფარსმანმა მის მაგიერ სჯმონი დასვა. თვით ფარსმანიც რადგან 397 წელს გარდაიცვალა, გამოდის, რომ ელია მოესწრო რევიანთა კუთვნილ ქართლში ბაკურის გამეფებას. შესაძლოა, როცა ქართლში ბაკური დაბრუნდა, ბოლნისის სიონის აღსადგენად სამუშაოები დამთავრებული იყო.

ზემოთქმულით ხომ არ უნდა აიხსნას, რევიანთა მიმართ აშკარად კეთილგანწყობილი „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორი ბოლნისის სიონის მშენებლობაში ბაკურის მონაწილეობის შესახებ გადაჭრით რომ არ მიუთითებს, მშენებლობის დამთავრებას მხოლოდ ელია მთავარეპისკოპოსს მიაწერს, თანაც ფარსმანს, როგორც ბაქარიანს არ ახსენებს?

რევიანთა კუთვნილ ქართლში მდებარე ბოლნისის სიონის აღსადგენი სამუშაოები რომ მართლაც ფარსმანის მეფობაში უნდა დამთავრებულიყო, ამას „მეფეთა ცხოვრების" შემდეგი ცნობა მოწმობს. სანამ ფარსმანი კონსტანტინოპოლიდან გამოიქცეოდა და ჰუნების დახმარებით ტახტს დაეუფლებოდა, თრდატი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, „ყოველი ქართლის" მეფე იყო. ამიტომ, 395 წლის დამდეგს მის მაგიერ გამეფებული ფარსმანიც (სანამ ბიზანტიიდან ქართლში ბაკური დაბრუნდებოდა). რა თქმა უნდა, „ყოველი ქართლის" მეფე იქნებოდა.

---

72 ა. ბოგვერაძემ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ორ რედაქციას შორის ასეთი განსხვავება ჭელიშურ რედაქციის შეკვეცილობით ახსნა [13:169].

73 ძველ ქართულში „შენება" აღდგენასაც ნიშნავდა. იხ. აღშენება [1:24].

ვფიქრობ, სწორედ ამიტომაა „მეფეთა ცხოვრებაში“ ფარსმანზე ნათქვამი: „განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა“. ფარსმანის „ყოველ ქართლში“ მეფობა უეჭველია, ქართლში ბაკურის დაბრუნებამდე გაგრძელდებოდა და დროის ამ მონაკვეთში — ჯერ კიდევ ელია მთავარეპისკოპოსის სიცოცხლეში მომხდარა ბოლნისის სიონის აღსადგენი სამუშაოების დამთავრება[74].

ამრიგად, ძველი ქართული წყაროების მონაცემებიდან გამომდინარე, ბოლნისის სიონის შეკაზმვა-აღდგენა ქართლის მთავარეპისკოპოსის ელიას (დაახლოებით 383 წლის შემდეგ ახლო ხანიდან განაგებდა ქართლის ეკლესიას. გარდ. 397 წლის წინ ახლო ხანაში), თრდატ რევის ძის (383—395), ფარსმანისა (395—397) და ბაკურის (396—გარდ. 416 წ. შემდეგ) ზეობაში ხდება.

როგორც ვხედავთ, მბოლოდ ქართლის ორ სამეფოდ გაყოფის ფაქტის გათვალისწინების შემდეგ ხდება ნათელი ბოლნისის სიონის აღმშენებლად რატომ იხსენიება ძველ ქართულ წყაროებში ორი სხვადასხვა სახელის მეფე და ერთი მთავარეპისკოპოსი (ესეც მნიშვნელოვანია ორ სამეფოდ გაყოფის მიუხედავად ქვეყანას ერთი მღვდელთმთავარი რომ ჰყოლია).

მერვე თავი

ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია

ვახტანგ გორგასლის ზეობის წლებზე რადგან მქონდა საუბარი (იხ. თ. IV, § 2), ამჯერად აქ მხოლოდ მის ოჯახურ ქრონოლოგიას შევეხები.

ვახტანგის დაბადების თარიღის ცოდნა და ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ არსებული მითითებანი საშუალებას გვაძლევს ვახტანგის დების დაბადების ზუსტი თარიღები დავადგინოთ.

„ცხოვრებაში“ არსებული მითითებით, ვახტანგის მშობლებს მირდატსა და საგდუხტს პირველად ასული შეეძინათ. „მიუდგა დედოფალი საგდუხტ, — ნათქვამია „ცხოვრებაში“, — და შვა ასული, და უწოდა სახელი მისი ხუარანძე“. იქვე აღნიშნულია, „კუალად ეევედრებო-

74 გარდა იმისა, რომ ბოლნისის სიონის აღდგენა ფარსმანის „ყოველ ქართლში“ მეფობას დაემთხვა, ქართლის ის ნაწილი, სადაც ბოლნისი მდებარეობს ფარსმანის დედულეთი იყო. 383 წელს ფარსმანის მამის — ვარაზ-ბაკურის გარდაცვალების შემდეგ, როცა ქართლის ტახტი თრდატმა დაიკავა, ფარსმანი დედულეთში — სამშვილდის ერისთავთან იზრდებოდა და ჩანს, იქიდან წავიდა იგი კონსტანტინოპოლში. ასე რომ, დედულეთში მდებარე და თავისი წინაპრის — ფეროზის მიერ აგებული ტაძრის აღდგენით ფარსმანიც იქნებოდა დაინტერესებული.

დეს ღმერთსა მეფე მირდატ და დედოფალი საგდუტტ. რათა მოსცეს ძე. და შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიუდგა და შვა ძე და უწოდა სახელი... ვახტანგ“ [116:143].

ზემომოტანილი ცნობიდან გამომდინარე, რადგან ვახტანგი ხუარანძეს დაბადებიდან ოთხი წლის შემდეგ დაიბადა — ხ ვ ა რ ა ნ ძ ე ს დ ა ბ ა დ ე ბ ი ს თ ა რ ი ღ ი 427 წ ლ ი თ უ ნ დ ა გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ო ს.

„ცხოვრებაში“ შემდგომ ნათქვამია, რომ ვახტანგის დაბადებიდან „შემდგომად... მეექუსესა წელსა. შვა საგდუხტ ასული სხუა. და უწოდა სახელი მისი მირანდუხტ“ [116:143], ე. ი. ვახტანგის უმცროსი და მ ი რ ა ნ დ უ ხ ტ ი. ვახტანგის დაბადებიდან მეექვსე (431+6) 437 წელს დაბადებულა. მირანდუხტის დაბადებაზე მითითების შემდეგ „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ „შემდგომად ამისსა წელს მეორესა. მოკუდა მეფე მირდატ და დარჩა ვახტანგ შუდისა წლისა ყრმა“ [116:143]. 437 წელს დაბადებული მირანდუხტის დაბადებიდან „შემდგომად მეორე წელი“ 438 წელია — ამ წელზეა ეს ახალი მითითება ვახტანგის მამის — მირდატის გარდაცვალების შესახებ. როგორც ჯუანშერი წერს, ამ დროს ვახტანგი „შუდისა წლისა ყრმა“ დარჩა. 431 წელს დაბადებული ვახტანგი 438 წელს — მირდატის გარდაცვალებისას მართლაც 7 წლისა იქნებოდა.

ამის შემდეგ „ცხოვრებაში“ ვახტანგის ოჯახური ქრონოლოგიის მითითებისას თითქოს ოდნავ უზუსტობაა. „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, — ნათქვამია მასში, — გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი... და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ. სამისა წლისა ქალი“ [116:145]. 437 წელს დაბადებული მირანდუხტი 441 წელს, როცა ვახტანგი „წლისა ათისა იქმნა“, 4 წლისა იქნებოდა (იქნებ ეს უზუსტობა იმ ხანად ახალი წლის განსხვავებული დასაწყისით არის გამოწვეული?).

ახლა რაც შეეხება ვახტანგის შვილების დაბადების ქრონოლოგიას. „ცხოვრებაში“ არსებული მითითებანი საშუალებას გვაძლევს მიახლოებით განვსაზღვროთ როდის შეირთო ვახტანგმა ცოლად ირანის შაჰის ასული ბალენდუხტი, ზუსტად დავადგინოთ ვახტანგის პირველი ძის— დაჩისა და მისი ტყუპისცალი დის (ჯუანშერი მის სახელს არ უთითებს) დაბადებისა და ბალენდუხტის გარდაცვალების თარიღები.

დაჩისა და მისი დის დაბადების თარიღის დასადგენად ჯუანშერის თხზულებაში არსებული ცნობები უშუალო კავშირშია ბიზანტიის წინააღმდეგ დაწყებული ომისა და ირანის შაჰთან ერთად ვახტანგის ჰუნების წინააღმდეგ სალაშქროდ წასვლის წლებთან. ამიტომ, მათზე ქვემოთ მოკლედ შევჩერდები.

ჯუანშერის თანახმად, ბიზანტიის წინააღმდეგ ომის დაწყებისას ვახტანგი 22 წლისა იყო [116:159]. ამ მითითების საფუძველზე ომის დასაწყის თარიღად 453 წელი უნდა ჩაითვალოს, ვახტანგისა და მისი ბიძის ქართლ-ალბანეთის მარზპანის ვარაზ-ბაკურის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ წამოწყებული ეს ომი, ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის მიჩნეული ბიზანტია-ირანის ომად [63:44]. რაც მთავარია, ამ ომის დამთავრება 456 წელს, როგორც ეს ადრე ვაჩვენე, ბიზანტიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის პრისკოს პანიელის (V ს.) ცნობით დასტურდება [160:4, 83—84].

ბიზანტიასთან ომის დამთავრების (456 წ.) შემდეგ ვახტანგ გორგასალი „ვითარ... მოვიდა ქალაქად თჳსად მცხეთად", — წერს ჯუანშერი, — „უშენა ცოლმან ძე და ასული მარჩბივად, და მოკუდა შობასა შინა ბალენდუხტ დედოფალი, ასული სპარსთა მეფისა" [116: 178], ე. ი. დაჩი და მისი ტყუპის ცალი დაჲ 456 წლის წინა ხანაში დაბადებულა, ხოლო ბალენდუხტი მშობიარობას გადაყოლილა. მაგრამ, კერძოდ რომელ წელს მოხდა ეს?

ჯუანშერის ცნობით, ბიზანტიასთან ომის დამთავრების (456 წ.) შემდეგ, როცა ირანის შაჰმა ვახტანგის ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლის ამბავი შეიტყო „შეიქცა სპარსეთად და მოკუდა" [116:178]. ამ ცნობის თანახმად გამოდის, რომ ირანის შაჰი 456 წლის შემდეგ ჩქარა გარდაცვლილა. როგორც ცნობილია, იეზდიგერდ II მართლაც 456-ის მომდევნო — 457 წელს გარდაიცვალა. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, ჯუანშერი სწორედ იეზდიგერდ II-ის გარდაცვალებაზე რომ მიუთითებს. გარდაცვლილი შაჰი, როგორც ჯუანშერი წერს, ხომ ვახტანგის სიმამრი — ბალენდუხტ დედოფლის მამა იყო.

ამის შემდეგ, როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს, გარდაცვლილი შაჰის ნაცვლად ირანის ტახტზე ასულმა ახალმა მცირეწლოვანმა შაჰმა მხოლოდ 3 წლის შემდეგ შეძლო ვახტანგის წინააღმდეგ გამოლაშქრება [116:178]. ქართლში ირანელთა ეს ლაშქრობა რადგან იეზდიგერდის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ მოხდა — 460 წელზე მოვა. საერთოდ, ამ ლაშქრობისას მცხეთა-თბილისთან გამართული ბრძოლები ჯუანშერს ისეთი სიზუსტით აქვს აღწერილი, აშკარად ჩანს, აღმწერი ამ ბრძოლის მონაწილე რომ იყო.

ქართლში ირანელთა ლაშქრობა. ბიზანტიელთა ჩარევის გამო ჩქარა ზავით დამთავრდა და დაზავებულ ვახტანგს ირანის შაჰმა (ამჯერად პეროზი 459—484 წწ. იგულისხმება) დაჲ სთხოვა ცოლად, თვით ვახტანგს კი თავისი მტრების „აბაშთა და ელამთა, ჰინდოთა და სინდთა წინააღმდეგ შემწეობა"[75] [116:184]. და აი, ჯუანშერი ირანის შაჰის

---

75 ირანის შაჰთან ერთად ვახტანგ გორგასლის ეს ლაშქრობა ჯუანშერის ცნობით, 8 წელი გაგრძელდა [116:196], ე. ი. 468 წელს დამთავრდა. ჯუანშერის ცნო-

მტრების წინააღმდეგ სალაშქროდ მიმავალი (460 წ.) ვახტანგის ოჯახთან გამოთხოვების ამბავს როცა გადმოგვცემს, წერს, რომ ვახტანგის ძე დაჩი ამ დროს 5 წლისა იყოო [116:185].

460 წელს დაჩი თუ 5 წლისა იყო, ერთი მხრივ. მისი და მისი ტყუპისცალი დის დაბადება, ხოლო მეორე მხრივ, ვახტანგის პირველი მეუღლის — ბალენდუხტის გარდაცვალება 455 წელზე მოვა. 456 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობიდან დაბრუნებულ ვახტანგს, როგორც ვნახეთ, დაჩი ხომ ახალი დაბადებული დახვდა.

აქვე დგება ერთი საკითხი. თუ ბალენდუხტი 455 წელს გარდაიცვალა, 456 წელს მცხეთაში დაბრუნებულმა ვახტანგმა არაფერი იცოდა ამის შესახებ?

რა თქმა უნდა, მეუღლის გარდაცვალებისა და ტყუპი ქალ-ვაჟის დაბადების ამბავს მეფეს მაშინვე შეატყობინებდნენ. სწორედ ამის ასახვა უნდა იყოს ბიზანტიასთან საზავო მოლაპარაკებისას, იმპერატორი თავის ასულს რომ ჰპირდება ვახტანგს. პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, ვახტანგმა იმპერატორთან დანათესავება გადაწყვიტა, რაზეც იმპერატორი დათანხმდა. ამ დროს მას ბალენდუხტის გარდაცვალების ამბავი რომ არ სცოდნოდა. ქრისტიანული კანონიკური სამართლიდან გამომდინარე. ვახტანგი ბიზანტიის იმპერატორის ასულის შერთვას არ მოიწადინებდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართლში მებრძოლი ირანის შაჰი ბიზანტიელთა შუამდგომლობით როცა ვახტანგს დაუზავდა. ვახტანგს დაჲ სთხოვა ცოლად. ვახტანგი შაჰის ამ წინადადებას დათანხმდა „და მისცა სპარსთა მეფესა დაჲ მისი... ცოლად, რომელსა ეპოქუა მირანდუხტ, რომელი წარტყუენულ იყო ოვსთაგან და გამოეხსნა ვახტანგს. ხუარანძე ამისთჳს არა მისცა, რამეთუ დაწინდებულ იყო სომეხთა პიტიახშისა“ [116:185]. ეს ამბავი, როგორც ვიცოდნენ, 460 წელს ხდება და ამ დროისათვის ხუარანძე უკვე „დაწინდული“ ე. ი. „განთხოვილი“, მითხოვილი [1:57] ყოფილა. ამიტომ, ვახტანგს ირანის შაჰისათვის მირანდუხტი მიუთხოვებია.

მირანდუხტი 437 წელს დაიბადა და 460 წლისათვის იგი 23 წლისა იქნებოდა. ერთი შეხედვით, იმ დროისათვის 23 წლის ქალიშვილი გასათხოვარი აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჯუანშერი არც ამჯერად ცდება.

როდის უნდა შეერთო ვახტანგს ცოლად ირანის შაჰის ასული ბალენდუხტი?

ბების ანალიზიდან მიღებული ეს წელი ზუსტად ემთხვევა სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ ჰუნებთან პეროზის ომის დამთავრების თარიღს [156:54; 26: 159].

447 წელს, ჩრდილო კავკასიაში ოვსთა წინააღმდეგ ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ვახტანგმა ირანის შაჰს დიდი ძღვენი გაუგზავნა „და ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული... ცოლად, ხოლო სპარსთა მეფემან მოსცა ასული მისი ცოლად, რომელსა ერქუა ბალენდუხტ“ [116:158]. მაგრამ, როგორც ჩანს, იმ ხანად შაჰს თავისი ასული ქართლში არ გამოუგზავნია, რადგან შაჰმა ვახტანგს „მოუწერა ბრძოლა“ ბერძენთა ზედა. ბიზანტიელთა წინააღმდეგ ამ ბრძოლის დაწყებისას 453 წელს ვახტანგი უკვე 22 წლისა იყო, ბალენდუხტი მას 453 წელს უნდა შეერთო, 455 წელს კი, როგორც ვაჩვენე, ბალენდუხტი მშობიარობას გადაყვა.

როდის უნდა შეერთო ვახტანგს მეორე ცოლი?

როგორც ითქვა, ჯერ კიდევ 456 წელს, ბიზანტიასთან საზავო მოლაპარაკებისას შეჰპირდა ვახტანგს იმპერატორი თავის ასულს. მაგრამ, ვახტანგმა მისი ქართლში მოყვანა დიდხანს ვერ მოახერხა. თუმცა, ვახტანგი მას, როგორც ეს ჯუანშერის ცნობიდან ჩანს, თავის ცოლად თვლიდა. ამიტომ იყო, რომ 468 წელს ირანიდან მომავალ ვახტანგს შაჰმა როცა ცოლად შესთავაზა „თუსთაგანი მეფეთა“ (ე. ი. სასანიანთა საგვარეულოს ქალი), ვახტანგმა უპასუხა: „არა ჯერ არს ჩემგან ორთა ცოლთა პყრობა, რამეთუ მივის მე ცოლი ასული კეისრისა“ [116:196].

ირანიდან ურჰაში (ქ. ედესა, ახლანდელი ქ. ურფა თურქეთში) მოსულ ვახტანგს იერუსალიმიდან მობრუნებული ხუარანძე და დედა — საგდუხტი (ე. ი. 468 წელს საგდუხტი ისევ ცოცხალი იყო, ამის შემდეგ ჯუანშერი მასზე აღარაფერს გვამცნობს) დახვდნენ და როცა მოადგნენ გზასა „გასაყოფელსა ბერძენთასა და სომეხთასა“ ვახტანგმა ბიზანტიაში „წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა“ [116:198]. და იმპერატორმაც მისცა „ასული თჳსი, სახელით ელენე“[76] [116:198]. ამ ცნობის საფუძველზე, ელენეს ქართლში მოყვანა დაახლოებით 469 წელს ივარაუდება.

ელენე დედოფალსა და ვახტანგს ჯუანშერის თხზულებაში არსებული ერთი ცნობით სამი ძე და ორი ასული შეეძინათ [116:199], მაგრამ შემდეგში ორ ძეზე — ლეონზე და მირდატზე და ერთ ასულ-

---

76 რადგან 456 წელს, ბიზანტიასთან საზავო მოლაპარაკებისას მოხდა ვახტანგის ელენეზე დანიშვნა, დედოფალი ელენე იმპერატორ მარკიანის (450—457) ასულად უფრო უნდა იქნას მიჩნეული, ვიდრე ამ ზავის შემდეგ, 457 წელს იმპერიის ტახტზე ასული ლეონისა. მით უმეტეს, ლეონი ტექსტში გვიანდელი ჩანამატი ჩანს [91:029]. მაგრამ, მეორე მხრივ, რადგან ვახტანგის უფროს ძეს ელენესაგან ლეონი ერქვა, იქნებ ვახტანგმა თავის უფროს ძეს სიმამრის სახელი უწოდა და ჯუანშერი არ ცდება როცა ვახტანგის სიმამრად ლეონს მიიჩნევს. ბიზანტიური წყაროებით ლეონის ორი ასულია ცნობილი. ერთი არიადნა იმპერატორ ზეონს (გარდ. 491 წ.). ჰყავდა ცოლად, მეორე ლეონტია ასპარს.

ზეა მითითება (116:204; „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში აღნიშნულია: „... ელენემ შვა ვახთანგისგან სამი ვაჟი და ერთი ქალი“. 86:183).

როდის დაიბადნენ ვახტანგის ძეები — ლეონი და მირდატი, ასევე ასული, ჯუანშერი არ უთითებს. მაგრამ, არაპირდაპირი მონაცემებით მათი დაბადების წელთა მიახლოებითი განსაზღვრა მაინც ხერხდება (მესამე ძეზე, რომელიც სომხურ თარგმანშიც იხსენიება, არაფრის თქმა არ შემიძლია, შეიძლება იგი ვახტანგის უმცროსი ძე იყო და ადრევე გარდაიცვალა).

468 წელს ირანიდან დაბრუნებული ვახტანგის სააღმშენებლო საქმიანობის აღწერის შემდეგ, ჯუანშერი გვამცნობს: „ვითარცა წარხდა ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე“. ირანის ტახტზე ახალი შაჰი ავიდა, რომელმაც „მოუვლინა გორგასალსა მოციქული“ და სთხოვა ასული მიეცა ცოლად და თან ბიზანტიის წინააღმდეგ საომრად წაყოლოდა [116: 199—200].

როცა აღნიშნული სათხოვარით შაჰის მოციქული ქართლში მოვიდა „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა“, „მაშინ ვახტანგ დღეთა მიწევნულ იყო ვითარ სამოცისა წლისა“ [116:200].

ვახტანგმა ირანის შაჰს შემონათვალზე უარი უთხრა, რის გამოც ბიზანტიის წინააღმდეგ საომრად წამოსული ირანის შაჰი 491 წელს ქართლში შემოვიდა. გადამწყვეტი ბრძოლა „იორსა ზედა“ მოხდა, ბრძოლაში ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა და ჩქარა გარდაიცვალა (24).

ამ ელჩობისა და ბრძოლის თარიღი ვახტანგის ძეებისა და ასულის დაბადების თარიღის გასარკვევად მოვიტანე. ჯუანშერის მონაცემებიდან ივარაუდება, რომ ვახტანგის ასული, რომელსაც შაჰი ცოლად სთხოვდა, ლეონზე და მირდატზე უმცროსი უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც ჩანს, 490/491 წლისათვის იგი უკვე გასათხოვარი წლოვანებისა იყო.

ვახტანგს მეორე მეუღლე, როგორც ვაჩვენე, დაახლოებით 469 წელს უნდა ჩამოეყვანა ქართლში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვახტანგის უფროსი ძის ლეონის დაბადებას თუ 470 წლისათვის ვივარაუდებთ, მომდეენო ძის — მირდატისას — 472 წლით, მაშინ ვახტანგის ქალიშვილი დაახლოებით 474 წელს მაინც თუ დაიბადა, 490/491 წლისათვის იგი 16/17 წლისა იქნებოდა. ასე რომ, ჯუანშერის ცნობები ამჯერადაც მისაღებია.

ჯუანშერი ვახტანგის სიმამრად ლეონს ასახელებს [116:203]. თუ ამ შემთხვევაში, როგორც უკვე შევნიშნე, იგი არ ცდება, მაშინ გამოვლის, რომ ვახტანგს საქართველოში უძველესი დროიდან არსებული

ტრადიციისამებრ თავისი ძეებისათვის სიმამრისა და მამის სახელები დაურქმევია.

491 წელს დაჩის ტყუპისცალი ძაჲ ცოცხალი აღარ ყოფილა. რადგან ირანელთა ქართლში ლაშქრობის წინ მხოლოდ დაჩისა და მისი დისწულის კახეთში, ლოპოტის ხევში გახიზვნაზე არის მითითება [116:200].

491 წელს ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის ტახტზე დაჩი ავიდა. ამავე წლიდან დედოფალი ელენე და მისი ორი ძე, ვახტანგისაგან მიცემულ „დასავლეთს ქართლისას" ფლობდნენ. ზაფხულობით წუნდას, ზამთრობით ოძრხეს იყენენ. ამის შემდეგ, ელენეს უფროსი ვაჟი ლეონი გარდაიცვალა [116:205]. რაც შეეხება მირდატს, მას დაჩიმ ვახტანგისაგან მიღებული სამფლობელოს მაგიერ მისცა „ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე". ამ აქტით მირდატის სამფლობელომ მოიცვა ტერიტორია „ფარავნითგან და ტასისკრითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა" [116:205]. ჩემი ვარაუდით, მირდატის ძე უნდა ყოფილიყო დაახლოებით 523 წელს ქართლის მეფედ დასახელებული გურგენი (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. თავი IX).

რაც შეეხება დაჩის გარდაცვალების თარიღს. ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში რადგან 502 წელი იყო მიღებული, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ დაჩი 502 წელს უნდა ასულიყო ქართლის ტახტზე. ამიტომ ქართულ ენციკლოპედიაში (ტ. 3, სტ., დაჩი) მისი მეფობა VI ს. დამდეგითაა განსაზღვრული.

ვახუშტი დაჩის მეფობის ხანგრძლივობას 15 წელს ანგარიშობს [34:115]. „ქართლის ცხოვრებაზე არსებული ერთი მინაწერით დაჩიმ 14 წელი იმეფა. აკად. ს. ჯანაშიას ვარაუდით „დაჩის მეფობა მეხუთე-მეექვსე საუკუნეების მიჯნაზე მოდის" [115:12].

დაჩის მეფობა მართლაც არ უნდა ყოფილიყო ხანგრძლივი. ტახტზე ასვლიდან მან, მართლა 14 ან 15 წელი თუ იმეფა, მაშინ იგი 505/6 წელს უნდა გარდაცვლილიყო. ამ ქრონოლოგიით მას დაახლოებით 50 წელი უცოცხლია. თავისი მეფობის დროს დაჩიმ „განასრულა ზღუდენი ტფილისისანი" [116:205], ე. ი. 491 წელს როცა ვახტანგი გარდაიცვალა იგი „აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა". თბილისის ქართლის სამეფოს დედაქალაქად გადაქცევა დაჩის მეფობაში 491—505 წლებში მოხდა[77], მაგრამ როდის დაიწყო ვახტანგმა მშენებლობა?

---

77 „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობა დაჩის მიერ თბილისში „მარიამ წმიდის" ეკლესიის აშენების შესახებ დაადასტურა რ. გვერდწითელის მიერ ანჩისხატის ბაზილიკაში საამშენებლო წარწერის ამოკითხვამ [17].

468 წელს, როცა ვახტანგი ირანიდან ძლევამოსილი დაბრუნდა, მართალია, დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო, მაგრამ ამ დროს მის მიერ თბილისის მშენებლობის დაწყებაზე ჯუანშერი არაფერს წერს. თანაც ვახტანგს თბილისის მშენებლობა 468 წლიდანვე რომ დაეწყო, 491 წლისათვის, როცა იგი გარდაიცვალა, „საფუძველი ოდენ“ არ ექნებოდა დადებული. უეჭველია, მშენებლობა თბილისის ქართლის დედაქალაქად გადასაქცევად მან 482—484 წწ-ში ანტიირანული აჯანყების შემდეგ დაიწყო.

ეს აჯანყება, როგორც ცნობილია, ვახტანგმა წამოიწყო. მას ალბანელები და სომხებიც მიემხრნენ. მაგრამ, აჯანყება დამარცხდა, თუმცა, 484 წელსვე ირანის შაჰი პეროზი ეფტალიტებთან ბრძოლაში დაიღუპა და ქართლში მყოფი ირანელი სარდალი ზარმიჰრ ჰაზარავუხტი ირანში გაიწვიეს. ირანის ტახტზე ასული ახალი შაჰი ვალარში (484—488) ძველი სომეხი ავტორების ცნობით, სომხეთისა და ალბანეთის მიმართ მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა. რადგან აჯანყებას ვახტანგი მეთაურობდა, ირანელთა დათმობა ქართლის მიმართ მეტი უნდა ყოფილიყო. რა თქა უნდა, ვახტანგის შემდგომ განაწყენებას ვალარში მოერიდებოდა და ქართლს ალბანეთ-სომხეთზე მეტ შეღავათებს მისცემდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 484 წლიდან თბილისში აღარც ირანელთა გარნიზონი იქნებოდა. სწორედ ამ დროიდან შეიქნა ხელსაყრელი პირობები ქართლის სამეფოს ახალ დედაქალაქად თბილისის გადასაქცევად ვახტანგს დიდი მშენებლობა რომ წამოეწყო. ამის გამო იყო, 491 წლისათვის თბილისის მშენებლობისათვის „საფუძველი ოდენ“ რომ იყო დადებული. „იორსა ზედა“ ბრძოლის შემდეგ კავად I-მა ქართლში ირანელთა ბატონობა ძველი ფორმით აღადგინა და სავარაუდებელია ვახტანგის ასულიც წაიყვანა, მაგრამ დაჩიმ მაინც შეასრულა მამის ანდერძი. მან „განასრულა ზღუდენი ტფილისისანი“ და იგი ქართლის სამეფოს დედაქალაქად გადააქცია.

მეცხრე თავი

ქართლი ვახტანგ გორგასლის შთამომავალთა ხანაში

§ 1. ვახტანგ გორგასლის შთამომავალ მეფეთა ქრონოლოგია. გურგენის ვინაობის საკითხი

ვახტანგ გორგასლის შთამომავალ ქართლის მეფეთა შესახებ ცნობები გვაქვს როგორც ძველ ქართულ („ვახტანგ გორგასლის ცხოვრე-

ბის“ გაგრძელება[78], „მოქცევაჲ ქარლისაჲ“, შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ შეტანილ ცნობაში), ისე უცხოენოვან (ძირითადად ბიზანტიელ ავტორებთან) წყაროებში.

ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ გაგრძელებასა და „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვახტანგის შთამომავალ მეფეთა რიგი, როგორც ვნახეთ, ერთნაირად არის წარმოდგენილი და არც მისი სანდოობაა საეჭვო. თუმცა, ამ წყაროებში არაფერია ნათქვამი რომელი მეფე რამდენ წელს მეფობდა. როგორც ჩანს, ასეთი ცნობა არც ვახუშტი ბატონიშვილს ჰქონდა („ქართლის ცხოვრებაში“ არსებული ვახტანგის შთამომავალ მეფეთა სათვალავი მან ხომ ამ მეფეთა ზეობის წელთა რაოდენობად მიიჩნია და სასანიანთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმება VI ს. 60-იანი წლების დასასრულზე გადაიტანა).

ვახტანგის შემდეგდროინდელი ქართლის მეფეთა შესახებ ცნობები, როგორც ითქვა, ბიზანტიელ ავტორებსაც აქვთ. მაგრამ, ეს ცნობები არა მარტო ართულებენ ვახტანგ გორგასლის შთამომავალ მეფეთა ზეობის წელთა დადგენის საქმეს, ამ ცნობებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კი პროკოპიოს კესარიელის ცნობაზე დაყრდნობით, ზემოდასახელებულ ქართულ წყაროთა მონაცემთა იგნორირებაც კი მოხდა. ძველ ქართულ წყაროებში ვახტანგის შთამომავალი ქართლის მეფეებად დასახელებული პირებიდან მხოლოდ ვახტანგის ძის — დაჩის მეფობა იქნა აღიარებული. დაჩის შემდგომი ხანის ქართლის მეფედ VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის მიერ დასახელებული გურგენი იქნა მიჩნეული. მეორე მხრივ, პროკოპიოსის ცნობა (დაახლოებით 523 წელს ქართლში ირანელთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში ქართლის მეფე გურგენის დამარცხებისა და თავისი ოჯახით ბიზანტიაში გაქცევის შესახებ) იმის დამადასტურებლად ჩათვალეს ქართლში მეფობა სასანიანებს დაახლოებით 523 წელს რომ უნდა გაეუქმებინათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უარყოფილი იქნა დაჩის შთამომავლების — ბაკურის, ფარსმანის, ფარსმან სხვაჲ-სა და ბაკურის ქართლში მეფობა. „ფარნავაზიანთა დინასტიის უკანასკნელი მეფე იყო გურგენი“ აღნიშნულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში[79] (იხ. სტ., ფარნავაზიანები, ტ. 10, ავტორი გ. მამულია).

---

78 ვახტანგ გორგასლის შემდგომი ხანის ქართლის სამეფოს ისტორია „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ გაგრძელებაში ისეთი სიზუსტით არაა გადმოცემული, როგორც ეს აქვს ჯუანშერ ჯუანშერიანს ვახტანგის „ცხოვრების“ აღწერისას. ამიტომ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ XIX ს-ში გამოთქმული და ამჯერად გ. ნულაიას მიერ დღის წესრიგში ხელახლა დასმული საკითხი, რათა ვახტანგის გარდაცვალების შემდგომი თხრობის ავტორად ფსევდო ჯუანშერი იქნას მიჩნეული [122:45—46] მე მისაღებად მიმაჩნია.

79 ქსე-ში (ტ. 3) თვით გურგენისადმი მიძღვნილ სტატიაში ა. ბოგვერაძე წერს,

ქართლში მეფობის გაუქმების საკითხზე ზემომოტანილი თვალსაზრისის მიუხედავად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დაჩის შემდგომი დროის ამბების თხრობისას ხშირად იმოწმებენ მეფე ფარსმანის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი აგარაკების შეწირვის ფაქტს. ასევე, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეტანილია ცალკეული სტატიები დაჩის შთამომავალი მეფეების შესახებ (იხ. სტ. ბაკური, ტ. 2; ფარსმან VI, ფარსმან VII, ტ. 10).

როგორც ვხედავთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ გორგასლის შთამომავალ ქართლის მეფეთა რიგისა და ზეობის წელთა შესახებ გაორებული მდგომარეობა გვაქვს. თუ დაჩის შემდეგ გურგენი მეფობდა, ქართლიდან მისი გაქცევის შემდეგ მეფობა გაუქმდა და გურგენი იყო „უკანასკნელი ფარნავაზიანი" მეფე. მაშინ დაჩის შთამომავლების კვლავ ქართლის მეფეებად დასახელება გაუმართლებელია. სწორედ აღნიშნული საკითხი განვიხილე 1980 წელს ჩემს საკანდიდატო დისერტაციაში და იმ დასკვნამდე მივედი, რომ 523 წელს ქართლში მეფობა გაუქმებული არ ყოფილა. დაჩის შთამომავლებს ქართლში უნდა ემფათ, რის დასაბუთებასაც ქვემოთ ვცდი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" გაგრძელებაში არსებული ცნობებით, ქართლში მეფობა „ბაკურის ზევე დაესრულა" [73:326; 116:217]. „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში ეს ადგილი აკლია [86:188]. მართალია, ამ წყაროებში მეფობის დასრულების თარიღები არაა მითითებული, მაგრამ, „ბაკურის ზევე მეფობის დასრულება", როგორც ეს დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, 523 წელს არ უნდა მომხდარიყო. მეფობა ქართლში 523 წლის შემდეგაც რომ გრძელდებოდა ამას მოწმობს: ა. შიო მღვიმელის „ცხოვრებაში" შეტანილ ცნობაში (ეს ცნობა ბერძნულიდან ნათარგმნად ითვლება) იმპერატორ იუსტინიანეს თანამედროვედ, ე. ი. 527 წლის შემდგომ ხანაში, ქართლის მეფედ ფარსმანის დასახელება. ბ. ბიზანტიელი ავტორების: იოანე მალალასი (VI ს.) და თეოფანე ჟამთააღმწერლის (IX ს.) მონაცემები. იოანე მალალა 527 წლისათვის მეფედ ძამანაძოსს (Ζαμανάζος), ხოლო თეოფანე 535 წლის ქვეშ ძამანარძოსს (Ζαμανρζος) იხსენიებს[30] [42:268; 38:80].

თუ ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, მაშინ არ შეიძლება პროკოპიოსის ცნობამ 527 წლის წინა ხანაში, ირანელთა მიერ ქარ-

---

რომ პროკოპიოსის ცნობას ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ, სხვა ბიზანტიური წყაროები მხარს არ უჭერენო.

30 თეოფანეს ცნობებს ამეორებს გიორგი კედრენე (XI ს.) იგი ამ მეფეს Ζαβανρζος უწოდებს [20:16, შენ. 2].

თლში მეფობის გაუქმების შესახებ ეჭვი არ გამოიწვიოს. ქართლში მეფობის გაუქმების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული 523 წელი კი, როგორც ითქვა, სწორედ პროკოპიოსის ცნობაზე არის დამყარებული.

ქართლში მეფობა 523 წლის შემდეგაც რომ გრძელდებოდა ეს ცხადია, მაგრამ როდემდე?

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორის მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ დაახლოებით 541 წლისათვის ქართლში მეფის ხელისუფლება აღარ არსებობდა. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი მითითებით, „არსად მთელს ამ თხზულებაში ქართველთა მეფის ხსენება არ გვხვდება: ქვეყნის ბატონპატრონად შაჰის წარმომადგენელი მარზპანი ჩანს...". „... აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა დამოუკიდებლობის მოსპობას, სპარსთა ჩვენს ქვეყანაში სრულს ბატონობას და უმეფობის ხანას გვისურათებს" [104:68—69]. „მარტვილობის" ავტორის ცნობები კი, — დასძენს იგი, — სანდოდ უნდა იქნას მიჩნეული, რადგან ეს ძეგლი „... ძვირფასი, სანდო საისტორიო წყაროა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და კულტურული ისტორიისათვის" [104:70].

პროკოპიოს კესარიელის ცნობა დაახლოებით 523 წელს ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ, იმდენად სანდოდ და ეჭვმიუტანლად არის მიჩნეული, რომ ზემოდასახელებული ძველი ქართული და უცხოენოვან წყაროთა მონაცემები 523 წლის შემდგომ ხანაში ქართლში კვლავ მეფის ხელისუფლების არსებობის შესახებ, საერთოდ უგულებელყოფილია.

ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნით, „იოანე მალალას და თეოფანე ჟამთააღმწერლის (და აქედან გამომდინარე კედრენეს) ცნობასაც ჩვენი ისტორიკოსები არავითარ ანგარიშს არ უწევენ" [20:16—17]. ამ საკითხს ს. ყაუხჩიშვილი ჯერ კიდევ 1941 წელს შეეხო. „...თეოფანე ჟამთააღმწერლის „ქრონოგრაფიის" ტექსტიდან ამოღებულ საქართველოს შესახები ცნობების გამოქვეყნების დროს, — წერს იგი, — ჩვენ ვრცელი მსჯელობა გავმართეთ VI საუკუნის იბერიაში მეფობის გაუქმების საკითხის გარშემო" [20:17]. 1963 წელს საქართველოს შესახებ გიორგი კედრენეს ცნობების გამოქვეყნებისას ს. ყაუხჩიშვილი კვლავ დაუბრუნდა 523 წლის შემდგომ ხანაში ქართლში მეფის ხელისუფლების არსებობის საკითხს და სათანდო მასალის გაანალიზების შემდეგ დასკვნა: „...მალალას და თეოფანეს ტექსტების გაეცნობიდან და ამ ტექსტების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრების გადასინჯვიდან ცხადი ხდება, რომ 527—535 წლებში იბერიაში მეფედ მჯდარა ძამანარძე. ეს ფაქტი დადგენი-

ლად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ პროკოპი კესარიელის ცნობის მიხედვით სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია ის აზრი, რომ გურგენ მეფის გაქცევის (523 წ.) შემდეგ იბერიაში მეფობა მოისპო" [20:19]. „როგორ უნდა შევათანხმოთ ერთმანეთს, — განაგრძობს ს. ყაუხჩიშვილი, —ეს ორი ცნობა: ერთი მხრით 523 წლის შემდეგ იბერიაში მეფობა გაუქმდა, ხოლო მეორე მხრით 527—535 წლებში იბერიის მეფედ არის ძამანარძე.

მართალია, პროკოპი კესარიელის გარდა, რომელიც 523 წლის შემდეგ იბერიაში მეფობას მოსპობილად თვლის, მისი მომდევნო ისტორიკოსებიც, აგათია და მენანდრეც, რომლებიც თავიანთ „ისტორიებში" ეხებიან აგრეთვე იბერიასაც, არსად არ იხსენიებენ იბერიის მეფეს, — მაგრამ, მეორე მხრით, ქართული საისტორიო წყაროები VI საუკუნის ქართლის ისტორიისათვის სულ სხვა სურათს იძლევიან". ამის შემდეგ, ს. ყაუხჩიშვილს მოაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲდან" ქართლის მეფეთა სია და დასძენს: „ისტორიკოსი ჯუანშერიც... ამ ეპოქისათვის... ქართლის მეფეებად იმავე პირებს და იმავე თანმიმდევრობით ასახელებს..." [20:19]. ბოლოს ეყრდნობა ჯუანშერის ცნობას იოანე ზედაზნელის ფარსმანის (II) მეფობაში მოსვლის, ხოლო ბაკურის დროს ირანში ჰორმოზდ IV-ის (579—590) მეფობის შესახებ და ასკვნის: „მაშასადამე, ის მეფეები, რომლებსაც ასახელებენ ქართული საისტორიო წყაროები 502—590 წლების მოღვაწეებად ჩანან" [20:20]. VI ს. 90-იანი წლების ჩათვლით ქართლში მეფის ხელისუფლება რომ არსებობდა, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ამას მოწმობს, შიო მღვიმელის „ცხოვრებაში" შეტანილი ცნობა, იმპერატორ იუსტინიანესადმი ქართლის მეფე ფარსმანის დაჰმარების შესახებ, როცა 550 წელს იუსტინიანე აჯანყებულ აბაზგებს ებრძოდა [20:20—21].

ს. ყაუხჩიშვილი უარყოფს რა 523 წელს ქართლში მეფობის გაუქმებას, ამის კვალდაკვალ 502—590 წლებში ქართლში მეფის ხელისუფლების არსებობას ამტკიცებს. „ამრიგად, ირკვევა, — წერს იგი, — რომ ქართლში VI საუკუნის მანძილზე, როცა იქ სპარსელები ბატონობდნენ, ადგილობრივი სამმართველო აპარატი მოსპობილი არ ყოფილა; ის გარეგნულად დარჩა ისევე, როგორც იყო — მეფე (მამასახლისი) და [მისი მოადგილე] პიტიახშში, ხოლო მათი მოქმედება შეზღუდული იყო მარზპანის ძალაუფლებით" [20:21].

ს. ყაუხჩიშვილი შეეცადა რა პროკოპიოსის ცნობასთან შედარებით ძველ ქართულ წყაროთა მონაცემებისათვის უპირატესობა მიენიჭებინა, მეორე მხრივ, როგორც ვხედავთ, ანგარიში აღარ გაუწია „ევსტათი მცხეთელის ვარტვილობის" (ამ ძეგლის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ დაახლოებით 541 წლისათვის ქართლში უკვე მეფის ხელისუფლება აღარ არსებობდა) ავტორისა და ბიზანტიელი ისტო-

რიკოსების აგათიას (დაახლ. 536 — დაახლ. 582 წწ.) და მენანდრეს (VI ს.) მონაცემებს (ეს ისტორიკოსები, როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, „თავიანთ ისტორიებში ქართლსაც ეხებიან, მაგრამ ქართლის მეფეს არ იხსენიებენ“) და ამტკიცებს „VI ს. მანძილზე ქართლში ადგილობრივი სამმართველო აპარატი მოსპობილი არ ყოფილა“. ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული ქართლის მეფეები „502—590 წლების მოღვაწეები ჩანანო“.

მიუხედავად იმისა, რომ ს. ყაუხჩიშვილის დასკვნები VI ს. 90-იან წლებამდე ქართლში მეფის ხელისუფლების არსებობის შესახებ მიუღებელია, ვფიქრობ, მაინც მისასალმებელია, რომ თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთაგან მან პირველმა სცადა ქართლის მეფეთა შესახებ პროკოპიოს კესარიელისა და მისი საწინააღმდეგო საისტორიო წყაროთა მონაცემებს შორის კავშირი მოენახა, ორივე მხარის წყაროთა თითქმის ექვმიუტანელი მონაცემები ადრეფეოდალური ქართლის ამ ნაკლებად შესწავლილი მონაკვეთის პოლიტიკური ისტორიის გასამართავად გამოეყენებინა.

ს. ყაუხჩიშვილამდე, საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებულმა არაერთმა მკვლევარმა სცადა VI ს. I ნახევრის ქართლის მეფეთა შესახებ არსებული ცნობების გაანალიზება. ამ მკვლევრებში ეჭვს ძირითადად პროკოპიოსის მიერ ქართლის მეფედ დასახელებული გურგენის ვინაობა იწვევდა.

ძველ ქართულ წყაროებს არ შემოუნახავთ მოგონება გურგენის შესახებ, — წერდა სენ მარტენი, — შეიძლება იგი მთელი ქართლის მეფე არც კი იყო [176, ტ. 8: 40, შენ. 3]. ფ. დიუბუა დე მონპერეს ძველ ქართულ ქრონიკებში მოხსენიებული მეფე ბაკური (513—523 წწ.) და გურგენი ერთი და იგივე პირად მიაჩნდა [173:82, შენ. 1]. მ. ბროსეს აზრით, ივერიის მეფედ წოდებული გურგენი უნდა ყოფილიყო სომხეთის ერთი ერისთავთაგანი, რომელმაც არ ისურვა ცეცხლის თაყვანისცემა [14:87]. მ. ჯანაშვილმა გურგენი ვახტანგ გორგასალთან გააიგივა [119:203. 219—220]. ი. კულაკოვსკიმ გურგენი და ეგრისის მეფე წათე ერთი და იგივე პირად მიიჩნია [139:23, შენ. 4]. აქედან გამომდინარე, მან დაახლოებით 523 წ. ქართლში ირანელთა წინააღმდეგ მომხდარი აჯანყება, ეგრისში მომხდარად ჩათვალა. აჯანყების თარიღად 522 წ. მიუთითა. იგი ფიქრობს, რომ იუსტინემ თავისი მოხელე პრობოსი ჰუნების დასაქირავებლად ეგრისელთა დასახმარებლად გაგზავნა [139:30]. ს. კაკაბაძემ გურგენი იმ ბაკურის ძედ მიიჩნია, რომლის „შვილნი წურილნი“ ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ კახეთის მთიულეთში გაიხიზნენ. ქართლიდან გურგენის გაქცევა 525—

526 წწ. დაათარიღა [51:20]. ე. თაყაიშვილი იბერიასა და ქართლს სხვადასხვად თვლიდა. გურგენი მას „იბერთა სახელმწიფოს უკანასკნელ მეფედ“ მიაჩნდა. 523 წ. ირანელთა წინააღმდეგ გურგენის აჯანყებისა და „მრავალრიცხოვანი წარჩინებულებით“ მისი კონსტანტინოპოლში წასვლით დასუსტდა იბერიის სახელმწიფო. ამით ისარგებლეს ირანელებმა და იბერიაში მეფობა გააუქმეს [36:103]. „აქედან იწყება ქართლის პერიოდი ჩვენს ისტორიაშიო“ [36:90]. კ. თუმანოვმა, ისე როგორც მ. ჯანაშვილმა, გურგენი ვახტანგ გორგასლის იდენტურ პიროვნებად მიიჩნია [180:368—369]. მისი აზრით, სახელი Γουργενης ნაწარმოები უნდა იყოს ვახტანგის ზეწოდებიდან gurg/gorg [180:369, შენ. 48].

გურგენის ვინაობის შესახებ ზემოდასახელებული ავტორების აზრთა სხვადასხვაობა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ პროკოპიოსის ცნობა ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ, განსაკუთრებულ კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. გამოსავალი ერთია: ან პროკოპიოსი ცდება ან ცდებიან: „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ გამგრძელებელი, „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ შეტანილი ცნობის ავტორები, იოანე მალალა, თეოფანე ყამთაალმწერელი.

საეჭვოდ მე პროკოპიოსის ცნობა მიმაჩნია. ქართლში მეფობის გაუქმების ფაქტს როცა პროკოპიოსის ცნობაზე ვამყარებთ და სხვა საისტორიო წყაროთა მონაცემებს უგულებელვყოფთ, ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, თვით პროკოპიოსის ცნობათა სიზუსტე უნდა იყოს ეჭვმიუტანელი, ხოლო მისი საწინააღმდეგო წყაროთა მონაცემების მეცნიერულად დასაბუთებული უარყოფა შეგვეძლოს. მაგრამ არის ეს ასე? პროკოპიოსის მიერ გადმოცემული ამბავი ქართლში მეფე გურგენის აჯანყებისა და 527 წლის წინა ხანაში მეფობის გაუქმების შესახებ შეიძლება მივიღოთ როგორც უტყუარი ფაქტი? ვფიქრობ რომ არა.

უპირველეს ყოვლისა უნდა გაირკვეს, ხომ არ ცდება პროკოპიოსი, როცა გურგენის აჯანყებას მთელი ქართლის აჯანყებად თვლის და გურგენს ქართლის მეფედ მიიჩნევს?

გურგენი თუ ქართლის მეფე იყო და ირანელთა მოსვლამდე, როგორც პროკოპიოსი გადმოგვცემს, ბიზანტიელთაგან შეპირებული დახმარების მოლოდინში ქართლში რჩებოდა, იმპერატორ იუსტინეს (518—527) მიერ დასახმარებლად გამოგზავნილი პეტრე სტრატეგოსი „რამდენიმე ჰუნითურთ“ ქართლში უნდა მოსულიყო. რადგან პეტრე ჰუნებითურთ ეგრისში გაჩერდა, ხომ არ იყო გურგენის სამფლობელო ეგრისის მოსაზღვრე ქართლის ნაწილი? კონსტანტინოპოლში წათეს მონათვლისა და გურგენის აჯანყების თარიღთა დამთხვევა იმაზე ხომ

არ მიგვითითებს, ამ ორ მოვლენას შორის კავშირი ვეძიოთ. ეს კავშირი გურგენის სამფლობელოს ეგრისის სამეფოსთან მოსაზღვრეობით ხომ არ უნდა იყოს განპირობებული?

თუ დავუშვებთ, რომ გურგენი მართლაც არ იყო ქართლის მეფე და იგი მხოლოდ ქართლის ერთი ნაწილის (ეგრისის მოსაზღვრე) გამგებელი იყო, მაშინ ნათელი გახდება 523 წელს ბიზანტიელთა დაპირებები (ამ დაპირებებით მათ გურგენს ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებისაკენ უბიძგეს და კრიტიკულ ვითარებაში ირანელთა ლაშქრის წინაშე მარტო დატოვეს) რატომ დარჩა ლიტონ სიტყვებად. აშკარაა, იმპერატორი იუსტინე გურგენის დახმარებას ჰუნების მეშვეობით აპირებდა, მაგრამ, რადგანაც ჰუნები მცირე რაოდენობით დაიქირავა ბოსფორში, საკუთრივ იმპერიის ჯარი კი (წათეს მისაშველებლად გაგზავნილი) ირანელებმა დაამარცხეს, იმპერატორმა ახალი ძალები გურგენს აღარ მიაშველა. იმხანად იმპერია ირანთან ახალ სამხედრო კონფლიქტს მოერიდა. როგორც ჩანს, 523 წელს ბიზანტია ირანთან ომისათვის ჯერ კიდევ არ იყო მზად. ამიტომ, გურგენის „კუთვნილ ქართლზე" ირანელთა ბატონობას ბიზანტია დროებით შეურიგდა. უფრო მეტიც, ამ დროს ირანელები ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვან ნაწილსაც დაპატრონებიან (89:141; იუსტინიანეს XXXI ნოველიდან ჩანს, რომ 532 წლის ზავამდე ირანელთა ხელში ეგრისის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი ყოფილა. იხ. გეორგიკა, II, გვ. 35—36).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკოპიოსის მიერ ქართლის მეფედ დასახელებული გურგენი ეგრისის მეზობლად მდებარე ქართლის რაღაც ნაწილის გამგებელი უნდა ყოფილიყო.

გადავხედოთ ძველ ქართულ საისტორიო წყაროთა მონაცემებს, ხომ არაა მათში რაიმე ცნობა გურგენის აჯანყების წინა ხანაში, ქართლის ერთიანი სამეფოდან ეგრისის მოსაზღვრე ცალკე ნაწილის გამოყოფის შესახებ[81]. ასეთმა ცნობამ, ვფიქრობ, ხელი უნდა შეგვიწყოს გურგენის ვინაობის დადგენაში.

გურგენის ვინაობის საკითხი

გურგენის ვინაობის შესახებ ზემოდასახელებული ავტორების აზრთა სხვადასხვაობისა და ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ვახტანგ გორგასლის მემკვიდრეთა შორის მისი მოუხსენებლობის მიუხედავად, შეიძლება მაინც ვიფიქროთ, რომ იგი ვახტანგის შთამომავალი უნდა ყოფილიყო.

---

81 369 წელს ქართლის გაყოფისას რევიანებმა სწორედ ბიზანტიის მოსაზღვრე ქართლი მიიღეს, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ვახტანგის თანამედროვე რევიანები უკვე ერისთავებად იყვნენ დამცრობილი და რუსთავში ისხდნენ.

რა გზით შეიძლება ასეთი ვარაუდის გასამართლებლად თუნდაც მცირეოდენი მასალის მოტანა?

გურგენის ვინაობის დადგენის საქმეში ერთ-ერთი დაბრკოლება ისაა, რომ ძველ ქართულ წყაროებში ვახტანგ გორგასლის შთამომავალ ქართლის მეფეთა ზეობის წლები არაა მითითებული. ამ წყაროებში ვახტანგის ძის დაჩის შემდეგ ქართლის მეფეებად დასახელებულ ბაკურს, ფარსმანს, ფარსმან სხვაჲ-სა და ბაკურს როდის უნდა ემეფათ არ ვიცით. თუ ჩავთვლით, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგის გარდაცვალების თარიღად მიღებული 502 წლის შემდეგ დაჩი მეფობდა. 523 წლის წინა ხანაში კი გურგენი, მაშინ დაჩისა და გურგენს შორის კიდევ ზემოდასახელებული ოთხი მეფის ზეობის მოთავსება. რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ალბათ, აღნიშნულმაც განაპიროობა ქართულ წყაროებში დაჩის შთამომავალ მეფეებად დასახელებული პირების: ბაკურის, ფარსმანის, ფარსმან სხვაჲ-სა და ბაკურის მეფობა უარყოფილი რომ იქნა.

მეორე მხრივ, ის ავტორები, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევდნენ დაჩის შთამომავალთა ქართლში მეფობას, ამ მეფეთა ზეობის წლების შესახებ დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებისანი არიან. მაგ., როგორც ზემოთ ვნახეთ, ს. ყაუხჩიშვილმა მათი მეფობა 590 წლამდე გადაიტანა. ვახტანგ გორგასლის შთამომავალი ქართლის მეფეების დასახელებისას ს. კაკაბაძე ძველი ქართული საისტორიო წყაროების მონაცემებს იმეორებს იმ განსხვავებით, რომ იგი ტოვებს ფარსმან ბაკურის ძეს (ე. ი. დაჩის შვილიშვილს), სამაგიეროდ, პროკოპიოსის მიერ ქართლის მეფედ დასახელებული გურგენი იმ ბაკურის ძედ მიაჩნია, რომლის გარდაცვალების შემდეგ ირანელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და რომლის „შვილნი დარჩნენ კახეთის მთიულეთში“ [51:20]. ს. კაკაბაძე ვახტანგის გარდაცვალებას 484 და 488 წლით ათარიღებდა და ამ თარიღის შემდეგ 525/526 წლამდე ათავსებდა ძველ ქართულ წყაროებში ვახტანგის შთამომავლებად დასახელებულ მეფეებს (ფარსმან ბაკურის ძის გამოკლებით). ს. კაკაბაძის მიერ დადგენილი ვახტანგის შთამომავალ მეფეთა რიგი ასე გამოიყურება. (იხ. 142-ე გვერდზე I-ლი სქემა).

ვახტანგ გორგასლის შთამომავალი ქართლის მეფეთა ზეობის წლების შესახებ სულ სხვა შეხედულებისაა კ. თუმანოვი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გურგენი მან ვახტანგ გორგასალთან გააიგივა. ამიტომ, ვახტანგის გარდაცვალება 522 წელზე გადაიტანა [180:370, 372—378]. ვახტანგის შთამომავალ ქართლის მეფეთა წლები კი ასე განსაზღვრა (იხ. 142-ე გვერდზე II სქემა)

ვახტანგ გორგასალი

↓

დაჩი

↓

ბაკური

↓

ფარსმანი

↓

ბაკური

↓

გურგენი

ვახტანგ I გორგასალი (გურგენი) გარდ. 522 წ..

↓

დაჩი 522–534 წწ..

↓

ბაკურ II 534–547"

↓

ფარსმან V 547–561"

↓

ფარსმან VI 561–?

↓

ბაკურ III ?–579/581 - (180–378).

როგორც ვხედავთ, ს. ყაუხჩიშვილის მსგავსად არც კ. თუმანოვი ითვალისწინებს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის ცნობას, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ დაახლოებით 541 წლიდან ქართლში მეფის ხელისუფლება აღარ არსებობდა. ასე რომ, ვახტანგ გორგასლის შთამომავალ ქართლის მეფეთა ზეობა 541 წელს არ უნდა გადაცდეს.

ვახტანგ გორგასლის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე რომ მისი ძე დაჩი იჯდა, ამას ყველა აღიარებს. ამ ბოლო ხანებამდე რადგან თვით ვახტანგის გარდაცვალების თარიღი არ იყო დადგენილი, თავისთავად ცხადია, არც დაჩის გამეფების ზუსტი თარიღი ვიცოდით. ს. ჯანაშია დაჩის მეფობას მეხუთე-მეექვსე საუკუნის მიჯნაზე ათავსებდა [115:12]. დაჩის შემდეგ ქართლის ტახტი რომ მართლაც გურგენს დაეკავებინა, როგორც ეს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, მაშინ იგი ვახტანგის ძის — დაჩის შთამომავალი (შვილი ან შვილიშვილი) უნდა ყოფილიყო (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მეფობა მამიდან შვილზე გადადიოდა და არა გვარში უფროსზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, გურგენი ვახტანგის ძე უნდა ყოფილიყო). ასეთი ვარაუდი დასაშვებია, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, გურგენი ძველ ქართულ საისტორიო წყაროთა ავტორებმა საერთოდ არ იციან. კიდევ ვიმეორებ, ან გურგენია ქართლის მეფე და ცდებიან ის ქართველი და უცხოელი ავტორები, რომლებიც 523 წლის შემდეგ ქართლში კვლავ მეფეს (მეფეებს) იხსენიებენ, ან პირუკუ, ცდება პროკოპიოსი, როცა იგი დაახლოებით 523 წლისათვის ქართლში მეფობის გაუქმებაზე წერს.

პროკოპიოსი რომ არ ცდება და გურგენი ქართლში ნამდვილად არსებული ისტორიული პიროვნება იყო, ეს საკამათოდ არ მეჩვენება. მაგრამ, ვინ არის გურგენი? როგორც აღვნიშნე, შედარებით მყარი ვარაუდის სახით იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ვახტანგ გორგასლის შთამომავალი უნდა ყოფილიყო.

ქართლის სამეფოში გურგენი ნამდვილად არსებული ისტორიული პიროვნება რომ იყო, ამას პროკოპიოსის მონაცემები მოწმობენ. პროკოპიოსმა არათუ გურგენი იცის, არამედ მისი ახლობლებიც: პერანი, ბაკური, ფაზა.

პროკოპიოსის ცნობიდან არა ჩანს, პერანი გურგენის ძე იყო თუ ძმა. ზოგ მკვლევარს პერანი გურგენის უფროს ძედ მიაჩნია, მაგრამ, გადაჭრით ამის მტკიცება ძნელია. მე უფრო შესაძლებლად ვთვლი, პერანი გურგენის ძმა ყოფილიყო[32]. რაც შეეხება ბაკურსა და

---

82 ამ მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ გაგრძელებაში არსებულ იმ ცნობას, რომელშიც „შვილნი მირდატისანი“ არის ნახსენები (116:207).

ფაზას, მათგან პროკოპიოსი ბაკურს პერანის ძედ ასახელებს, ხოლო ფაზას პერანის ძმისწულად (თუ პერანს გურგენის ძედ მივიჩნევთ, მაშინ ბაკური გურგენის შვილიშვილი გამოდის, ხოლო თუ პერანი გურგენის ძმა იყო, მაშინ გურგენის ძედ ფაზა უნდა იქნას მიჩნეული).

გურგენი რომ მეფური წარმომავლობისა არ ყოფილიყო, ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მას პატივით არ მიიღებდნენ და ვერც პერანი, მისი ძე ბაკური და ძმისშვილი ფაზა დაწინაურდებოდნენ საშხედრო ასპარეზზე.

პერანს პროკოპიოსი ბიზანტიელთა ერთ-ერთ სარდლად პირველად 535 წელს იხსენიებს[83] [157:90—91]. პერანის ძეს ბაკურს (პაკურს) ბიზანტიელთა სარდლად ასახელებს 547 წელს[84] (157:333; იგი 544—548 წწ. ოსტგუთების მეფის ტოტილას წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა), პერანის ძმისწულს ფაზას[85] 542/543 წწ. ქვეშ (იგიც ტოტილას წინააღმდეგ ბრძოლაში ჩანს. 157:276—278, 336—337).

გამოდის, რომ 523 წელს ქართლიდან გაქცეული გურგენის ძმა პერანი 535 წელს უკვე სარდალი იყო. პერანის ძმისწული ფაზა (დაიღუპა 547 წელს. იგი ვისი ძეა პროკოპიოსი არ წერს) 542/543, ხოლო პერანის ძე — ბაკური 547 წელს ჩანან პირველად სარდლად.

პერანის ძმისწული ფაზა სამხედრო ასპარეზზე პირველი მოხსენიებისას (542/543 წწ.). სულ მცირე 22/23 წლისა მაინც თუ იყო[86], მაშინ იგი დაახლოებით 520 წელს უნდა დაბადებულიყო. აღნიშნულთან ერთად, ფაზა თუ გურგენის ძე იყო, მაშინ მამა შვილზე 18/19 წლით უფროსი მაინც იქნებოდა და გურგენის დაბადება დაახლოებით 502/503 წელზე მოვა. ამ საეარაუდო გაანგარიშებიდან გამომდინარე, ქართლიდან გაქცევისას გურგენი დაახლოებით 20 წლის იქნებოდა.

---

83 პროკოპიოსის ცნობით, ოსტგუთთა ნეფის ამალასუნტას მოკვლის (30. IV. 535 წ.) ამბავი გაიგო თუ არა იმპერატორმა, მაშინვე გადაწყვიტა ოსტგუთებთან ომის დაწყება და მათ წინააღმდეგ გაგზავნა ბელისარიოსი, კონსტანტი, ბესა და პერანი „წარმოშობით იბერიის მეფეთა სახლიდან". პერანი იტალიაში იბრძოდა 536—537 წლებშიც [157:90—91, 147, 169, 221. 224], ხოლო 544 წელს, როცა იგი ქ. ედესას იცავდა, ხოსრო I მოქალაქეებისაგან მოითხოვდა პეტრესი და პერანის, როგორც მისი ყოფილი მონების, მისთვის გადაცემას ან 500 კენტინარ ოქროს [156.195]. იმავე წელს პერანი ცხენიდან გადავარდა და მოკვდა [158:202—204].

84 ბაკური სარდლად იხსენიება 552/553 წლებშიც [157:462, შდრ. გვ. 486—487].

85 იტალიაში ტოტილას წინააღმდეგ ბრძოლაში, სომეხთა სათავეში იდგა „ფაზა წარმოშობით იბერი, პერანის ძმისწული". იგი დაიღუპა 547/548 წელს [157: 336—337, 276—278].

86 ქართველ ეფლისწულთა თანამედროვე ცნობილი ბიზანტიელი სარდალი ბელისარიოსი სამხედრო ასპარეზზე 23 წლისა გამოჩნდა.

რაც შეეხება პერანს, იგი როგორც ვფიქრობ, თუ გურგენის უმცროსი ძმა იყო (რადგან გურგენი მეფედ იხსენიება, იგი უფროსი უნდა ყოფილიყო), მაშინ ის ბიზანტიელთა სამხედრო სამსახურში, ცხადია, ფაზაზე (ძმისწულზე) ადრე შევიდოდა. და მართლაც, იგი ხომ 535 წელს იხსენიება სამხედრო ასპარეზზე.

ახლა რაც შეეხება საკითხს, თვით გურგენი ვისი ძე უნდა ყოფილიყო?

ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, მისი სამი ძიდან, უფროსმა, დაჩიმ, ქართლის მეფობა მიიღო — „დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი". დაჩის მომდევნო ძმები „ლეონ და მირდატ" (ვახტანგს ისინი დედოფალ ელენესაგან ჰყავდა) დედოფალ ელენესთან ერთად („ცოლი და ორი ძენი ვახტანგისნი") „...წარიყვანნეს სამთა მათ ერისთავთა, და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვნიან ოძრხეს. და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა-მთავრად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისასა" [116:204—205]. ამის შემდეგ, „...ორთავე მათვან ძეთა ვახტანგისთა, ნაშობთა ბერძნისა ცოლისათა, მოკუდა რომელსა ერქუა ლეონ, და დარჩა მირდატ ოდენ" [116:205], ე. ი. ქართლის იმ ნაწილში („დასავლეთი ქართლისა"), სადაც მირდატი, ლეონი და დედოფალი ელენე იყვნენ, ლეონი ჩქარა გარდაიცვალა და სავარაუდებელია მას არც შთამომავლობა დარჩა (წყაროდან არა ჩანს). ამიერიდან, ქართლის ამ ნაწილის პატრონად — „ერისთავთა-მთავრად" მირდატი და დედოფალი ელენე შეიქმნენ, თუმცა, ისინი ქართლის მეფეს — დაჩის ემორჩილებოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ, მირდატის სამფლობელო „დასავლეთი ქართლისა" კიდევ უფრო გაფართოებულა. დედოფალ ელენეს გარდაცვალების შემდეგ, ტერიტორია, რომელიც ელენეს ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან ჰქონდა მიღებული, მირდატის მფლობელობაში გადავიდა. რადგან, „ამას მირდატს დაევაჭრა ძმა მისი დაჩი: მეფემან გაუცვალა ქუეყანა, და აღიღო მირდატისაგან ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე". და „დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისმან, ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა (შავი ზღვა. — ვ. გ.), და ერისთავობდა მუნ; და იყო მორჩილი დაჩი მეფისა, ძმისა თჳისისა" [116:205].

ეს ყველაფერი ხდება დაჩის მეფობაში. დაჩი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, დაახლოებით 505/506 წელს უნდა გარდაცვლილიყო, ე. ი. ლეონ ვახტანგის ძე გარდაიცვალა 505 წელზე გაცილებით ადრე, ხოლო 505 წლისათვის მირდატ ვახტანგის ძის სამფლობელო მოიცავდა ტერიტორიას „ფარავნითგან და ტასისკრითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“.

გადიოდა დრო. ქართული წყაროების თანახმად, დაჩის შემდეგ ქართლში დაჩის ძე ბაკური, შემდეგ ბაკურის ძე ფარსმანი მეფობდა. ამ ფარსმანის (I) მეფობაში „... შვილნი მირდატისნი ჰმოხედეს შვილთა დაჩისთა“ [116:206]. ფარსმანის მეფობისას „ძოვიდეს სპარსნი, მოაოხრეს ქართლი და რანი. ხოლო ფარსმან, ... ითხოვა სპარსთ მეფისაგან, რათა არა მოაოხრნეს ეკლესიანი და იპყრას ქართლი სჯულსა ზედა ქრისტესსა. რამეთუ მას ჟამსა ბერძენნი უცალო იყვნეს: დასავლით მტერნი აღდგომილ იყვნეს, და ვერ შეძლებელ იყვნეს შეწევნად ქართველთა და წინააღმდგომად სპარსთა. მაშინ სპარსთა მეფემან ისმინა ვედრება მისი და დაიცვნა ეკლესიანი. და ფარსმან დაუწერა მას მორჩილება და მსახურება, და წარვიდა სპარსთა მეფე“ [116:206].

ქართლში ირანელთა ზემოდასახელებული ლაშქრობის შემდეგ, — ნათქვამია წყაროში, — „...განიყვნეს ნათესავნი ვახტანგ ძეფისანი. რამეთუ, შვილნი დაჩისანი ჰმორჩილობდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისანი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა“ [116: 207]. „ამ საყურადღებო ცნობიდან, — წერს ს. კაკაბაძე, — ჩვენ ვტყობილობთ, რომ VI ს-ნის დასაწყისს ადგილი ჰქონია ქართლის გაყოფას ორ ნაწილად — სპარსელებისა და ბერძნების გავლენის სფეროებად“[87] [51:21].

ზემომოტანილი ცნობის ს. კაკაბაძისეულ ინტერპრეტაციას ვერ დავეთანხმებით. ქართლში ირანელთა ამ ლაშქრობის შედეგად ქართლი ორად კი არ გაიყო, ქართლის შედარებით მცირე („დასავლეთი ქართლისა“) ნაწილი ჩამოშორდა. ამ მხრივ სამართლიანად მიუთითა გ. მელიქიშვილმა. „ვახტანგ გორგასლის შემდეგ, — წერს იგი, — დაიწყო ქართლის სამეფოს დაცემა... სამხრეთ საქართველოში წარ-

---

87 523 წლის წინა ხანაში ქართლში რომ ირანის ბატონობა მკაცრი არ იყო და არც ცეცხლთაყვანისმცემლობას აძალებდნენ მოსახლეობას იქიდანაც ჩანს, რომ სწორედ ქართლში სამსახურის დროს 521 წელს გაქრისტიანდა ქართლ-ალბანეთის მარზპანი ფირან გუშნასპი [176:78—79].

მოიქმნა ბიზანტიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ქართული სამთავრო" [147:133, 134].

ამრიგად, 523 წლის წინა ხანაში, ქართლში ირანელთა ლაშქრობას სამხრეთ საქართველოში არსებული „დასავლეთი ქართლის" ადგილზე, რომელსაც ვახტანგის შთამომავალნი „ერისთავთა მთავრის" ტიტულით მართავდნენ, ბიზანტიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სამთავროს (შეიძლება სამეფოსიც კი) შექმნა მოჰყვა.

ფარსმან (I)-ის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტი ფარსმანის ძმისწულმა ფარსმანმა (იგივე „მოქცევაჲ ქართლისაჲს „ფარსმან სხუაჲ". შდრ., შიო მღვიმელის „ცხოვრებაში" შეტანილ ცნობაში მოხსენიებული ფარსმანი) დაიკავა (ეს ის ფარსმან II არის, რომელიც ძველი ქართული ცნობით მირიანის გარდაცვალებიდან 200 წლის გასვლის შემდეგ გადაიცვალა).

ბიზანტიისა და ირანის ქვეშევრდომობაში ქართლის ცალკეულ ნაწილთა მოქცევა რადგან ფარსმან (I)-ის დროს მოხდა, ხოლო ამ ფარსმანის ძმისწული, ფარსმან სხუაჲ, იმპერატორ იუსტინიანეს (527—565) თანამედროვე იყო, ფარსმან (I)-ის მეფობა 527 წლის წინა ხანაზე მოვა და 527 წლამდე მომხდარა ქართლის სამეფოს ირანისადმი, ხოლო ქართლის ერთი ნაწილის („დასავლეთი ქართლისა") ბიზანტიისადმი დამორჩილება[88]. აღნიშნულიდან გამომდინარე, VI ს. 20-იან წლებში კავად I-ის მოთხოვნა ცეცხლთაყვანისმცემლობის აღიარების შესახებ, რომელზედაც პროკოპიოსი მოგვითხრობს, მირდატ ვახტანგის ძის შთამომავალთა წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული და, ვფიქრობ, ქართულ წყაროში და პროკოპიოსთან ერთი და იგივე ამბავია ასახული.

ქართლში ლაშქრობისას „სპარსთა მეფემ" თუ ფარსმან (I)-ის ვედრება ისმინა და „დაიცვა ეკლესიანი", ფარსმანის მიერ „დაწერილი" „მორჩილებისა და მსახურების" პირობით დაკმაყოფილდა. რატომ იყო კავად I ასე მკაცრი მირდატის შთამომავალთა წინააღმდეგ?

კავად I-ის მხრივ მირდატის შთამომავლებისადმი ასეთი მოთხოვნის წაყენება კანონზომიერი მოგვეჩვენება დაახლოებით 523 წ. ირანის ქვეშევრდომი ეგრისის მეფის წათეს კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და მონათვლის ფაქტს თუ გავითვალისწინებთ. როგორც ცნობილია, კონსტანტინოპოლში წათეს მონათვლა მისი ირანიდან

---

88 482—484 წწ. ანტიირანული აჯანყების შედეგად ვახტანგის მიერ მოპოვებული გარკვეული პრივილეგიები ქართლმა ამ დროს დაკარგა.

განდგომის შემდეგ მოსდა. აღნიშნული ფაქტით განაწყენებული კავადი, იმპერატორ იუსტინეს საწინააღმდეგოდ, რა თქმა უნდა, სწორედ ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ მირდატის შთამომავლებს მოსთხოვდა ცეცხლმსახურებაზე გადასვლას, რასაც „დასავლეთ ქართლის“ ერისთავთა მთავრის გურგენის აჯანყება და კონსტანტინოპოლში გაქცევა მოჰყვა. ასე დამყარდა ირანელთა ბატონობა ქართლის ამ ნაწილზეც.

ეგრისის მოსაზღვრე „დასავლეთი ქართლისა“ (ტერიტორია ტაშისკრიდან და ფარავნიდან შავ ზღვამდე). რომლის ერისთავთა მთავარიც გურგენი იყო, ძველ საისტორიო წყაროებში იბერიად (ქართლად) იწოდებოდა. ს. ყაუხჩიშვილმა ძველი საისტორიო წყაროების მონაცემების გათვალისწინებით სპეციალურად შეისწავლა აღნიშნული საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბერძენ-რომაელი მწერლები. საკუთრივ ქართლის გარდა „იბერიას“ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ზღვისპირა ნაწილსაც უწოდებდნენ“ [137]. ზღვისპირა ნაწილი კი, როგორც ვნახეთ სწორედ მირდატს ეკუთვნოდა.

ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოქცეული ეგრისის სამეფოს მოსაზღვრე ქართლის ერისთავთა მთავრის — გურგენისადმი წაყენებული მოთხოვნა ცეცხლთაყვანისმცემლობაზე გადასვლის შესახებ, კავადისათვის მხოლოდ საბაბი უნდა ყოფილიყო, რათა გურგენის კუთვნილ ქართლში ბიზანტიელთა გავლენა მოესპო და თვით დაპატრონებოდა, რაც მოახერხა კიდეც.

რაც შეეხება საკითხს, რატომ არ აისახა მირდატის ძის გურგენის აჯანყების ამბავი ქართულ წყაროში. აქ, როგორც ზემოთ არაერთგელ მივუთითე, ეს ისევ ქართული წყაროს ტენდენციური ხასიათით უნდა აიხსნას: ქართველ ოფიციალურ მემატიანეებს, სამეფოს სახლის გვერდითი შტოების წარმომადგენელთა ამბები აღარ შეჰქონდათ თავიანთ „ისტორიებში“. ჯუანშერთან რევ მირიანის ძის შთამომავალნი (თუმცა ისინი ქართლის ნაწილის მეფეები იყვნენ) ხომ მხოლოდ „ნათესავებად“ იწოდებიან და ზოგიერთ მათგანზე თითქმის არაფერია ნათქვამი.

ამრიგად, გურგენი, პერანი, ბაკური, ფაზა, მირდატ ვახტანგის ძის, ხოლო ბაკური, ფარსმანი, ფარსმან სხვაჲ და ბაკური დაჩის შთამომავლები არიან.

მათი გენეალოგიური ხაზი ასე წარმოგვიდგება:



ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ. შეიძლება დავასკვნათ:

1. 523 წლის ახლო ხანაში ირანელთა წინააღმდეგ საკუთრივ ქართლში აჯანყება არ მომხდარა. ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებული გურგენი, როგორც ამის შესახებ ჯერ კიდევ XIX ს. დამდეგს სენ მარტენმა მიუთითა. ეგრისის სამეფოს მოსაზღვრე, ქართლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის („დასავლეთი ქართლისა") — „ბიზანტიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ქართული სამთავროს" ერისთავთა მთავარი უნდა ყოფილიყო.

2. გურგენის აჯანყების დროისათვის (დაახლოებით 523 წ.), როგორც ეს ძველი ქართული წყაროებიდან ჩანს, ქართლის ტახტზე დაჩის შვილიშვილი ფარსმან (I) ბაკურის ძე იჯდა.

3. დაახლოებით 527 წლის ახლო ხანიდან ქართლის ტახტი ფარსმან (I)-ის ძმისწულმა ფარსმან II-მ (ფარსმან სხვაჲმ) დაიკავა და იგი იუსტინიანეს (527—565) თანადროულად IV ს. 30-იანი წლების შუაწლებამდე მეფობდა. ეს რომ ასე იყო, ამას მოწმობს იოანე მალალას შემდეგი ცნობა: ამ ხანებში, — წერს იგი, — „...მეფობდა... იუსტინიანე, ხოლო სპარსელთა მეფე იყო კოადი დარასთენი, ძე პეროზისა, რომში კი ალარიხი,... აფრიკის მეფე იყო გილდერიხი,... ხოლო იბერებისა — ზამანარზი" (42:268, იგივე ძამანარძოსი. — ე. გ.).

კავადი 531 წ. გარდაიცვალა. იუსტინიანე I 527 წ. ავიდა ტახტზე, იუსტინიანეს მეგობარი ჰილდერიხი აფრიკაში 523—530 წლებში მეფობდა (მოკლეს 533 წ.). მათ თანამედროვედ დასახელებული ქარ-

თლის მეფე ძამანარძე, რა თქმა უნდა, იგივე ფარსმანია და ქართლის ტახტი მას, კავად I-ის სიცოცხლეში 531 წლის წინ, დაახლოებით 526 წელს მაინც უნდა დაეკავებინა. როგორც ეს თეოფანეს ცნობიდან ჩანს, იგი ცოცხალი ყოფილა 534 წლის შემდეგაც, რადგან იგი ქართლის მეფე — ძამანარძოსს, როგორც ითქვა, 535 წლის ქვეშ იხსენიებს. „ამ წელს, — წერს იგი, — იბერიის მეფე სამანორსი მოვიდა კონსტანტინოპოლში მეუღლითა და დიდებულებითურთ ღვთისმოსავ მეფე იუსტინიანესთან და თავისი სურვილი განუცხადა რომაელთა მოკავშირე და ერთგული მეგობარი ყოფილიყო. მეფემ მიიღო ასეთი მზადყოფნა, მრავალი პატივი სცა მის დიდებულებს. მეფის მეუღლეს იმპერატორის მეუღლემ (ავგუსტამ) ძვირფასი ქვებისაგან ნაკეთები სხვადასხვაგვარი მოსართავები აჩუქა. იმპერატორმა ზავით გამოისტუმრა ისინი თავის სამფლობელოში“[89] [140:166].

მართალია, ძველ ქართულ წყაროებში ქართლის მეფედ ძამანარძოსი (სამანორსი) არ იხსენიება, მაგრამ, ვფიქრობ, სახელი „ძამანარძოსი“ ფარნავაზიანთა სამეფო სახლისათვის კარგად ცნობილი სახელის — „ფარსმანის“ (ბერძნ. გამოთქმით „ფარსმანეს“ ან „ფარსმანოს“) დამახინჯებული გადმოცემა უნდა იყოს (იქნებ კონსტანტინოპოლში ყოფნისას ფარსმანის სახელი დამახინჯებულად იქნა ჩაწერილი).

ბიზანტიაში ქართლის მეფე ფარსმანს რომ იცნობდნენ, ამას შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ შეტანილ ცნობაში ფარსმანის დასახელება მოწმობს. მასში ნათქვამია: „ჟამსა მას ოდეს თჳთმპყრობელი იოსტინიანოს მეფე ბერძენთაჲ ჰბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა საზღვარსა ავაზგიასასა ნათესავსა ტასკუნთასა, რამეთუ ეჴმნა მათ განდგომილება. მაშინ მოუძღუნა ნიჳი დიდი იოსტინიანოს ფარსმანს ქართველთა მეფესა და ევედრა, რათა შეეწიოს მხედრობასა მისსა ყოვლითა ძალითა თჳსითა, და ბრძოლა უყოს ტასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრებაჲ ბერძენთა მეფისაჲ და დაუტევა ევაგრე მცველ სამეფოჲსა თჳსისა. ხოლო უკუე თჳთ წარვიდა და შეწევნითა ღჳრთისაჲთა დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთაჲ და მთავარნი მათნი ყოველნი შეპყრობილნი წარავლინნა წინაშე იოსტინიანესსა. მერმე მოიქცა თჳსადვე სამეუფოდ“[90] [100:108—109].

---

89 ძამანარძოსის ვინაობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს აქ აღარ ვეხები. იგი ვრცლად მაქვს განხილული სადისერტაციო ნაშრომში „ქართლის პოლიტიკური განვითარება VI ს. დამდეგიდან VII ს. 30-იანი წწ. დასასრულამდე“ (გვ. 53—61). ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინ-ტის ბიბლიოთეკაში. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მკვლევრებს ეჭვი არ ეპარებოდათ ძამანარძოსი იუსტინიანეს თანამედროვე რომ იყო.

90 ეს ცნობა შიო მღვიმელის „ცხოვრებიდან“ „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორის მიერ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ გაგრძელებაშიც არის შეტანი-

როგორც „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ ვ-ცით, 541 წლისათვის ქართლში უკვე უმეფობის ხანა იყო. ამიტომ, იუსტინიანეს ფარსმანისათვის დახმარება 541 წლის წინარე ხანაში უნდა ვთხოვა, რაც ფარსმანს შეუსრულებია და „მთავარნი მათნი ყოველნი შეპყრობილნი“ იუსტინიანესთან გაუგზავნია. რაც მთავარია, შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ შეტანილი ცნობის ღირსება ის არის, რომ, როგორც ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, „ქართული ცნობა ბერძნულიდან მომდინარეობს“. აღნიშნული იმის დამადასტურებლად უნდა იქნას მიჩნეული, იუსტინიანეს თანადროულად ქართლში ფარსმანის მეფობის ფაქტი ბიზანტიურ სინამდვილეშიც რომ იყო ცნობილი და წყაროში ასახულა კიდეც. საეჭვო არ უნდა იყოს, ბიზანტიურ სინამდვილეში — კერძოდ კი იოანე მალალას და თეოფანე ჟამთააღმწერელის თხზულებებში ქართლის მეფე ფარსმან (=ძამანარძოსის) II-ის შესახებ ცნობები ფარსმანის კონსტანტინოპოლში ყოფნის გამო რომ აისახა.

§ 2. მეფობის გაუქმება ქართლში

პროკოპიოს კესარიელის მიერ ქართლის მეფედ დასახელებული გურგენი თუ „დასავლეთი ქართლისა“-ს ერისთავთა მთავარი იყო 523 წლამდე, მეორე მხრივ, იმპერატორ იუსტინიანე I-ის თანადროულად (527—535) საკუთრივ ქართლში ფარსმან II (ძამანარძოსი) მეფობდა, მაშინ როდის, როგორ ვითარებაში უნდა გაეუქმებინა ხოსრო I-ს (531—579) ქართლში მეფობა?

ფაქტი ერთია. 535 წელს კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებული ფარსმანი ქართლში მეფობას გააგრძელებდა, მაგრამ 541 წლისათვის ქართლში უკვე „უმეფობის ხანა“ იყო. ე. ი. ხოსრო I-ის მიერ ქართლში მეფობის გაუქმების თარიღი 535—541 წლებს შორისაა საძიებელი.

ქართლში მეფობის გაუქმების თარიღზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობას ქართლის მეფის კონსტანტინოპოლში ჩასვლასა და იუსტინიანესათვის კავშირისა და მეგობრობის შეთავაზების საკითხს. თეოფანეს მიერ მოთხრობილი ამბის რეალობას, ვფიქრობ, მხარს უჭერს შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ შეტანილი ჩანართის შინაარსიც. მართალია, დასახელებულ წყაროთა მონაცემებიდან არა ჩანს ფარსმანი იუსტინიანე I-ის კარზე ტასკუნების დამარცხების შემდეგ იყო თუ უფრო ადრე, მაგრამ თუ იმ ხანად არსებულ ვითარებას გავითვალის-

---

ლი. მასში ფარსმანის მიერ დამარცხებული ხალხი „ხასკუნებად“ იწოდება [116: 214].

წინებთ, ფარსმანის კონსტანტინოპოლში ჩასვლა იუსტინიანეს თხოვნით მის მიერ ტასკუნთა დამარცხების შემდეგაა სავარაუდებელი.

პირველ რიგში უნდა გაირკვეს. რას უნდა აეძულებინა ირანის ქვეშევრდომი ქართლის მეფე კონსტანტინოპოლში ჩასულიყო და იუსტინიანესათვის მეგობრობა და კავშირი შეეთავაზებინა.

ფარსმანი კონსტანტინოპოლში, როგორც ითქვა, უეჭველია, მის მიერ ტასკუნთა დამარცხების შემდეგ უნდა ჩასულიყო. იმპერიის წინაშე დამსახურებული ფარსმანი იუსტინიანემ ამიტომაც მიიღო ასე დიდებულად და დაასაჩუქრა კიდეც. მაგრამ, რატომ შესთავაზა ფარსმანმა კავშირი და მეგობრობა იუსტინიანეს? ვის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო ეს კავშირი მიმართული და რა ქნა იუსტინიანემ, დადო კავშირი ფარსმანთან?

დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. ბიზანტიასა და ირანს შორის 540 წელს დაწყებული ომის წინ არსებული ვითარება უნდა გავითვალისწინოთ.

მაზდაკელთა მოძრაობის განადგურებისა და ბიზანტიასთან 532 წელს „საუკუნო ზავის" დადების შემდეგ, კავად I-ის მემკვიდრემ ხოსრო I-მა სახელმწიფოს გასაძლიერებლად „ფეოდალთა ხელისუფლების განმტკიცებისა და დამორჩილებულ ხალხებზე თავისი ბატონობის გასამყარებლად... სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმები გაატარა" [131:93]. რეფორმების შემდეგდროინდელ ირანში მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაიზარდა მარზპანთა უფლებები [162:224; 164:315]. როგორც კ. ტრევერი მიუთითებს, რეფორმების შემდეგ ხოსრო I-მა დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივი მმართველობის ლიკვიდაცია მოახდინა, რის შემდეგაც ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრების ყველა მხარეს ირანელი მოხელე განაგებდა [162:224].

მართლაც, განსაკუთრებით აქტიური ხოსრო I-ის საგარეო პოლიტიკა 532 წლის შემდეგ ჩანს. მისი ამიერკავკასიური პოლიტიკის გააქტიურებაში გარკვეული გავლენა მოახდინა თვით ბიზანტიის საიმპერატორო კარის საგარეო კურსის გააქტიურებამ აღმოსავლეთში. საქმე ისაა, რომ ირანში ხოსრო I-ის მიერ სამხედრო რეფორმების გატარებამდე, იმპერიის კუთვნილ ამიერკავკასიის რეგიონებში სამხედრო ხასიათის გარდაქმნები იუსტინიანემ განახორციელა. ირანთან 527 წელს დაწყებული ომის მიმდინარეობისას, დაახლოებით 529 წელს, იუსტინიანემ შექმნა სომხეთის სამხედრო ოლქი, რომლის სარდლად — magister militum per Armeniam-ის ტიტულით სიტა დანიშნა. მისი რეზიდენცია იყო ქ. თეოდოსიოპოლი (ძველი ქართული წყაროების კარხპოლა, კარნუ-ქალაქი, ახლანდელი ქ. ერზრუმი თურქეთში). ეს სამხედრო ოლქი შემდეგში კიდევ უფრო გაადიდა. 536 წელს მასში შევიდა: დიდი სომხეთის ოლქები: ანზეტენა, ინგილენა,

ამტიანენა, სოფენა, სოფანენა ქალაქ მარტიროპოლით და ბალავიტენე. აქვე შევიდა. პირველი და მეორე სომხეთი. სომხეთის მაგისტროსის სამხედრო ძალა 30000-ზე მეტი მებრძოლი უნდა ყოფილიყო [118:139].

როგორც ვარაუდობენ, 536 წლის შემდეგ სიტასადმი დაქვემდებარებულ სამხედრო ოლქში შევიდა ეგრისი და მისი მოსაზღვრე ოლქები. ამ რეორგანიზაციის შემდეგ სიტამ მიიღო ტიტული: magister militum per Armeniam et Pontum Polemoniacum et gentes [179;226]. 536 წელსვე იუსტინიანემ 31 ნოელით სომხეთში სამოქალაქო რეფორმებიც გაატარა.

ირანის ქვეშევრდომი ამიერკავკასიის ქვეყნების, კერძოდ კი ქართლის მეზობლად იუსტინიანეს მიერ ასეთი მსხვილი სამხედრო ერთეულის შექმნამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხოსრო I-ის მიერ კონტროლონისძიებათა გატარება გამოიწვია. რაც მთავარია, აღნიშნულმა ამბებმა უთუოდ დააჩქარა ირანელთა მიერ ქართლში მეფის ხელისუფლების მოსპობა.

VI ს. 30-იანი წლების ბოლოს ამიერკავკასიაში სასანიანთა გააქტიურება სხვა ფაქტორითაც იყო ნაკარნახები. სწორედ ამ ხანებში, ყველაზე მეტად შეიქნა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ჰუნი საბირების ძლიერი გაერთიანებისათვის ამიერკავკასიაში გადმოსვლელი ზეკარების ჩაკეტვისა და მათზე უშუალოდ ირანელთა კონტროლის დაწესების საჭიროება. სასანიანმა მბრძანებელმა კარგად იცოდა, დარიალზე თავისი კონტროლის დამყარებით ქართლის საველმწიფოს ძლიერ ზურგს მოუშლიდა.

სასანიანებმა თავიანთ კუთვნილ სომხეთში მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ 428 წელს მოსპეს [133:97]. 461 წელს მათ ალბანეთშიც გააუქმეს მეფობა, მაგრამ იმხანად, ალბანელი ხალხის მძლავრი მოძრაობის გამო, უკან დაიხიეს. 510 წელს ალბანეთის მეფე ვაჩაგან III-ის გარდაცვალების შემდეგ, ალბანეთში საბოლოოდ მოსპეს მეფობა [131:86]. ქვეყნის უმაღლესი მმართველობა როგორც სომხეთში, ისე ალბანეთში ირანელი მარზპანის ხელში იყო.

ასე რომ, როცა ხოსრო I-მა ირანში სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმები გაატარა, მისი ქვეშევრდომი ამიერკავკასიის ქვეყნებიდან მეფე მხოლოდ ქართლში იყო. რეფორმების შედეგად ქართლი კავკასიის ქუსტაკში გაერთიანდა და ქართლის უშუალო გამგებლად, ქართლის მეფის გვერდით ადრე არსებული ქართლ-ალბანეთის მარზპანის გარდა, კავკასიის ქუსტაკის სპაჰბედი დაჯდა, რომლის სამხედრო ძალა ათიათასობით მეომარს ითვლიდა.

ხოსრო I-ის დავალებით, სწორედ მარზპანსა და სპაჰბედს უნდა დაეწყო ბრძოლა ფარსმან-ძამანაძოსის წინააღმდეგ. ფარსმანის კონ-

სტანტინოპოლში ჩასვლის მიზეზი, ვფიქრობ, ხოსრო I-ის პოლიტიკა იყო. მარზპანისა და სპაჰბედის პოლიტიკით შეშფოთებულმა ფარსმანმა, როგორც ჩანს, იუსტინიანე I-ს კავშირი და მეგობრობა სთხოვა (თვითონაც ხომ დაამარცხა იმპერიისაგან განდგომილი ტასკუნები).

თუ გავიხსენებთ ძველ ქართულ ცნობას, მირიანის გარდაცვალებიდან ფარსმან II-ის გარდაცვალებამდე 200 წლის ვასვლის შესახებ, მაშინ კონსტანტინოპოლიდან დაბრუნების შემდეგ, ფარსმანი ან ჩქარა უნდა გარდაცვლილიყო, ან ხოსრომ შესაძლოა იგი გადააყენა კიდეც. ხოსროს ასეთი მოქმედება მოსალოდნელია, რადგან ქართლი იმხანად ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო და, რა თქმა უნდა, ირანის ძლევამოსილი შაჰინ-შაჰი ხოსრო I, თავის ქვეშევრდომს ბიზანტიასთან კავშირის შეკვრას არ აპატიებდა.

კონსტანტინოპოლიდან ფარსმან-ძამანარძოსის დაბრუნების შემდეგ უნდა დაეწყო ხოსროს გადამწყვეტი ბრძოლა ქართლში მეფობის გასაუქმებლად და სასანიანთა სამეფო კარის დიდი ხნის ოცნება რეალურად ექცია.

რა შედეგი გამოიღო ქართლის მეფის კონსტანტინოპოლში ჩასვლამ და იუსტინიანესთან კავშირის დადებამ?

იმ დროს, როცა ხოსრო I ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი ომისათვის ემზადებოდა (ეს ომი ირანმა 540 წელს დაიწყო. 105:332) იუსტინიანესი (ირანისა და ქართლის მეზობლად დიდი სამხედრო ერთეულის შექმნა) და ფარსმანის მოქმედება (იუსტინიანესთან კავშირი) ხოსროსათვის უკანასკნელი ბიძგის მიმცემი უნდა ყოფილიყო ქართლში მეფობის გასაუქმებლად. VI ს. 30-იანი წლების ბოლოსათვის ქართლის სამეფოს ირგვლივ შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ ქართლში მეფის ხელისუფლების არსებობის საკითხი კითხვის ქვეშ დააყენა. ქართლის მეფის წინააღმდეგ იბრძოდა სასანიანთა ირანის ერთ-ერთი უძლიერესი მბრძანებელი ხოსრო I.

ფარნავაზიანთა სახლის უკანასკნელი მეფის ბაკურ ფარსმანის ძის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ეს ძველ ქართულ წყაროებშია ნათქვამი, ხოსროს ქართლ-ალბანეთის მარზპანზე[91] დაყრდნობით დაუწყია. ამ უკანასკნელს კი თავისი მიზნის განსახორციელებლად თვით ქართლის ერისთავები გამოუყენებია.

ქართლ-ალბანეთის მარზპანის გამოყენება ქართლის მეფის წინააღმდეგ შემთხვევითი არ იყო. მარზპანებს მათდამი დაქვემდებარე-

---

91 დაახლ. 534/535 წლიდან „ქართლ-ალბანეთის მარზპანი, როგორც ეს „ფირან გუშნასპის მარტვილობიდან" ჩანს, ფირანის ძმა — მიჰრანი იყო [177:83]. ეს მიჰრანი და „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში" ქართლის მარზპანად დასახელებული ირანელი გუშნასპი ერთ-ერთი პირები ჩანან.

ბულ ქვეყნებში ხომ დიდი სამხედრო-ადმინისტრაციული უფლებები ჰქონდათ. ქართლ-ალბანეთის მარზპანმა, — ნათქვამია წყაროში, — „...უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქვა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთაოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა“ [116:217].

გარკვეული ღონისძიებანი ქართლის მეფის დასახმარებლად იუსტინიანესაც უნდა მიეღო. საიმპერატორო კარმა, როგორც ჩანს, ამ მიზნით ჰუნების (საბირების) დაქირავება გადაწყვიტა. თუ ბიზანტიელი ისტორიკოსის ზაქარია რიტორის (დაახლოებით 482 — დაახლოებით 560) ცნობის ნ. პიგულევსკაიასეული შესწორება სწორია და ჰუნების დასაქირავებლად ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი პრობოსი იქ ჩასულ ალბანელ ეპისკოპოსს კარდუსტს 537—544 წლებს შორის შეხვდა (ამ ამბების შესახებ იხ. ჩემი, დასახ. საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 33—40), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ პრობოსი იქ სწორედ ქართლის მეფის დასახმარებლად გადმოსაყვანი ჰუნების დასაქირავებლად უნდა ყოფილიყო ჩასული.

ბიზანტიელებმა ვერც ამჯერად შეძლეს ჰუნების დაქირავება (ყოველ შემთხვევაში წყაროებიდან არა ჩანს). შესაძლოა ირანელებს კავკასიის ზეკარები ისე ჰქონდათ ჩაკეტილი, რომ ჰუნებმა გადმოსვლა ვერ შეძლეს.

ირანელებს ქართლის მეფის წინააღმდეგ სამხედრო ძალაც გამოუყენებიათ. ბიზანტიელებმა კი მათ სამხედრო ძალა ვერ დაუპირისპირეს. ისე როგორც 523 წელს გურგენი, ბაკურიც დაახლოებით 537 წელს (ამ წელს უნდა შეხვედროდა ჩრდილო კავკასიაში ჰუნებს დასაქირავებლად ჩასული პრობოსი კარდუსტს) მარტო აღმოჩნდა ირანელთა პირისპირ. „...ბიზანტიელთ მეგობრობა არც ამ დროს გამომდგარა, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — არც ამას უშველია იბერიის სამეფოსათვის, ვერც სპარსთა მძლავრობისაგან გადაურჩენია“[92] [105: 284].

სწორედ ამ ხანებში „არ ეცალათ“ ბიზანტიელებს — „დასავლეთში მტრები ჰყავდათ“. ძველი ქართველი ავტორის ეს სიტყვები სწორედ 537 წელს ეხება, რადგან 523 წელს ბიზანტიას დასავლეთში მტრები არ ჰყოლია. 535—540 წლებში კი ბიზანტიელებმა დასავლეთში მართლაც დიდი ბრძოლები გადაიხადეს. ამ წლებში ოსტგუთებს წაართვეს კუნძული სიცილია, დაიპყრეს იტალიის დიდი ნაწილი. ამ სისხლისმღვრელ ბრძოლებში 523 წელს ქართლიდან გაქცეული გურგენის ძე—ფაზა და გურგენის ძმის (?) წული—ბაკური მონაწილეობდა.

---

92 მართალია, ივ. ჯავახიშვილის ზემომოტანილი სიტყვები გურგენის აჯანყებას შეეხება, მაგრამ იგი ქართლში 537 წელს დატრიალებულ ამბებს უფრო შეეფერება.

ქართლში მეფობის გაუქმების აქტი იმ დროინდელ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყურადღება მისაქცევი მოვლენა იყო. იგი უნდა ასახულიყო რომელიმე იმ დროის საისტორიო წყაროში, რომლის თავისებურ ანარეკლს, ჩემი ვარაუდით, VII ს. სომეხი ისტორიკოსის, სებეოსის თხზულებიდან ქვემომოტანილი ცნობა წარმოადგენს. ხოსრო I-მა, წერს სებეოსი „... თავისი მეფობის დროს ჩაკეტა ჩორისა და ალბანეთის გასასვლელები, დაატყვევა ეგერთა მეფე და ბრძოლით აიღო პისიდიის ანტიოქია, დატყვევებული მაცხოვრებლები [ირანში] სამეფო მამულზე დაასახლა“ [134: 30]. სებეოსის მიერ მოთხრობილ ამბავს თუ ჩავუკვირდებით, ნათლად წარმოგვიდგება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად ცნობილი ფაქტები:

ა. ხოსრო I-მა „საუკუნო ზავის“ (532 წ.) შემდეგ ირანში გაატარა (დაამთავრა) სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმები, რასაც კავკასიის ზეკარების (დარუბანდი, დარიალი და სხვა) ჩაკეტვა-გამაგრება მოჰყვა.

ბ. 540 წელს ბიზანტიასთან ომის დაწყებისთანავე ხოსრომ აიღო და დაანგრია ქალაქი ანტიოქია მდ. ორონტზე, დატყვევებული მოსახლეობა კი ირანში გადაასახლა.

სებეოსი კი სწორედ „ჩორის“ (იგივე დარუბანდი) ჩაკეტვისა და ანტიოქიის აღების შუა ხანაში გადმოგვცემს ხოსროს მიერ „ეგერთა მეფის“ დატყვევების ამბავს. თუმცა სებეოსის ცნობაში უზუსტობაც არის. პირველ რიგში ეს ეხება ხოსროს მიერ „ეგერთა მეფის“ დატყვევების ამბავს. როგორც ცნობილია, 532—540 წლებში ირანელთა მიერ ეგრისის მეფის დატყვევებას ადგილი არ ჰქონია. მართალია, უფრო გვიან, 541 წელს ხოსრო I-მა ეგრისში ილაშქრა, მაგრამ ეს ლაშქრობა ეგრისის მეფის გუბაზის მიწვევით შედგა. სებეოსის წყაროს, როგორც ჩანს, არასწორი ინფორმაცია ჰქონდა ქართლისა და ეგრისის შესახებ. სებეოსს მეორე უზუსტობაც აქვს, როცა იგი სირიის ანტიოქიას პისიდიის ანტიოქიას უწოდებს (პისიდიის ანტიოქია ხოსროს არ აუღია), მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, სებეოსის ცნობაში აშკარად ქართლში მომხდარი ამბებია ასახული. „ერგეთა მეფის“ დატყვევებაში ხოსროს მიერ ქართლის მეფის ბაკურის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებანი იგულისხმება, რომელსაც ქართლში მეფობის გაუქმება მოჰყვა.

ასე რომ, დაახლოებით 537 წელს ქართლის მეფე ბაკური „დატყვევებული“ იქნა (ქართული წყაროს ცნობით იგი გარდაიცვალა). მისმა მცირეწლოვანმა შვილებმა კახეთის მთიულეთს შეაფარეს თავი. ქართლი ირანის პროვინციად გადაიქცა და ქვეყნის უშუალო გამგებელი ირანელი მარზპანი არვანდ გუშნასპი (მიჰრანი) გახდა. მას მა-

შინვე ქართლის ჩრდილოეთი საზღვრის გამაგრება დაუწყია. „...ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლს შინა, სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს... კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთსავე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დურძუკეთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს“ [74:94—95].

ამრიგად, ქართლის მეფის ფარსმან II-ის ენერგიულ ღონისძიებათა მიუხედავად, დაახლოებით 537 წელს სასანიანებმა მეფობა ქართლშიც გააუქმეს. გარეშე ძალასთან ერთად, მეფობის გაუქმების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ქართლის ერისთავებმა, რისთვისაც მათ მამულების მემკვიდრეობითი ფლობის უფლება მიიღეს. ასეთი პრივილეგირებული მდგომარეობის მიუხედავად, ქართლის ერისთავთა მცდელობითა და ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერით ქართლის სახელმწიფოებრიობა ჩქარა იქნა აღდგენილი.

ХРОНОЛОГИЯ ХРИСТИАНСКИХ ЦАРЕЙ РОДА ФАРНАВАЗИАНОВ

Резюме

Монография посвящена одному из кардинальных вопросов политической истории Грузии — хронологии раннефеодального царства Картли. Начиная с XVIII в. о ряде и хронологии царей из династии (как языческого, так и христианского периодов) Фарнавазианов высказано немало положений грузинскими и иностранными исследователями. Специальное исследование, посвященное христианским царям рода Фарнавазианов, было опубликовано только в 1958 г. акад. Г. А. Меликишвили. Предлагаемый вниманию читателей труд является первой попыткой монографического изучения данной проблемы.

Сравнительно точное определение последовательности и хронологии христианских царей династии Фарнавазианов имеет большое значение для освещения вопросов политической и культурной истории Грузии.

В последние годы была подтверждена реальность многих конкретных фактов, упомянутых в древнегрузинских исторических источниках, что потребовало и пересмотра их гиперкритической оценки. Однако на сегодня в этом направлении сделано еще мало. По сравнению с предшественниками автор больше доверия проявляет к сведениям древнегрузинских источников.

О последовательности и хронологии христианских царей рода Фарнавазианов в грузинской историографии высказаны диаметрально противоположные взгляды. По мнению автора, это обстоятельство вызвано, с одной стороны, недоверием к сведениям источника «Жизнь царей», признаваемого грузинской историографией произведением XI века, а с другой — излишней доверчивостью, проявляемой к сведениям иноязычных источников, а также к данным «Мокцевай Картлисай» («Обращение Грузии»), считаемого нашей историографией древнейшей национальной летописью.

В источниках имеются косвенные указания о двоецарствии в Картли со второй половины IV века. Современная грузинская историография датирует двоецарствие лишь

369—374 гг. В монографии на основании анализа древнегрузинских и иноязычных источников доказано, что двоецарствие в Картли продолжалось с 369 года вплоть до конца 30-х годов V века. Этими же годами двоецарствие датировали акад. К. С. Кекелидзе и проф. В. Д. Дондуа, которые однако, смешали друг с другом царей из рода Ревианов и Бакарианов, что не позволило им научно обосновать свою точку зрения.

Возникновение в династии Фарнавазианов ветвей Бакарианов и Ревианов было обусловлено соперничеством Ирана и Римской империи за обладание Картли. После раздела в 369 г. Картли между этими странами Ирану досталась левобережная часть Картли, где воцарились Бакарианы, а правобережная Картли, в которой стали царствовать Ревианы, отошла к Риму. Автор пришел к выводу, что «Жизнь царей», являясь официальной историей династии Фарнавазианов, повествует только об истории, жизни и деятельности основной ветви царей Бакарианов. В этом источнике цари из рода Ревианов названы только «родственниками».

В монографии по-новому освещена последовательность и хронология царей Картли от первого христианского царя Мириана (298—334) до упразднения царской власти (прибл. 537 г.).

На основе анализа древнегрузинских и иноязычных источников («Жизнь царей», «Обращение Картли», «Жизнь Петра Ивера») в работе показано, что сведения о христианских царях Картли IV века в этих источниках, в противоположность существовавшему мнению, неидентичны. В «Жизни царей» представлены цари из рода Бакарианов, а в «Обращении Картли» и в «Жизни Петра Ивера» — из рода Ревианов.

Бакарианы и Ревианы вели свое начало от сыновей первого христианского царя Картли Мириана. Эти противостоящие друг другу роды дома Фарнавазианов официально оформились в 369 г., после раздела Картли между Ираном и Византией.

Опираясь на эти соображения, а также на данные древних источников, в монографии установлена последовательность и хронология христианских царей рода Фарнавазианов (как Бакарианов, так и Ревианов), начиная от Мириана (298—334) и вплоть до упразднения Ираном царства в Картли (прибл. 537 г.).

Определив таким образом с достаточной точностью даты правления царей из рода Бакарианов, автор считает доказанными сохранившиеся сведения о том, что «Жизнь царей» составлялась «по временам» современниками этих царей. Полученные результаты, как уже отмечалось, представляют известную ценность для истории грузинской культуры.

Упоминаемый в труде византийским историком VI в. Прокопием Кесарийским в качестве картлийского царя Гурген признан потомком Мирдата, сына Вахтанга Горгасали. Для обоснования этого положения показан процесс образования княжества (самтавро) «Западной Картли», граничащей с Эгрисским царством территории. Это княжество возникло на территории, отделившейся от Картлийского царства после смерти Вахтанга Горгасала. Вначале княжество это подчинялось царям Картли и простиралось «от Ташискари и Паравани до Черного моря». В начале VI века во время одного из походов персов царь Кавад, как видно, потребовал от Гургена немедленно перейти к огнепоклонству. В 523 г. Гурген вынужден был оставить свои владения и бежать в Византию.

В это время в самом Картли царствовали потомки Дачи. В этой же главе дан анализ условий ликвидации персами царской власти в Картли в период между 535—541 гг.

Для обоснования указанного положения в труде впервые привлекается сообщение армянского историка VII в. Себеоса, согласно которому в промежутке времени между закрытием проходов «Тчора и Агванского» и взятием Антиохии в 540 г. Хосровом был пленен «царь эгеров» (Эгриси). Но так как в то время пленение эгрисского царя не имело места, в сообщении Себеоса, по всей вероятности, отражен факт ликвидации царства в Картли примерно 537 г.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ა მ ი ა ნ ე მ ა რ ც ე ლ ი ნ ე, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
3. არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი, ფალაურიდან თარგმნა თეო ჩხეიძემ, თბ., 1975.
4. ბ ა დ რ ი ძ ე შ., ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის. — „მნათობი“, 1962, № 7.
5. ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., იბერიაში ქრისტიანობის შემოსვლის საკითხისათვის. — ქართული ისტორიოგრაფია, III, 1975.
6. ბ ა რ ა მ ი ძ ე რ., ქართული საისტორიო პროზა. თბ., 1971.
7. ბ ა ქ რ ა ძ ე დ., ახლად აღმოჩენილი შესანიშნავი ქართული მანუსკრიპტი. — გაზ. „ივერია“, 1889, № 6.
8. ბ ა ქ რ ა ძ ე დ., ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889.
9. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., დ ო ნ დ უ ა ვ., დ უ მ ბ ა ძ ე მ., ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., ... საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958.
10. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979.
11. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გაყოფის საკითხისათვის. — ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.
12. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979.
13. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან. — „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1985, № 4.
14. ბ რ ო ს ე მ., საქართველოს ისტორია, ტფ., 1895.
15. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა თ., პიტიახშთა ინსტიტუტის საკითხისათვის. — მაცნე, 1970, № 6.
16. გელასი კესარიელი, გეორგიკა, I, თბ., 1961.
17. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი რ., ანჩისხატის ბაზილიკის სამშენებლო წარწერა. — „მნათობი“, 1987, № 1.
18. გ ი ო რ გ ა ძ ე გრ., არმაზის ბილინგვა: „ფარნავაზი“ თუ „ფარნავაზიანი“? — „მნათობი“, 1986 № 10.
19. გ ი ო რ გ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი. „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, თბ., 1986.
19ა. გ ი ო რ გ ი ა მ ა რ ტ ო ლ ი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952.
20. გ ი ო რ გ ი კ ე დ რ ე ნ ე, გეორგიკა, V, თბ., 1963.
21. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე? — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის ნაკვ. I, 1946, თბ., 1947.

22. გოზალიშვილი გ., ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, თბ., 1974.
23. გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში. — მაცნე, ისტორიის... სერია, 1982, № 2.
24. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. — „მნათობი", 1983, № 11.
25. გოილაძე ვ. ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია. — „მნათობი", 1985, № 4.
26. გოილაძე ვ., რომელი ქვეყანაა „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" აბაშეთი? — „მნათობი", 1984, № 7.
27. გოილაძე ვ., ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან. — „მნათობი", 1984, № 11.
28. გოილაძე ვ., წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის. — „მნათობი", 1986, № 2.
29. გორგაძე ს., საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი. — გაზ. „მოამბე", 1905, № 3.
30. გორგაძე ს., წერილები საქართველოს ისტორიიდან, ნაწ. II, ტფ., 1913.
31. გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954.
32. დევი პ. როდის ჩავიდა პეტრე იბერი იერუსალიმში. — „ცისკარი", 1983, № 3.
33. ეესტათი მცხეთელის მარტვილობა. — ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ., 1960.
34. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
35. ზოსიმე, გეორგიკა, I, თბ., 1961.
36. თაყაიშვილი ე., როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? — „მნათობი", 1948, № 8.
37. თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველო, სპბ., 1848.
38. თეოფანე ჯამთააღმწერელი, გეორგიკა, IV, ნაკვ. I, თბ., 1941.
39. იაკობ ცურტაველი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ., 1960.
40. ინგოროყვა პ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზ., ტ. IV, თბ. 1978.
41. ინგოროყვა პ. ძველი ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, თხზ., ტ. IV, თბ., 1978.
42. იოანე მალალა, გეორგიკა III, თბ., 1936.
43. იოანე რუფუსი, პეტრე იბერის ცხოვრება, გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965.
44. [იოანე რუფუსი]. ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურული რედაქცია გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთი ი. ლოლაშვილმა, თბ., 1988.
45. იუსტინიანეს XXXI ნოველა, გეორგიკა, ტ. 11, თბ., 1965.
46. კაკაბაძე ს., ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ. — „მნათობი". 1985, № 5.
47. კაკაბაძე ს., ვახტანგ გორგასალი, თბ.. 1959.
48. კაკაბაძე ს., კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — საისტორიო კრებული, წიგ. I, ტფ., 1928.
49. კაკაბაძე ს., საისტორიო ძიებანი, ტფ., 1924.

50. კ ა ბ ა ძ ე ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხისათვის. — საისტორიო მოამბე, წიგ. I, 1924.
51. კ ა ბ ა ძ ე ს., ძიებანი ქართველთა IV—VI საუკუნის ისტორიის შესახებ. — საისტორიო კრებული, წიგ. II, ტფ., 1928.
52. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ვინ არის ლიბანიოსის ადრესატი ბაკური? ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955.
53. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან, ეტიუდები, III, თბ., 1955.
54. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები. — მიმომხილველი I, თბ., 1926.
55. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული კულტურის ორი ‹ დღესასწაული. — მნათობი“, 1929, № 5—6, 7.
56. კ ე რ ა მ ი, ხეთების საიდუმლოება, თბ., 1960.
57. კ ი კ ნ ა ძ ე რ., „ქართლის ცხოვრება“, ქართ. საბჭ. ენციკლოპედია. ტ. 10.
58. ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
59. ლიბანიოსი, გეორგიკა, ტ. I, თბ., 1961.
60. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ი., ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებიდან, თბ., 1978.
61. ლ ო მ ო უ რ ი ნ., თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე თ., ბოლნისის სიონის საკითხისათვის. — „მაცნე“ ისტორიის... სერია, 1984, № 3.
62. ლ ო მ ო უ რ ი ნ., ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975.
63. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
64. მ ა მ უ ლ ი ა გ., კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979.
65. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
66. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი ელ., ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, თბ., 1985.
66ა. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველო ახ. წ. I—III საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
67. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955.
68. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზების შესახებ. — „მაცნე“ ისტორიის... სერია, 1978, № 3.
69. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. ისტ. ინ-ტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1958.
70. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. — საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1962, № 2.
71. მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980.
72. მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1984.
73. მოქცევაი ქართლისაი. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.

74. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგ. I (V—X სს.), დასაბეჭდად მომზადდა ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1963.
75. მ ჯ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი ბ., ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის. — „მაცნე" ისტორიის... სერია, 1984, № 3.
76. პ ა ტ ა რ ი ძ ე რ., ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები. — „მნათობი", 1984, № 1.
77. პ ა ტ ა რ ი ძ ე რ., ქართული ასომთავრული, თბ., 1980.
78. პ ა ტ ა რ ი ძ ე რ., ქება ქართული ენისა (წერილი V). — „მნათობი", 1987, № 1.
79. ქ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები, I, თბ., 1892.
79 ა. რ უ ფ ი ნ უ ს ი, გეორგიკა, I, თბ., 1961.
80. ს ა ნ ი კ ი ძ ე ლ., ტაციტუსი ქართული „უმაღლესი განათლების" შესახებ, ძეგლი ენისა სწორია, თბ., 1987.
81. ს ო კ რ ა ტ ე ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ ო ს ი, გეორგიკა, ტ., I, თბ., 1961.
82. ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
83. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ივ., სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ., 1951.
84. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942.
85. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოსცა ე. თაყაიშვილმა, ტფ., 1906.
86. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953.
87. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., გელასი კესარიელი ქართლის ჰოქცევის შესახებ. — მიმომხილველი I, თბ., 1926.
88. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ლიბანიოსი და ბაკური, ქუთაისის ა. წულეკიძის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები, I, 1960.
89. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ნოსირის ბერძნული წარწერა, თბილისის უნ-ტის შრომები, ტ. XVIII, 1941.
90. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964.
91. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
92. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ღია წერილი „მნათობის" რედაქციას. — „მნათობი", 1962, № 10.
93. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ლაპიდარული წარწერები, I, თბ., 1980.
94. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი მ., „ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქციის ატრიბუცია. — „მნათობი", 1987 № 5.
95. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი მ., „ფრიად სარწმუნო ბაკური". — მნათობი, 1985 № 5.
96. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები — „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი", თბ., 1987.
97. ჩ ხ ე ი ძ ე თ., ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან, თბ., 1984.
98. ც ა მ ბ ი ე ვ ი რ., შემოკლებული საქართველოს ისტორია, თბ., 1882.
99. ცხოვრება პეტრე ივერისა, ქართული დედანი გამოსცა ნ. ნარეშ, Православный палестинский сборник, т. XVI, в. II, СПб., 1896.

100. ცხოვრებაჲ შიოანი და ევაგრესი, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955.
101. ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ, გამოცემული ლეონ ჩელიქ-ეთ-ბეგის მიერ, ტფ., 1920.
102. წ ერ ე თ ე ლ ი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
102 ა. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., ქალაქი რუსთავი, თბ., 1958.
103. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.) ტფ., 1916.
104. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები..., თხზ., ტ. VIII, თბ., 1977.
105. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგ. I, თხზ. ტ. I, თბ., 1979.
106. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
107. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგ. I, ტფ., 1928.
108. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თხზ., ტ. VI, თბ., 1982.
109. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ., 1906.
110. ჯ ა ნ ა შ ი ა ლ.-ნ., აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV—V საუკუნეებში, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1973.
111. ჯ ა ნ ა შ ი ა ლ.-ნ., კორიუნის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986.
112. ჯ ა ნ ა შ ი ა ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.
113. ჯ ა ნ ა შ ი ა ლ.-ნ., ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986.
114. ჯ ა ნ ა შ ი ა ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949.
115. ჯ ა ნ ა შ ი ა ს., ფეოდალური რეოლუცია საქართველოში, შრომები, ტ. I, თბ., 1949.
116. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
117. ჰიდატიუსის ქრონიკა, გეორგიკა, I, თბ., 1961.
118. А д о н ц Н., Армения в эпоху Юстиниана, изд. второе, Ереван, 1971.
119. Б а г р а т и о н и Д., История Грузии, издал А. А. Рогава, Тбилиси, 1971.
120. Б а р а т о в С., История Грузии, тетрадь II—III, СПб., 1871.
121. Д ж а в а х о в И., Государственный строй древней Грузии и древней Армении. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VIII, т. I, СПб., 1905.
122. Д ж у а н ш е р Д ж у а н ш е р и а н и, Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1986.
123. Б а к е р м а н Э., Хронология древнего мира, перевод с английского, М., 1975
124. Д и л ь Ш., Основные проблемы византийской истории. Перевод с французского Б. Т. Горянова, М., 1947.
125. Д ь я к о н о в М. М., Очерк истории древнего Ирана, М., 1961.

126. Ермолаев И. П., Историческая хронология, Казань, 1980.
127. Загадки храма Кавтисхеви. — газ. «Заря Востока», 1985, № 28.
128. Зеймаль Е. В., Кушанская хронология, М., 1968.
129. Незавель, Солярский П., Опыт библейского словаря. т. II, СПб., 1881.
130. Иоселиани П., Краткая история грузинской церкви, СПб., 1843.
131. История Азербайджана, I, Баку, 1958.
132. История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского и комментарии М. А. Геворгяна, Ереван 1953.
133. История армянского народа. Ереван, 1980.
134. История епископа Себеоса. Перевел с четвертого исправленного армянского издания С. Г. Малхасяни. Ереван, 1939.
135. Каждан А., От Христа к Константину, М., 1965.
136. Какабадзе С. С., Строительная надпись Болнисского Сиона, „მაცნე" ისტორიის... სერია, 1984, № 3.
137. Каухчишвили С. Г., К вопросу о наличии племени иберов в Западной Грузии. Тезисы доклада в Ереване, 1960.
138. Корюн, Житие Маштоца, перевод с армянского, Ереван, 1962.
139. Кулаковский Ю., История Византии, т. I (395—518), Киев, 1910.
140. Летопись византийца Феофана от Диоклетиана до царей Михаила и сына его Феофилакта, М., 1884.
141. Луконин В. Г., Завоевания Сасанидов на Востоке и проблема кушанской абсолютной хронологии. — ВДИ, 1969, № 2.
142. Луконин В. Г. Иран в эпоху первых Сасанидов, Л., 1961.
143. Луконин В. Г., Кушано-сасанидские монеты, Эпиграфика Востока, XVIII, 1967.
144. Марр Н., Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам, Записки Вост. отд. Импер. русск. арх. общества, т. XIV, СПб., 1901.
145. Марр Н., Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием (Арабская версия), СПб., 1905.
146. Маршак Б. И. К вопросу о восточных противниках Ирана в V в.
147. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.
148. Мовсэс Каланкатуаци, История страны Алуанк, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Ш. В. Смбатяна, Ереван, 1984.
149. Момзен Т., История Рима, V, перевод с немецкого, М., 1949.
150. [Нил]. Творения преподобного отца нашего Нила подвижника синайского, ч. III. Творения святых отцов, т. 33, М., 1859.
151. Отзывы В. В. Болотова о сочинении студента Г. Гамрекелова «Древнейшая история церкви в Грузии», Христианское чтение, 1898, вып. 4.
152. Петр Магистр, Византийские источники, перевод с греческого, П. Дестуниса, СПб., 1861.
153. Пигулевская Н. В., Города Ирана в раннем средневековье, М.—Л., 1956.
154. Пигулевская Н. В., Месопотамия на рубеже V—VI вв. н. э. (Сирийская хроника Иешу Стилита), М.—Л., 1940.

155. Пигулевская Н. В., Эдесская хроника, Палестинский сборник, в. 4 (67), 1959.
156. Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю. и др., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л., 1958.
157. Прокопий из Кесарии, Война с Готами. Кн. V--VIII, перевод с греческого С. П. Кондратьева, вступительная статья З. В. Удальцовой. М., 1950.
158. Прокопий Кесарийский. История войн римлян с персами, кн. II, перевод с греческого Сп. Деступиса, СПб., 1880.
159. Селешников С. И., История календаря и хронология, М., 1972.
160. Сказания Приска Паннийского, перевод с греческого Г. С. Деступиса, М., 1899.
161. Страбон, География, перевод Г. А. Стратановского, М., 1964.
162. Тревер К. В., Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э. — VII в. н. э., М.—Л., 1959.
163. Федорова Е. В., Императорский Рим в лицах, М., 1979.
164. Фрай Р. Н., Наследие Ирана. Перевод с английского, М., 1972.
165. Халатьянц Г., Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского, М., 1903
166. Церковная история Эрмия Созомена Саламинского. СПб., 1851.
167. Цоцелия М. В., Из истории взаимоотношений Картли с сасанидским Ираном, Тбилиси, 1975.
168. Чубинашвили Г. Н., Болнисский Сион, ენციკლოპედია, 1940, IX.
169. Шестаков С. П., Лекции по истории Византии, т. I. Казань, 1915.
170. Юлиан Капитолин Жизнь обеих Валерианов, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, собрал и перевел с подлинников К. Ган, ч. I, Тиф., 1884.
171. Brosset M., Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu' au XIXe siecle, tradcite du Géorgien, I-re Partie, SPb., 1849.
172. Chintibidse E., Das Problem der georgischen Schrift und Schrifttumsenstehung, Georgica, Iena—Tbilissi, Heft 8, 1987.
173. Dubois Fr., Voyage Autoure du Caucase. Paris, 1839.
174. Grumel V., La Chronologie, Paris, 1958.
175. Harnack A. von, Die Mission und Ausbreitung des christentums in den ersten drei jahrhunderten, Bd. II, Leipzig, 1924.
176. Hoffmann G., Auszüge aus syrischen Akten persischer Mârtyrer. Abhandlungen für die kunde des Morgenlandes, Leipzig, 1880.
177. Lebeau Ch., Histoire du Bas-Empire. Nouvelle edition. Revue entièrement corrigée et augmentée d'après les historiens orientaux, par M. De Saint—Martin. Paris, t. I—IV, VIII—XI, 1824—1830.
178. Klaproth I., Reise in den Kaukasus und nach Georgien Unternommen in den Iahren 1807 und 1808. Bd., 11, Halle und Berlin, 1814.
179. Rubin B., Das Zeitalter Iustinians, erste Band, Berlin, 1961.
180. Toumanoff C., Studies in Christian Caucasian History, Georgetown University Press, 1963.

შინაარსი

შესავალი 3
პირველი თავი ფარნავაზიანთა დინასტია „ქართლის ცხოვრებაში“ . 15
მეორე თავი. საკითხის ისტორიოგრაფია 18
მესამე თავი. მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგი 41
მეოთხე თავი. ქრონოლოგიური საყრდენები 52
§ 1. ქრონოლოგიის საკითხი ძველ ქართულ წყაროებში . . 52
§ 2. ვახტანგ გორგასლის ზეობის წლები და მისი მნიშვნელობა ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგიის კვლევისას . 55
§ 3. დამატებითი ქრონოლოგიური საყრდენი 57
მეხუთე თავი მირიანის ზეობის შესახებ არსებულ მოსაზრებათა და წყაროთა კრიტიკული განხილვა 58
§ 1. მირიანის გარდაცვალების თარიღი 58
§ 2. მირიანის დაბადებისა და გამეფების თარიღი . . . 70
მეექვსე თავი მირიანის შთამომავალ მეფეთა ქრონოლოგია . . 78
§ 1. ბაკურ მირიანის ძის შთამომავლები (ბაქარიანები) . . . 78
§ 2. რევ მირიანის ძის შთამომავლები (რევიანები) . . . 104
მეშვიდე თავი ბოლნისის სიონის აშენების საკითხი ძველი ქართული წყაროების მიხედვით 120
მერვე თავი ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია . . 126
მეცხრე თავი ქართლი ვახტანგ გორგასლის შთამომავალთა ხანაში . 133
§ 1. ვახტანგ გორგასლის შთამომავალ მეფეთა ქრონოლოგია. გურგენის ვინაობის საკითხი 133
§ 2. მეფობის გაუქმება ქართლში 151
Хронология христианских царей рода Фарнавазианов (резюме) . 158
გამოყენებული ლიტერატურა 161